

ისინქტი

ლიტერატურული ჟურნალი

საიუბილეო ნომერი

№7

2019

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი (საპატიო წევრი)

რეზო ემელიანე ადამია (საპატიო წევრი)

ბონდო არველაძე (საპატიო წევრი)

ნინო ბაქანიძე (საპატიო წევრი)

აკაკი ბრეგაძე

მარინა თექთუმანიძე

დალი კახიანი

ერეკლე სალლიანი (საპატიო წევრი)

თეიმურაზ ნადარეიშვილი

ბადრი პატაშური

მარსიანი

გიორგი შიშნიაშვილი

გიგი ხორნაული (საპატიო წევრი)

რუსუდან ჭანტურიშვილი

მხატვარი: **მარსიანი**: ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნიდან“

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამარ სტეფანაძე

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა	5
კრიტიკა	
იკა ქადაგიძე – უნებლიე ლაფსუსის თუ ენციკლოპედიური მონოპოლიზმი?!.....	8
ღირსსახსოვარნი	
ლაშა გახარია – ლექსები	13
ეროვნული ფასეულობების სადარაჯოზე	
ბონდო არველაძე – იოსებ ორბელის წიგნის „განძასარაისა და ჰავოცპტუკის“ წარწერების წიგნის განადგურების მიზეზები.....	15
მოგონება	
ვანო გელაშვილი (თორელი) – სიმღერის დიდოსტატი	18
ნომრის სტუმარი	
ნათელა შაინიძე – ლექსები.....	20
პოლემიკა	
იკა ქადაგიძე – მოყვარეს პირში უძრახე.....	21
პუბლიცისტიკა	
ურჩა ოქროპირიძე – აფხაზური პრობლემის გაგებისათვის.....	23
ინტერნეტსპექტრი	
დალი ყარაულაშვილი – ლექსები.....	32
პროზა	
ნინო ბაქანიძე – თამაში ლამისყანაში.....	29
მოგონების გამოძახილი	
მარინა თექთუშანიძე – ნუგზარი და რამაზი	35
პოეზია	
რომეო ტაბიძე – ლექსები	37

თარგმანი-რეცენზია	
რუსულან ჭანტურიშვილი – ტერენტი გრანელის პოეზია ვლადიმერ სვეტლოსანოვის თარგმანებში.....	38
ამონარიდი მემუარებიდან	
გიგი ხორნაული – ზვიად გამსახურდია	41
პოეტური მოზაიკა	
გენრიეტა ქუთათელაძე – ფიქრი	43
თარგმანი	
დალი კახიანი – ქართველი პოეტები რუსულად.....	45
პოეზია	
გო შიშნიაშვილი – ლექსები.....	46
საბჭოური რეპრესიების მსხვერპლი	
ვახტანგ ბახტაძე – სპეციალურად ჟურნალისტთვის „ისინდი“	47
ნიკალა ფიროსმანის ციკლიდან	
ლერი ალიმონაკი – რკალიდან „ნიკალა“	50
ერთი ლექსის გაელვება	
იკა ქადაგიძე – ზვიადს.....	51
პაატა სურმანიძე /პოეტ პოეტიშვილი/ – 17-17	52
ესეისტიკა	
თეიმურაზ ნადარეიშვილი – შექსპირული ჩანახატები	53
პოეზია	
მორჩილი გიორგი /გიორგი ბუნდოვანი/ – ლექსები	59
არდავინყება პოეტისა	
ვალერიან საღლიანი – ლექსები	59
კრიტიკა	
მარსიანი – ანტისაბჭოური კონიუნქტურის ცდომილებანი.....	61
ემიგრანტული ჩანაწერები	
ბადრი პატაშური – მოონპარნას-2001	66

რედაქტორის წინათქმა

ისინდის დაბადება

მარადჟამს არსებობს ოცნება, რომელსაც შორიდან ხანგრძლივად ელოლიავები, თუმცა მის ასახედნად თითქოს რაღაც გაკავებს თუ გამუხრუჭებს. ზოგჯერ ჩემისთანა მოქმედების ადამიანიც უძლურია იმ სადემარკაციო ხაზს თამამად გადაევიდეს, რომელიც ქრონიკულად მოუწყობელი ქვეყნის საორჭოფო ფინანსურ სფეროზე გადის და არაერთ მტკივნეულ თემას უსიტყვოდ ამინებს. მოკლედ, გალაკტიონის შედევრიდან ამოზიდული უნივერსალური ფრაზა: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი“ ... იმ შემთხვევისთვისაა ზედგამოჭრილი, უცნაურ გარემოებათა თანხვედრის წყალობით ქარიშხალივით რომ დაგეძგერება და პარადოქსს დაუკითხავად შეგანარცხებს.

პირველი რომანი „ჯანდაბისფერი მზე“ 21 წლის ასაკში დავეწერე. ამ ვრცელი ნაწარმოების შექმნის ისტორიის მოყოლას არ ვგეგმავ, უბრალოდ თითქოსდა უმნიშვნელო დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას; მოკლედ, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის მეშვეობით საკუთარი გულისნადები ხმამაღლა გავამჟღავნე. სახელდობრ, მაშინაც ასე მიმაჩნდა და ახლაც, მრავალწლიანი გადასახედიდან იმავე შეხედულებას ვინარჩუნებ, რომ თანამედროვე სამწერლო პროცესების გასაჯანსაღებლად დამოუკიდებელი ჟურნალის ან გაზეთის დაარსება აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოვლისმპყრობელი ცენზურის მარნუხებს თავს ვერასდროს დააღწევ და მუდმივად სცილასა და ქარიბდას შორის მოქცეულს შემოქმედების გასაფართოებლად განკუთვნილი საჭირო ენერგია არამიზნობრივად შემოგეხარჯება. მართლაც რა პრაგმატულ დასკვნას გამოგკარი ხელი! გულცივი ანალიტიკოსის თანმდევი სიზუსტე მტრისას! გინდა არ გინდა ფაქტების სიმშრალისკენ გიბიძგებს, არადა, რამდენი მწვავე წერილი შემიფერხა მისმა უდიდებულესობა ცენზურამ, რომლის მძლავრ სუნთქვას პირველივე რომანში საკადრისი პატივი მივაგე, მან კი სამაგიერო საკმაოდ მდაბიურად გადამიხადა: ყველგან ულმობლად მომწვდა და ათასი გაუთვლელ-გათილილი პარადოქსი ჯოჯოხეთური თანმიმდევრულობით შემამთხვია.

წესით კარგი თეორეტიკოსი ცუდი პრაქტიკოსია და პირიქით; ზოგჯერ ერთი მეორეს ხელს არ უშლის და თქვენმა მონა-მორჩილმა საკუთარი ძალები თავდაპირველად რომანის ფურცლებზე მოსინჯა. დამოუკიდებელი გაზეთის თანმდევი სასიკეთო ძვრების მოსალოდნელი გამოძახილის დადებითი შედეგი ჯერ ყოვლისმომსწრე ქალაქს ანდო; „ჯანდაბისფერი მზე“ 1994-96 წლებით თარიღდება. მკითხველისთვის ბევრი რამ გასაგებია, საქართველოს ხომ ამ დროს უმძიმესი დღეები უდგას, ტრადიციული ჟურნალ-გაზეთების მასობრივი დახურვისა და გაკოტრების ფონზე უხარისხო, ყვითელი პრესისა და კუსტარული გამომცემლობების ბუმი იწყება, სადაც ძალღი პატრონს ვერ ცნობს. მოკლედ, როგორც ყველგან, აქაც დაუსრულებელი განუკითხაობაა გამეფებული და უცებ, დამწყები ახალგაზრდა მწერალი დამოუკიდებელ და ხარისხიან ბეჭდურ ორგანოზე ოცნებობს, რომელიც ამავდროულად ნეოლიბერასტებისგან ჩანისხულ ეროვნულ მწერლობას ძველ დიდებას აღუდგენს და მომავლის პერსპექტივას მტკიცედ დაუსახავს. იდეალისტის ჩანაფიქრია? მაღალფარდოვანი თეორეტიკოსის ოცნების უნაყოფობას რომ ასხივებს; ასეა, თუმცა დროა ვაჟკაცურად ვაღიაროთ: პრაგმატულ ქართულ ოცნებამდე ნამდვილ ოცნებას კაცი ჯერ არ მოუკლავს და რომანის გახმაურებული განხილვის ფონზე ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. ჩვენში დარჩეს, ენერგიულად არც მე გამიბრძოლია, რადგან საქართველოში მოღვაწე ქველმოქმედთა გასაგისი ისევე დაშრეტილიყო, როგორც წითელ წიგნში შეყუყულ უიშვიათეს სახეობათა ეგზოტიკური ჩამონათვალის თუნდაც ზერელე გადამონმების მოკრძალებული სურვილი.

უფროსთაობელი კოლეგების მრავლისმეტყველი მოგონებები მაგიური ფრაზით: ამა და ამ ჟურნალსა თუ გაზეთში 20 წელი ვიმუშავე, ჩემთვის დაუვიწყარი მითის გაცოცხლებასავით ჟღერდა, სანამ 2005 წელს ცნობილმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ, ერეკლე სალიანმა ახალდაარსებული ჟურნალის „ზედაშეს“ რედკოლეგიის წევრობა არ მომანდო. ყოვლისმჟღეტი ნაცების პარპაშის დროს ეროვნული პროფილის ჟურნალის გამოცემა ხუმრობა საქმე როდი იყო და მეც უფროსი კოლეგისა და მეგობრის ნდობას ჩვეული პასუხისმგებლობით მოვეკიდე: წინამორბედ ჟურნალ „ხატაურს“ შორიდან თვალყურს ვადევნებდი და ერეკლეს მუშაობის პრინციპს არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულად ვიცნობდი და მომწონდა, რადგან მას მანამდე მიჩქმალულ შემოქმედთა აღმოჩენისა და პოპულარიზაციის არაჩვეულებრივი ალლო აღმოაჩნდა და ხარისხსა და აქტუალობას ერთმანეთს ოსტატურად უხამებდა. მოკლედ, „ზედაშე“, რომლის რედკოლეგიის წევრთა უმრავლესობას ქართული მწერლობის დიდოსტატები შეადგენდნენ, ჩემთვის გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების ნამდვილ სამჭედლოდ იქცა; ჟურნალს რეალურად ოთხი ადამიანი განვკარგავდით; ერეკლეს ხათრიანობას ხშირად ჩვენი სიმკაცრე ეხლებოდა. რედაქციაში გატარებულ თვეებს ახლაც დიდი ხალისითა და მონატრებით ვისხენებ, მუშაობას კოლორიტული საუბრები და სასიამოვნო სუფრა ენაცვლებოდა, რაც ჩემისთანა პედანტს ხშირად უხერხულობას ჰგვირიდა, რადგან მუშაობის დროს ლირიკული გადახვევების არ მნამს და შესაბამისად, საქმეში გადაშვებულს თუნდაც

დროებითი განმუხტვა ნაკლებად მიზიდავდა. დამოუკიდებლად დაფინანსებული ჟურნალის აგების პრინციპს პირველად აქ გაუფასინჯე გემო და საშვილიშვილოდ დამამახსოვრდა. უამრავი მთხოვნელის გასანეიტრალებლად შემუშავებულ მეთოდებს ყველა თავისებურად ანაღლებდა, რაც საერთო ჯამში მღელვარების კვალდაკვალ საყოველთაო მხიარულებას იწვევდა. აბეზარ, მოძალადე და უხასიათო ავტორთა მოსაგერიებელი ფანდების მრავალნახნაგოვნება ამოუწურავი თემაა; რაც მთავარია, ამ არაჩვეულებრივი ჟურნალის გამოცემის დროს მწერლებს შორის ჩამწყდარი სიმები ხელახლა გაიბა და ანტიეროვნული ძალების მიერ განხორციელებული უწყვეტი შეტევების ფონზე ოდნავ სული მოვიტყვი, თუმცა დრამატული ფინალი ვარდოსნების სასტიკი მმართველობის მორიგი ილუსტრაცია გამოდგა: „ზედაშეს“ დამფინანსებელი სხვის ქონებაზე დახარბებულმა ვარდოსნებმა მიზანში ამოილეს და ქვეყნის დატოვება სძულს...

2009 წლიდან პირველი კრიტიკული ნიგნის გამოცემის შემდეგ თვალმისაცემად მებრძოლი კრიტიკოსის სტატუსის შექმნისთანავე ჩემთვის სამწერლო ასპარეზზე სრულიად ახალი ერა დაიწყო. ამიერიდან სალიტერატურო პროცესების ამსახველი მძაფრი და აკრძალული წერილები ყველაზე პრესტიჟულ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ ხშირად ქვეყნდებოდა, თუმცა ცენზურა აქაც იჩენდა თავს იმის მიუხედავად, რომ რედაქტორებს კატეგორიულად ვაფრთხილებდი ჩემი ნაზრევი ჩაუსწორებლად გაეშვათ, რაც კომუნისტურ უტოპიას ეთანადებოდა. ამ ნიადაგზე წარმოქმნილ კამათსა თუ მწვავე დისკუსიებს ცალკე პუბლიკაციები მივუძღვენი...

2013 წელს „ლიტერატურული საქართველოს“ ორ გვერდს სამი თვის მანძილზე ვხელმძღვანელობდი; განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ ჩემი გამოცდილება იმ ნიშნულამდე ავიდა, როდესაც ექსტრემალურ ვითარებაში მუშაობა ჩვეულებრივ რეჟიმს უტოლდება. ეროვნული მწერლობის დასაცავად წამოწყებული საგაზეთო ბატალიების სერია მოგვიანებით ახალ კრებულში „ძირს ომერტა!“ გამოქვეყნდა, სადაც ცნობილ გაზეთში გათამაშებული ავანტიურა ფაქტების მეშვეობითაა გაშუქებული. ბუნებრივია, კრიტიკანების თარემის ფონზე, რომელთა პარპაში „ლიტ. საქართველოს“ რედაქტორმა, პოპულარულმა კრიტიკოსმა, თამაზ ნიწვიცაძემ რეიტინგის გამო არ აღკვეთა, პროტესტის ნიშნად იქაურობა დავტოვე; მანამ ადგილობრივი ცენზორის – კახაბერის სახით მორიგ მეჩრეს შევეჯახე. მასთან გამართული უსიამო საუბრები მოწმობდა, გაზეთის სარედაქციო პოლიტიკა ფარული ინტრიგანების თვითნებობის გამოისობით როგორ ზარალდებოდა და კნინდებოდა. ფაქტია, აქ არც ერთპიროვნული მმართველი დომინირებდა და არც თანხმეირი კოლეგიალური თანამშრომობის ტრადიცია არსებობდა; არამედ ცენზორისა და მისი დამქაშების კერძო გამოხდომებითა და თვითნებური კონტროლით ბინძურდებოდა მწერლური ატმოსფერო.

და მაინც, მრავალწლიანი საბრძოლო გამოცდილების მიუხედავად დამოუკიდებელ ჟურნალზე ფიქრი არ მშორდებოდა, თუმცა ქველმოქმედებთან და სპონსორებთან კარდაკარ სიარულის სტილი ვერაფრით შევითვისე (არც არასდროს მიცდია); ამდენად, ამ მხრივ აქტიურობას არ ვგეგმავდი, სანამ 2017 წლის მარტში გერმანისტმა დავით კირკიტაძემ, რომელთან ერთადაც საჯარო ბიბლიოთეკაში მირზა გელოვანის საიუბილეო საღამო გავმართე, დაჟინებულ თხოვნას ხელსაყრელი წინადადება არ მოადევნა; კერძოდ, მან შემომთავაზა, ბოლოდროინდელი სტაგნაციის გასარღვევად, როდესაც „ჩვენი მწერლობის“ შეჩერების ფონზე დედაქალაქში მკაფიო ეროვნული პოზიციის გამომხატველი ჟურნალი პრაქტიკულად აღარ გამოდიოდა, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ამ საქმეს სათავეში ჩავდგომოდი; რა თქმა უნდა, მაცდური წინადადება ვიუარე და ჩემი პასუხი სათანადოდ დაუფასებეთ; გულახდილად განვუმარტე, ამ სარისკო წამოწყებაზე რა აზრიც გამაჩნდა; საჭირო თანხის კარდაკარ ჩამომათხოვრების კატეგორიულ მოწინააღმდეგეს ეროვნულ ჟურნალის გამოსცემ ფულს ლანგრით არავინ მომართმევდა, მე ხომ ნომენკლატურის დაკვეთას არასდროს ვასრულებდი და ცენზურის ზეობის ჟამს (ცენზურა უკვდავია!) კეთილისმყოფელი აქამდე ამიტომაც არ გამოიჩინდა; მან მომიგო, რომ მცირე გამომცემლობის პატრონს (დავით კირკიტაძის გამომცემლობას „თეთრი“ ჰქვია) თავისი ნაცნობების მეშვეობით შეეძლო 68 გვერდიანი ჟურნალის გამოშვება 300 ლარად გაეხერხებინა; რედაქტორობას თუ დავთანხმდებოდი, ფინანსების მოზიდვის გარდა ჟურნალის დაკაბადონებას საკუთარ თავზე იღებდა; ამავდროულად არც ჩემს სარედაქციო პოლიტიკაში ჩაეროდა, რადგან მენდობოდა. ინტერნეტის მეშვეობით იგი საკმაოდ კარგად ხედავდა ანტიეროვნულ მწერლებს გეგმაზომიერად რომ ვუტყვედი და გასაქანს არ ვადღევდი. მიუხედავად ესოდენ მაცდური წინადადებისა, კვლავ უარზე შევდექი, რაც მარსიანმა და კავკასიურ სახლში სტუმრად მოსულმა ღვანლმოსილმა მწერალმა, ჯემალ ქირიამ გააპროტესტეს. მათ კირკიტაძის წინადადება ჭკუაში გაუჯდათ. ბ-მა ჯემალმა, რომელმაც ჩემი შეუპოვრობის გამო 9 წლის წინ საჯაროდ ქართული მწერლობის ჟანა დ, არკი მიწოდა, მიჩნია, ახალგაზრდა გერმანისტის შეთავაზებას დავთანხმდებოდი და ამ თვალსაზრისით ბედი მეცადა. მისი აზრით, თუნდაც მოკრძალებული ფინანსების ამარა ჟურნალის გამოცემის ურთულეს საქმეს წარმატებით გაუძემკლავდებოდი, რადგან საამისოდ ყველა მონაცემი გამაჩნდა. ეს ქათინაური მანამდეც მრავალგზის მსმენია, თუმცა ამ თვალისმომჭრელ სატყუარას არასდროს წამოვგებივარ. ამჯერად მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. კირკიტაძე მართლაც კერკეტი კაკალი გამოდგა, არ მომეშვა, კულტურის სამინისტროს მიერ უხვად დაფინანსებული ჟურნალების ანტიეროვნული გამოხტომებით გალიზიანებულს (ინტერნეტში ამ ნიადაგზე მთავრობს ნებიერ ფავორიტებს ხშირად თავს ესხმოდა; ჩვენი მოკავშირეობა ამ კიბერშეტევების დროს განმტკიცდა, როდესაც ერთმანეთს მხარს მყარად ვუჭერდით) ეროვნული ჟურნალის გამოცემის თაობაზე საუბარს არ წყვეტდა; 300 ლარის დასახელებამ სანუკვარი ოცნების განსახორციელებლად მიბიძგა. უმალ ავმოქმედდი. გადავწყვიტე ეს თანხა მეგობრებთან ერთად ამეგროვებინა, მთელი ფინანსური სიმძიმე გერმანისტს მხრებზე რომ არ დასწოლოდა. თანასწორობის პრინციპის თანახმად რედკოლეგიის წევრების მონაწილეობა (შემოშველება) საქმეს გააადვილებდა, აქვე აუცილებელია ის ადამიანები დავასახელო, რომლებმაც ჟურნალის გამოსაცემად საჭირო თანხა გაილეს: ნინო ბაქანიძე, დავით არახამია, ლევან

ბებურიშვილი (ისინდის ყოფილი წევრი), სევარიონ ნადირაძე (ისინდის ყოფილი წევრი), ლაშა გვასალია (ისინდის ყოფილი წევრი), რუსუდან ჭანტურიშვილი და დალი კახიანი. კოლეგები მხარში ამომიდგნენ (პოეტმა თამაზ ბარჯაძემ შემოთავაზებისგან თავი შეიკავა) და როდესაც ორი დღის შემდეგ დავით კირკიტაძეს სიხარულით ვამცნე, თქვენ ყველაზე ცუდ შემთხვევაში 50 ლარის გაღება მოგიხდებათ, რადგან საჭირო ადამიანები შევკრიბე-მეთქი, გაოგნებულმა მკითხა, ესოდენ, ამბავი საძნელო საქმე როგორ მოვაგვარე. ჟურნალის სათაური „ისინდიც“ უცბად მომაფიქრდა, რომელიც კრიტიკოს ლევან ბებურიშვილის გარდა დანარჩენებს ძალიან მოეწონათ. ცალკე საკითხია, როდესაც დაწუნებული სიტყვის შინაარსი არ იცი, სამარქაფოდ შენეული ვარიანტი არ გაგაჩნია და ამ მოცემულობის ფონზე წუნმდელის კვერთხს მაინც ჯიუტად ებლაუჭები. ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ნერილებიც უმტკივნეულოდ შევიგულე; ამასობაში მირზა გელოვანის საიუბილეო საღამო წამოგვეწია; როგორც კი ლონისძიება წარმატებით დავაგვირგვინეთ, დავით კირკიტაძე ისინდის შინაარსზე ჩამოვუგდე სიტყვა. მან მომიგო, რადგან თქვენ ამდენი რამ უცბად გაარკვიეთ და გაახერხეთ, დაფინანსებაც თვითონ ითავეთ, მე საამისო თანხა არ გამაჩნია, გავიჭედე, თანაც, რომ გავიკითხე, 300 ლარად ვერავინ დავითანხმე, ამ მიზეზულ ფასად 68 გვერდიანი ჟურნალის გამოშვება პრაქტიკულად გამორიცხულია, მაისის ბოლოს ჩემს თარგმანს (რემარკის ვრცელ რომანს თარგმნიდა) „პალიტრა ელი“ გამოსცემს და ამ ფულით მთარგმნელები უნდა გავისტუმრო, ამიტომ ჟურნალის თანხას ვერ შევავსოვ და ამ წამოწყებისთვის საჭირო ფინანსები თვითონ გამოაჩინეთო. მკითხველმა წარმოიდგინოს, ავანტიურაში ჩათრეულ ადამიანს რა განცდა ეუფლება! იმ გარემოებამ, რომ დავით კირკიტაძემ მოულოდნელად უკან დაიხია, სიტყვა გადათქვა და ყველაფერი ხელში შემატოვა, თავზარი დამცა. კუთხეში მომწყვდეულმა აღარ ვიცოდი ვითარების განსამუხტად რა მეღონა; მეგობრების გარდა ჟურნალის საპატიო წევრებად ღვანლმოსილი უფროსთაობელი მწერლები წინასწარ დიდი ამბით შევიგულე და უცებ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ყველაფერი მირაჟი გამოდგა! როგორ ამეხსნა, რომ სხვის ავანტიურას ვემსხვერპლე; რომ წლების მანძილზე ათას განსაცდელგამოვლილი ავტორიტეტი ვილაცის წინდაუხედავი სიცრუისა და პროვოკაციის გამო ერთი ხელის დაკვრით ეჭვქვეშ ვაყენებ?! ან ამ მაგიური 300 ლარის ნაცვლად საჭირო თანხის შესაგროვებლად ვისთვის მიმემართა?! კირკიტაძის დანაპირებით დაიმედებულმა ხეირიანად არც ვიცოდი სოლიდური ჟურნალის გამოსაცემად სინამდვილეში რა თანხა კმაროდა. ამ განამანიაში უცბად ჩვენი მეგობარი, რომელსაც კეთილი ჩინოვნიკი დავარქვი, გიო კილაძე გამახსენდა, იგი ადრე გამომცემლობა „მერიდიანს“ ედგა სათავეში და თავის პარტნიორთან ამჟამადაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. გიოს – ამ გულითად და საიმედო პიროვნების წყალობით ყველაფერი იმაზე უკეთ მოგვარდა, ვიდრე ვვარაუდობდი. „მერიდიანის“ გამომცემელმა, ბ-მა კახა რუსიძემ საქმიანი საუბრის დროს გულახდილად მითხრა, რომ სწორედ გიოს ხათრით 68 გვერდიან და ფერადყდიან ჟურნალს მაქსიმალურად შეღავათიან ფასად დაგვისტამბავდა. მთელ ამ მღელვარებასა და ფორიაქს უცბად ბოლო მოეღო და უმოკლეს ვადაში „ისინდმა“ დღის სინათლე იხილა. სათავეშივე განწირული წამოწყების ესოდენ სასიკეთოდ გასრულება თავადაც არ მჯეროდა, მოულოდნელი სიურპრიზი გზად რომ წამოგვეწია: კახა რუსიძემ ქველმოქმედება გამოავლინა და ჟურნალის 50 ეგზემპლარი სასაჩუქრედ გვისახსოვრა. თანამედროვე საგამომცემლო სივრცეში მსგავსი რამ უპრეცედენტოა, რაც მეტყველებს, რომ ღვთის შეწევნით ღირსეული ადამიანები ჯერ კიდევ არ გადაშენებულან და ეროვნული მწერლობის ბედი ერთეულებს გულს კვლავ უტოკებთ. ღმერთმა ასეთი შეგნებული გამომცემლები საქართველოს უმრავლეს! ჩემი კოლეგების მისამართით მხურვალე მადლობის აღვლენით არასდროს დავილენები, მათი გულისხმიერება, მზაობა და შემართება რომ არა, მარტოდმარტო ამ სანუკვარ ოცნებას ვერასდროს განვახორციელებდი. ის გარემოება, რომ ჟურნალის რედკოლეგია ძალზე სოლიდური და ღვანლმოსილი უფროსთაობელების გარდა მებრძოლი და კეთილსინდისიერი მწერლებისგან შედგება, ჟურნალის წარდგინებაზე სათანადოდ აისახა. ნიგენერმა საზოგადოებამ ყველაზე მართალი, ეროვნული პოზიციის გამომხატველი ჟურნალი უმაღლეს აიტაცა, შეიყვარა და მიიღო. შესაბამისად, ორი კვირის თავზე ისინდის 200 ეგზემპლარიდან თითქმის აღარაფერი დარჩა. ეს რეკორდული მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ ზოგჯერ ყველაზე რთულად ასახდენი ოცნება წარმატებით დაგვიგვინდება, თუკი მას მწერლური და ზოგადად ადამიანური სოლიდარობა ზურგს უმაგრებს! პარადოქსული ფაქტი, რომ მოკრძალებული ფინანსებით უმაღლეს პოლიგრაფიულ და მხატვრულ დონეზე გამოცემული ახალი ჟურნალი საზოგადოებამ მაშინვე აიტაცა და დადებითად შეაფასა, შემთხვევით არ ხდება. ცხადია, აქ გულისხმიერ და ღირსეულ ადამიანებთან ერთად განგების განუხრელი ნება იკვეთება, რომლის განჩინებითაც დროა საქართველოში ცენზურისგან თავისუფალი, მართალი და ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ჟურნალი სამწერლო ცხოვრების გამაჯანსაღებელ მოვლენად იქცეს რათა ჩვენი მრავალგზის შებლაღული თვითთმყოფადობის აღდგენა-შენარჩუნებით ქართულმა ჯიშმა მსოფლიო ქარტესილებს კვლავ მედგრად გაუძლოს!

ისინდი ამ ბრძოლას თანმიმდევრულად მიჰყვება და ეროვნული კულტურის დაცვითა და გაძლიერებით საკუთარ პოზიციას ყოველთვის უშიშრად და პირუთვნელად გამოხატავს!

ოცნებების მსხვერვის ჟამს ყოველთვის არსებობს ღირებული ოცნება, მრავალწლიანი ლოდინის საპირწონედ რომ არასდროს ხუნდება, ნებისმიერ გამოწვევას უძლებს და ახდენით გამოწვეულ სიხარულს აუცილებლად ამართლებს. ყველაზე მებრძოლი ჟურნალის ეროვნული დანიშნულება უცვლელია და აი, ორი წლის თავზე „ისინდი“ მთელ საქართველოს ჩვეული სიმტკიცით ეხმიანება, რაც ნიშნავს, რომ ბრძოლა ქართული მწერლობისა და თვითმყოფადობის დასაცავად მუდამ ძალაშია და ჩვენი დევიზი: წინ ისინდი! ამის საუკეთესო მტკიცებულებაა...

იკა ქადაგიძე

უნავლია ლაფსუსი თუ ენციკლოპედიური
მონოპოლიზმი?!

ჩემ ხელთაა საკმაოდ სოლიდური მოცულობის (554 გვერდიანი) ენციკლოპედია – ლექსიკონი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)“, რომელიც ახლახანს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა. ესოდენ საყურადღებო ნაშრომის მთავარი რედაქტორი ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი შველიძეა. საზოგადოება მას კომპეტენტური და აღიარებული წიგნით „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (198-92 წ.წ.) იცნობს თავისი პრინციპული პოზიციიდან გამომდინარე; არავისთვისაა საიდუმლო, რომ 90-იანი წლების დრამატული ქარტეხილების მიუკერძოებელი ასახვა და სათანადო ანალიზი დღემდე დიდ წინააღმდეგობებს უკავშირდება; ნომენკლატურა მუდამ ცენზორის სიმალლეზე ჰგებობს, რასაც ლუსტრაციის კანონის უვადო გაჭიანურება ზედ ერთვის და მოდერნიზებულ წითელ ინტელიგენციას დაუთმობელი პრივილეგიებით აღჭურვავს. მით უფრო, თუ მკვლევარი რომელიმე სამეცნიერო დანებსებულების თანამშრომელია და ანგარიშვალდებულება საკუთარი ნააზრევი უპირველესად ოფიციალურ ნაშრომს უნდა მიუძღვნოს. მოკლედ, ცალკე თემაა, რაც ამ გაბედული წიგნის ავტორს ზემოთდასახელებული ნაშრომის განხილვაზე თავს გადახდა. ძნელი მისახვედრი როდია, პრივილეგირებული კასტა ეროვნული ხელისუფლების დამხობის პირუთენელ ანალიზს როგორ მიიღებდა! სამწუხაროდ, პოსტსაბჭოთა ინერცია კვლავ ძალაშია და დახვეწებული კლიშეების უვადო გათამაშება კვლავ წარმატებით გრძელდება. აქვე დავაზუსტებ, ოთხი წლის წინ, როდესაც ეს ღირსშესანიშნავი წიგნი დავაგემოვნე, მისმა მართებულმა მსოფლმხედველობამ და სათანადო არგუმენტაციის სწორმა მიმართულებამ უმალ მიბიძგა ეროვნული ხელისუფლების ანატომიის ფხიზელ აღმწერს დადებითი შინაარსის პუბლიკაციით შევხმინებოდი. მოგვიანებით ერთმანეთი პირადადაც გავიცანით, თუმცა ეს სხვა თემაა და ამის განვრცობა ჩვენი წერილის ძირითად შინაარსს აგვაცდენს.

აღსანიშნავია, რომ დიმიტრი შველიძის კვლევის არეალი ფართოა; მან ქართველი ანარქისტების სახელოვანი ბელადის, ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის ამსახველი მრავალნახნაგოვანი წიგნი საფუძვლიანად შეადგინა და დაამუშავა; მანამდე უცნობი, უაღრესად საგულისხმო ცნობების შესწავლა- გამუქებით ბევრი საგულისხმო მოვლენა თუ შესაბამისი დეტალი გამოამზეურა, რაც სერიოზული ისტორიკოსის (და არა მხოლოდ ისტორიკოსის!) უშუალო მოვალეობად მესახება.

აქედან გამომდინარე, ზემოთდასახელებული ენციკლოპედია-ლექსიკონის გამოცემა ცნობილი ისტორიკოსის აქტიურობის წარმატებული გაგრძელებაა და გამოცდილი მეცნიერის მრავალმხრივ საქმიანობაზე მიუთითებს (ცოდვა გამხელილი სჯობს, თანამედროვე ის-



ტორიკოსების მხრიდან ფეთქებად საკითხებზე სოლიდური გამოკვლევებით დიდად არ ვართ განებივრებულნი!); შესაბამისად, ამ კაპიტალურ ნაშრომს ორმაგი ინტერესით ჩავუღრმავდი. ენციკლოპედიური კვლევა-ძიება იმდენად შრომატევადია საქმეა, სავსებით უპრიანია ავტორ-შემდგენელთა არც თუ მცირერიცხოვანი ჯგუფი სათანადოდ დააკომპლექტო და ამოქმედო. ამდენად, მთავარი რედაქტორის განკარგულებაში ისტორიკოსების გარდა ლიტერატორები და ხელოვნებათმცოდნეები აღმოჩნდნენ. ენციკლოპედიის ბირთვიდან ზოგი ჩემი კეთილი ნაცნობი, ზოგიც უცნობი და ზოგიც პოპულარული მეცნიერი თუ ლიტერატორი გამოდგა, ესოდენ საშურ საქმეს მუყაითად რომ შეეჭიდა და საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი სათანადოდ გამოამზეურა და წარმოაჩინა. ეს გარემოება გვავალდებულებს, საგანგებოდ შერჩეულ შემოქმედებით კოლექტივს ამაგი არ დაფუარგო და ნაჯაფი შევუქო. რომ იტყვიან, მონათესავე (მოდურად რომ ვთქვათ, მომიჯნავე დისციპლინათა) სფეროთა მუშაკებმა სასურველი თანხმობებით გასწიეს ჭაპანი, რაც ორმაგად მისასალმებელია.

ამგვარი შესავლის შემდეგ მკითხველი თქვენი მონა-მორჩილისგან კვლავ დადებით შეფასებებს ელის, მაგრამ კრიტიკოსის მოვალეობა მედლის ორივე მხარის თანაბრად გაშუქებაა, რაც ნიშნავს ნაშრომის ღირსების კვალდაკვალ მის ხარვეზზეც დროულად ხმა აღიმალლო, რათა აქ დაშვებული შეცდომები სამერმისოდ აღარ განმეორდეს; სიმართლე რომ ითქვას, ამ ენციკლოპედია-ლექსიკონის დაჭაშნიკებისას თავში აზრადაც არ მომსვლია ხსენებულ ნაშრომს წერილობით გამოვხმაურებოდი, რადგან თავად ამ ტიპის კრებულის გამოცემის ფაქტი იმდენად სასიხარულო სიახლეა, გუნებაში გავივლე, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ამ საქმეს უჩემო-

დაც ჩინებულად გაართმევდნენ თავს. თუ მაინცდამაინც, ინტერნეტსივრცეში მნიშვნელოვანი სიახლის რუბრიკის მეშვეობით ლექსიკონს ზოგადად გავაშუქებდი, ხოლო ვრცლად ამ თემას პატივცემული კოლეგები განიხილავდნენ. ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...

ენციკლოპედიის ოკეანეში ჩაძირული გონება გამალებით მუშაობდა და დახარისხებულ მასალას დაძაბული ინტერესით ითვისებდა. უპირველესად რაც თვალში მომხვდა, ისტორიკოსთა კომპეტენტური წერილების დომინანტობა გახლდათ, რაც ენციკლოპედიის ფორმატის გათვალისწინებით სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. ხელოვნებათმცოდნეთა შეფასებებსაც გულმშვიდად მივყევი. აი, ფილოლოგებმა კი იმდენად უსიამოდ გამოაცხეს, ჩემი წერილის კრიტიკული ტონი სწორედ ამ სხვადასხვა დონისა და კომპეტენციის მკვლევართა უჯერო დაწყვილებას დაეყრდნო. ბოლო-ბოლო კოლეგებმა ასეთი რა დააშავეს? ინტრიგანების ირონიულ რეპლიკას სხარტად გავცდეთ და დავაკონკრეტოთ, რაღა მაინცდამაინც მშობლიური დარგი გავატარე კრიტიკის ქარცეცხლში? მართლაც, დამაინტრიგებელი შეკითხვაა და ვისაც მოთმინების სანვაეი არ შემოიღვია, თამამად მომდიოს. ისტორიკოსებისა და ხელოვნებათმცოდნეებისგან განსხვავებით ჩვენი ლიტერატორები ენციკლოპედიის ამა თუ იმ ადრესატს იმდენად მიკერძობით ახასიათებენ, ეს საქმეში ჩაუხედავად ადამიანსაც უმალ თვალში მოხვდება. ამ თვალსაზრისით აშკარად ეკა ჯავახიშვილი ლიდერობს. აქვე დავაზუსტებ: მისი სახელი აქამდე არ მსმენია, თანამედროვე ლიტერატურულ პერიოდიკაში ამ ავტორის არც არაფერი წამიკითხავს. არადა, საინტერესო თუ მეტნაკლებად ღირებულ პუბლიკაციებსა და ნაშრომებს შეძლებისდაგვარად ვეცნობი და თვალყურს ვადევნებ, რაც კრიტიკოსის უშუალო მოვალეობას შეადგენს. იმავეს დანარჩენებზე ნამდვილად ვერ ვიტყვი; მათი ნაზრევი სამეცნიერო კრებულებსა თუ გაზეთებში ქვეყნდება და გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ვინ რა ინტერესის სფეროთია შემოფარგლული. არ გამოვრიცხავ, რომ აქ ქნი ჯავახიშვილის დებოუტს შევესწარით. ცალკე საკითხია ახალბედა ლიტერატორის აქტიურობა ამ განხრით ენციკლოპედიისთვის რამდენად მომგებიანია, ვინაიდან მსგავსი კვლევა სათანადო გამოცდილების გარდა ჩამოყალიბებულ გემოვნებასა და მართებულ მსოფლმხედველობას მოითხოვს, რისი დანაკლისიც აშკარად სახეზეა და საერთო ფონთან არასასურველ დისონანსს ქმნის.

მოკლედ, დროა იმ შეცდომებზე გავამახვილო ყურადღება, რამაც კალამი ხელში ამაღებინა და ესოდენ სოლიდური ნაშრომის გასაკრიტიკებლად მიბიძგა. მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო, აკი დიდი ილია ბრძანებს და მეც ჩემს შეხედულებებს ჩვეულებისამებრ თანმიმდევრულად ჩამოვაყალიბებ. თავი და თავი ჩემუელი პროტესტისა პოეტების გენიალური მეფის, გალაკტიონისადმი თვალმისაცემად ტენდენციური დამოკიდებულება გახლავთ. სხვათა შორის უახლესი სამწერლო ტენდენციის მიხედვით ეს გარემოება თანდათან ძლიერდება. სახელდობრ, ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ სამეცნიერო-ლიტერატურულ კრებულთა

ტომეულებში ქართული პოეზიის რეფორმატორებად გალაკტიონის გვერდით ცისფერყანწელები სახელდება, რაც რბილად რომ ვთქვათ, სიმართლის შეგნებული გაყალბებაა. მხოლოდ საქართველოშია თუა შესაძლებელი, რომ საზიარო დაწესებულებაში განთავსებული გალაკტიონოლოგიის კვლევის ცენტრის უახლესი მიღწევების დაკანონების საპირწონედ მეზობელ კაბინეტში დანარჩენი კოლეგები დიამეტრულად სანინალმდეგო აზრს მეთოდურად ავითარებდნენ, ოდენ საკუთარ შეხედულებებს უწევდნენ ანგარიშს და საზოგადოებას ჯოჯუტად თავს ახვევენ. მოკლედ, ბრძოლა გალაკტიონის გენიის დასაკანონებლად კვლავ გრძელდება და თუ ადრე ამას ძალზე ტლანქად და ახდილად ახორციელებდნენ, დღეს ყოველივე თურმე „მეცნიერული კვლევების დონეზე“ წარმოებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ენციკლოპედიაში გალაკტიონის გასწვრივ არ ეწერებოდა შავად გამოკვეთილი დეფინიცია – პოეტი. ის ფაქტი, რომ კლასიკოსების დახასიათებისას ენციკლოპედია-ლექსიკონის სპეციფიკის გათვალისწინებით მოკლე, თუმცა ამავედროულად ამომწურავი ინფორმაციის დამონმება აუცილებელი მოცემულობაა, ამგვარ ლაკონიზმს არ ამართლებს, რადგან ეს ნესი რიგ შემთხვევებში დარღვეულია და შერჩევით არჩევანს ექვემდებარება. ერთადერთი სიტყვა კლასიკოსი – ლექსიკონში შერჩეული მწერლებისა და პოეტების დონეს ცალსახად გამოკვეთდა, ყველა შემოქმედს კუთვნილ ადგილს მიუჩინდა (ეს ისედაც დიდი ხნის წინ დამკვიდრდა!) და მკვლევარის პირად სიმპატია-ანტიპატია-საც საჭიროებისამებრ შეკვეცდა, რაც პროფესიული ეთიკის თანმდევი ატრიბუტია; თუმცა ულტრათანამედროვე ლიტმცოდნეებს ტერმინი კლასიკოსი იმდენად ეხამუშებათ, მას ველარავისთვის იმეტებენ, ამიტომ გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე და დავით კლდიაშვილი სხვებთან გატოლებულები „თანასწორობის“ გაცვეთილ ფანდს ეწირებიან. მშრალი და მოზომილი შეფასებების მიხედვით ისინი რიგითი პოეტები და მწერლები ყოფილან, როგორც დანარჩენები! რაც უზუსტობის პირდაპირი გამოძახილია. თუ ამ მოთხოვნას ხელოვნებათმცოდნეები უყოყმანოდ ითვალისწინებენ და ამა თუ ღვანღმოსილ ხელოვანს შესაბამის კონტექსტში მოიხსენიებენ, ლიტერატორებს ვითომ რა ბზიკმა უკბინათ? რამ და ამ ლექსიკონის ლიტერატურულ ამინდს ანტიგალაკტიონისტები ქმნიან მკითხველო, რასაც ისტორიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები არ აპროტესტებენ. როგორც ჩანს, ყველა თავის სფეროშია შეკეტილი, იქ ადგენს საზღვრებს და დანარჩენების საქმეში სრულებითაც არ ერევა. ეს კაზუსი სწორედ ესოდენ „დემოკრატიული“ საერდაქციო პოლიტიკის გამოძახილია. თანაც მთელ ენციკლოპედიაში ერთადერთი სიტყვა – გაშავებული შრიფტით აწყობილი პოეტი მხოლოდ გალაკტიონთან გვხვდება; ფაქტია, შავ სიაში რომ შეიტანეს, ამას ასე პოეტურად უსვამენ ხაზს! ვაჰა ამ ახალ საქართველოს, ახალ შენებას! ისევ გალაკტიონის სტრიქონებით მოვგუდოთ ეს მწვრილმანეები, ამასაც რომ არ სჯერდებიან და გენიალური მგოსნის ბიოგრაფიის ცალკეულ ამონარიდებს სათავისოდ აბრუნე-

ბენ. თუ მოკლე ინფორმაციით იფარგლებიან, მაშინ მკითხველს რატომ შეახსენებენ, რომ თურმე 1912 წლის გაზეთ „თემის“ კონკურსში გალაკტიონის ლექსმა მესამე ადგილი დაიკავა. ამით ნიშნს გვიგებენ, აქაოდა მარტოობის ორდენის კავალერი ყოველთვის პირველი კი არ იყო, მეფეც 1921 წელს ჩატარებულ კონკურსში აირჩიესო. აგერ 1918 წელს კომუნისტურ პარტიაში „პრავდას“ თანამშრომელთა რეკომენდაციით მიუღიათ. თუ ჩაკირკიტება და მის მედგარ კომუნისტობაზეა ბაასი, ლენინის სახელობის ორდენი რომ დაკარგა და ამისთვის სასტიკი საყვედური გამოუცხადეს, ეს რაღა დასამალია? ბარემ ისიც ჩაენიშნათ, რომ პირნავარდნილი ლოთი იყო, როგორც ამას საბჭოთა პროპაგანდა დისკრედიტაციის მიზნით საგანგებოდ უვრცელებდა. მისი პირველი მეუღლე, ოლია ოკუჯავა რომ ორჯერ გადაასახლეს და ბოლოს დახვრიტეს, რამაც პოეტის ფსიქიკაზე დამთრგუნველი ზეგავლენა მოახდინა და დრამატული აღსასრულისთვის შეამზადა, ვითომ ეს ინფორმაცია აქ რატომ არ განთავსდა? რაო, გალაკტიონი ტრაგიკული ფიგურა არ იყო, რეპრესირებულთა რიგებში არ იდგა თუ ნებით თხზავდა სავალდებულო ლექსებს კომუნისტურ სამოთხეზე? არ ამომიღებდნენ, პიროვნულად საგანგებოდ არ ამცირებდნენ და არ ჩაგრავენენ თუ ხელისგულზე დაჰყავდათ, როგორც ამ ენციკლოპედიაში გამოქვეყნებული პოზიტიური ცნობების მიხედვით ირკვევა. საკითხავია, ეს ყალბი კამუფლაჟი ამჟამად ვის ნისქვილზე ასხამს წყალს? არ ჯობდა იმის პედანტურ აღნუსხვას, საყოველთაო ათვალწუნებითა და დევნით განამებულ გალაკტიონს ხალხის თვალის ასახვევად ვინ რამდენი სავალდებულო საღამო გადაუხადა (სხვათა შორის ვახტანგ ჯავახიძე ფაქტებით ადასტურებს, რომ საღამოების გამართვის ინიციატივა უმრავლეს შემთხვევაში თავად გალაკტიონისგან მომდინარეობდა და ხშირად ცივი უარით განბილებულს უკან სინანულის გარეშე ისტუმრებდნენ!), მისი ავბედითი ხვედრის გამომხატველი ჭკუმაართად ღირებული ცნობები გამომზეურებულიყო, სადღეისოდ საგვებით ხელმისაწვდომი რომაა და მკვლევარის ინტერესთა სფეროს აუცილებლად უნდა შეადგენდეს. რამდენად გამართლებულია თანამედროვე მკვლევარმა დღესაც მხოლოდ საბჭოთა პრესის მოძველებული და საგანგებოდ ტენდენციური მონაცემებით იხელმძღვანელოს, რომლის ნუსხაშიც ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ჯავახიძის „უცნობი“ საერთოდ არაა ნახსენები და არც რეზი თვარაძის, მიხეილ კვესელავას, თეიმურაზ დოიაშვილის, ნოდარ ტაბიძის, მარსიანის, როსტომ ჩხეიძის, როლანდ ბურჭულაძის, ინესა მერაბიშვილისა და სხვათა მნიშვნელოვანი ნიგნები და საეტაპო წერილები საერთოდ არ სახელდება; ფაქტია, ამგვარი ტენდენციურობის ფონზე ეკა ჯავახიშვილს გალაკტიონოლოგიის შვიდი ტომის ჩამოთვლა ცოცხალი თავით რომ არ ნებავს, რა გასაკვირია. აბა მსოფლიო დონის გენიოსზე ოდენ „საქართველოს რესპუბლიკის“, „კომუნისტისა“ და „სახალხო საქმის“ ვადაგასული და ცინიკური პუბლიკაციებით ჩემმა მტერმა იმსჯელა! დიახ, გენიალურია გალაკტიონი, მას ვერავინ დაუდგება გვერდით და ეს საკამათო ფაქტი აღარაა; იგი

თანამედროვე ქართული პოეზიის ერთადერთი და ერთპიროვნული რეფორმატორია ანუ თქვენებურად ფუძემდებელი, რისი აღიარებაც რატომღაც გესიკვიდლებათ; არადა, გრიგოლ რობაქიძის დახასიათებისას იგივე ავტორი მისი მისამართით ამ აღმატებულ ტერმინს უშურველად იმეტებს. ძაღლის თავი სწორედ აქ მარხია. რობაქიძის განდიდების პარალელურად კონსტანტინე გამსახურდია უბრალოდ მწერალია. მიდი და ამგვარ მიკერძობებაზე მწარედ ნუ გაგვიცინება! მსგავსი პოლიტიკის გატარებისას ცისფერყანწელების თავამოდებული დამცველნი თავიანთ ფალავნებს სასურველ ღირსებებს მიანერენ, რაც უპირველესად მათვე ვნებთ. არადა, სინამდვილეში ცისფერყანწელთა მიმდევრებს ამგვარი ტაქტიკით გავლენის სფეროს გაფართოება სწყურიათ, რის გამოც სიმართლეს არაფრად დაგიდვენ და მიზნის მისაღწევად ჩამონერილი მითებით სარგებლობასაც არ თაკილობენ. ოდნავაც არ ადარდებთ, რომ ყველას თავისი ადგილი აქვს დამკვიდრებული და ერთის ხარჯზე მეორის დაკნინება უკადრისი საქციელია, რაოდენ პროფესიულადც არ უნდა ფუთავდე ნამოქმედარს. ამას ლიტერატურულად ყალბობა ეწოდება; ცნობისთვის, ვინც მსგავს მეთოდებს მოიმარჯვებს, სათანადო შეფასებამ აღარ უნდა შეაცბუნოს. სადაც გალაკტიონს იმეტებენ, იქ მის „გამშავებლებს“ კარგი დღე არ დაადგებათ! ცისფერყანწელთა წინ წამოსანეგად გამიზნულ პროპაგანდას სხვა დეტალებიც ადასტურებს. კერძოდ, გაგა ლომიძის სტატიაში ტიცინ ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი გამოჩენილ პოეტებად არიან მიჩნეული. მათ მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთების ანალიზით ნალექილია მთელი ენციკლოპედია, ხოლო გალაკტიონის ჟურნალი მხოლოდ ერთი წინადადებით გაიღვევს. კოლეგებო, მაიძულეებთ დიდი ხნის წინ დასრულებული ლიტერატურული ფაქტი შეგახსენოთ: უთანასწორო ომი გალაკტიონსა და ცისფერყანწელთა შორის (ეს გაუმართლებელი ომი ცისფერყანწელებმა გამოუცხადეს გალაკტიონს და სამართლიანადაც დამარცხდნენ. გოლიათთან ჭიდილს ვერ გაუძლეს!) პოეტების მეფის სასარგებლოდ რომ დასრულდა, ამ ცნობას ჯერ თქვენამდე არ მოუღწევია თუ კოლაუ ნადირაძის ოდიოზურ და სამარცხვინო პოზიციას იზიარებთ და მთლად მისებური შემართებით ვერ ბედავთ (ხალხის რისხვის გეშინიათ!) და სახეცვლილი ჩხვლეტებითა და მსგავსი გამოხდომებით გალაკტიონისადმი დაუძლეველ შიშს ესოდენ არაპოეტურად გამოხატავთ?! ეს სადაური სამართალია? ფაქტების გაყალბების უფლება არავის არა აქვს. არადა, მსგავსი ქმედებებით სწორედ ამგვარი შთაბეჭდილება იქმნება, რაც მეცნიერულ კეთლსინდისიერებას რომ მოვეშვათ, ლიტერატურული ეთიკის საზღვრებს სცილდება. აქვე ანეკდოტურ პასაჟს ჩავრთავ განმუხტვის მიზნით: ენციკლოპედიის 213-ე გვერდზე კალანდაძე-ალასოვი ოლიას შესახებ გამოქვეყნებულ მოკლე ამონარიდში ნათქვამია, რომ საოპერო მომღერალს „ლექსი მიუძღვნა ცნობილმა პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა“. ეს საინფორმაციო ნაწყვეტი ზურაბ ლეჟავას ეკუთვნის; თუკი შემოქმედებითი კოლექტივის ერთ-ერთი შემდგენელი ცისფერყანწელს ცნობილ

პოეტად ასახელებს, რაც სავსებით ლოგიკურია, გალაკტიონის გრაფაში მხოლოდ პოეტს რომ ჩანერ, კომენტარი მართლაც ზედმეტია! ცხადია, ამ „ფუძემდებლურ ერთობას“ წარმოდგენა არ ჰქონდა ვინ რას წერდა, ერთმანეთთან წინასწარ მაინც შეეთანხმებინათ რომელიმე ავტორს ზედმეტი არაფერი არ წამოსცდენოდა. აკი წელანაც ვთქვი, რომ რედკოლეგიის წევრები ერთმანეთის ნაშრომებს არ იცნობდნენ; ამდენად, ყველა თავისას ჭრიდა და კერავდა, რომლის მიხედვითაც გალაკტიონი ან საერთოდ არ ფიგურირებს ან შემდეგნელთა მხრიდან შავი შრიფტით გამოყოფილი რეპესირებული პოეტია, აი ცისფერყანწელები კი ქართული ლექსის გრანდები და ფუძემდებლები ბრძანდებიან! თუკი ეკა ჯავახიშვილი გრანდელის შესახებ დამონშებული ლიტერატურის ნუსხაში ლერი ალიმონაკის ღირშესანიშნავ წიგნს „კვირის წირვებს“ ასახელებს, (როგორც ჩანს, მოგვიანებით გამოცემული ალიმონაკისე „გრანდელის ლანდი“ მისი ყურადღების მიღმა დარჩა), ჯავახაძის „უცნობს“ დავიჯერო, ვერ მიაკვლია?!

და ბოლოს, ამ გაუმართლებელი ბიოგრაფიული გაყალბების აპოთეოზი ფინალია: ენციკლოპედიაში გალაკტიონის თვითმკვლელობა საერთოდ არ არის ნახსენები. დიახ, ეს ფაქტი ცალსახად ადასტურებს იმ თვალმისაცემ ტენდენციურობას, რითაც ეს ქ-ნი ხელმძღვანელობს და თავს უფლებას აძლევს გენიოსი პოეტის ტრაგიკული აღსასრული მომავალ თაობებს დაუმალოს! პოსტსაბჭოთა სივრცის აღმოუფხვრელი ხარვეზი თავისთავად მეტყველებს, რომ სიმართლე კვლავ მიუღებელია და სიცოცხლეში ვევარცხმული გენიოსის გოლოგოთას დასასრული არ უნერია. აქ თავმოყრილი ლიტერატორების ნააზრევს თუ დააგემოვნებ, ეჭვიც არ შეგეპარება, რომ „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის!“ სამაგიეროდ უცხოელ ხელოვანებს იმგვარად ეფერებიან და ხოტბას ასხამენ, რაც უდიდეს ქართველებს არ აღირსეს. აბა როგორ! სტუმრებს მშრალი აკადემიზმისა და მოზომილი ქების ყალიბში ხომ არ გამოამწყვედევდნენ, საამისოდ თანამემამულეები დასტა-დასტად ეგულებოდათ და სხვებს ამგვარ მოპყრობას როგორ აკადრებდნენ?! ჰოდა წურავის გაუკვირდება ახალთაობელები მსგავსი ლექსიკონების დაგემოვნებისას ერთმნიშვნელოვნად თუ დაასკვნიან, რომ ქართველებს გენიოსები არ ჰყოლიათ და ამიტომაც დღენიდაგ უცხოელების ხელში შემყურედ მოვჩანჩალებთ!

ამგვარი კაზუსებით გულშეღონებულ მკითხველს ჰგონია, „გაუგებრობების“ წყება ამით დასრულდა, მაგრამ იმედი უნდა გავუცრო. ხარვეზთა ექოს გამოძახილი გრძელდება. ერთ-ერთი შეცდომა კვლავ ცისფერყანწელთა თემის გაგრძელებაა. სახელდობრ, ენციკლოპედიის 287-ე გვერდზე მუსაევი ჰალილ-ბეგის ბიოგრაფიაში (შემდგენელი ნიკო ჯავახიშვილი) შავით თეთრზე წერია, რომ მუსაევმა „დახატა ივანე მაჩაბლის ქორწინების გარეშე გაჩენილი ვაჟი და მისი მეუღლე, პოეტი ელენე თევდორეს ასული ბაქრაძე, რომელიც ცნობილი იყო ფსევდონიმით „ელენე დარიანი“ . არადა, უკვე სათანადო წიგნებითა და პუბლიკაციების მეშვეობით, აგრეთვე ტექსტუალური

ანალიზით ცალსახად დადგენილია, რომ ელენე დარიანი პაოლო იაშვილის ფსევდონიმია. ყველაზე არგუმენტირებულად და ჯეროვნად ამ საკითხს ლალი ავალიანის კვლევა ადასტურებს. თუმცა ამ გახმაურებული ლიტერატურული მისტიფიკაციის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა კვლავ გრძელდება და როგორც ჩანს, ნიკო ჯავახიშვილი უმართებულო შეხედულებას იზიარებს, ლიტერატურულმა კრიტიკამ დასაბუთებულად რომ გააბათილა. შესაბამისად, ახლახანს გამოცემულ ენციკლოპედიურ ნაშრომში შესაბამისი ცვლილება სათანადოდ უნდა ასახულიყო.

ცოტა არ იყოს გამიკვირდა, როდესაც ენციკლოპედია-ლექსიკონში ალექსანდრე ქუთათელი მოვისაკლისე, რომლის ვრცელი და ფრიალ საყურადღებო რომანი „პირისპირ“ სწორედ დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოში მიმდინარე დრამატულ მოვლენებს მართებულად და მრავალპლანიანად ასახავს. მწერალი იმდროინდელი ომების აქტიური მონაწილეა და ფრონტის ხაზიდან ფასდაუდებელ ცნობებს გვანვდის, უპირველესად ისტორიკოსთა ყურადღებას რომ უნდა იმსახურებდეს. რამდენადაც მასსოვს, დემოკრატიული საქართველოს ესოდენ მასშტაბური აღწერა სიტყვაკაზმულ მწერლობაში თითქმის არ გვხვდება და აქედან გამომდინარე, რომანი ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობას იძენს; გონებაგამჭრიახი მკითხველი სუფლიორის დაუხმარებლადაც მიხვდება, ალექსანდრე ქუთათელი თამამგარე მდგომარეობაში რატომ აღმოჩნდა. მის მიერ აღწერილი ცისფერყანწელები მათი მიმდევრების კრიტიკრიუმს ამკარად არ აკმაყოფილებენ; ქუთათელი ცოტა არ იყოს ირონიულად ახასიათებს გრიგოლ რობაქიძესა და მის სამძოს, რამაც მისი იგნორირება განაპირობა. მეცნიერული კეთილსინდისიერებაც ასეთი უნდა! ეს ჩვენი მკვლევარები ფაქტებს ისე ეპყრობიან, როგორც სუბიექტური განწყობა კარნახობთ, აბა სიმართლეს ხომ არ გაუნწვენ ანგარიშს! ან იქნებ თითოეული ლიტერატორი ფიქრობდა, რომ ქუთათელის რომანი მისმა კოლეგამ განიხილა?! ისევე მეჩქრი. გადამონშებას წინ რა უდგას?! საინტერესოა საბოლოოდ ნაშრომის დასრულებული ტექსტი ვინ წაიკითხა ან ვინ ჩაასწორა, ლაფსუსები რომ აღმოჩინა და გამოტოვებული ავტორების საკითხი დადებითად გადაწყვეტილიყო?! სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია ეს უმაღური საქმე ამ არც თუ მცირერიცხოვანი გუნდის რამდენმა წევრმა იტვირთა. ფაქტია, ხელალებით ყველას დადანაშაულება არ ეგების, თუმცა ნაშრომის საბოლოო რედაქტირების პროცესში თუნდაც სარჩევის დახმარებით ამის გადამონშება რთული არ იყო. შესაბამისად, ენციკლოპედიაში ვერც გრიგოლ მეგრელიშვილი მოხვდა, ფსევდონიმით მთის ნიავი, რომელიც მესხეთის დაცვისას თურქ ასკერებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. მისი სახელის ხელახალი წარმოჩენა-რეაბილიტაცია სალიტერატურო სივრცეში დაწყებულია და ძალზე დასანანია, რომ „მთის ნიავი“ ენციკლოპედიაში არ შეიტანეს, რაც მისი ღვანლის პოლულარიზაციას უდაოდ სასიკეთოდ წაადგებოდა. ალექსანდრე ქუთათელის ზემოთხსენებულ რომანში „პირისპირ“ გრიგოლ მეგრელიშვილი სახიერად ფიგურირებს, მის მიერ წაკითხულ შთამაგონებელ ლექსს

„მატო“ ყაზარმაში თავმოყრილი გვარდიელები გულისყურით ისმენენ და გულდასაწყვეტია, ამ სამაგალითო მებრძოლის, უნივერსიტეტის პირველთაობელი სტუდენტისა და ნიჭიერი პოეტის ბოხოქარი ბიოგრაფია ლექსიკონის მიღმა რომ აღმოჩნდა.

სიმონ ხუხუნაიშვილის, გვარდიის საგანგებო ბატალიონის მეთაურის სამხედრო მიღწევები ამ ლექსიკონში აუცილებლად უნდა ასახულიყო; მით უფრო, რომ ერთ-ერთი შედგენელი დიტო სილაქაძე ტრაგიკულად დაღუპული მამაცი სამხედრო პირის უცნაურ თვითმკვლელობაზე ჟურნალ „ისტორიანში“ ძალზე საინტერესოდ მოგვითხრობს. დაშნაკუტუნის წევრებისა და სხვა უცხოელი პოლიტიკოსებისა თუ ხელოვანების ვრცელ ბიოგრაფიებს შორის ხუხუნაიშვილის შესახებ თუნდაც მცირე მოცულობის ცნობის დაბეჭდვა მკითხველს სამოქალაქო გამბედაობით გამორჩეული პიროვნებისადმი ინტერესს გაუღვივებდა და დარწმუნებდა, დემოკრატიულ საქართველოს რაოდენ უშიშარი დამცველები ჰყავდა.

ზემოთ სარედაქციო პოლიტიკას შემთხვევით არ შევხებოვარ. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სოლიდური თუ მრავალრიცხოვანი გუნდის მიუხედავად მუშაობის პროცესში ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა მთავარ რედაქტორს ეკისრება; აქედან გამომდინარე, ბ-ნი დიმიტრი შველიძეს გულწრფელი სინანულითა და გულდანწყევით მივმართავ: როგორ მოხდა, რომ ესოდენ მნიშვნელოვან ნაშრომში დიდი ქართველი მწერალი და თავდადებული მამულიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი გამოტოვებულია, რომელიც თავის დროზე აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა, რაც საბოლოოდ ბოლშევიკებმა არ აპატიეს და ეროვნულად მოაზროვნე და მებრძოლი კლასიკოსი 37 წელს უყოყმანოდ დახვრიტეს! ჩემს აღმფოთებანარევე განცვიფრებას ის ფაქტი აორკეცებს, რომ თავის დროზე სახელოვანი შემოქმედის რომანებზე დისერტაცია დავიცავი და შესაბამისად, მის მაღალმხატვრულ მემკვიდრეობას სათანადოდ ვიცნობ. ასე რომც არ იყოს, როგორ შეიძლება „ჯაყოს ხიზნების“ ავტორი საქართველოს ისტორიის ამსახველ ენციკლოპედიაში სათანადოდ არ ფიგურირებდეს?! ეს ხომ სრული ნონსენსია და მოუთმენელი ლაფსუსი, თქვენ მიერ განუულ შრომას სერიოზული დარტყმის ქვეშ რომ აყენებს! ამ ენციკლოპედიაში ოთხად ოთხი ჯავახიშვილია; მათ შორის ერთი ნაკლებად ცნობილი მსახიობი ნატალია ჯავახიშვილი (მისმა სულმა მომიტეოს, რომ ამგვარად ვასხენებ!) და პრაქტიკულად უცნობი დიმიტრი ჯავახიშვილი, პროფესიით ექიმი – კურორტოლოგი, რომლის ბიოგრაფიაც მკითხველთა ინტერესის დასაკმაყოფილებლად (თქვენივე გადაწყვეტილებით, ნიგნის შესავალში ნათქვამია, რომ უცნობ ავტორთა ბიბიოგრაფიები უფრო ვრცლად გაშუქდებოდა) ლექსიკონში ვრცლად ნარმოდგენილი. ნუთუ მიხეილ ჯავახიშვილი ამ ფონზე „საკურორტო შვებულებაში“ გაისტუმრეთ? ნუთუ არავინ დაინტერესდა, თუნდაც ჯავახიშვილის მოგვარეთაგან რომელიმე შემდგენელი, (თქვენს გუნდში ნიკო და ეკა ჯავახიშვილები სატიტულო გვერდზე ფიქსირდებიან) საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შეუპოვარ მებრძოლს მშობლიური ენციკლოპედიის ფურცლებზე

ესოდენ უჩვეულო და დაუმსახურებელი ხვედრი რატომ ენია? ცხადია, ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ნაშრომის საკონტროლო გადამოწმება არ მომხდარა. წინააღმდეგ შემთხვევაში დგინდება, რომ მიხეილ ჯავახიშვილის სახელი ვილაცამ განგებ გამოტოვა, რაც თქვენი მსოფლმხედველობიდან და კომპეტენციიდან გამომდინარე, სრულ აბსურდად მიმაჩნია. შეთქმულების თეორიებისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ფიცი მნამს, ბოლო მაკვირვებსო ამაზე ნათქვამი. მიხეილ ჯავახიშვილისადმი ინტერესი უცხოეთში დღითიდღე იზრდება, ახლახანს იგი ათ საუკეთესო ევროპელ მწერალთა შორის დაასახელეს და სავსებით საფუძვლიანი სიამაყის პარალელურად სოლიდური ნაშრომიდან მისი „ამორიცხვა“ რბილად რომ ვთქვათ, ოდიოზურ მოვლენად აღიქმება. ღმერთი, რჯულო, ორი დღის მანძილზე უწყვეტად ვმფოთავდი ესოდენ თვალმისაცემი შეცდომის შემსწრე რომ გაგხდი, მაგრამ მე თუ არა, ამ წარმოუდგენელ ცდომილებას სხვა აღმოაჩენდა და ცხადია, სათანადოდ მიგითითებდათ და თუ ამას არ მოიმოქმედებდა, მაშინ იმაზე ცუდადაა საქმე, ვიდრე კონტექსტს მიღმა საგულელებელი!

მრავალი წელია ბუკიას სკვერის წინ აღმართულ „ობელისკზე“ ამოტვიფრული წარწერა გვამცნობს, რომ აქ გამორჩენილი ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი აღიმართება, რაც უკვე ერის დაცინვად აღიქმება, რადგან საქართველოს უპირველესი მწერლისა და მამულიშვილის ღვანლის დასაფასებლად ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოიცალა მაშინ, როდესაც უცხოელი „მეგობრების“ ძეგლებით გადატვირთულ დედაქალაქს საეჭვო ეკლექტიზმის სულისკვეთება ახრჩობს; ამ მიძიმე ფონზე არაეროვნულად მოაზროვნე ხელისუფლების კვალდაკვალ ინტელიგენციის წარმომადგენლები, მით უფრო ისტორიკოსები და ფილოლოგები ზემდგომთა პოლიტიკას ასეთ გაუმართლებელ სოლიდარობას რომ უცხადებენ, ფაქტია, ეს გარემოება თავისთავად მეტყველებს, არსებულ სიძნელეებს თავი რატომ ვერ დავალწიეთ. თუ დღესაც უზენაესი ნებართვის გამოთხოვნაა საჭირო, რათა მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონი სათანადოდ კონტექსტში მოიხსენიონ! ეს ხომ კარგად დავინწყებული ძველი ინერციის მექანიკური გაგრძელებაა და საბჭოური აზროვნების დაუძლეველობაზე მიუთითებს. და თუ სამისო დირექტივა არავის გაუცია, მაშინ ვითარება უარესად მიძიმდება. მოკლედ, ეს თვალმისაცემი კაზუსი ამ ნაშრომის სერიოზული აქილევსის ქუსლია და მის წინას საგრძნობლად აფერმკრთალებს.

და ბოლოს, მერჩინა, როგორც ადრე, მხოლოდ ნიგნის ღირსებები განმეხილა, მაგრამ კრიტიკოსის უპირობო მოვალეობაა ყველაფერს თავისი სახელი უწოდოს და რადგან მუდამ ფაქტებით ვხელმძღვანელობ, ბ-ნი დიმიტრი შველიძისადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად ამჯერადაც იმავს მოვიმოქმედებ, რასაც ყოველთვის, ვინაიდან მიხეილ ჯავახიშვილის მიერ განუული უზარმაზარი ღვანლი, სიცოცხლის ზვარაკად მიტანა სამშობლოს საკეთილდღეოდ, სიმართლისადმი უპირობო ერთგულებას მავალდებულებს.

ლაშა გახარია

პოეტი

1. ხან მარტვილია, ხანაც- მესია,
ხან წერტილია, ხანაც – ანთარი;
პოეტი, მაინც, – ერთი ლექსია -
ობლის ცრემლივით ცამდე მართალი.

ვისთვის ღვინო და, ვისთვის – წყალია,
ქარია მისი ქორონიკონი;
პოეტი...ზოგჯერ, – ერთი პნკარია -
ყაყაჩოსავით ცხელი სტრიქონი.

2. მეც მყვარებია გოგო,
მაგრამ ეს იყო წინათ,
ახლა ისე ვარ, როგორც
გადაღებული წვიმა...

3. ვალი უფლისა
მინაზე ვნერ და ცაში ვათეთრებ,
მაგრამ სულ თოვლად მაცრის უფალი.
რა ნაგაკითხოთ: ძმებს და ქალღმერთებს,
ვით შემოგკადროთ ეს ნასუფრალი...

ლექსიც ქალივით აქეთ-იქეთობს,
თუ დაიგულა გული ვნებული;
სული როგორღა ამოვითეთრო –
ბოლმა – ბალღამში ამოვლებული!..

მორჩა! – ან ლექსს არ გაგაცრევიანებ
და არც კირსა გთხოვ, ვით კირითხურო,
ოღონდაც, ერთხელ მეც მათქმევინე:
რომ აქ ვნერ, მაგრამ... ცაში ვკითხულობ!..

- 4 -

7. ცრემლის წერტილი
„სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“ ...
გურამ ოდიშარია

სოხუმში დიდხანს იწვიმებს, გურამ,
ცოდვის ღრუბლებმა ასე იციან.
ის პალმა ქალი და გედი სურა
თვალმა სარჩევშიც ვერ მოიძია.

ალბათ, ხმებიან დაჭრილი ხენი –
ველარ არწვევენ მთვარეს – სნებიანს;
იასამნებიც, თავშეუხევენი,
ცრემლა მტევნებით ცას აშრებიან.

გახსოვს, ბოლოდღე: პარკინსონიან
ზღვას რომ კანკალით მიჰყავდა ბავშვი
და მონაზონმა კიპარისმა – სველ
ხელთათმანივით გაიძრო შაშვი.

ნაღმის ქოლგები თუ გახსოვს?.. ის ცა
კვლავ სიზმრის სიზმრად დამაქვს ბეჭებით!..
და მენანება, სხვის თითზე, რინა –
განბილებული სასძლო ბეჭედი.

და მენანება ის კონინდარი,
მორდუს მარანი, ჭყინტი ყანები
და რიჟრაჟივით უჟოლვა კოდორი –
გულსდარჭობილი კალმან-ყამებით.



იქ, ალბათ, ისევ წვიმს და ქარია,
უხსენოდ ჭკნება კვირტი და კერტი;
ასე გაუშრა ძუძუ მარიამს,
ოდეს კალიდან გადმოსვა... ღმერთი.

შრება, კალამსაც ვერ გააქვს პნკარი,
ვით გუთნეული-დაღლილ წეროებს.
გაგრის პანაშვიდს ვერ მოვესწარი...
გასასვენები მყავდა მეორე.

დაფერებვიარ სტრიქონს, ნაკიანს –
თითს რომ აყოლებს ნოსტრადამუსი...
შენს წიგნს წერტილიც აღარ აკლია,
მაგრამ... სამძიმრის ცრემლიც დაუუსვი.

- 5 -

8. სამადლო თოვლი

**„რა სასტიკია, რა სატირალი -
სხვის ქვეყანაში თოვლი პირველი.“**
მირზა

არ შეგაგონო, გული ვით მიზამს:
ერთ იად არ ღირს, რაც უბარდნია;
არ იგუნდაო სხვის თოვლით, მირზა!
თოვლსაც... ქალივით დაგამადლიან.

იმ ქერა თმასაც შეგახსენებენ,
რომ შეაშფოთეს დალალ-შოლტები
და ლარიქსებზე მოქსოვილ ვნებებს
ჩამოატყდებათ სიზმრის ტოტები.

სხვა ღამისაა სანთლები არყის
და ლექსიც ცივი ცის ფოთოლია;
მშობლიურ თოვლის ფიფქადაც არ ღირს,
სხვის ქვეყანაში რაც უთოვლია.

- 7 -

10. პაპუნას

ჩემს ლექსებს
სულ შენ აკლიხარ,
შვილო -

ხან წერტილად და
ხან -სათაურად...

ჩემსავით შვილმკვდარ
სიკვდილს ვშიშობი! -
ცის სარკმელიც რომ
ამიცხაურა.

დღეს, თურმე,
შენი პერანგი მეცვა,
რომ შემამცივნა
და შემახურა!..

და ბედისვარსკვლავ
ამომქრალ ზეცას ავყურებ,
როგორც ...
ბოლო სახურავს.

- 8 -

11. მეუღლეს

შემინდე, რომ ვერ გიძღვენ ამ შობას
შეპირებული მორცხვი კრებული;
გარეთ ხომ მაინც ლაღობს ბავშვობა -
ნათხოვარ ციგით გახარებული!..

ნუ იტყვი რომ ვერ მიტან ჭიქიანს,
რომ დენდ პოეტებს ფულს ვესესებ...
მოდი და, ჰკითხე, შუკო ჯიქიას:
თუ ჭიქა არყად ღირან ლექსები.

ვიცი, რომ ოჯახს დიდი კუჭი აქვს:
ვერ დაანაყრებს მუზის ჯეჯილი...
და ეს ლექსიც ხომ: სტამბის ჭუჭყია -
გულიდან ლუკმად ამოგლეჯილი!

მაგრამ... ხსნილ სულში სულ სხვა ლექსია -
ყრმა მოცარტივით ჰანგთა მთოვარი,
ამაღლებული თვითეკლესია
დანამებული ვით მაცხოვარი.

ჰოდა, ნუ მყვედრი, რაკი ამ შობას
ვერ მოგახარე მეკვლე- კრებული -
უბელო, როგორც კვიცი ბავშვობა,
და უკვე ჩემებრ გაფითრებული.

- 9 -

12. ღამის ყავა

მარინა თექათუმანიძეს

სხვა დარდიც ახლდა შენს მოდულეებულ
ღამეულ ყავას, ჩემო მარინე
სურვილს - სურვილთან ვერ შეუღლებულს...
სამაქრეც ედგა და... სამარილაც.

მაინც რა იყო, ის გულის გახსნა -
ბედნალექიან ფსკერზე ფინჯანის...
სად ამონკენტა, აგურის ხასამ,
ჯვრის ეჭვიანი ნაბერბიჭალი?!
ფერნელი სურო ემოსა სურვილს, -
ცრემლმა თვალებს რომ ამოარიდა...
და გადარბოდა წყლის სველი სული
დოინჯ შემოყრილ სამოვარიდან.

- 10 -

13. თეთრი დილა

ნადილა დილამ ისევ დამასწრო
გაზმორება და თვალის გახელა;
გამოაჩქარა ქუჩა საბაზროდ,
ფიროსმანი რომ ჰქვია სახელად.

ნაუცანგალა ანგლად მალაკნებს...
აკანკალა კოცნის კონები
სარუსთაველოდ ირჩევენ კაბებს
ხატუპლები და ხატგოგონები.

მონამგალეს ზეცა მერცხლებმა,
გამომშვენეს შვერო-ქაშპირი...
კოკაზე ონკანს ხმა ევერცხლება,
მუშტარას ტაშტით დააქვს ნახშირი.

გზად ტოვებს ნიავს ნათლია - ქარი,
ნართვეს წრაქი უნმანურ ბელებს;
გამონამალდა აფთიაქარიც
და წნევიან დღეს უსევს ნურბელებს...

ამომანდილდა ნისლი ხევიდან,
ურცხვი სარეცხი თოკზე ქაქანებს...
ჩამოიარა თქოსრხევითა
მზერითთარგმნილმა ჩემმა შაგანემ.

კუმტად გახედა მუშტივით ბოქლომს
და სხვა დუქნისკენ ნაბრძანდა ლოთი...
რა ღამაზია მემანვნი გოგო,
ეს თეთრი დილა რომ დააქვს ქოთნით.

- 11 -

14. ან...

მეზობლის გოგომ შეიგვიანა:
ველარ იპოვა
ამწყდარი ღილი...

გაზაფხულია...
წუხელ ნიავმაც
ჩვილ ალუჩაზე მოიჭრა კბილი.

ან ორთავენი ერთად ივლიან,
სიყვარულია ისეთი ტკბილი:

კვლავ გაიტყუებს ალუჩა ნიავს,
კვლავ აწყდება გოგონას ღილი.

17. მკითხველისადმი

რაც გამოვტოვე... ნუ წაიკითხავ,
არც სარჩევს შერჩა ჩემი ტკივილი;
წერტილიც: პნკარს რომ უმძიმდა დიდხანს,
დაკარგულია - მთვრალის ღილივით.

თავისუფალი მსურდა საყელო,
როგორც მდინარეს- ჩახსნილი ხიდი.
იქნება, ასე ამოვახველო,
ამ ჭლექიანი სანუთროს ბინდი.

მანამ კი ნულარ დაეშურები
თვალებს - უცრემლოს და უკაემნოს:
ნურც სველ ლექსებზე დამემდურები:
სულ წვიმდა... სული სადღა გამემრო!..

ბონდო არველაძე

იოსებ ორბელის ნიშნის „განაქსარაისა და ჰავომცატუჰის“ ნარწერების ნიშნის განადგურების მიზეზები.

გამოვიდა აზერბაიჯანელი ისტორიკოსის ფუად ახუნდოვის ფოტო-ალბომი – „იოსებ ორბელის ნიშნის განადგურების მიზეზები“, შემდგენელი რიზვან ჰუსეინოვი, კონსულტანტი ელბრუს მამედოვი. ძველი სომხური ნარწერები თარგმნა აკად. ზაზა ალექსიძემ. აგრეთვე ძველი სომხური ნარწერების დამატებითი თარგმანი ეკუთვნის ტელმან ჰასიმოვსა და ელშად ალილს.

ვფიქრობთ, ვიდრე ალბომის შინაარსის განხილვაზე გადავალთ, უპრიანი იქნება თვალი გადავაგლოთ კავკასიის ალბანეთის ისტორიას.

კავკასიის ალბანეთი ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. მდებარეობდა ამჟამინდელ აზერბაიჯანის ტერიტორიასა და დაღესტნის სამხრეთ მიდამოებში. აგრეთვე მოიცავდა მცირე კავკასიის მთიანეთისა და მდ. არაქსისა და მტკვრის ქვემო წელიდან მოკიდებული კავკასიონის ქედის ჩრდ.-აღმ-ის მონაკვეთამდე და კასპიის ზღვიდან ვიდრე იორ-ალაზნის ქვემო წელამდე, ანუ იბერიის სამეფოს საზღვრამდე.

ალბანეთი პირველად IV-ის ბერძნულ წყაროებშია მოხსენიებული. ძველ ქართულ წყაროებში ალბანეთი „ალვანად“ იწოდება, ძველ სომხურში კი „ალვანქ“-ი იწოდება.

ალბანეთის სამეფო მრავალეროვანი იყო. აქ ბინადრობდნენ: ალბანელები, გარგარები, გელები, ლეგები, ჰერები, სუჯები და სხვა ანტიკური წყაროების ცნობით 26 ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა. ალბანური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. დედაქალაქი იყო კაბალა. ამ ხალხის წარმართული პანთეონის პირველი ღვთაება იყო მთვარე, რომლის მთავარი ტაძარი იბერიის საზღვართან მდებარეობდა. გავრცელებული იყო აგრეთვე მზის თაყვანისმცემლობაც.

ალბანეთის მეფე ორისი, იბერიის მეფე არტაგთან და სომხეთის მეფე ტიგრან II-თან ერთად მამაცურად იგერიებდა რომაელთა შემოტევებს (ლუკულუსისა და პომპეუსის ლაშქრობის დროს (ძვ.წ. 69-67 და 66-65 წ.წ). ამავე ხანებში ალბანეთის დასავლეთ ნაწილი იბერიის პოლიტიკურ და კულტურული გავლენის სფეროში მოექცა. მტკვრის მარჯვენა ნაპირის პროვინციებს სომხეთი დაეპატრონა. IVს-ში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ალბანეთში, რომლის ავტოკეფალურ ქრისტიანული ეკლესიის სათავეში იდგა კათალიკოსი.

ალბანეთი IIIს-ში სასანიანთა ირანმა დაიმორჩილა.



სასანიანებმა VIIს-ში გააუქმეს მეფის ხელისუფლება და ალბანეთი ირანის პროვინციად აქციეს. ალბანელები შეუპოვრად ებრძოდნენ დამპყრობლებს, კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად. ალბანელები მონაწილეობდნენ ავარიის ბრძოლაში(451). ანტისპარსული სახალხო აჯანყებები ეწყობოდა შემდეგშიც (481-82, 571-72).

ალბანეთი არაბებმა დაიპყრეს VIIIს-ის შუა ხანებში. ამ პერიოდიდან დაიწყო ალბანეთის მოსახლეობის გამაჰმადიანება. დასავლეთ ალბანეთი (ჰერეთი, შაკიხი), რომელიც უძველესი დროიდან ქართველთა კულტურის სფეროში იყო მოქცეული, VIIIს-ის I ნახევარში ქართველთა ერისმთავარ არჩილის საგამგებლოში შედიოდა. არაბთა სახალიფოს დასუსტებას VIIIს-ის დასასრულსა და IXს-ის დასაწყისში მოჰყვა მის პერიფერიებში დამოუკიდებელი ადრინდელი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. ალბანეთის ტერიტორიაზე ასეთი ერთეულები იყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არანშაჰების სამთავრო (Xს-ის ბოლოს არანშაჰები შედადიდების დინასტიამ შეცვალა. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე-შირვანი (შირვანშაჰ მაზიადიდების დინასტია იყო). ამის გარდა დარუბანდი (მაჰმიდების დინასტია იყო). ჰერეთი, რომელიც ფაქტობრივად ქართული სამთავრო იყო და ბაგრატიონთა დინასტია ედგა სათავეში.

XIVს-ში ამიერკავკასია თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს და მასობრივად დასახლდნენ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, რასაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაცია მოჰყვა. ადგილობრივი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა, მეორე ნაწილი კი კახელებს, მთიანი ყარაბაღის სომხებსა და დაღესტნის მოსახ-

ლეობას შეეერწყა. (ქსე, ტ. I, 1975, გვ. 276).

სამეცნიერო ლიტერატურაში არის მოსაზრება გამოთქმული, რომ მოსე კალანკატუეცის „ალბანეთის ისტორია“ მიუთვინებიათ სომეხებს. ეს ტრადიცია გაძნელებულა და პეტრე ლაგაძის მიერ დაწერილი „ალბანეთის ისტორია“ ვილაც სომეხს მიუსაკუთრებია. ამას გვამცნობს 1310წელს მალალაშვილის სახარებაზე მინაწერი – „ცხოვრება ალვანთა, ესე იგი არს სავანი-სა, რომელიც დაწერა პეტრე ლაგაძემან-ვინმე სომეხმა გარყვნა იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთ ადვილად ინამეს ჩვეულებრივ“. (კ.კეკელიძე, ეტიუდები, ტ. II, 1941, გვ.314).

მართალია ალბანეთის სამეფო რეალურად არსებობდა, მაგრამ ამ ისტორიულ ფაქტს ვერაფრით ვერ ეგუებოდნენ და ეგუებიან სომეხი მეცნიერებები და ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ დაამტკიცონ ალბანეთის ტერიტორია თუ მთლიანად არა ნაწილი, მაინც ადრიდანვე სომხური იყო და იქ იყო და დღესაც არის სომხური საკულტო ნაგებობანი, ეპიგრაფიკა და ა.შ.

ალბანეთის ტერიტორიაზე არსებულ ძველ ალბანურ ეკლესია-მონასტრებს, ათეული წლების მანძილზე სომეხი სასულიერო პირები და მეცნიერები ისაკუთრებდნენ: ეპიგრაფიკას ფხეკდნენ ან ტენდენციურად კითხულობდნენ და ისე ახდენდნენ მათ პუბლიკაციას. ერთადერთი სომეხი მეცნიერი აკად. ი.ორბელი იყო, რომელმაც შეისწავლა ყარაბაღში არსებული ძველი სომხური წარწერები და ობიექტურად, აკადემიური კეთილსინდისიერებით მოახდინა მათი მეცნიერული ინტერპრეტაცია. ამ კვლევა-ძიების შედეგები გამოაქვეყნა 1919წელს წიგნი „განძასარაის და ჰავოცტუეცის წარწერები“ (პეტერბურგი).

აქვე აღვნიშნავთ-განძასარაისდაჰავოცტუეცისმონასტრები ამჟამად მოქცეულია თვითგამოცხადებულ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის საზღვრებში. ეს მხარე სომხეთის მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანის ტერიტორიაა.

აკად. ი.ორბელმა აღნიშნულ წიგნში მხოლოდ მარტო ხაჩენში მოიპოვა და გაშიფრა 1000-მდე წარწერა. აქედან უმეტესობა მან პირველმა გადმოიღო და წაიკითხა. აქვე გვსურს შევნიშნო-აკად. ი.ორბელამდე ამ მხარის სომხური ეპიგრაფიკა არაერთმა სომეხმა მკვლევარმა აღწერა. XIX-ის შუა წლებში ხაჩენის სომხური წარწერა გამოცა ეპ. მაკარმა (ბარხუდარიანცი). ეპ. მაკარის გამოცემას აკად. ი.ორბელმა „არც თუ საუკეთესო გამოცემა“ უწოდა. იგი წერდა – „მე თუ მის წაკითხვას არ ვიზიარებ (იგულისხმება ეპ. მაკარი ბ. ა.) ამას შეგნებულად ვაკეთებ... მე ვცდილობ გამოვასწორო მისი შეცდომები, რიგ შემთხვევაში ძალიან უხეში შეცდომები. ყოველ შემთხვევაში ვცდილობ დავიცვა ტექსტის სიზუსტე ისე, როგორც არის.

ფუად ახუნდოვს მოაქვს აგრეთვე სხვა სომხური წარწერები, რომელნიც სომეხი მკვლევარის მიერ ტენ-

დენციურად იყო წაკითხული.

აკად. ი.ორბელის მიერ მთიან ყარაბაღში ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგები როგორც აღვნიშნეთ, გამოქვეყნდა წიგნში, „განძასარაის და ჰავოცტუეცის წარწერები“ (1919). მისი შინაარსიდან გამოდიოდა ბუნებრივი დასკვნა – ამ მხარის საკულტო ნაგებობანი იყო კავკასიის ალბანეთის კულტურული მემკვიდრეობა. ეს კი ეწინააღმდეგებოდა სომეხი მეცნიერების სასულიერო პირების და სომხური ორიენტაციის მქონე მკვლევარის ანტიალბანურ კონცეფციას.

სომეხმა სასულიერო პირებმა და სწავლულებმა ათეული წლების განმავლობაში მიზანმიმართულად მოსპეს ისტორიული დოკუმენტები, უნიკალური ბიბლიოთეკა და მასიურად ეწეოდნენ ალბანური საკულტო ნაგებობების განადგურებას ან მათ „გასომხურებას“ (არმენიზაციას). ასეთი ვანდალური განადგურების მიუხედავად მაინც შემორჩა ალბანური ეკლესიები და შერყვნილი ეპიგრაფიკა.

როგორც ფუად ახუნდოვი აღნიშნავს, განძასარაის წარწერა (1240) სომხურ მხარეს ისეთი რაკურსით აქვს გადმოღებული, რომ ქვემო მწკრივში გამოტოვებული იყო შემდეგი სიტყვები – „ალბანეთის კათალიკოსის ნერსეს პატრიარქობის დროს...“

ამ სტრიქონის ზუსტად წაკითხვის შემთხვევაში საფუძველი ეცლებოდა სომეხი და სომხური ორიენტაციის სწავლულთა მტკიცებას, თითქოს ამ დროს (XII-ს.) უკვე აღარ არსებობდა ალბანეთი და ალბანელებს აღარ ჰქონდათ ეთნიკური და ეროვნული ცნობიერება. განძასარაის ამ წარწერის ზუსტი წაკითხვა მკაფიოდ ამტკიცებს, რომ ეს მიწა ალბანელ ხალხს ეკუთვნოდა და მათ მართავდა ალბანელი მთავარი, ხოლო ალბანეთის ეკლესია იყო დამოუკიდებელი.

აი, ეს დამალეს სომეხებმა!...

ფუად ახუნდოვმა შეადარა აკად. ი.ორბელის მიერ გადაღებული განძასარაის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის (არამარტო მისი) წარწერა XIX-ის სომეხ სასულიერო პირებს – ს. ჯალალიანცის, ო. შაჰხათუნიანცის და მ. ბარხუდარიანცის მიერ გამოქვეყნებულ წარწერებს. ამ შედარების შედეგად გაირკვა – განძასარაის ტაძრის წარწერების ფილების 50% ახლით არის შეცვლილი, ხოლო ფილების წარწერებში კი შეტანილია თვითნებური ცვლილებანი. მაგ. სიტყვა „ჰაიერენ“ - მამული, სამშობლო შეცვლილია „ჰაიერენიკ“ – სომხურით. ზოგან სპეციალურად არის ასოები წაშლილი, ანდა გადაკეთებულია ან დამატებული (ფოტო ან 1 და 1ა).

აზერბაიჯანში ალბანო-უდების ქრისტიანული თემის ხელმძღვანელის რობერტ მობილის სტატია – „ალბანეთის ეკლესია და სომხური ფალსიფიკაცია“ საყურადღებოა. ავტორი სპეციალობით გეოლოგი ყოფილა და შეუსწავლია ალბანური ეკლესიები

ყარაბაღში. მას აღმოუჩენია-ევეგიმიანინის ბრძანებით ამ ალბანურ ეკლესიებში შემდეგ ჩაუდგამთ ახალი ქვის ფილები, რომლებიც განსხვავებულნი არიან იმ ქვის ფილებისგან, რომლითაც შენდებოდა ალბანური ეკლესიები შუა საუკუნეებში. ეს ფალსიფიკაცია გრძელდებოდა ათეული წლების მანძილზე – წერს რობერტ მობილი (ალბომი. გვ. 17).

ფუად ახუნდოვს მოაქვს არა ერთი ფაქტობრივი მასალა, რომლითაც მტკიცდება სომეხი სასულიერო პირები და მკვლევარები ეწეოდნენ და ეწევიან ყარაბაღის ალბანური საკულტო ნაგებობების ტოტალურ არმენიზაციას და მისაკუთრებას.

ფუად ახუნდოვმა საარქივო მასალის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე დაამტკიცა – აკად. ი.ორბელის წიგნი „განძასარაის და ჰავოცპტუკის წარწერები“ არის ფაქტობრივი მტკიცებულა იმისა, რომ ეს მხარე (ყარაბაღი) და იქ არსებული ეკლესია-მონასტრები არის ალბანელი ხალხის საკუთრება, ხოლო ალბანეთის ეკლესიას ჰქონდა დამოუკიდებლობა. ე.ი ავტოკეფალია.

აკად. ი.ორბელის ამ წიგნის შესახებ რა თქმა უნდა ინფორმაცია ჰქონდა სომხეთის მხარეს. როგორც ჩანს, მოახდინეს ძლიერი ზენოლა აკად. ი.ორბელზე და აიძულეს, ნება მიეცა წიგნის მთელი ტირაჟი გაენადგურებინათ.

ამავე დროს დაიწყო მტკიცება აკად. ი.ორბელის წიგნი – „განძასარაის და ჰავოცპტუკის წარწერები“ არ დაბეჭდილა და ბუნებაში არ არსებობს, რადგან წიგნის შრიფტი პეტერბურგში მომხდარ წყალდიდობის დროს განადგურდა და ა.შ.

სომხური მხარის აზრით, ფუად ახუნდოვის მცდელობა, თითქოს ეს წიგნი არსებობს, არის სიცრუე და ახუნდოვს თაღლითი უწოდეს - „აკად. ი.ორბელს ან სხვა ვინმეს არ გაუნადგურებია ეს წიგნი. ხოლო ახუნდოვი არის ილხამ ალიევის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი თაღლითი. მან ვერ იპოვა აკად. ი.ორბელის წიგნი „განძასარაის და ჰავოცპტუკის წარწერები“, ერთი უბრალოს მიზეზის გამო. ეს არის ის, რომ წიგნი არასდროს არ არსებულა ბუნებაში. (გაზ. მცირე არმენი“, 2012, 13 ნოემბერი).

მაგრამ მოხდა ის, რასაც არ მოელოდა სომხური მხარე. ფუად ახუნდოვს 2011წელს სანკ-პეტერბურგში უპოვნია ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი და ჩაუტანია ბაქოში. სომხურმა მხარემ ეს აღმოჩენა არ ირწმუნა და მას წიგნის ანაწყოების ასლი უწოდა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, ალბანური კულტურის დასაცავად ბრძოლა გრძელდება. 2016 წელს ედუარდ ვართანოვის (რუსეთი), არტურ ალაჯანოვის (უკრაინა) და აქტივისტთა ჯგუფმა მოწოდებით მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს: „გადავარჩინოთ ალბანეთის ეკლესიის ავტოკეფალია და თურქი ქრისტიანები.“ ამ პეტიციაში კიდევ ერთი საინტერესო, მაგრამ ტრაგი-

კული ამბავია. 1925-1926 წლებში დაუპატიმრებიათ და დაუხვრეტიათ ძმები გაძიევი და მათი მომხრეები. ისინი რეპრესირებულნი ყოფილან იმისათვის, რომ ა.მიქოიანის ინიციატივით დონის „მცირე არმენიის“ დაარსების პრინციპული წინააღმდეგნი იყვნენ....

ფუად ახუნდოვის ნაშრომი „განძასარაის და ჰავოცპტუკის წარწერები“ არის კიდევ ერთი მხილება სომეხ მეცნიერთა და სასულიერო მოღვაწეთა მიერ სიყალბის მქნელობისა და სხვათა ისტორიის მითვისებისა.

ერთი კი უნდა აღვნიშნოთ: აუცილებელია ფუად ახუნდოვმა აკად. ი.ორბელის წიგნის „განძასარაის და ჰავოცპტუკის წარწერების“, ნაპოვნი ეგზემპლარი გამოსცეს ვრცელი შესავლით და მეცნიერული კომენტარებით. ამით ეს საკითხი საბოლოოდ გადაიჭრება.

დასასრულს გვსურს აღვნიშნოთ: ამ წიგნის შინაარსს რომ გავეცანი, დავინახე ანალოგია რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ე.წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის. ყარაბაღის ე.წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკაში იგივე პროცესები მიდიოდა და მიდის როგორც ე.წ. აფხაზეთისა და ცხინვალის რესპუბლიკებში. რუსი ოკუპანტების ნაქეზებით და ხელშეწყობით სეპარატისტებმა ამ რეგიონებში, რომლებიც საქართველოს და აზერბაიჯანის კუთვნილი ტერიტორიებია, მოსპეს და გაანადგურეს ეკლესია-მონასტრები. ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლები რუსმა ოკუპანტებმა მიწასთან გაასწორეს და ნასოფლარებზე სამხედრო პოლიგონი და ქალაქში მოაწყვეს...

მაგრამ რუსეთს არ შერჩება უსამართლობა და ბოროტება და ვიმედოვნებ, როგორც საქართველო ისე აზერბაიჯანი აუცილებლად დაიბრუნებს საკუთარ ტერიტორიებს.

P.S. (რედაქტორი მინანერი): ამ სტატიის დაწერის შემდეგ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა. აზერბაიჯანული მხარის უსაფუძვლო პრეტენზია უძველეს ქართულ მონასტერთან მიმართებისას დღესაც მწვავედ დგას; ბატონი ბონდო არველაძის წერილი იცავს აზერბაიჯანის კულტურის ძეგლს სომხური აგრესიისგან და ამ ფონზე ორმაგად მტკივნეული და უსამართლოა თვითონ აზერბაიჯანის პრეტენზიები დავით გარეჯთან დაკავშირებით. ისინი ზუსტად ისე იქცევიან და სომხური აგრესიის გაპროტესტებისას თავადაც უსაფუძვლო პრეტენზიების წამოყენების ფონზე თვალმისაცემ ფალსიფიკაციას ეწევიან, რაც ჩვენს კეთილმეზობლურ ურთიერთობას სერიოზული დარტყმის ქვეშ აყენებს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მხარე ვალდებულია მიუკერძოებლობა დაიცვას და სხვისი კულტურული ძეგლის მითვისებაზე ხელი აიღოს...

ვანო გელაშვილი (თორელი)

სიმღერის დიდოსტატი

ნოველა ეძღვება, გამოჩენილ ქართველ მომღერალს, „ბულბულად“ – ნოდებულ ვანო სარაჯიშვილის შემოქმედებით მემკვიდრეს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ჰამლეტ გონაშვილს.

„შენ რომ იმღერე ჩანჩქერებმა
მერე ისწავალეს ქუხილი“

ალაზა ხაიაური

ეს იყო ალბათ ოქროს ხანა, ქართული მუსიკის სასიმღერო სამყაროში, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა „ბულბულად“ ნოდებულის, (ვანო სარაჯიშვილის შემდეგ), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ჰამლეტ გონაშვილი. მისი ხავერდოვანი ხმა, ატკობდა მსმენელს.

მოგესხენებათ ანსამბლი „რუსთავი“, სადაც ჰამლეტი წამყვანი სოლისტი იყო, გასულ საუკუნეში ძალზე ცნობილი, უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც უშუალოდ რესპუბლიკის სახალხო არტისტის ანზორ ერქომაიშვილისა და მისი თანამაზრებების მიერ იყო შექმნილი. მათი რეპერტუარი საქართველოს ყველა კუთხის, სიმღერებით იყო შევსებული. რუსთავი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, არამარტო საბჭოთა კავშირის მასშტაბით არამედ, მის საზღვარგარეთაც, სადაც ისინი ხშირად მოგზაურობდნენ. მათ, თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარეს, კერძოდ, ამერიკა, კანადა, იაპონია, გერმანია, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ისრაელი, სირია, პალესტინა, ჰოლანდია, დანია, შვეიცარია, პოლონეთი, იუგოსლავია, ინგლისი, პორტუგალია. – აი, არასრული ჩამონათვალი იმ ქვეყნებისა, სადაც ჰამლეტ გონაშვილმა ანსამბლ „რუსთავთან“ – ერთად იმოგზაურა. მის მიერ შესრულებული: „ჩაკრული“, „ოროველა“, „დაიგვიანეს“, „მრავალჟამიერი“, და სხვა სოლო სიმღერები ატკობდა და ხანგრძლივ ოვაციებს იწვევდა მაყურებელში. მე ადრეულ ხანებში გავიცანი ჰამლეტ გონაშვილი, იგი თეატრალურ ინსტიტუტში აბარებდა გამოცდებს სამსახიბო ფაკულტეტზე. მახსოვს, მაშინ მე უკვე ვსწავლობდი ინსტიტუტში, სარეჟისორო ფაკულტეტზე. საოცრება ის იყო, რომ ჰამლეტს საჯარო გამოცდა მოუწყეს ინსტიტუტის დარბაზში, მას ჩონგურით ხელში იდგა სცენაზე და გატაცებით მღეროდა ქართულ სიმღერებს. ეს პატარა დარბაზი, გაჭედილი იყო, პედაგოგებითა და სტუდენტებით და ჰამლეტს ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდა, იქ დამსწრე საპატიო აუდიტორია: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, აკაკი ფალავა, დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, ანტონ თავზარაშვილი, ილია თავაძე, ეთერ გუგუშვილი, ნადია შალოტაშვილი, მაიკო მრეველიშვილი, ბაბუღია ნიკოლაიშვილი, რევაზ ნათაძე, ბესარიონ ჟღენტე, და კომპოზიტორი მელვინეთუხუცესი, რომელმაც დასასრულს ჰამლეტს უთხრა: „შვილო, ეგ ჩონგური და მშენიერი ხმა, შენთვის განგებას დაულოცია, ამიტომ გააგრძელე დაკვრა და სიმღერა, წინ დიდი მომავალი გელისო.“ აი, ასე დალოცა მან უნიკალური ხმის მქონე მომღერალი.

ჰამლეტი იდგა სცენაზე თავჩალუნული, ერთთავად ოფლში ჩალვრილი და უსმენდა ტაშის გრიალს. ეს ალბათ



პირველი ჯილდო იყო მისი შემდგომი მრავალი წარმატებისა, რაც მას თეატრებსა თუ დიდ დარბაზებისა ხალხის წინაშე გამოსვლისას დაუმსახურებია. წინ მას მართლაც დიდი ტრიუმფალური გზა ჰქონდა გასავლელი. ჰამლეტმა ერთი თუ ორი წელი ისწავლა ინსტიტუტში, შემდეგ იგი დაუსწრებლად გადავიდა, რადგან სახელმწიფოში სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ ქართული ხალხური ფოლკლორისა აცხადებდა კონკურს ანზორ კავსადის ხელმძღვანელობით. ჰამლეტ გონაშვილმა წარმატებით გაიარა კონკურსი. იგი გახდა წამყვანი სოლისტი ამ ანსამბლისა. ხოლო მერე კი ბედი ანსამბლ „რუსთავს“ დაუკავშირა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მღეროდა. ჩვენ ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს, როდესაც მე ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დავინყე მუშაობა საქართველოს ტელევიზიის ხალხურ შემოქმედების მთავარ რედაქციაში რეჟისორად, სადაც ჰამლეტ გონაშვილს და ანსამბლ „რუსთავს“ სატელევიზიო გადაცემებში ვინვევდით.

ჰამლეტ გონაშვილი ხშირი სტუმარი იყო მაშინდელი ტელევიზიის და განსაკუთრებით, ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქციის. რომელსაც ხელმძღვანელობდა, ქართული პატრიოტული სულისკვეთებით, გამსჭვალული ხალხური სიმღერის მოამაგე და შემფასებელი სოლომონ ლაფაური, რომელიც მართლაც დიდი შემოქმედებითი სტიმულს აძლევდა და დიდი ყურადღებით ექცეოდა ეროვნულ მარგალიტებს. მის მიერაა აღმოჩენილი „ცისფერი ტრიო“ და ქართულ სალამურის „დიდოსტატი სალამურისა“ ომარ კელაპტრიშვილი.

ჰამლეტ გონაშვილი კახეთიდან სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირიდან იყო და მისი დიდი ნიჭიერება სწორედ მისი წიაღიდან მოდიოდა, მამაპაპური გენით დამუხტული. ჰამლეტი მარტო მომღერალი არ იყო, უნივერსიტეტში და მარიკა ლორთქიფანიძესა ლევან სანიკიძის ლექციებს ესწრებოდა. უნდა ითქვას, რომ ისტორიის ფაკულტეტი დაუსწრებლად დაამთავრა. მართალია მას დიპლომი არ აუღია რადგან, იგი ოფიციალურად არ იყო უნივერსიტეტის სტუდენტი, მაგრამ ჯიბეში ჰქონდა ცნობა, რომ მოისმინა სრული კურსი საქართველოს ისტორიისა, რომლითაც

ძალზე ამაცობდა. „რუსთავის“ ანსამბლის წევრი ომარ კე-
ლაპტრიშვილი იგონებდა: ოდესიდან გემით გასტროლოგზე
მივდიოდით, გემის გასვლამდე დიდი დრო გვექონდაო, ბი-
ჭებმა გადავწყვიტეთ ქალაქის დასათვალიერებლად წაე-
სულიყავითო. ჰამლეტი კი რუს გოგონებთან დარჩა გემზე,
რამდენიმე საათის მობრუნებულებმა ვნახეთ, რომ იჯდა
გოგონებს შორის და საქართველოს ისტორიას შთაგონებით
უყვებოდა. ასეთი გახლდათ ჰამლეტ გონაშვილი. ნანყე-
ტი ომარის მოგონებიდან: „ნებისმიერ ქვეყანაში ჩასულები,
ეს იქნებოდა საზღვარგარეთ თუ იგივე ჩვენს ქვეყანაში,
ჩვენ თუ ქალაქში მაღაზიებში დავეჩეტებით, ის ბალებსა
და სკვერებში, მებალებთან მიდიოდა და ყვავილებისა და
სხვადასხვა მცენარეების თესლებს აგროვებდაო, შემდეგ
ჩამოიტანდა და მეზობლებს, მეგობრებსა და ნათესავებს
ურიგებდა და თანაც არიგებდა თუ როგორ მოეელოთ ამა
თუ იმ მცენარეებისთვის. ჰამლეტი ნამდვილი ბუნების
შეილი იყო, იმდენად იყო მასში შერწყმული ბუნებისადმი
სიყვარული. ხშირად უნახავთ ბოტანიკურ ბაღში მარტოდ
მოსეირნე, როგორ ეფერებოდა მცენარეებს, ყვავილებს,
როგორ სათუთად ეხებოდა და ეალერსებოდა სხვადასხ-
ვა ფერის ვარდებს. ბევრი რამის მოყვლა შეიძლება მის
მართლაც გამორჩეულ ნიჭსა და მის პირად ცხოვრებაზე.
დედამისი იგონებდა: ჯერ კიდევ მწოლიარე კი არ ტირო-
და არამედ მტრედით ლულუნებდაო. შემდეგ როდესაც
წამოიზარდა და ტბისში ცხოვრობდა, ჩამოსულს სახლში
ვერ გააჩერებდი, მეზობლებთან ან მინდორ-მინდორ ხეტი-
ლი უყვარდაო. გასაკუთრებით კი ძველი სოფლის განაპი-
რა წისქვილში მისვლა და აუცილებლად სოფლის ეკლესია
მოინახულა და იქ ლოცვა უყვარდაო. მთვარიან ღამეში
კი აივანზე გასვლა და თეთრი კავკასიონის ქედების თვა-
ლიერება, საათობით იდგა და უცქეროდა, და მესმოდა ჩუმი
დაბალი ხმაზე ღიღინიო. ასეთი რომანტიკული სულის პა-
ტრონი გახლდათ ჰამლეტი. მე ვიცნობდი ჰამლეტის მამას,
ბატონ დიმიტრი გონაშვილს, ქართული ენისა და ლიტერ-
ატურის პედაგოგს, რომელიც ერთი პერიოდი ბორჯომის
რაიონის დაბა წალვერის საშუალო სკოლაში ასწავლიდა.
ახლაც ჩამესმის ყურში მისი თხრობა ქართველი პოეტებისა
და მწერლების ბიოგრაფიების, როგორი გატაცებით ყვე-
ბოდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ შინაარსს
და გულმოდგინედ გვისხნიდა, რომელიც ზეპირად იცოდა.
ის იყო ნამდვილი პედაგოგი, აღმზრდელი დიდი პატრიოტი
და არ არის გასაკვირი, რომ ჰამლეტი მისი შვილი მამის
გვარზე გაზრდილიყო.

ანსამბლ „რუსთავის“ საიუბილეო დღეებში ფილმ „თე-
თრი ქარავანის“ რეჟისორმა სოსო ჩხაიძემ – ანსამბლი, სა-
დაც ჰამლეტი მღეროდა მთლიანად თავისი რეპერტუარით
გადაიღო, დარჩა ეს ფილმი - კონცერტი ტელევიზორების
ისტორიას. ჰამლეტ გონაშვილი ფილმში „ლაზარე“ – ქარ-
ველ თავადსა თამაშობს. მეტად ნაყოფიერი იყო ანსამბლ
„რუსთავის“ გასტროლოგი როგორც შინ, ისე საზღვარგა-
რეთ. აი, რას იგონებს საქართველოს სახალხო არტრისტი
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კა-
ვალერი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, ანსამბლ „რუს-
თავის“ სოლისტი ნუგზარ (ედიშერ) გელაშვილი: შვეიცა-
რიაში ყოფნის დროს, გარემოს ათვალისწინებისას ჰამლეტი
გაოცებული მეუბნებოდა: „გახედე ნუგზარ ეს შვეიცარიის

ტყეები როგორა ჰგავს ბორჯომის მთებსა ტყეებსა, მს-
ოლოდ ერთი განსხვავებით: აქ ძალზე მოვლილი და და-
სუფთავებულია, ჩვენთან კი მოუვლელიო. ამ მხრივ ჩვე-
ნი ბუნება უფრო ლამაზი და თვითმყოფილია ვიდრე აქო,
ყოველგვარი კოსმეტიკის გარეშეო. გაგიჟებით უყვარდა
სამშობლო, საქართველო, ხშირად სასტუმროს ნომერში,
ერთ ბოთლ ღვინოზე შეეძლო გათენება და საქართველოს
ისტორიის მოყოლა. ალბურ ჰონორარ არ ხარჯავდა, სახ-
ლში მოჰქონდა, დაე, ოჯახში მოიხმარონო. მასთან ერთად
დეუტიც მქონდა, და დიდის წარმატებით სარგებლობდაო.
სახალხო არტისტი ნოდარ მაგლობლიშვილი იგონებს, რომ
ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად საფრანგეთში ყოფილა ქ.
ნიცაში ყოფნისას ანსამბლს დიდი წარმატება ხვდა წილად.
განსაკუთრებით სიმღერა „მრავალჭამიერმა“ გულწრფელად
განაცვიფრა ნიცელები, ჰამლეტ გონაშვილისა და ნუგზარ
გელაშვილის დუეტმა ყველა მოხიბლა. მთელი საღამო ტა-
შის გრიალში ჩაატარეს ჩვენმა ბიჭებმა მართლაც, აღფრთო-
ვანებული მაყურებელი. გაოცებას ვერ მალავდა და ფეხზე
იდგა. ღვინისფერ ჩოხებში გამოწყობილმა ათმა ქართველმა
მომღერალმა დარბაზი გააერთიანა სიმღერის დიდოსტატი
ჰამლეტ გონაშვილისა ხმა, ბულბულისა ოქროსავით ბრწყ-
ინავდა, მას არაერთხელ მოუხიბლავს უცხოელი პრესტიჟუ-
ლი დარბაზების მსმენელი, რომელიც „რუსთავის“ მაღალი
სამემსრულებლო ხელოვნებას და ოცაციას უმართავდა.

ანსამბლი „რუსთავი“ ყოველთვის გამოირჩეოდა ჟა-
ნობრივი მრავალფეროვნებით. იგი დიდი წარმატებით ას-
რულებდა როგორც საქართველოს ყველა კუთხის სიმღე-
რებს. ჩემთვის ანსამბლი „რუსთავის“ სოლისტი ჰამლეტ
გონაშვილი დიდი შენაძენი იყო, რომელმაც მართლაც და
შეუდარებელი ხმა, რაღაც უნიკალური, შეუდარებელი ჟღე-
რადობა ჰქონდა, ამბობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი,
სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ანზორ
ერქომაიშვილი. ის არამარტო მომღერალი იყო, არამედ
დიდი ადამიანი, მისი გარეგნული შეხედულება შერწყმული
იყო მის შინაგან ბუნებასთან. მისი ხავერდოვანი ხმა გულ-
ში ჩამწვდომი და მიმზიდველი იყო, რომელიც აჯადოებდა
მსმენელს. ალალი, გონიერი, დახვეწილი გემოვნების, ძალ-
ზე ფაქიზი სულის პატრონი; ჰამლეტ გონაშვილი მართლაც
ღირსეულად ატარებდა ქართველი კაცის სახელს. ღირსეული
წარმომადგენელი იყო ქართული გენისა. ღმერთკაცი, ბულ-
ბულის შესადარებელი ხმოვანება, იგი მართლაც იმსახურებდა
„სიმღერის დიდოსტატის“ სახელს. მისმა უდროოდ წასვლამ ამ
ქვეყნიდან, ანსაბლ „რუსთავმა“ და არა მარტო „რუსთავმა“ –
არამედ ქართველმა ერმა დიდი დანაკლისი განიცადა. ჩვენ კი
მისი სიმღერის მეგობრები, – ამბობს ანზორ ერქომაიშვილი,
დიდხანს შევინახავთ ჩვენს გულებში, არამარტო მას, არამედ
მის ოჯახს, მეუღლეს, შვილებს და შვილი შვილებს.

და მართლაც, ჰამლეტ გონაშვილის უდროოდ გარდა-
ცვალებით დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა სასიმ-
ღერო კულტურამ. მაგრამ ახალი თაობა რომელიც გააგრძე-
ლებენ წინაპრების დანყებულ საქმეს გააგრძელებს. რამე თუ
საქართველო „ღვთის წილმხვედრი ქვეყანაა“ - და მისი გენ-
ები მძლავრად ხარობს მის წიაღში, კიდევ აღმოჩნდება ნატ-
ვრის ხესავით ძლიერი და ნიჭიერი ამაქვეყნისა. რომლებიც
გააგრძელებენ ჰამლეტისნაირ ხალხთა დანყებულ საქმეს ამ-
იტომაც ყლერს კოსმოსში – დიდებული ჰანგი „ჩაკრულოსი“.

ნათელა შაინიძე

ცხოვრების ნიშნი

როცა ცხოვრების ნიშნს გადაფურცლავ, ჩაიხედები შიგნით მალულად მერე ცხოვრებას ვერაფერს უზღავ, იგრძნობ ნლები რომ გადაპარულა. ბევრი შეგხვდება კარგი ფურცელი და მტკივნეული რამდენიც გინდა, მხოლოდ გულია, გული უცვლელი, შიგ დამარხული გრძნობები წმინდა.. პროლოგი მისი ისევე გაღვლეებს და თვალს უსწორებ გასულ ბავშვობას, მერე წარსული ნლებს გააღვლებს და ჩაიქროლებს ახალგაზრდობა. იწყება მერე ბედთან ჭიდილი, უთანასწორო ცხოვრების ბრძოლა, გზები დარდებით გადაჭედილი და მრავალგვარი ქარების ქროლა. ნიშნს ფურცლავ და შიგ ბევრი შეგხვდება, სასიხარულო, ანდა საწყენი, ბევრი ხვდება და ბევრიც ვერ ხვდება, დაგიკარგია რომ დრო რამდენი. ცხოვრების ნიშნი მატინაეა, შენი ცხოვრების ნამოღვანარის, ცხოვრება დიდი ოკეანეა, სადაც გემია გრძნობის ტაძარი. და თუ ამ გემს ჰყავს სწორი მესაჭე, კარგი ბოცმანი და კაპიტანი, დაიკარგება? თვითონ განსაჯეთ, ამ დიდ გემბანზე ადამიანი? ეპილოგი კი ყველას ერთი აქვს, დაიკეცება ცხოვრების ნიშნი.. ნუ შეაძულებ ნურავის შენს თავს, მატარებლივით დრო სწრაფად მიდის... იქნებ ვინმემაც არ წაიკითხოს, შენი ცხოვრება შენზე რას უბნობს, იქნება ვინმემ არც რა იკითხოს, რადგანაც ხალხი შენზე საუბრობს. ერთხელაც ვინმე გაღმითაც გავა.. დაიხურება ნიშნი ცხოვრების, მაგრამ არ ვიცით რამდენი გავა, როცა დადგება ჟამი ცხოვრების.

გალაკტიონს

მინიდან ცამდე აზიდულ მუზას, მთვარემდე ასულ უკვდავ გენიას, მიაქროლებენ ლურჯა ცხენები, ვერხვის ფოთლებსაც გული ტკენიათ. ვერხვის ფოთოლთა ნაზი ჩურჩული, და სიყვარულის ფარული ტრფობა, აზვირთებული გოროზი გული, უსამართლობის ზოგჯერაც თმობა. დაუნახავნი დევნიდნენ სიტყვას, სიტყვას მართალს და გულიდან მოსულს, დღეს კი წარსული კვლავ უნდა ითქვას და სიამაყით შევხედოთ წარსულს. გული გატკინეს... გატკინეს გული, უსამართლობამ აწამა სულიც, ქარების ქროლვას, უაზრო ქროლვას მიეც ალალი ერთგული გული. შავი კედლიდან სითეთრის ფენა და ორჯერ-ორი სართული სახლის,



ლია ფანჯრიდან ზეცაში ფრენა, იქ ზეცაში კი ძიება ახლის. დაქრის ქარი და ქრიან მუზები, ვით ლურჯა ცხენზე ლურჯი მეეტლე, და სიყვარულზე სევდიან მღერით, შერვაშიძის ქალს ჩუმად მიენდე. შენი გენია ცას წვდება ახლაც, გაფრენამდე კი არვინ ამჩნევდა, პოეტის ნიჭს და ყოფა-ცხოვრებას, განა ოდესმე ვინმე ამჩნევდა? და როცა ქრიან დღესაც ქარები და წვიმის წვეთებს ცრემლად გაფრქვევენ, ვანიდან მოაქვთ შენთან იები, იქ მთანმინდაზე გულზე გაბნევენ. და შემოდგომის ჩურჩული ვერხვის, ქარი რომ ნაზად ეალერსება.. იღწვის მუზები, იღწვის გენია, მოედინება რითმა ლექსებად.

„ამა ვარ ძია!“

„აქა ვარ აქა! აქა ვარ ძია!“
თამარის ხმები ჩაგვესმის დღესაც, კლდეში ნაკვეთი დგას კვლავ ვარძია თავზე დაჰნათის ქართული ზეცა. მას დღეს თამარის ხელი ატყვია მისი ჭკუა და მისი გონება, გარს საქართველოს მთები არტყია და კვლავ არავის არ ემონება. კლდეში ლაღადებს ჩვენი წარსული, კლდის ქიმზე ხავსი მზესავით ბრწყინავს, რამდენი დროა, დროგადასული, ქართული სული კედლებში გმინავს. ქართული სიბრძნე, გამჭრიახობა, აქ იგრძნობა და აქ ჩანს თამამად, აქ ამ კლდის შიგნით ჯარი სახლობდა და აქ ჩანს მეფის თამარქალობა. წყურვილს იკლავდნენ, წყუროდათ როცა, აქ სილამაზის წყალი დიოდა, ამ საოცრებამ მე გამაოცა, დაღვედი, მაგრამ არ ილეოდა... აი რა არის ჩვენი სიმდიდრე, ციხე-ქალაქი ლაღადებს წარსულს, აქ თამარის ხმას ექოდ ვიძივდით სანთლად ავენთოთ, მეფის წმინდა სულს!

იკა ქადაგიძე

მოყვარეს პირში უძრავს!

მიმდინარე სალიტერატურო პროცესების ანალიზისას ჩემს წერილებში ფაქტებზე დაყრდნობით არაერთხელ აღმინიშნავს, რომ პარადოქსული მოცემულობა თავიდანვე დამებედა; სახელდობრ, ჩემს ნააზრევს ჩემ მიერ გაკრიტიკებული ოპონენტები ხშირად მეტი კეთილგანწყობით ეგებებიან და მიუკერძოებელი კრიტიკის საპირწონედ მადლიერებასა და ალტაცებას საჯაროდ გამოხატავენ, ვიდრე ე.წ. მოკეთე კოლეგები, რომელთაც არაერთგზის მხარი დაუჭირე არა მხოლოდ წერილობით, აგრეთვე ღია გამოსვლებით, საღამოების გამართვითა და რადიოგადაცემებით, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა მათი მხრიდან ელემენტარული ტაქტისა და მადლიერების გამოსამჟღავნებლად; თითქოს ვალდებულება მაკისრია ყველას, ვინც დასახმარებლად მომმართავს, უანგაროდ გზა გავეუკაფო, ლიტერატურული ჯუნგლების მრავალრიცხოვან კლანებთან მწვავე დაპირისპირებისას ხშირად ჩემივე ინტერესის საზარალოდ ერთგულად დავიცვა და გამოვექომაგო, სანაცვლოდ კი მათ მხრიდან უწყვეტი უმადურობა და რაც უარესია, ფაქტების გამიზნული გაყალბება ვინვნიო, რაც პიროვნული შეურაცხყოფის ფარგლებს სცილდება და შესაბამისად, საკადრის გამომხაურებას საჭიროებს. ილიას უნივერსალური დევიზი: „მოყვარეს პირში უძრავს, მტერს პირს უკანაო,“ ზუსტად ამ შემთხვევაზეა ზედგამოჭრილი და მუდამ ძალაშია, თუკი სიმართლე ზურგს გიმავრებს და სიცრუისა და უკეთურების მიჩქმალვის ტრადიცია სისხლში არ მოგდგამს, რაც უსამართლობასთან შეგუებას გამორიცხავს... ამჯერად განზოგადების ნაცვლად კონკრეტულ შემთხვევას აღვწერ, რომელმაც იმდენად გამოაცა, საკუთარ თავს მერამდენედ ვეკითხები: ნუთუ ქართველებს საბედისწერო ზნედ დაგვჩემდა სიკეთის სანაცვლოდ კაცს ჩირქი მოვცხოთ და განვდილი მარჯვენის მოსაკვეთად წამითაც არ შევეყოყმანდეთ?!

მოკლედ, დღეს სწორედ ამგვარი ახალ მოკეთის პროვოკაციულ გამოხდომას ვპასუხობ, რომლის ქმედებაც ჩემი მრავალწლიანი საბრძოლო გამოცდილების გათვალისწინებითაც რბილად რომ ვთქვა, საკმაოდ ოდიოზურად გამოიყურება. ჩემს სოლიდურ და გემოვნებიან პუბლიკას შევახსენებ, რომ ამა წლის 26 თებერვალს, ჩემი საგანგებო პოსტი ბათუმელი ისტორიკოსის, ბატონი უჩა ოქროპირიძის გაცნობასა და მასთან სამომავლო თანამშრომლობის თემას დაეთმო, რომელშიც კოლეგისადმი ხაზგასმული პატივისცემა და კეთილგანწყობა ჩვეული სტილით გამოვხატე. ურწმუნო თომებს შეუძლიათ ზემოთხსენებული სტატუსი გადაამონწონონ, ხელახლა ვერ გავიმეორებ, ათასი საზრუნავით შეწუხებული მკითხველის გადალას მოვერიდები, ამიტომ სათქმელს მოკლედ მოვჭრი. მამასადაძამე, ამ საინტერესო და შინაარსიან შეხვედრას ჩემთან ერთად ისინდის ბირთვის ნევრები: მარსიანი და თემურ ნადარეიშვილი ესწრე-

ბოდნენ. იმჟამად ჟურნალის მეექვსე ნომრის საბოლოო დაკაბადონება მიმდინარეობდა და ჩვენი აქტიურობა პიკს აღწევდა. მარსიანი ავადმყოფობის მიუხედავად ყველანაირად ცდილობდა არ გამოგვეკლებოდა. ცხადია, ჩვეულებისამებრ ექსტრემალურ რეჟიმში ვშრომობდით. სწორედ ამ დროს, ჩვენი საიმედო მფარველისა და ქომაგის, ბატონი გოგი ფირცხალაიშვილის ზარი წამომენია. ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა მამცნო, რომ ჟურნალისთვის საჭირო ავტორი თბილისში მოემგზავრებოდა და ჩვენს გაცნობასაც გეგმავდა. ამ ამბავმა ძალიან გამახარა. ისტორიკოსის ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული პუბლიკაციები ჯერ კიდევ ზაფხულში, ბათუმში ყოფნისას დავაგემოვნე და მასთან თანამშრომლობის სურვილი გამიჩნდა. „მოგესხენებათ, „ისინდი“ მწვავე და ქვეყნისთვის სასარგებლო წერილებს საგანგებოდ თავს უყრის და სისტემატურად აქვეყნებს. ყველაზე მეტრძოლი ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რასაც სხვები ვერ ბედავენ, ის ვთქვათ და დავიცვათ და რადგან ბატონი უჩა ოქროპირიძის ნააზრევი ჩვენს დევიზს დაემთხვა და მიესადაგა, მასთან შეხვედრამ საოცრად გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა. ცხადია, კოლეგების თანდასწრებით სტუმარს ვუთხარი, რომ მისი სტატია აფხაზეთზე მომდევნო, საიუბილეო ნომერში გამოქვეყნდებოდა, რომელიც დღის სინათლეს ივნისის დასაწყისში იხილავს. იმ დროს მეექვსე ნომერზე ვმუშაობდით, დაკაბადონება ის-ის იყო უკან მოვიტოვეთ და ჟურნალს სტამბისთვის ვამზადებდით. წესისამებრ „ისინდისთვის“ ნომრის მასალას წინასწარ ვარჩევ. შესაბამისად, ავტორმა თავიდანვე იცის, მისი ნააზრევი ჩვენთან როდის დაიბეჭდება. ტყუილად არასდროს არავის ვაიმედებ და ავტორებს არც ფუჭი დაპირებებით ვუნამლავ სიცოცხლეს. ამიტომ ამ ნიადაგზე გართულება არასდროს გვექონია. ამას გარდა, ჩვენი სტუმრისთვის არც იმის თქმა დამვიწყებია, რომ ჟურნალის პერიოდულობის გათვალისწინებით სხვა წერილების დაბეჭდვასაც ამ პრინციპით განვაგრძობდით. შინაარსიანი და გულითადი შეხვედრის შემდეგ ახალგაცნობილმა ისტორიკოსმა მეორე დღესვე რომ დამირეკა, მესიამოვნა; პირიან და საქმიან კაცად შევიცანი. საუბრისას მთხოვა, სხვა წერილებსაც გადმოვგზავნი და ბარემ ჩემი ბლოგიც ნახეთო. მოვუბოდიშე, ამას დრო დასჭირდება, ახლა ჟურნალზე ვმუშაობთ, ყოველი ნუთი ძვირად გვიღირს, თან მარსიანის გართულებული ვითარება ვუხსენე და დავაზუსტე, როგორც კი დროს გამოვნახავ, ყველაფერს დავაგემოვნებ და შთაბეჭდილებების გასაზიარებლად გარკვეული დროის შემდეგ აუცილებლად შემოგეხმინანებით-მეთქი. დიალოგის პროცესში ბ-მა ისტორიკოსმა კვლავ მკითხა, მისი სტატია როდის დაიბეჭდებოდა. მეც კიდევ ერთხელ გავუმეორე, რომ მისი წერილი შეთანხმებისამებრ საიუბილეო ნომერში გამოქვეყნდებოდა. გულში კი გამკრა, შეხვედრისას ამ თემაზე საგანგებოდ ვიმსჯელებთ და ასე უცებ რამ დაინყო-მეთქი. ახლა, როდესაც სათქმელი გავუმეორე, დასაყვევებ-

ლი აღარაფერი იყო. ამასობაში ვითარება ისე აენციო, ფეისბუქზეც დავმეგობრდი. მადლობელი ვიყავი, ჩემს პოსტებს ენერგიულად რომ იწონებდა, თან ძალზე შინაარსიანი კომენტარებითაც მანებებდა და რადგან გაცნობიდან მოყოლებული ათი დღის მანძილზე თითქმის ყოველდღე მეხმიანებოდა, მყარი მხარდაჭერისთვის მადლობის გადახდა არ მბეზრდებოდა. კეთილგანწყობილი კოლეგისა და ახალშექმნილი მოკავშირის აქტიური მხარდაჭერა ვის არ ეამება, მე რომ მწყენოდა?! ძალა ერთობაშია და მისი გულისხმიერება, ბუნებრივია, მადლიერების განცდით მავსებდა. კაცი ხომ სიტყვითა და საქმით იცნობა. იტყვის და მოქმედებს. სხვაგვარად ღირებული საქმე არსად არასდროს გაკეთებულა. ეროვნული წამოწყების დროს საიმედო კოლეგა ოქროზე მეტა ფასობს და ჩემებს გახარებული ვეუბნებოდი, მისი სახით რაოდენ საიმედო მოკავშირე შევიძინეთ. მარსიანის გამგზავრების დღესაც რომ დარეკა და მოიკითხა, საბოლოოდ დავრწმუნდი, ჩვენზე გული როგორ შესტკიოდა და დავძინე, მალე საიუბილეო ნომერზე მუშაობას დავიწყებთ და თქვენს სტატიათა სიამოვნებით გამოვაქვეყნება. ზვიადზე მოგონებების დანერა დააჩქარეთ, შემდეგ ნომერში ეს გავუშვათ-მეთქი, მოკლედ, ყველაფერი საათივით აენციო; და აი, გუშინწინ, 8 აპრილის პოსტზე, სადაც რუსთაველის გამზირზე ტანკის შემოსვლის სცენის აღწერის ფონზე (პირადი მოგონებიდან გამოდინარე) სიტყვის გატეხვის თემაზე ვმსჯელობდი, 9 აპრილს, მტკივნეული მოგონებებით გულდამძიმებულმა ფეისბუქზე რომ შემოვალნიე, ნინა სტატუსზე (8 აპრილის პოსტს ვგულისხმობ) დართულ გულითად გამოხმაურებებში ამ შინაარსის კომენტარს წავაწყდი (ციტირება ზუსტია, ცხადია!): „ვიღაცას სიტყვა რომ არ გაეტეხა, ისინდის ამ ნომერში ჩემი ერთ-ერთი სტატია უნდა ყოფილიყო, ტყუილია? კარგად“. განციფრებამ დამამუნჯა. ეს მოკლე მინანური ბოროტ ხუმრობას ჰგავდა. ტექსტი ხელახლა გადავიკითხე და დავრწმუნდი, არაფერი მომჩვენებია. კომენტარი ჯიუტად მიუთითებდა, რომ ჩემი ახალგაგნობილი მოყვარე, ბ-ნი უჩა ოქროპირიძე ჩემივე პოსტზე სიტყვის გატეხვაში საჯაროდ მადანაშაულებდა! კაცმა, რომელიც ათი დღის მანძილზე ყოველდღე მირეკავდა და ახლობლურად მესაუბრებოდა, თვალსადახელშეა წარბმეუხრელად სიტყვის უკან წაღება დამაბრალა და თავისი გულისწყრომა მაშინვე ღიად თავს დამატეხა. ვთქვათ, უნდობლობის ჰალუცინაცია ანუხებს და ვერაფრით დაიჯერა, რომ მის წერილს შეპირებისამებრ „ისინდში“ დავბეჭდავდი, სანამ ახდლად ცილს დამწამებდა, პირადად, ადამიანურად რატომ არ შემომეხმიანა და თავისი „პრეტენზია“ არ წამომიყენა? ამის საბუთი რომ ხელთ არ ჰქონდა, ამიტომაც დარეკვა გადაიფიქრა, ამას წყალი არ გაუვა. საკმაოდ სოლიდური ასაკის პიროვნებამ, (მინიმუმ ჩემზე ორჯერ უფროსმა!) თანაც, ძლიერი სქესის წარმომადგენელმა უსაფუძვლო დადანაშაულების წინ რატომღაც ველარ მოიცალა შემომხმინებოდა და არარსებული პირობის შეუს-

რულებლობაში პირადად, მოწმეების გარეშე „დავედანაშაულებინე“, კომკავშირის კრების განაწესივით უმაღლ საზოგადოებრივ სამსჯავროზე რომ გამაქანა, ნახეთ ერთი, სიტყვის გამტეხ კატეგორიას რა ენერგიულად ამუნათებს და ამასობაში ჩემი წერილი არქივში დააობა, პირობა თვითონ დაარღვიაო. გასაგებია, რომ ჩვენს ჟურნალში დაბეჭდვა უამრავ ავტორს სურს და მათ თხოვნას ვერ ავუდივარ, თუმცა აქამდე მსგავსი რამ არავის წამოსცდენია. იმათაც კი, ვინც თავაზიანი, თუმცა მტკიცე უარით გავისტუმრე. სერიოზული ჟურნალი ნინიას დუქანი ხომ არაა, ვისაც მოესურვება, დაუპატიჟებლად, „უპრაგონოდ“ შიგ შევარდეს?! ღმერთი რჯული, ამ ხნის მანძილზე აბეზარ ავტორებსაც არ გამოუვლენიათ ანალოგიური სულსწრაფობა და ზენოლა, არიქა, დამბეჭდეთო, არათუ ის გაუგონარი სიყალბე, რაც ბატონმა ოქროპირიძემ გამოამჟღავნა. ბრავო! დაწუნებულ ავტორს კიდევ „გაუგებდა“ დემაგოგი, ასე იმიტომ გაისარჯა, შურისძიების ყინი არ ასვენებდაო, მავანნი დაასკვნინდნენ, მაგრამ კაცს, ვისაც გაცნობისთანავე აღუთქვეს, რომ მომდევნო ნომერში მისი წერილი ოპერატიულად გამოქვეყნებოდა, ამგვარი მამალი სიცრუის დასახეთქებლად რა რჯიდა?! მით უფრო, როდესაც საქმიან შეხვედრაზე ისინდელის თანდასწრებით შეიტყო, მისი წერილი დათქმულ დროს აუცილებლად გამოქვეყნებოდა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, ეს ამბავი ბატონ გოგის რომ ვახარე: ნეტავ მანამ ჩამოესწრო თბილისში, სანამ ჟურნალს დავაკაბადონებდით, ამ წერილს ეგრევე გავუშვებდი-მეთქი. ღირსეულ პიროვნებას ამის შემდეგ რა პირით ეჩვენება, ეს ცალკე საკითხია! და მაინც, ეს გამიზნული პროვოკაცია რამ განაპირობა?! ამაზეა ნათქვამი: შარო საიდან მოდიხარო! რაო, ეს ყველაფერი ჩვენმა გულანთებულმა მოყვარემ ვითომ „შემთხვევით“ მოიმოქმედა?! სანამ უმსგავსი სიცრუის დახმარებით „ძელზე გამსვამდა“, ის როგორ გამოჩნა, რომ მის გარდა ამ შეხვედრას პატივსაცემი ადამიანები ესწრებოდნენ. და ასე რომც არ ყოფილიყო, ასე უაპელაციოდ თავს უნდა დამსხმობდა?! სადაური სამართალია, კაცს ის დააბრალა, რაც არ ჩაუდენია?! თან 9 აპრილსაც რომ არ მოერიდა და ამ ღირშესანიშნავ დღეს ვაჭრობა გამიჩაღა, ჩემი სტატია თუ არ დაიბეჭდება, მერე რა მოხდაო. თუ არაფერი მოხდა, ეს გაუგებარი პროვოკაცია რისთვის ააგორეთ?! თქვენ მიერ ნაქეზებულ ეშმაკს ვინ დაეძებს და ჩენი საერთო მეგობრის მაინც არ შეგრცხვათ?! თქვენდამი კეთილგანწყობილი ადამიანის ასე უმიზეზოდ გამეტების არ შეგეშინდათ?! ესაა თქვენი სახელნიფობრივი აზროვნება და სანაქებო ეროვნული ცნობიერება, მტერ-მოყვარეს ამპარტავნულად რომ ამადლით?! დაილოცა ღმერთო შენი სამართალი! კეთილსინდისიერებას რომ თავი გავანებოთ, სადაა აქ ლოგიკა ან ელემენტარული გონიერება?! ამგვარი გამოხდომა რა კონტექსტში ენერება „უჩემოდ ვით იმღერეთას“ შხამი თუ არ წამლავს?! კაცი სათანამშრომლოდ მოიწვიო, სიხარულით მიიღო, გული უჩვენო და მადლიერ-

ების ნაცვლად ეგრევე ცილი დაგნამოს, სადაური ზნე და ადათია?! ჩვენს ფილანტროპ ისტორიკოსს ამ ოდიოზურ თავდასხმამდე რატომღაც არ მოაფიქრდა გამოჩენილი ნდობის სანაცვლოდ თავადაც შემხვედრად წამოსულიყო და ვაჟკაცურად შემოეთავაზებინა, არიქა, პატივს რომ მდებთ, მეც თუნდაც მცირედით შემოგეხივებით და სოლიდარობის ნიშნად ჟურნალის რამდენიმე ნომერს შევიძენ, რაც ამ მნიშვნელოვან წამოწყებას სასიკეთოდ წაადგებაო. ცნობისთვის ღირსეული ადამიანები ასე იქცევიან. თითქოს არ სმენია, საქართველოში ეროვნულ საქმეს რომ არასდროს არავინ აფინანსებს და ვინც ამ ურთულესი საქმის ჭაპანს ეწევა, აურაცხელი წინააღმდეგობის პარალელურად საკუთარი ხარჯს გაიღებს იმის მიუხედავად, ეს მის ბიუჯეტს რამდენად თანხვედება. კაცს გულში თურმე რა ჯოჯოხეთის ქვაბი უთუხთუხებდა და ჟურნალის წინსვლის დარდი არ ჰკლავდა სწორედ! ახლა ხომ ღირსია ეს პატივცემული ისტორიკოსი ისე მოვექცე, როგორც იმსახურებს, მაგრამ მისგან განსხვავებით სიცრუეს არ მოვეჭიდები და არც სიტყვას წავიღებ უკან. მის წერილს ჩემი სტატიის თანხლებით გამოვაქვეყნებ, რომელსაც ახლა კითხულობთ, რადგან სიმართლე სიმართლეა და დაე, რაც მოხდა, ყველამ შეიტყოს და განსაჯოს ვინ მართალია და ვინ მტყუანი! სიტყვის გატეხვა სწორედ ისაა, სამეგობროდ განვიდო მარჯვენას თანამშრომლობის ნაცვლად გესლსა და ცილისწამებას რომ შეაგებებ, რაც პირველ რიგში შენვე დაგაზარალებს. ვიმედოვნებ, ბ-ნ ისტორიკოსს სიმართლის არ ეშინია; მხოლოდ სანამ სხვებს დამოძღვრავ და სახელმწიფოებრივ თემამზე მწვავე სტატიებისა და წიგნების გამოცემით ხალხს თავს დაამახსოვრებ, წინ სწორედ ის სიმართლე გადაგელოდება, რომელიც ამტკიცებს, რომ საქვეყნო საქმის საკეთილდღეოდ გამართულ საღვთო ომში საკუთარ თავს აუცილებლად უკადრისი ქმედებით შენვე არ უნდა უმტრო და წირვა არ გამოუყვანო!

პ. ს. დღეს ბ-ნ ოქროპირიძეს თავისი „სიბრძნისთვის“ კომენტარი მიუმატებია, მაპატიეთ, ჩემთან გარკვეულობა ჯობიაო. დიას, „გაურკვევლობა“ რომ არ მიზიდავს, სწორედ ამიტომ გაგეცით საკადრისი პასუხი, რათა ადამიანმა მტერ-მოყვარე ერთმანეთისგან გაარჩიოს და ყველას განურჩეველი აგრესიით თავს არ დაესხას და უმიზეზოდ ის არ დააბრალოს, რაც არ ჩაუდენია! ეგრე არ ხდება, კაცი უცბად, სრულიად უმიზეზოდ გაიმეტო და სხვადასხვა მიზეზთა გამო უცბადვე შეირიგო, აქაოდა, როცა როგორ მომეპრიანება, ისე მოვიქცევიო.

და ბოლოს, ისტორიკოსს, ისევე, როგორც ნებისმიერი პროფესიის გონებაგახსნილ ადამიანს სულხან-საბას გენიალური იგავ-არაკი „ენით დაკოდილი“ წესით წაკითხული უნდა ჰქონდეს, რათა ნათლად გააცნობიეროს, სიტყვას რამხელა ძალა გააჩნია. მისი გამომახილი სახეზეა და ღმერთმა იწებოს სხვასთან იგივე არ დაგემართოთ, გარწმუნებთ, ყველა ჩემსავით არ დაიცავს ეტიკეტს, რაშიც ვერც ვერავინ გაამტყუნებს...

უჩა ოქროპირიძე

აფხაზური პროზაის გაგებისათვის,

1989 წელს გამოცემულ ჰელსინკის ჯგუფისა და წმ. ილია მართლის საზოგადოების საინფორმაციო ჟურნალში „მატიანე“ (№4), რომელიც მთლიანად აფხაზეთის პრობლემებს ეძღვნება, შესავალში ნათქვამია: „ჩვენ მოუწოდებთ ქართველ და აფხაზ პატრიოტებს: გააცნობიეროთ რეალობა, დაუჟკვირდეთ მტრების ფანდებს, რომელთაც ოსტატურად შექმნეს კონფორმაცია ჩვენს ხალხებს შორის, რათა ისინი არ შეერთებულიყვნენ და არ დაპირისპირდებოდნენ მომხდურთ ამ მიწაზე! დროა, გამოვფხიზლდეთ, აღვადგინოთ ძმური ერთობა და შევეუბნოთ ჩვენი ქვეყნების ისტორიულ მტრებს. ასეთი ერთობა ეოცნებებოდათ ჩვენი ქვეყნის რჩეულ შვილებს. ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი დღესაც!“ (ჟურნ. „მატიანე“, №4, 1989, გვ. 3).

სამწუხაროდ, მაშინ ორივე მხარისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა გონიერების ხმის გაგონება, რადგან ეროვნული ძალებიდან მომდინარე ამ ჭეშმარიტად გონივრულ სულისკვეთებას სასტიკად დაუპირისპირდა რუსულ, და უფრო მეტად, საბჭოურ ნიადაგზე ამოზრდილი ბოლშევიკურ-პარტიული საქმიანობისა და იდეოლოგიის პროდუქტი, საბჭოთა ჰომო-სოვეტიკუსური სისტემის ერთგული მსახური და მისი ნების ყურმოჭრილი აღმსრულებელი, ქართველი და აფხაზი ხალხის უბოროტესი მტერი – საბჭოური ნომენკლატურა!

აღნიშნულმა ნომენკლატურამ ყველაფერი გააკეთა ჩვენი ხალხების ერთმანეთისაგან გასაუცხოებლად, ერთმანეთზე წაკიდებისა და მათ მიერ ერთმანეთისადმი უკიდურესი სიძულვილის დასათესად და გასაღვივებლად. შემდეგ კი, საჭირო დროს ხელოვნურად შექმნა მისგანვე მართული კრიზისი და ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ მიუსია გამოსოვეტიკუსებული, ნომენკლატურული კასტისა და მისი სატელიტებისაგან შეგნებულად შეცდომაში შეყვანილი ორი მოძმე ხალხი (გამოსოვეტიკუსებული ნიშნავს ადამიანის ისეთ ფსიქოლოგიურ ტიპს, რომელსაც ყოველგვარი თვალხილული სიმართლის დანახვასა და აღიარებას, ავტორიტარისაგან მოწოდებული და იდეოლოგიურ „პარში“ გატარებული ილუზია და სიცრუე ურჩევნია; ფაქტობრივად ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც ნოდარ ნათაძემ „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა“ უწოდა). ამის მაგალითია ჩვენი თანაცხოვრების საბჭოური პერიოდი და დღევანდელი ვითარება, აღარაფერს ვამბობ რუსეთის ცარიზმის მცდელობებზე...

სწორედ ამ ფენას ემყარებოდა და ემყარება საქართველოში არსებული ყველა ავტორიტარული რეჟიმი. ჩვენდა სამწუხაროდ, აღნიშნული კომუნისტური ნომენკლატურის მმართველობის პერიოდში დაბადებული და აღზრდილია საქართველოს დღევანდელი მოსახლეობის უმრავლესობა და ამიტომაც, ქართული საზოგადოებრივი ორგანიზმი და სახელმწიფოებრივი სისტემაც სუსტია, რადგან ჩანასახოვან მდგომარეობაშია და სუსტია მისი მთავარი საყრდენი, – ქართული სამოქალაქო საზოგადოება. ამ და მსოფლიოში მიმდინარე სხვა პროცესების გამო ქართული სახელმწიფო არსებობას განაგრძობს საკუთარი სუვერენობის მძლავრ მეზობელ სახელმწიფოთა და თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მესვეურთა მიმდღავე-

ბის ფონზე, სადაც მასზე და მის ნებაზე, სამწუხაროდ, თითქმის აღარაფერია დამოკიდებული. მაგრამ, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ასეთი ვითარებაა ძალიან დიდი ხანია; ამ მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა საბჭოთა ეპოქაში, ხოლო მისი უშუალო შედეგები საქართველოში გათვალსაზიარებდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყების დროიდან, რისთვისაც ნიდაგი დიდი ხანია მიზან- მიმართულად მზადდებოდა. ამას სრულიად ადასტურებს ჩვენს მიერ მოხსენებულ ჟურნალში „მატიანე“ თავმოყრილი მასალა აფხაზეთის პრობლემის შესახებ.

მაგალითად, – აფხაზეთის ქართველების პეტიცია სკკპ XXVI ყრილობის პრეზიდიუმს, სკკპ ცკ-ს გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს... სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს. – მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია სიმართლის თქმისა და სამართლიანობის აღდგენის პრეტენზია; – თუმცა კიდევ ამბობს გარკვეულ სიმართლეს, მაგრამ ნაწილობრივ და, ამასთან სამართლიანობის აღდგენისათვის მიმართავს პეტიციაში აღწერილ უმსგავსებათა უმთავრეს სულის ჩამდგმელთ და ამ სისტემის უშუალო შემოქმედთ, საბჭოთა ნომენკლატურული მმართველობის ჩამომყალიბებელსა და მის უმთავრეს ავტორთ. ამიტომაც, მიმართვის ტექსტიც, ისევე როგორც ამ ყალბი სისტემის მთელი მახინჯი ორგანიზმი, აგებულია ყალბ და, რაც მთავარია, არაგონივრულ, უსამართლო ორიენტირებზე. მისი ავტორები, იმის მაგივრად რომ ემხილებინათ საბჭოთა ნომენკლატურული მმართველობის სისტემის მთელი სიმახინჯე, აკეთებენ იმას, რასაც სწორედ ამ სისტემის სიცოცხლის უნარიანობა ემყარებოდა და მისი არსებობის გამართლებას უზრუნველყოფდა, – პეტიციაში წინ წამოსწევინ და საუბრობენ რა იმაზე, რომ „იმ დროს ავტონომიური რესპუბლიკის (აფხაზეთის ასსრ-ს – უ. ო.) უმცირესობის – აფხაზთა (15 %) ხელში იყო ნომენკლატურულ თანამდებობათა ორი-მესამედი... ბრძოლამ „თანამდებობებისათვის“ უმთავრესად ანტიქართული ხასიათი მიიღო... კორუფციის ზრდამ შეუძლებელი გახადა ეფექტური ბრძოლა ვ. კობახიას მფარველობის ქვეშ მყოფ საქმოსანთა და მაქინატორთა წინააღმდეგ...“ და ა. შ. არავის ახსოვს სამშობლოს ინტერესები და არც არავინ ამხელს „გააფხაზებულ ქართველებს“ ნომენკლატურულ თანამდებობებისა და პრივილეგიების მისაღებად გადადგმული ამ ნაბიჯისათვის, რადგან ამავე მიზნისათვის, მათი დიდი ნაწილი, სამომავლოდ თვითონაც მზად იყო ანალოგიური ნაბიჯის გადასადგმელად. არც იმის თქმა და აღიარება სურს არავის, ან კიდევ ანალოგიური მიზეზით, თავშიც არ მოსდით, რომ ყველაფერ ამის სათავეს წარმოადგენს მახინჯი და ბოლომდე კორუფციული სისტემა, რომელსაც თავი სწორედ მოსკოვში ედო. და თუ არა მათი მოსკოველი ნამქვებლები და შემკვეთ-მფარველები, – კობახიები, ჯენიები, არგუნები, კეხირ-იფები და მთელ აფხაზეთში მოქმედი საქმოსან-მაქინატორთა კამპანია, ვერაფერს გაბედავდა; მითუმეტეს, 1977 წლის დეკემბრის წერილით საქართველოს მაშინდელი კპ ცკ-ის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის მიერ აფხაზი ხალხის მიმართ ბერიას პოლიტიკის გაგრძელებაში მისი დადანაშაულება, აფხაზეთის

ასსრ-ს საქართველოდან გამოყოფა და რუსეთის სფსრ-ში შეყვანის მოთხოვნა, თავშიც არავის მოუვიდოდა, თუ არა მოსკოვის კრემლიდან ანდრეი სუსლოვის მსგავსთა მიერ საქართველოს დასაშლელად აშკარა ნამქვებლური, მავნებლური საქმიანობა. სწორედ ამ საქმიანობის შედეგი იყო აფსუა გ. ანშბას მუქარა ქართველების მიმართ – „გეყოფათ აფხაზეთში ცხოვრება, ნადით აქედან, სანამ არ დაგბოცავთო“, გაგრის ქალაქკომის პირველ მდივან კვანტალიანთან დაკავშირებული და სხვა ინციდენტები თუ პროვოკაციები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან აფხაზეთში ქართული მოსახლეობის არარაობრივ ყოფაზე, რასაც ხელს უწყობდა და თავის მხრივ კიდევ უფრო აქვებდა, საბჭოთა ნომენკლატურული მმართველობის უერთგულესი მსახური საქართველოში – ედუარდ შევარდნაძე, – მისი უნიათო და მხოლოდ საბჭოთა ნომენკლატურულ ინტერესებზე გათვლილი ე. წ. დროებით დაშომინების პოლიტიკა, – მეურე კი, თუნდაც ქვას ეთოვა. ამგვარი პოლიტიკა ფაქტობრივად აფხაზეთში აღნიშნული სისტემის მიზნებისა და სურვილების განხორციელებას წარმოადგენდა და ამდენად ქართული სახელმწიფოს მიმართ მოლაღატური იყო.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პეტიცია, დიდ წილად, სავსეა ელემენტარული დასმენებითა და ყალბი პათოსით კომუნისტთა მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევათა შესახებ, რომელთა მთავარი მიზანიც ტომობრივი ნიშნით, ამა თუ იმ ნომენკლატურული თანამდებობის მოპოვება იყო; მაგრამ ყველაზე ამაზრზეუნი იყო და ურთიერთ სიძულვილის გამღვივებელ მთავარ სტიმულატორს წარმოადგენდა ის, რომ ვინმეს მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლა საერთოდ არ აინტერესებდა და თანამდებობრივ სავარძელში აბობლების შემდეგ, თავადაც სიამოვნებით განაგრძობდა საქმოსნობასა და მაქინატორობას. და წარმოიდგინეთ რა მორალურ-ზნეობრივი ატმოსფერო იქნებოდა ამ ასპარეზზე, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს „მრავალ-რიცხოვანი საჩივრები გაგზავნილი ზემდგომ ორგანოებში, გარჩევისა და რეაგირებისათვის იმავე ხელმძღვანელებს უზრუნველბოდათ, რომელთაც მშრომელნი უჩივან. საჩივართა სამართლიანი განხილვის ნაცვლად, „მომჩივანნი“ ახალი დევნის მსხვერპლნი ხდებიან, მათ ეროვნულ და ადამიანურ ღირსებას აბუჩად იგდებენ და ცინიკურად ეპყრობიან“ – აღნიშნულია პეტიციაში (იქვე, 17).

ასე, რომ დაშვებული იყო ყველაზე ცინიკური და ადამიანობის შეურაცხყოფელი მეთოდები, „დახურულ კასრში კაციჭამიას გამოსაყვანად“. ხოლო ამ საქმის „მეცნიერულ დონეზე“ შემზადებას ემსახურებოდა კუზნეცოვის (1922 წ.), აშხაცავას (1925 წ.), ფაჩულის (1968 წ.), ინალ-იფას (1965, 1976 წლების), ვორონოვის (1978 წ.), ტრაპეზნიკოვის (1979 წ.) ნაშრომები და მათი პრაქტიკული საქმიანობა (აფხაზეთის ქართველთა პეტიცია... გვ. 6-20). ქართველი სპეციალისტების კრიტიკისა კი ვორონოვ-ტრაპეზნიკოვებსა და კამპანიისა არ ეშინიათ, რადგან მათ იციან, რომ „ამგვარ საკითხებზე მსჯელობისას ისინი დუმილს ამჯობინებდნენ... (ბაქრაძე აკ., რუსთა მეც-ნიერება და ქვათა ლაღადი, – უმცერება თუ პროვოკაცია?, ჟურნ. „მატიანე“, იქვე, გვ. 21-28). პირიქით, ერთ-ერთი მათგანი, საქართ-

ველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი გურამ მამულაია რედაქტირებას უკეთებს და ვიზას აძლევს ასეთ საქართველოსათვის მავნე შინაარსის წიგნს საქართველოში.

სიმართლეს თუ ვიტყვით, საბჭოთა ნომენკლატურული სისტემა ანალოგიურ პოლიტიკას ატარებდა აჭარის ასსრ-შიც; აქაც ცდილობდნენ ხელოვნურად გამოეწვიათ და გაეღვივებინათ ერის შიგნით დაპირისპირება და ანტაგონიზმი. ამგვარი წერილები-დასმენებით მანიპულირების შედეგად უზრუნველყოთ ურთიერთ გაუცხოებისა და მძულვარების ატმოსფერო. ამავე მიზანს ემსახურებოდა აჭარაში ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში შექმნილი ე. წ. „გარდაქმნის ხელისშემწყობი აჭარის საზოგადოება“ (გხას-ი); თუმცა საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა გაქანებამ მათ ლიდერებზეც მოახდინა გავლენა და ზოგიერთთან უშუალო კონტაქტების შემდეგ მოხერხდა მათი აქტივობის განეიტრალება და ეროვნული იდეალებისადმი სიმპათიით განწყობაც კი, – თუმცა მათ-შიც იყვნენ ისეთები, რომლებიც „თავიანთი საქმის“ ბოლომდე მისაყვანად უკან არაფერზე დაიხვედნენ და მზად იყვნენ შენირვოდნენ ნომენკლატურული სისტემისადმი ერთგულ სამსახურს, მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა, მათ ამის საშუალება, საბედნიეროდ, არ მიეცათ. ამის ერთ-ერთ მიზეზად ჩვენ ისიც მიგვაჩნია, რომ ისინი ჯერ კიდევ ქართულად ფიქრობდნენ და აზროვნებდნენ და მიუხედავად უპირობო მოვალეობისა, შეესრულებინათ უეროვნებო ნომენკლატურის დაკვეთა, მაინც, (შეიძლება ეს მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ქვეშეცნეულად მოხდა) საბოლოოდ ვერ გაიმეტეს თავიანთი მშობლიური გარემო, რომელშიც ისინი ამ ენაზე ოპერირებდნენ. ენა რომ ერის სულიერი გამოხატულების რეალური ფაქტორია, ამას გვაფიქრებინებს უტყუარი ფაქტები: 1956 წლის მარტსა და 1978 წლის მაისის ამბების დროს, ქალაქ ბათუმში მიუხედავად სტუდენტური მოძრაობის საკმაო გაქანებისა, ორივე შემთხვევაში საპროტესტო მანიფესტაცია-მიტინგებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს მხოლოდ რუსული ფაკულტეტის სტუდენტებმა, (ბიბლიეიშვილი ი., საქართველოსათვის, ბათუმი, 2011, გვ. 16; მეგრელიძე რ., 1978 წლის 26 მაისი ბათუმში, ბათუმი, გამოც. „აჭარა“, 1997, გვ. 9) რამაც რუსული ენა წარმოაჩინა როგორც იმპერიული სულისკვეთებისა და განწყობილების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, ამხილა მისი შინაგანი იმპერიული ბუნება. ამან კი, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „ენა ქვემარტი სულია ერისა“ ... მაშინდელი აფხაზეთის ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი ფაქტობრივად გარუსებული იყო და მშობლიურ ენაზე აღარ საუბრობდა. ხოლო ვორონინ-ტრაპეზნიკოვების მოსმენამ თუ სადამდე მიიყვანა საქმე, ეს დღეისათვის ყველასათვის ნათელია. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, ქართული მხრი-დანაც არ ისმოდა განონასწორებელი, საერთო საქმის სასარგებლოდ მომართული გონიერების ხმა, თუ არ ჩავთვლით აღნიშნული ჟურნალის „მატიანე“ შესავალ წერილში, „აღდგეს ერთობა“ დაფიქსირებულ ჯანსაღ პოზიციას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კრებულის შემადგენლობა და შინაარსი ნაკლებად პასუხობს წერილში დაფიქსირებულ

მიზანდასახულობას და პრობლემათა გადაწყვეტის რეალურ გზას... „აფხაზი“ ავტორებისთვის კი ბედის, მოქვის, დრანდისა და ლიხნის კულტურულ ძეგლთა კუთვნილების დასადგენად გადამწყვეტი აღმოჩნდა „ბებია ასინეთის მონათ-ხრობი“, რომელიც თურმე ამ ტაძრებს ხშირად იხსენიებდა „აფხაზურ ძეგლებად“ (ლორთქიფანიძე მ., ცნობა თუ დეზინფორმაცია?, ჟურნ. „მატიანე“, იქვე, გვ. 30). ასე, რომ აქ ქართულ-აფხაზური ნომენკლატურული კლანის მესვეურთა ფანტაზია ძალიან შორს იყო წასული და საკუთარი ყალბი არგუმენტების გასამყარებლად, როგორც ჩანს, ყველაფერი დაშვებულია. მაგრამ ვისაც სიმართლის დანახვის ელემენტარული სურვილი გააჩნია, მისთვის ყველაფერი ნათელია, საესებით ზედაპირზე დევს და მორწმუნე ადამიანს მისი აღქმა არ უნდა გაუჭირდეს; მაგრამ ნომენკლატურული კლანის ყოვლისშემძლეობის ილუზიით გაბრუნებულ მის ელიტას საკუთარი ფიზიკური და მატერიალური შესაძლებლობების უფრო სჯერა, ვიდრე თვალხილული ქვემარტივების და ჯიუტად აგრძელებს სატანის მსახურებას, რაც საბოლოოდ მათი მხილებითა და საკუთარ თავზე ლეთიური მსჯავრის მონევით დასრულდება. აფხაზი ხალხის ქვემარტი შვილები კი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის მემკვიდრის გიორგი შერვაშიძის სახით, თავიანთი ეროვნული თვალსაწიერის კავკასიურ ჰორიზონტს ასე აღიქვამენ: „მართალია, ჩვენს სამშობლოს ივერიას ყოველგვარი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისე გაშუქდა, რომ დაგვებნა ეროვნული ევოლუციის შარა და კანონი... დიახ, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, ილბლის უკულმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით დღეს; ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეში. მას მერე, როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარაბით, მოვიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდე, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა. შემდეგ კი უკულმართად დატრიალდა ერის არსება, შემოსული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვითარსებობისა; ენა გაღარბდა, ზნეობა ნაგვისადა, ღონება-შეძლება დაეკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მოვალნიეთ ამ ხანაში, როცა კეთილდღეობას ვპოვნით ჯაშუშობასა და სამშობლოს მტრობაში“ (შერვაშიძე გ., ლირიკა, ეპოსი, დრამა, სოხუმი, 1946, გვ. 18-19; ბაქრაძე აკ., იქვე, გვ. 28).

აი, ამ გარემოს წარმომადგენლად მიაჩნია თავი აფხაზთა უკანასკნელი მთავრის პირდაპირ შთამომავალს (და ეს, როგორც მისი ნააზრევის კონტექსტიდან ჩანს, ეამაყება კიდევ – უ. ო.) გიორგი შერვაშიძეს, უხსოვარი დროიდან იმ ეპოქის ჩათვლით, „როცა რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მივალნიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობას ვპოვნით ჯაშუშობასა და სამშობლოს მტრობაში“, ანუ ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებულ რუსული იმპერიალიზმის განახლებად ფორმათა ნომენკლატურულ მსახურებაში. გიორგი შერვაშიძე, გრძნობდა რა ყოველივე ამას, იქვე იმასაც გვეუბნება, რომ „თუ ქართვე-

ლი ერი მთლიანად არ გადაშენდა, შთამომავლობა და მომავალი ჩასთვლის ჩვენს დროს გონების უმნიფარ ხანად“ (იქვე). გიორგი შერვაშიძის ამ სიტყვების დადასტურებას წარმოადგენს აღნიშნულ კრებულში მოცემული, თითქმის, მთელი მასალა.

აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ აფხაზეთში ჩვენ, ქართველებს აფსუებზე მეტად გვმტრობენ „გააფხაზებული ქართველები“, რომლებიც აფხაზეთში, სწორედ ნომენკლატურული პრივილეგიებისა და თანამდებობების მისაღებად „აფხაზებად“ ჩაენერნენ; ამიტომაც აფსუებისათვის ყოველთვის უნდა ემტკიცებინათ, რომ ისინი მათზე ნაკლები „აფხაზები“ არ იყვნენ. და კიდევ – მათ მიერ ამის დასამტკიცებლად ჩადენილი ანტიქართული ქმედებანი, სმირ შემთხვევაში, უკან, მშობლიურ ნიაღში დაბრუნების ყოველგვარ შანსს უსპობდა, რადგან მათი ამ გზით წამყვანი ძალის მიერ ყველაფერი თავიდანვე ასე იყო ჩაფიქრებული. სწორედ ამ ძალის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად ისინი კი არ „გააფხაზდნენ“, არამედ განომენკლატურდნენ, რაც მათი გარუსების წინაპირობად იქცა და ამ გზაზე აფსუათა მნიშვნელოვანი ნაწილიც გაიყოლიეს (ნომენკლატურული კლანის შემადგენლობაში ეროვნული ბალანსის დაცვა ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა – უ. ო.).

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის პრობებში, მათივე აზრით, მათ მიერ ჩადენილი საქმეების გამო, ამ კლანს უკან მოსაბრუნებელი გზა მოჭრილი ჰქონდა, თანაც მათი ანგარებით ჩადენილი ქმედებების მხილებისაც სასტიკად ეშინოდათ და ეშინათ დღესაც. ამიტომ, მათი პატრონის შთაგონებით, ამ ადგილობრივ ნომენკლატურულ კლანს მომავალი მხოლოდ რუსეთის მიერ კონტროლირებად „აფხაზურ ანკლავში“ წარმოუდგენია და საკუთარი „პრესტიჟული არსებობის“ შესანარჩუნებლად მათთვის ერთადერთი გზა აფხაზეთში რუსული ინტერესების დაცვა და განმტკიცებაა. მაგრამ ამ საკითხში ისინი ისე შორს არიან წასულნი, საქმის ბოლომდე მისაყვანად, თანახმა გახდნენ გარუსებაზე, – რადგან თუ აფსუური სახელმწიფოს სამენ მასალად გადაიქცევიან, მაშინ კიდევ ერთხელ, უარი უნდა თქვან უკვე მომხდარ საკუთარი გარუსების ფაქტზე და გააფსუდდნენ; რაც, რუსული სახელმწიფოს დომინირების პრობებში, მათი აზრით, უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ამასთან ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოზე მეოცნებე ნამდვილი აფსუებისაც ეშინათ, რადგან ასეთ პოზიციას ისინი ღალატად ჩათვლიან. თუმცა ეს ბრალდება, ამ „დღევანდელ ღამურებს“, საბოლოოდ მანაც არ ასცდებთ, რადგან „არა არს საიდუმლო, რომელიც არა განცხადდეს“. იციან რა ესეც, ამიტომაც თავიანთ ერთადერთ ხსნას ისინი მათი „სულის მყიდველ“ რუსეთში ხედავენ. მაგრამ, მათა სამსუხაროდ, მათ არ იციან თუ რა დასჭირდება რუსეთს მომავალში (აქამდე თუ რა სჭირდებოდა რუსეთს მათგან, ამას, მგონია, საქართველოში ქართულ-აფხაზური ნომენ-კლატურა უკვე მიმხვდარი უნდა იყოს და ისიც გაითვალისწინოს, რომ მათი რესურსი უკვე მიღვეადა – უ. ო.).

ამიტომაც, ამ საბოლოო გადაწყვეტის პერსპექტივას, ხომ არ აჯობებდა, რომ აფსუებთან ერთად, თავიანთ

თანამომხე ქართველებთან ურთიერთობის მოგვარებაზე ეზრუნათ? მითუმეტეს, ჩვენ კარგად გვესმის მათი როგორც ადრინდელი, ისე დღევანდელი პრობლემები და არც არფერში ვადანაშაულებთ. ზემოთ მოტანილი მკვეთრი გამოთქმები და ცნებები კი იმისათვის მოვიხმეთ, რომ მათი დღევანდელი მდგომარეობა, მათთვისვე ნათლად დაგვეჩვენებინა. ჩვენთან მათ, ნორმალურ პირობებში, არავითარი სერიოზული პრობლემა არ ჰქონიათ და არც არასდროს ექნებათ. ამიტომაც სასწრაფოდ შევამზადოთ ნიადაგი ურთიერთ მოსალაპარაკებლად და გონივრული კონსესუსის ნიადაგზე რომ არ გადაიჭრას, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენს შორის ისეთი პრობლემა არ არსებობს. ხოლო თუ სადამდე მიდის უეროვნებო ნომენკლატურის ცინიზმი და მანქურთული დამოკიდებულება მშობელი ერისადმი, ამის მაგალითად კმარა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების შეფის ალექსი ინაურის პასუხი 1956 წლის მარტის მოვლენებზე. როდესაც მას შეეკითხნენ, – რატომ გამოიყენა სამხედრო ძალა უიარაღო მანიფესტანტების წინააღმდეგ, მათი დაშლა ხომ სახანძრო მანქანიდან მიშვებული წყლის ჭავლითაც შეიძლებოდა, – მან ცინიკურად უპასუხა: „ჩვენ რომ სახანძრო რაზმის შლანგებით წყალი მიგვესხა დემონსტრანტებისათვის, ისინი გაცივდებოდნენ და ფილტვების ანთება დაემართებოდათ!“ [საქართველოს მოამბე, № 2, 1977, გვ. 32 (ეს ნომერი ძირითადად ეძღვნება მესხთა რეპატრიაციის პრობლემას)] აი, ამის მსგავს პასუხს უნდა ველოდეთ მომავალშიც, თუ ვინმე საქართველოში ამ „რუსული რულეტის“ აქტივობა საქმიანობას მოიკითხავს.

აქვე მინდა აღვნიშნოთ, რომ, სხვათა შორის 1989 წლის 9 აპრილი იყო გარდამტეხი პუნქტი და ქართველი ხალხის ღირსეული პასუხი ქართული ნომენკლატურული კასტის კოლაბორაციონისტულ და საკუთარი ხალხის მიმართ მოლაღატურ საქმიანობაზე. ამიტომაც, შეაფასა საქართველოს ეროვნულმა გმირმა მერაბ კოსტავამ 9 აპრილის აპოგეა ასე: „ეს არის წამი უფიადესი...“ და უნდა ვიცოდეთ, რომ ამ წამის შემდეგ, – მიუხედავად უამრავი შინაგანი პრობლემებისა და ახლის შობასთან დაკავშირებული ტკივილებისა, ქართველი ერი დაუბრუნდა ტაძრისკენ მიმავალ გზას. მან ამ დღეს აჩვენა, რომ შეიგნო თავისი ღვთაებრივი მისია და დაღუპულ გმირთა წმინდა სისხლით აკურთხა იგი. აქედან იწყება გასაგნებული სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლაც საქართველოში წარმავალსა და მარადიულს შორის. ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი სამშობლო არ დაუშვებს ამ ბრძოლაში დამარცხებას, რადგან ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყველაფერი ისე უნდა გავაკეთოთ, თამამად გვეთქმოდეს: „ჩვენთან არს ღმერთი!“, ანუ სიმართლე. სწორედ ამას ნიშნავს 9 აპრილის იდეალების სამსახური, რომელმაც აუცილებლად ტაძართან უნდა მიგვიყვანოს. ამიტომაც აფხაზური პრობლემის მოგვარება ორივე მხარემ 1991-1992 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დრომდე არსებული ვითარებიდან უნდა დავიწყოთ, როდესაც ეროვნული იდეალების მატარებელმა ხელისუფლებამ შეძლო გარდამავალ პერიოდში მიღწეული კონსენსუსების გზით აფხაზურ მხარესთან მდგომარეობის ნორმალიზება და მისი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს აღმშენებლობით დაინტერესება.

დალი ყარაულაშვილი

ერთმანეთს ვეფაროთ დილიდან დილაამდე

(ჩემს მეუღლის, რამაზ ბერაძის ხსოვნას)

მე ისევ გაგიშლი ქათქათა სარეცელს,
 სიზმრად მომიყევი გრძნობებზე არაკი,
 ვაიმე! დევებმა ხარხარით დალენეს,
 ოცნებით ნაგები კოშკი და ქალაქი.
 ვერც შენი, ვერც ჩემი, გული ვერ დამშვიდდა,
 ერთმანეთს შევასკდით ბობოქარ სულელებით,
 არვინ დაგვაზავა ჟანგისფერ ცხადში და...
 არავინ არ ნუხდა ჩვენ გამო სრულელებით.
 შეცდომებს გვიქებდნენ ამ ქვეყნის ფლიდები
 და ასე მივედით საღათას ძილამდე,
 ახლა გვიანია, ვხვდები, რომ მჭირდები,
 დილიდან ღამემდე, ღამიდან დილაამდე...
 მე ყოველ საღამოს გაგიშლი სარეცელს,
 სიზმრებში მოხვალ და დაღლილ გულს გამიხსნი,
 შევაკონინებთ ოცნების ნალენებს,
 გრძნობების ფილა ჩავცალოთ, დამისხი!
 ახლა ვერაფერი ვერ გვიშლის ერთობას,
 გეხები, მეხები, საზღვარი არც არის...
 თუმცა ბედისწერა ყოფაზე ერთობა,
 გიყვარდეს ყოველი, რაც იყო, რაც არის...
 ჭიქაში ლიცლიცებს მაცდური არაყი
 და ეს ღამეებიც, სავსეა ლექსებით,
 გაგვიქრა სიცოცხლე, სიზმარში ნანახი,
 მელოდე! ჩემს სხეულს ნელ-ნელა ვეცლები...
 და სანამ შეგხვდები, კვლავ გავშლი სარეცელს,
 ჟანგისფერ ცხადში და ჩვენს ნათელ სიზმრებში,
 შევაკონინებთ ერთურთის ნალენებს,
 ამერს დავტოვებ და მეც მოვალ იმერში...
 აქ იქილიკებენ, ხომ იცი, ფლიდები,
 რალა გენალვლება, შორია მინამდე,
 გისრულე სათხოვარს, ვლრიალებ: – მჭირდები!
 დილიდან ღამემდე! ღამიდან დილაამდე!
 გისრულე სათხოვარს, – „ამცნეო ქვეყანას,
 თუ როგორ გვიყვარდა ერთურთი ძალიან“,
 ჩემს ცაზე, განგებამ ღრუბლები შეჰყარა,
 შენს ცაზე ლაყვარდის ნათელი ალია,
 მიყვარდი! მიყვარხარ! შევძარი სამყარო...
 ნელ-ნელა ქრები და დღეს ასტრალს სცილდები,
 სიზმრიდან ჩურჩულე: – „შენ მაინც სხვა ხარო“,
 სადა ხარ?! ძირფასო, წყალივით მჭირდები!
 მე ისევ გაგიშლი ქათქათა სარეცელს,
 თოვლივით ქათქათას, ჟანგისფერს კი არა,
 დაბრუნდი! ვეფეროთ, სულს, დაშლილს, დალენილს,
 უნდა მოგიშუშო კვლავ ყველა იარა,
 შემპირდი გასვლას და... ასრულე პირობას,



ეგ სული ბოთლიდან ჯინივით ამოძვრა,
 ხმამალა არ მითქვამს, გული სულ ტიროდა,
 ცხოვრების სცენაზე ვთამაშობ ამორძალს.
 ამორძალები ხომ არავის სტირიან,
 მე კი სულს და სხეულს ჩავაცვი ძაძები,
 ხრამში გადაჰყევი ფეხნალრძობ ღვინიას,
 ქალებს არ ტოვებენ რაინდი კაცები!
 დაბრუნდი! დაბრუნდი! თუნდ სხვა წრე-ბრუნვაში,
 სხეული მივიდა საღათას ძილამდე,
 სული კი ჩემია, ცხადში თუ ბურანში,
 ვეფეროთ ერთმანეთს დილიდან-დილაამდე...
 მე ისევ გაგიშლი ქათქათა სარეცელს,
 სიზმრად მომიყევი გრძნობებზე არაკი,
 ვაიმე! დევებმა ხარხარით დალენეს,
 ოცნებით ნაგები კოშკი და ქალაქი..

2016. 17. 06

გამახსენდა....

(ედვენება 9 აპრილს დაღუპულ გმირებს)

ღამეს ცეცხლი ნაუკიდა აღმა სანთლის,
 გამახსენდა, ქალ-ვაჟები სასახელო,
 თვით უფალი ულიმოდა დიდი მადლით,
 ულიმოდა, მუშტად შეკრულ საქართველოს!
 გამახსენდა სიმღერები მაჩაბელის,
 ყმანვილების დანთებული ტამ-ფანდური,
 ჰანგი, ქართი მონაქროლი დანაბერი,
 ქართულ ცაზე მთვარე თეთრად გაბადრული.
 გამახსენდა, ნალვლიანად მომზირალი,
 პატრიარქი, შუბლშეკრული, ცრემლმომდგარი,
 საქართველო, გველეშაპთან მორკინალი,
 მახსოვს ქაშვეტს ზარი როგორ შემოვკარით

მახსოვს ლოცვა, ვარსკვლავებში გაფანტული,
გავაცოცხლეთ, დავითი და თამარ ქალი,
თურმე ჩემად დაგვტიროდა გაზაფხული,
ჯვარი გვექონდა გოლგოთამდე ასატანი.
სიმღერებით შევეუყვეით ზეცის კიბეს,
ავენტეთ და კახურ ღვინომ იკახურა,
მიამიტად მივადექით კლდეთა კიდეს,
მერე მტერმა სულში ტორი გვიფათურა.
არ გვეჯეროდა, უსამართლო გამეტების,
ჩექმის ქუსლით ჩალენილი ღიმილები,
ვლალადებდით: – „ღამევ! ნულარ გათენდები!“
ვის ახსოვდა, ან ვინ იგრძნო ტკივილები?!
გამახსენდა... სისხლი მიწას დანთხეული,
ცას შეუყვინენ, ქალ-ვაჟები სასახელო,
ჩითის კაბა, ნიჩბის პირით დახეული,
თვით უფალი დასტიროდა საქრთველოს!

9 აპრილი 2016 წელი

გალაკტიონს

ის ჯვარს ინერდა იმ ღამეს ვიცით
და მესაფლავეც მიწას თხრის ისევ,
შენ კი სადა ხარ?! კაფეში მარტო,
ვილაც მესამე კვლავ ჭიქას გივსებს.
სადა ხარ?! ლურჯა ცხენების რემა,
თავანყვეტილი ქუჩებში დაჰქრის,
ამოვარდნილი მუზების ქარი,
შენს იისფერ თოვლს სახეში მაყრის.
ისეთი დიდი იყავ მიწისთვის,
ვერ შეგწვდა მოკვდავ კაცთა გონება,
ველარ გაბედა განგებამ ისევ,
მეორედ შენი გამეორება.
გალაქტიკაში დაჰქრისხარ სულად,
და ეგებები ვარსკვლავთ სამყაროს,
ეგება გახსნა საზღვრის კარები
და ეგ მუზები შემოგვავარო.
მინდა დავინვა შენეულ ცეცხლით
და შენი მსგავსი გრძნობის ალებით,
რომ ამოსუნთქვას ამოჰყვეს ლექსი
და მოვკვდე შენი გარდაცვალებით.

2012 წელი

იქ, იმ ბიჭებთან, იმ ბავშვობაში

ვინრო ქუჩები, ავლაბრის ეზო,
დრო, როცა მუდამ თამაში მსურდა,
გარიკა, თემო, გოჩა და რეზო,
გურგენა ძიას მაღალი თუთა.

უბანი უბანს ფეხბურთში ინვევს,
ვიყავ ბიჭების ტოლი და სწორი,
სხვაუბნელებზე საცემრად ვინევ,
როგორ მოგვიგეს ჩვენ ხუთითნოლი.
დალაგებული კაკლების მწკრივი,
დღეს ორიანი მთხლიმა რუსულმა,
მაგრამ რა უჭირს, ხმამალა ვკივი,
კაკალს შიგ თავში ვლენე ცუცურმა.
გურგენას თუთით დასვრილი პირი,
იქ, კენწეროში, ჩიტივით რწევა,
ვერავინ ბედავს თქვას ჩემზე ძვირი,
ყველა თამაშში პირველი მე ვარ
და ქალაბიჭა, შავტუხა გოგო,
ცუდი ბიჭების რისხვა და მეხი,
ო, ის დღეები მიყვარდა როგორ,
იქ, იმ დღეებში ავიდგი ფეხი.
მახსოვს კოცონი, ასული ცაში
და მეც ვეხვევი კოცონში ალად,
მერე გამურულს მომიძღვენს ტაში,
ვერ იქცევით ვერასდროს ქალად.
მათ რა იცოდნენ, ტოტებზე რწევამ
და სააღდგომო ჭია-კოკონამ,
ცუდი ბიჭების მუშტებით ცემამ,
რომ გამომანართო ჩია გოგონა.
მათ რა იცოდნენ, ბიჭებთან გაზრდილს,
წვივს რომ მიწვავდა ლახტის ქამარი,
ვით გაზაფხულზე მაისის ვარდი,
გაცოცხლდებოდა ჩემში თამარი.
დღეს გეჯიბრებით ვაჟკაცობაში,
ეკლიან გზებზე ვიცავ ქალობას,
იქ, იმ ბიჭებთან, იმ ბავშვობაში,
ვისწავლე ჩემი ამორძალობა.
ეჰ, გაფრენილო ბავშვობის წლებო,
ვისხენებ გოჩას, თემოს და რეზოს,
მუდამ ქოთქოთა სალომე ბებოს,
ჩემით აკლებულ პატარა ეზოს.
ვისხენებ ყველას, ფაცოს და ვოვას,
ნანას, ნონას და პატარა ნინოს,
მამის მარანთან ყურძნების გროვას,
შიშველ ფეხებით დანურულ ღვინოს.
დილაადრიან თამარას კვილს
და გიჟი ზაზას ლანძღვას და წყევლას,
თურმე ქალებმა გამართეს კრივი,
მერე ვილაცას დაარტყა წნევამ.
სად იყო ჭორი, სად იყო შური,
კამფეტებს გვაცარის კატუშა ბებო,
კარტში ნაგებულს ნავუსვით მური,
ეჰ, გაფრენილო ბავშვობის წლებო.
იქ, იმ ბიჭებთან, იმ ბავშვობაში,
ვისწავლე თავის დაცვა, გატანა
და დღეს, გარშემო, მგლების ხროვაში,
უხმლო-უფაროდ ვებრძვი სატანას.

2012 წელი.

ნინო ბაქანიძე

თავაზი ლამისყანაში

ლამისყანის დიდებული ციხე-სასახლის სასტუმრო დარბაზს ბეკერის როიალი ამშვენებს. აი, სასახლის დიასახლისიც. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი ნელი ნაბიჯით უახლოვდება ინსტრუმენტს. შუადღეა. ზაფხულის პაპანაქება სიციხეში სასახლეს თითქო მისძინებია. ფრინველთ ჭიკჭიკიც კი არსაით ისმის. მსახურები დუნედ, უჩუმრად მიდი-მოდიან ვრცელ, ნათელ დარბაზებში. დრო ჯერ კიდევ ბევრია. ჯამბაკურ-ორბელიანები მხოლოდ საღამო ხანს ელიან სტუმრებს. თუმცა ეს ჩვეული თავყრილობა როდი იქნება. მასპინძლებიც და მოწვეული რჩეული საზოგადოებაც (რომელიც ახლა ალბათ უკვე გზაშია!) გაზაფხულს აქეთ „მეფე ლირის“ დასადგმელად ემზადებიან და ზაფხულის ხვატში, აგარაკებზე გაფანტულთ, მორიგი რეპეტიცია სწორედ ლამისყანის სასახლეში დაუთქვამთ.

ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანს მეუღლის, უმშვენიერესი ქალბატონის, ეკატერინე ილიინსკაიას გარდაცვალების შემდეგ, განსაკუთრებულად შეჰყვარებია სიძის, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მამული. მარტოდმთენილი, უკვე ოთხი წელია, ქალაქის სახლ-კარს გულს ველარ უდებს. ამ კომპანია სოფლის მყუდრო გარემოში კი ჰპოვებს იგი სულიერ სიმშვიდეს. სასახლის ფართო აივნიდან გამუდმებით გაჰყურებს ქსნის თვალწარმტაც ხეობას. აქედან კარგად მოსჩანს ტრაგიკული ბედის მქონე პოეტის, დავით გურამიშვილის სიმაღრის, ნიკოლოზ გარაყანიძის ნამოსახლარიც, სადაც შემდგომ ერისთავები დამკვიდრებულან. ვახტანგს გული ეწურება, როცა იხსენებს სოფელში გაგონილ ამბავს დავითის მეუღლის, ქეთევანის ტრაგიკული აღსასრულის შესახებ. ქალმა თურმე ხელმეორედ გათხოვებას სიკვდილი არჩია და ერთ საღამოსაც მსახურებს იგი მარანში ჩამომხრჩვალა უნახავთ. ვახტანგისთვის ისიც უამბნიათ სოფლის მოხუცებს, გარაყანიძეების ნამოსახლარს დიდი ხნის მანძილზე დაწყევლილ ფუძედ რომ თვლიდა ხალხი. დედამთილები თურმე საგანგებოდ აფრთხილებდნენ ახალმოყვანილ რძლებს, საღამო ხანს არ გაევილოთ იმ მიდამოებში...

– თუ კიდევ გამიჭრა კალამმა, აუცილებლივ დავწერ რამეს მათ ტრაგიკულ სიყვარულზე, – ფიქრობს ვახტანგი. – მაინც, რა ღმერთი მიწყრება. კატინკას მერე ველარაფერი მოვუხერხე თავსა. ილიაც სულ მაგულიანებს, უნდა, ახალი კრებული გამოვცე, შესავალ წერილს მე წაგიმძღვარებო, მეუბნება. დარწმუნებული ვარ, საღამოთი რო მოვა, იგივეს დამიყინებს. ჩვენებაც სულ ჰკვირობენ, ქალაქში თუ არა, აქ მაინც როგორ არ გენვია მუზაო. – ვახტანგს მწარედ ჩაეცინება – კატინკას გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე რომ დავწერე „კიდევ კახეთს“ , ეგ



იყო და ეგა, დამიჩლუნგდა კიდევ კალამი. – მსცოვანი პოეტი თითქო საკუთარ თავს აგულიანებსო, ხმადაბლა შეუდგება ლექსის კითხვას:

„ალარ მეღირსა, მშვენიერო ჩვენო კახეთო, რომ გომბორის მთით შენს მშვენებას კვლავ გადმოვხედო, დავემო დაბლა, შენს ნალკოტებს ჩამოვუარო და იმათ ჩრდილში განვისვენო და განვიხარო!... ნუთუ ჩავიდე ისე საფლავს და დავიძარხო, ჩვენო კახეთო, მშვენიერო, რომ ველარ გნახო?!“

ვახტანგ ორბელიანს ლექსის კითხვას ფორტეპიანოს ნარნარი ჰანგები აწყვეტინებს. – ვენაცვალე, ჩემს მარიამსა, ჩემს ნუგეშსა და იმედს. – მოხუცს სიამოვნებით ელიმება. – ცოტა დროით კიდევ დავყოვნდები აივანზე. მეტისმეტად კი ჩამოცხა, მაგრამა ხელს არ შევუშლი, დაუკრას, გულს გადააყოლოს. ეგეც ძლიერ დამეტანჯა. დედის დაკარგვას სხვა პირადი განსაცდელიც დაერთო ზედა. კიდევ კარგი, უმტკივნეულოდ მომთავრდა ეგ საქმე... ჰმ, გარეგნულად მაინც. აგე, დღესაც ხომ ველით პეტრეს მობრძანებასა. ეგრე სჯობს, ეგრე! დე, მეგობრებად დარჩნენ. ღმერთმა უშველოს ჩემ სიძეს, ჩემ საშიკოსა! დიდი ბუნების ადამიანია... არა, არა, სად პეტრე გრუზინსკი და სად ალექსანდრე ორბელიანი?! – ვახტანგი ამაყად სწორდება წელში. მერე კვლავ მოგონებებს მიეცემა -

– მახსოვს, მარიამმა ბარე ოთხჯერ მაინც გაისტუმრა უარით საშიკო და მაინც ეგა ყოფილა მაგისი ბედი. შვილები მისცემოდათ, კარგი იყო, მაგრამ ჯერაც არ არის გვიან... საღამოსთვინ ალექსანდრეც ხო დაბრუნდება ატენიდან და კარგ დროებასაც გაავატარებთ. ეეჰ, მაგისი გაჩერებაც ხო არ იქნება. განა რამხელა ამაგი დასდო თავის სოფელ-

სა, სკოლა გინდა, ფოსტა თუ საიქიმო პუნქტი. ამ ცხენსაშენსაც ლამის გადაჰყვეს ზედა. ღმერთმაც ხელი მოუმართოს!... ისე ჩემი მარიამიც არ უდებს ტოლსა, როდი ითაკილა სოფლის სკოლაში მასწავლებლობა, ახლა როგორ ყვარობს ბავშვებსა, ან რარიგ ზრუნავენ ორივენი ღარიბ-ღატაკებზე და განა მართო იმათ ლუკმა-პურზე?! წარმოდგენებსაც კი უმართავენ სასახლეში, გლეხები და ბაღლები გავართოთო, ჭირ-ვარამი შევუმსუბუქოთო. ჩემი მარიამი ჯავრების გასაქარებლად საზღვარგარეთ რო გაგზავნა, კიდე იმის ძალა ჰქონდა საშუალო, გიორგი ერისთავთან და იმის ლიზასთან ერთად სპექტაკლები მოეწყო ხალხისათვის... ჰოდა, ტრადიცია გრძელდება. ვნახოთ, ვნახოთ, რა გამოვა ილიას წამოწყებიდან. როგორ კარგადაც თარგმნეს მაგან და მაჩაბელმა „ლირი“ , ისე ღირსეულადაც უნდა დაიდგას... ესხა კი შევიდე, დროა, მოვესიყვარულო ჩემს მარიამსა.

ვახტანგი ნელა წამოიმართება სავარძლიდან. ერთხელაც მიმოავლეს თვალს ქსნის ხეობას და... კვლავაც ადგილზე რჩება. ბუნების სიტურფემ ახლა ოჯახის მეგობრის, ან გარდაცვლილი მარიამ ერისთავის ლექსი „ლამისყანა“ მოაგონა, მათთან სტუმრობისას აქვე, ამავე აივანზე რომ შეეთხზა პოეტ ქალს. – მერე „ცისკარშიც“ ხომ დაიბეჭდა ეგ ლექსი, – იხსენებს ვახტანგი, – დიდად მოინონა საზოგადოებამ. მაშინ მთელმა ოჯახმა ზეპირად დავისწავლეთ, ისე გვეამაყებოდა და გვიხაროდა ყველასა. აბა, ერთი, თუ გამახსენდეს. ჰო, მგონი ეგრე იწყებოდა:

„სალამოს დროსა, მშვენიერ ჟამსა,
ვზივარ ბალკონზედ, ვსჭვრეტ ბუნებასა;
წყლისა შხუილი, ხეხილთ შრიალი,
ბულბულთ სტვენიანი, ფრინველთ შრიალი,
თვალს ამშვენებენ, ყურსა ატკობენ,
გრძნობასაც უცხოთ განაღვიძებენ...“

ვახტანგი ყოვნილება, თავს ძალას ატანს, მაგრამ მალევე განზილებული ჩაიქნევს ხელს – ჩემს მდგომარეობაში ისიც მიკვირს, რაც გავიხსენე. სჯობს, შევიდე, სტუმრების ჩამობრძანებამდე მოვესიყვარულო ჩემს ქალსა...

მარიამი მთელი არსებით ჩანთქმულა მუსიკის ფერადოვან ჰანგებში. მისი მოქნილი თითები მსუბუქად დასრიალებენ კლავიშებზე, აი, ბოლო აკორდიც, მაგრამ მარიამი არ ყოვნილება, გამალებით ფურცლავს ნოტებს. ახალი ნაწარმოების დაწყებას ისე ემუშრება, თითქო არ სურს მოსწყდესო მუსიკის ჯადოსნურ სამყაროს, არ სურს დაუბრუნდეს რეალობას, რომელიც სულ ცოტა ხანში უცილობლად მორიგ განსაცდელს განუმზადებს. ნუთუ ისევე უნდა შეხვდნენ ერთმანეთს? ასე მალე და თანაც აქ, მეუღლის მამულში... მარიამი უკრავს, ცდილობს, მთელი არსებით ცდილობს, დათრგუნოს ავბედითი წინათგრძნობა. თვალებმინაბული თანდათანობით

ეძლევა კიდეც წარსულის სურათ-ხატებს. აი, ცხრა წლის გოგონა, როიალს რომ მისჯდომია და გატაცებით ასრულებს ბეთჰოვენის მესამე საფორტეპიანო კონცერტს ორკესტრის თანხლებით. ახსენდება თავისი ბრწყინვალე პედაგოგი, პროფესორი ეპშტაინი, თავად პიანისტიცა და თეორეტიკოსიც... მარიამი მოგონებებში უფრო და უფრო ღრმად ინთქმება. პანია, კოხტა გოგონა წიგნებით სავსე მაგიდას მისჯდომია, თავს გუვერნანტი, ლიუსი მარშანი წამოსდგომია, გამოცდილი, ღრმად განსწავლული ქალბატონი და დაბეჯითებით ამეორებინებს ფრანგული ზმნების უღლებას... ეს სურათიც ქრება და ფიქრები კიდეც უფრო შორს წარიტაცებენ ქალს, უკან, ფესვებისაკენ. ოთხი-ხუთი წლის ბავშვი გამზრდელის, მეჯვრისხვეელი გლეხის ქეთევან გოგოლამეილის კალთაში განაბულა. ქეთევანი, რომელიც თავად ბავშვი მიუყვანიათ ვახტანგ ორბელიანის დედის, თეკლე ბატონიშვილის სასახლეში, მგზნებარედ მოუთხრობს მარიამს სახელოვანი წინაპრების შესახებ. ეს უბრალო ქალი, ბაგრატიონების ჭირ-ვარამის მომსწრე და მოზიარე, იმთავითვე უნერგავდა ბავშვს სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს... მარიამს ცრემლები ადგება თვალებზე. თითები კლავიშებზე უშემდება.

– რად შეწყვიტე დაკვრა, შვილო? – ოთახში მამის შემოსვლა მარიამს მყისიერად აბრუნებს რეალურ დროში. – უკვე დაილაღე, განა?

– არა, მამავ-ბატონო, – მარიამი უხერხულად ილიმის. – უბრალოდ, ფიქრებს გავყევ... ჩემი უზრუნველი, ბედნიერი ბავშვობა გამახსენდა.

– ჰო, მართლაც ბედნიერი ხანა იყო ჩვენი ოჯახისათვის. – ვახტანგი მიძიმედ ეშვება სავარძელში, – ყველა ერთად ვიყავით, დედაშენიც, ნიკოლოზიც... ნეტა ამჯერად საით გადაადგო ქარმა ეგ შენი ბედოვლათი ძმა? ვერ ვიჯერებ, რომ სულ აალო ხელი ოჯახსა.

– მამა, გთხოვთ, ნულა გაიბრაზებთ თავსა. საცაა სტუმრები მოვლენ და სჯობს, ცოტა მოისვენოთ. – შემკრთალი მარიამი მამის წინ ჩაიმუხლავს და ნაზად ეფერება დამჭკნარ ხელებზე, – აი, ნახავთ, აუცილებლად გამოჩნდება, ყველაფერი კარგად იქნება...

კარზე მორიდებით აკაკუნებენ და ოთახში გამოჩნდება სასახლის მოურავი, ვლადიმერ ფონ ჰერშელმანი.

– უკაცრავად, მაგრამა მინდოდა მეთქვა, სამზადისს მოვრჩით. თუ ინებებთ, წამობრძანდით, თქვენის თვალთი იხილეთ.

– გმადლობთ, ვლადიმერ, საჭირო არ არის. – მარიამი ფეხზე წამოდგება და მოურავს უღიმის. – თუმცა, ერთი ნუთით. ხილი ხომ გამზადებულია ღარნაკებში, ვახშამდე სტუმრებს რომ შევთავაზოთ?

– დიახ, რა თქმა უნდა.

– კიდეც ერთი, – განაგრძობს მარიამი, –

ნარჩევი ხილი ილიასთვის გადააწყვეთ. ხომ იცით, განსაკუთრებულად უყვარს და ვახშამსაც კიდევ სიამოვნებით დააყოლებს ხოლმე.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. – კვლავ გაჩქარებით უდასტურებს მოურავი.

– მამ, შეგიძლია, ნახვიდე.

– როგორც ინებებთ, ქალბატონო. – მოურავი გადის. ვახტანგი ღრმად ამოიხრებს და ჩიბუხის დატენას შეუდგება.

– ეჰ, კაცმა არ იცის, ვის რას უმზადებს ეს უმადური წუთისოფელი. ვლადიმერი თავის დროზე ჩინებული საზღვაო ოფიცერი იყო, არისტოკრატიული ოჯახის შთამომავალი. დიდის სიყვარულით გაჰყვა ცოლად ჩემი ცოლისდა ნინა და აგე, საშიკო ორბელიანის მოურავად კი ასრულებს სიცოცხლეს.

– მამაგ-ბატონო, ისე მიყვებით ამ ამბავს, თითქო მე არ ვიცოდე. – მარიამი ფაქიზად ალაგებს ნოტებს როიალის თავზე – მამ, ალექსანდრემ რაღა თქვას?! ვლადიმერი თუ ოფიცერი იყო, მაგისი დეიდის ქმარი პოპოვი გენერალ-მაიორი გახლდათ, დიდძალ მამულებსაც ფლობდა ყირიმში. მაგრამ რა?! ისიც დღეს ჩვენი მოურავია, თუმცა ბევრი აღარაფერი შეუძლია. აბა, ჩვენ მეტი რა გვექნა? ჭერი და ლუკმა-პური არ აკლიათ, ჰოდა, სჯობს, მოვრჩეთ ამ ლაპარაკს.

– მართალი ხარ, შვილო. – ოხრავს ვახტანგი. – ისეც, რაღა დაგიმალო და, მაგათზე მეტად შენი და შენი ძმის მდგომარეობა მადარდებს.

– ნიკოსი გასაგებია და ჩემი რატომღა? – ნაძალადევად იცინის მარიამი. – კორდელიას თამაში რომ არ მინდოდა, იმიტომ?

– თუნდაც, თუნდაც. – საჩქაროდ კვერს უკრავს ვახტანგი. – ხომ გახსოვს, რამდენი ხვეწნა-მუდარა დამჭირდა შენს დასაყოლებლად. რა მექნა? შენც ხომ იცი, როგორ დაიჟინა ილიამ, მარიამის გარდა სხვა კორდელია არა მსურსო.

– მაინც შენი ბრალია, მამა. – უკმაყოფილებას ვერ მალავს მარიამი. – ილია შენ დაარწმუნე ჩემს ვითომდა სამსახიობო ნიჭიერებაში. განა შენ არ უამბობდი ამაყად, ჩემმა გოგონამ, ჯერ კიდევ თორმეტი წლისამ დანერა პიესა ოთხი მოქმედი პირისათვის და აქედან ორი, ერთი ტრალიკული და ერთიც კომიკური, თავად შეასრულაო. ჩემი თანდასწრებითაც რამდენჯერმე გაუმეორე ეგ ამბავი! – ვახტანგი კმაყოფილებით უქნევს თავს. – ჰოდა, მეც რაღას გავანყობდი ორი პოეტის წინააღმდეგ? – განაგრძობს მარიამი – ერთში კი ვარ დღემდე დარწმუნებული, სამსახიობო ნიჭი სრულიად არ გამაჩნია და გინდაც ეგრე იყოს, სურვილიც არა მაქვს. თქვენ კი მაინც ძალას გატანთ!

– კარგი, შვილო, რა ნახე, უბრალოდ, ილიას ხათრი გაუწიეთ და ეგ იყო. – სახე ეღრუბლება ვახტანგს. – მე მგონი, შენ მაინც უფრო სხვა რამ გაშფოთებს... თუმცა, ეგ ყველაფერი ხომ წარსულს

ჩაბარდა. გიჯობს, თავი ხელში აიყვანო ერთხელ და სამუდამოდ.

– სწორედაც! – წარბებს შეჰყრის მარიამი. – რაღა დაგიმალოთ, მამა და არ მესიამოვნება პეტრეს ვიზიტი აქა, ლამისყანაში, საშიკოს მამულში. თბილისში კიდევ რა უშავდა ჩვენს თეატრალურ შეხვედრებსა და აქ, მგონია, რომ ძალზედ თვალშისაცემი იქნება.

– თვალშისაცემი ის იქნებოდა, რომ არ მოგვეწვია. – მკაცრად წარმოთქვამს ვახტანგი. – ისე კი, შენ საშიკოს უმადლოდე ამ საქმის კეთილად დაბოლოებას...

ამ უსიამოვნო საუბარს მამა-შვილს ისევ კაკუნის ხმა და მოურავის გამოჩენა აწყვეტინებს.

– კნიაზ პეტრე გრუზინსკი გეახლათ.

– როგორ, უკვე?...

– მობრძანდეს, მობრძანდეს! – აფორიაქებული ვახტანგი ჩიბუხს აქრობს, მარიამი კი დარბაზის კუთხეში მიიყუჩება. შემოდის პეტრე გრუზინსკი.

– მობრძანდი, პეტრე, კეთილი იყოს შენი მოსვლა ჩვენს მამულში – ვახტანგი თბილად ეგებება სტუმარს. პეტრე მხურვალედ ეხვევა ვახტანგს, მერე კი დინჯად მიემართება მარიამისაკენ. – მოგესალმებით, მარიამ, როგორ გიკითხობთ? – მარიამი ცივად უკრავს თავს. პეტრე ხელზე ეამბორება.

– როგორ იქნება ჩვენი კორდელია? – დაძაბულობის განმუხტვას ცდილობს ვახტანგი. – სწორედ ესლა ვსაუბრობდით დადგმის ავ-კარგიანობაზე.

– თბილისის რეპეტიციებმა უკვე აჩვენა, რომ ყველაფერი რიგზეა. – პეტრე ფანჯარასთან მიდის და გარემოს გასცქერის – შესანიშნავი სასახლეა, ბალიც ძალიან მომწონს.

– ჰო, სანაქებო მამული აქვს ჩემს სიძესა, – უდასტურებს ვახტანგი. – ისე, ჯერ არ გელოდით, თავადო. განა ყველა მონანილენი საგურამოში არ იკრიბებოდით ილიასთან? მეგონა, ერთად გამოემგზავრებოდით ყველა ჩვენკენა.

– ეგ ვიცოდი, მაგრამ მე საქმეები მქონდა ახალქალაქში. პირდაპირ იქიდან მოვდივარ და იმიტომაც მომივიდა ადრე მოსვლა. – პასუხობს პეტრე. – იმედია, ზედმეტად არ შეგანუხეთ. – პეტრე ირიბად გახედავს მარიამს, რომელიც თავჩაღუნული, კვლავ უძრავად ზის კუთხეში.

– არა, რას ბრძანებთ, პირიქით. – თავაზიანად წარმოთქვამს ვახტანგი. – აბა, რას მიირთმევთ? მეტისმეტად ცხელია. გული გაიგრილეთ ნამგზავრზე.

– გმადლობთ, ჯერ არაფერი მინდა. – პეტრე კვლავ მარიამს გასცქერის. ვახტანგი უმწეოდ შლის ხელებს, აღარ იცის, რა იღონოს.

– მამ, პეტრე ბატონო, ეგრე ხომ არ ვისხდებით? ეგებ თქვენ-თქვენი როლების გამეორებას შესდგომოდით სხვების მოსვლამდინ? ვიცი, ისეთი დაკავებული ბრძანდებით სახელმწიფო საქმეებით, აქამომ-

დე ვერც მოიცლიდით შექსპირისთვის.

– მართალს ბრძანებთ, რალა დაგიმალოთ. – ლიმილით უდასტურებს პეტრე.- ძალიანაც გადავიღალე, მაგრამ ამ საქმეს მაინც არ ეღალატება. – იგი ისევ მარიამს გადახედავს.

– მარტო თქვენი ტიტულების ჩამოთვლა დაღლის კაცს, – იხტიბარს არ იტებს ვახტანგი, – თქვენ ბრძანდებით სახელმწიფო მრჩეველი, კამერპერი...

– კავკასიის მეფისნაცვლის განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე, – ამყავდ ურთავს პეტრე, – ეხლა კიდევ კახეთის სამეფო სახლის მეთაურადაც მიპირებენ მგონი წარდგენას და მართლა აღარ ვიცი...

– ოჰ. გილოცავთ სულითა და გულით. – ვახტანგი უგერგილოდ ხუმრობს, – იმედი მაქვს, იქ მაინც არ დაინყებთ შექსპირულ ინტრიგებსა...

– არ მითხრათ, ვახტანგ. – წყენას არ იმჩნევს პეტრე. – მაინც რალა ამ ორგული ედმუნდის როლი მერგო მე უილბლოსა? ისე, მართალს ბრძანებთ, ცოტა გავარჯიშება არ მანყენდა ილიას მოსვლამდინ. მით უფრო, თუ კორდელიაც ამიბამდა მხარს. – მარიამი კვლავ მძიმე დუმილით ხვდება პეტრეს რეპლიკას. ის კი ვითომც აქ არაფერი იაო, რიხით ინყებს მონოლოგის კითხვას:

„ორივ დებს ჩემის სიყვარულის ფიცი მივეცი...“

ერთი მეორეს ისე სძულს ვით გველი დაშხამულს.

ვინ ავირჩიო? ორივ? ერთი? თუ სულ არც ერთი? ვინც მე გმობას და ღალატს მწამობს...“

მარიამს უნებლიე კვნესა აღმოხდება. შეცბუნებული ვახტანგი სავარძელში წრიალებს. პეტრე-ედმუნდი კი არხეინად გადადის სხვა მონოლოგზე:

„სასაცილოა კაცთ სულელობა! როდესაც უბედურება გვეწვევა რამე, მაშინ ჩვენს უბედურებას, – თუნდ რომ ჩვენი ბრალიც იყოს, – გადავებრალეობთ ხოლმე მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს. თითქოს ჩვენ ვიყვნეთ გულ მურტალნი მარტო იმისათვის, რომ ეგრე გვაქვს დანიშნული, ვიყვნეთ სულელნი ზენარის ძალდატანებით... – პეტრე შეყოვნდება, – მერე აღარ მახსოვს. აი, ბოლო ფრაზა კი კარგად მაქვს ჩაბეჭდილი: „მე მაინც ის ვიქნებოდი, რაცა ვარ“ .

– კარგია, კარგი! – ვახტანგი ტაშს შემოჰკრავს. ოთახში კვლავ მოურავი გამოჩნდება. – კნიაზ ოთარ დადემქელიანი მობრძანდა.

პეტრე და ვახტანგი ფეხზე წამომდგარნი, ეგებებიან ახოვან, დიდებული გარეგნობის ვაჟკაცს, რომელიც ხმაურითა და სიცილით შემოდის დარბაზში.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, – ვახტანგი სტუმარს გადაეხვევა. – როგორ იმგზავრეთ?

– მოგესალმებით, ბატონებო, ბედნიერი ვარ

თქვენის ხილვით. – ოთარ დადემქელიანი ხელს ართმევს ვახტანგსა და პეტრეს. – გმადლობთ, მშვენივრად. ძალიან კი ცხელა, მაგრამ როცა ასეთ საქმეზე და ასეთ თვალწარმტაც ადგილზე მოდიხარ, ხმა აღარ ამოელება ადამიანს... ოჰ, ქალბატონი მარიამი აქა ბრძანებულა. ბოდიშს გიხდით, კნენა, ვერ დაგინახეთ. – ოთარი მარიამს მიეახლება და ხელზე ეამბორება. ისიც თავაზიანად უღიმის სტუმარს.

– როგორც ვხედავ, კიდევ ერთი ნევრი გამოჰკლებია საგურამოს ჯგუფს. – იცინის პეტრე.

– ჰო, თბილისიდან პირდაპირ წამოველ. – ოთარი ხვნეშით ინმენდს ოფლს. – გზად ცოლშვილს შეეუარე მუხრანში. ლიზასთან იმყოფებიან სტუმრად, მაგრამ ილიას რილით აღარ დავყოვნდი, საჩქაროდ აქეთ გამოვეშურე, არ დავგვიანდე-მეთქი. ადრე კი მოვსულვარ.

– მერე, როგორა ბრძანდებიან თქვენი დიდებული მეუღლე, ქალბატონი ნინა გამრეკელი და თქვენი ულამაზესი ვაჟი ილმაზი? – სიტყვას გააბრტყელებს ვახტანგი.

– ულამაზესი ილმაზი, არა?! – იცინის ოთარი. – ყველა ჰკვირობს მაგის სახელსა. დე, ჰკვირობდნენ, რამდენიც სურდეთ. ჰო, გმადლობთ, მშვენივრად გრძნობენ თავსა. მასპინძლებიც, ლიზა და კონსტანტინე კარგი განწყობით არიან. ლიზა სტატს დამის ნოდებაზე წარუდგენიათ და მეტისმეტად ნაამები გახლავან ამ ამბითა.

– კარგია, დიდებულია. – ვახტანგს სახე უბრწყინავს. სრულ შვებას გრძნობს ოთარის დროული შემოსწრებით, უხერხული სიტუაციის შერბილებით. – დაბრძანდი, ოთარ, ცოტა მოისვენე. ეხლავე ვუბრძანებ, გრილი სასმელი და ხილი მოგვართვან. ვახშამიც უკვე მზადაა. – მარიამი უჩუმრად გადის ოთახიდან განკარგულების გასაცემად.

– მოიცათ ერთი, სავახშმოდ ვართ მოსულები თუ სარეპეტიციოდ? – როხროხებს ოთარი. – ისე, რალა დაგიმალოთ, მე ვახშამი და კარგი ღვინო მირჩენია, მაგრამ საქმე საქმეა. ვერ გავანბილებთ ილიას.

– აი, პეტრეს დრო არ დაუკარგავს, მოვიდა თუ არა, იმ საათში შეუდგა თავისი მონოლოგების გამეორებას. ეხლა თქვენი ჯერია. – ესიტყვება ვახტანგი.

– მოიცათ-მეთქი, რალა. – კვლავ იცინის ოთარი. – ეგ მერეც მეყოფა, ყველა რო მოიყრის თავსა. ეხლა კი ისეთ ხასიათზე ვარ, შენი ლექსი უნდა წავიკითხო, ვახტანგ-ბატონო. – ვახტანგი მოულოდნელ სიხარულს ვერ ფარავს.

– ნუთუ კიდევ ახსოვს ვისმე ჩემი ლექსები?

– მამ როგორ! – ოთარ დადემქელიანი შუა დარბაზში ისე აისვეტება, თითქო სცენაზეაო და რიხით შემოსდახებს:

„მე არ მიყვარს კილო მუხამაზისა,

კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა;

იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო,

თუ არ ღვინო, ტოლუმბაში და კინტო...

მე მომეცი კილო რუსთაველისა,
გაფურჩქვნილი, ვით ყვავილი ველისა,
მოკამკამე, როგორც წყარო მცინარი,
ვით მდინარე, მშვენივრად მომდინარი...“

– აი, მსახიობი, აი, დეკლამაცია! – ტაშის კვრით ერთვება პეტრე.

– მოიცა, პეტრე, რად მანყვეტინებ? – ვითომ ბრაზობს დადეშქელიანი. – ეხლა აზრი წამიხდა, სულ შენი ბრალია. – თუმცა, აბა, მისმინეთ. ოთარი უეცრად წარბებს შეყრის და ნაღვლიანი სახით, გამოთქმით შეუდგება შემდეგი ლექსის კითხვას:

„მამა-პაპათგან ხვედრად შემხვდა დმანისი ძველი.

დმანისო ძველო, აბა მითხარ, შენგან რას ველი? მოგესალმები დიდთ ნანგრევთა პატრონი თქვენი,

დიდის შენობის, როგორც თქვენა, საბრალო შთენი...“

ამ დროს ოთახში ჰერმელმანი გამოჩნდება ლანგრით ხელში. მარიამი ხილისა და სასმელის განყოფილება მოურავს.

– ბრავო, ჩემო ოთარ, არც კი ვიცი, რა ვთქვა. – ცრემლმორეული ვახტანგი დადეშქელიანს გადაეხვევა – დღესდღეობით ვინმეს კიდეც თუ ახსოვდა ჩემი ლექსები, ვერც წარმოვიდგენდი. მგონი, თავადაც აღარ მახსოვს, თუ რასმე ვწერდი.

– ტყუილად როდი გიკიჟინებს ილია კრებულის გამოცემას მამავ-ბატონო, – მოკრძალებით გამოეპასუხება მარიამი. – ჩვენც რამდენჯერა გთხოვეთ, განაგრძო შემოქმედებითი სამუშაო. ეხლა მაინც ხომ ხედავთ...

შუეცრად დარბაზში მეორე მოურავი, პოპოვი შემოდის, მთლად აკანკალებული:

– უკაცრავად, ბატონებო, მაგრამ იძულებული ვარ, მეტად არასასიამოვნო ამბავი გამცნოთ.

ყველა მისკენ ტრიალდება გაკვირვებით.

– ემ წუთში კაცი მოვიდა საგურამოდან, ილიას გამოგზავნილი.

– მერე, მერე? – შეშფოთებული ვახტანგი პოპოვს მიეჭრება – ხომ მშვიდობაა? თქვი, რაღას უცდი!

– მშვიდობისა რა გითხრათ, ბატონო, – ლულ-ლულებს პოპოვი – ილია თავის მსახიობებთან ერთად თურმე ის იყო, გამოგზავრებას აპირებდა, რომ სასწრაფო დეპეშა მიუღია. ხელისუფლებამ აკრძალა „მეფე ლირის“ დადგმა და ცხადია, რეპეტიციების შეჩერებაც უბრძანებია. ყველას გუნება ნახდომია, მეტადრე ილიას და წამოსვლაც გადაუფიქრებიათ. ასე, რომ...

– ღმერთო ჩემო! – შეძრწუნებული მარიამი სახეზე აიფარებს ხელებს. ვახტანგი მოურავს შორდება და ულონოდ ჩაესვენება სავარძელში. პეტრე გრუზინსკი და ოთარ დადეშქელიანი კი ერთმანეთს

დაბნეულად შესცქერიან. პოპოვი ადგილს ტკეპნის, განკარგულებას ელის. ხანგრძლივ, მძიმე ღუმილს ვახტანგის მწარე ოხვრა არღვევს:

– ისევ იგივე და მუდამ იგივე. როდის უნდა მოელოს ბოლო ამ უსამართლობას?! წარმომიდგენია, რა დღეში ჩავარდებოდა ილია. ჯერ მარტო როგორ ელოდა ყველა, მთელი გამოჩინებული საზოგადოება მის ხილვას ლირის როლში.

– ლამისყანის თამაშიც ჩაგვეშალა და ეგ არის! – მწარედ ჩაიციინებს პეტრე – ეეჰ, ჩვენც არ ვვარგევართ, თორე...

– საქმეც ეგაა! – ბრაზით დაიქუხებს ოთარი – მუდამ თვალს ვხუჭავთ ყოველგვარ უსამართლობაზე და კიდე ფხეჭვემ ვეგებით რუსებსა. სამაგიეროს კი რას ვიღებთ? – დამცირებას, შეურაცხყოფას!

– ეეჰ, ჩვენი დრო კიდე სხვა იყო, ოთარ, – ოხრავს ვახტანგი. – მაშინ ჯერ კიდეც არსებობდნენ გულანთებული მამულიშვილები. მარტო მამათქვენის, მურზაყანის სახელი კმარა დასტურად.

– გეთანხმებით, ვახტანგ. – ოთარის ხმაში სიამაყეც გამოსჭვივის და სინანულიც. – იმიტომაც მიასიკვდილა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი.

– ცხადია, – განაგრძობს ვახტანგი. – მამათქვენი, ღმერთმა გაანათლოს იმქვეყნადა, ვერაფრით ეგუებოდა რუსების პარპაშს, სამთავროების მოსპობას... მართლაც, რა სიმბოლურია! მურზაყანი ხომ თავად სვანეთის ბოლო მთავარი გახლდათ... ჩვენი ტასო ორბელიანი კი დააქვრივა, მაგრამა...

ამ დროს პოპოვი უხერხულად ჩაახველებს. ყველა კვლავ მისკენ იხედება.

– ბოდიში, ბატონებო, მაგრამ რას მიბრძანებთ? შემოვიყვანო ილიას შიკრიკი? იქნებ წერილის გატანება გნებავდეთ? ილია თვითონ ისეთი აღელვებული ყოფილა, მხოლოდ სიტყვიერად დაუბარებია ამბავი.

– ჰოდა, ჩვენც ეხლა მაგ დღეში ვართ ყველა. – ამოიოხრებს ვახტანგი. – მიხედეთ მაგ კაცსა, მოასვენეთ და უკან გაუშვით.

– როგორც ინებებთ. – შეცბუნებული მოურავი სასწრაფოდ მიდის. დარბაზში ერთხანს მძიმე ღუმილი ჩამოვარდება. ბოლოს ისევ მასპინძელი მოეგება გონს.

– ბატონებო, ამ ამბავმა ყველას თავზარი დაგვცა, მაგრამ ეგრე ხომ ვერ ვისხდებით. გთხოვთ, ერთად ვივანშმოთ მაინცა, კიდეც ვილაპარაკოთ, გული მოვიოხოთ. მარიამ, შენ მიხედე ამ საქმეს.

მარიამი უხალისოდ წამოიმართება და გასვლას დააპირებს, მაგრამ ოთარ დადეშქელიანი შეაჩერებს.

– ნუ შენუხდებით, ქალბატონო. ალბათ, სჯობს, დავიშალოთ. ყველას მართლაც წაგვიხდა გუნებაცა და მადაც.

– ოთარი მართალია, – საჩქაროდ აუბამს მხ-

არს მეგობარს პეტრე გრუზინსკი, – ეს მტარვალები ყველაფრის ხალისს უკლავენ ადამიანს. მართლაც, სჯობს, დავიშალოთ. ბარელამ დაღამებამდე მოვასწრებდი ახალქალაქში დაბრუნებას.

– კი მაგრამ, ესე როგორ... – ვახტანგი დაბნეულად შესცქერის ხან სტუმრებსა და ხან მარიამს.

– ეგ პირველი შემთხვევა არ არის ხელისუფლების მხრიდან თეატრალური წარმოდგენის ჩაშლისა, – მკაცრი ტონით განაგრძობს პეტრე. – ვერ ეგუებიან საქართველოში ქართული სიტყვის ხმამალა გაჟღერებასა. თეატრსაც იმიტომ ებრძვიან.

– მართლაც ბრძანებთ, პეტრე, – მჭმუნვარედ უდასტურებს ვახტანგი. – განა ჩემ დროსაც ეგრე არ მოხდა? აბა, რა შეიცვალა? რამ დამავიწყოს ის წყეული 1832 წელი, შეთქმულების გაცემამდე, ყველიერზედ სპექტაკლის დადგმას რომ ვეშურებოდით. პირადად ვთარგმნე კარატიგინის ვოდევლი „უცნობნი ნაცნობნი“, მეც უნდა მეთამაშა სპექტაკლში და ჩემს ძმას, ალექსანდრესაც. ვინ აღარ გვედგა მხარში, – ვახტანგს ისე გაიტაცებს მოგონებები, თითქო სტუმრებს კი არა, საკუთარ თავს ელაპარაკებო. – გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ელიზბარ ერისთავი... თვით სოლომონ დოდაშვილი თაოსნობდა ამ დიდებულ საქმესა. დარბაზიც თავად მოგვიძებნა. სპექტაკლი ჩემი ძმის, დიმიტრის სახელში უნდა გამართულიყო და საყოველთაო დღესასწაულში გადაზრდილიყო, მაგრამ... – ვახტანგი უცებ თითქოს ერთბაშად გამოერკვა ფიქრებიდანო, – როგორც უკვე ითქვა, მართლა ჩვენვე არ ვვარგვივართ, ქართველები. საზოგადოება დიდად არ დაგვიდგა მხარში, მოლაღატე ისე ფალავანდიშვილმაც თქვა ერთი-ორი სიტყვა სადაც საჭირო იყო, ჰოდა, სულ ფუჭად გავისარჯენით...

– ჰო, ეგ იყო 1832 წელსა. – კვლავ ვერ მალავს აღშფოთებას პეტრე – მაგრამ ახლა?! ახლა ხომ 1887 წელია? ნუთუ სულ ვერაფერი შევცვალეთ ქვეყნის სასიკეთოდ? ნუთუ რაიმე გამოსავალი არ მოიძებნება?!

– გამოსავალი ის იქნება, რომ საზოგადოებამ ხმა აღიმალლოს ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ. – რისხვით დასჭექავს ოთარ დადემქელიანი, მერე კი უცებ მარიამს მიუბრუნდება. – ბოდიშს გიხდით, ამგვარი აღელვებისათვის.

– რასა ბრძანებთ, განა ყველა ერთ დღეში არა ვართ? – აკანკალებული ხმით ეპასუხება მარიამი. – ნეტა კი მართლა მოიძებნებოდეს გამოსავალი...

– მე ვფიქრობ, დღესდღეობით ის შეგვიძლიან, რომ მართლაც აღვიმალლოთ ხმა. დე, მთელმა ქვეყნიერებამ, მთელმა ევროპამ შეიტყოს ჩვენი საეალალო ყოფის შესახებ. – კვლავ აღშფოთებით განაგრძობს ოთარი. – აი, თქვენ, მარიამ, ხომ ხშირად ბეჭდავთ კორესპონდენციებს უცხოურ პრესაში, ხშირად მოგზაურობთ ევროპაში. ამდენ უცხო ენასა ფლობთ. სწორედ თქვენნაირმა განათლებულმა და

გულით პატრიოტმა ადამიანებმა უნდა ითავონ ეს საქმე.

– აგერ, ახლახანს გამოქვეყნდა სწორედ მარიამის წერილები შვედურ პრესაში. – ერთვება ვახტანგი – და ზუსტადაც ჩვენთვის ამ საჭირობოროტო საკითხებზე. ასე არ არის, მარიამ?

– დიას, ბატონო, – მორიდებით გამოეპასუხება მარიამი – ყოველ შემთხვევაში ასე შემატყობინეს ჩემმა სტოკჰოლმელმა მეგობრებმა. სწორედ ამ დღით გადავიკითხე კიდევ შარლოტა კრონებორგისა და ჰილდურ მელინის წერილები. კი, ბატონო, კვლავაც დავწერ, დავაგზავნი კორესპონდენციებსა, მაგრამ მეექვება, ამან იკმაროს.

– კარგი, კარგი, – ვახტანგი უეცრად აფორიქდება. – მე ისევე ჩემს აზრზე ვრჩები. მოდით, სუფრასთან გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი. ეხლავე ვუხმობ მოურავს. მარიამ, შეილო, შენ მანამდე ეგებ ცოტა გაგვამხიარულო, რამე მოიფიქრე. ან როალზე დაუკარი, ან რამე წაგვიმღერე, გაგვახალისე. საცაა, საშიკოც დაბრუნდება ატენიდან.

– ოო, თქვენ ხომ მართლაც დიდებული მომღერალი ბრძანდებით. – მხარს უბამს მასპინძელს ოთარ დადემქელიანი.

მარიამი გაუბედავად გადადგამს ერთ-ორ ნაბიჯს როიალისკენ. მერე ერთბაშად შემობრუნდება – მეექვება, დღეს თქვენი გამხიარულება შევძლო. ისევე კორდელიას სიტყვებით თუ გამოვხატავ ჩემს განცდებას და ჩემი პასუხიც ეგ იქნება:

„ვაი სიტყვით ღარიბს კორდელიას! მაგრამ რა ვაი!

მე ვარ მდიდარი გულწრფელითა სიყვარულთა, რომელიც სიტყვით კმაზულს გრძნობას გარდემეტების!“

მარიამი გამჭოლ მზერას პეტრე გრუზინსკისაკენ მიმართავს, მერე ყველას თავს უკრავს და სახეშეფაკლული სწრაფი ნაბიჯით ტოვებს დარბაზს. სწორედაც რომ დროულად! ეზოდან მსახურთა შეძახილები და ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ომახიანი ხმა მოისმის: – საღამო მშვიდობისა, ძალიან ხომ არ დავიგვიანე? სტუმრები თუ შეიყარნენ უკვე? ჩემი მარიამი სადა ბრძანდება?

– აგე, საშიკოც დაბრუნებულა, – შვებით ამოისუნთქავს ვახტანგი. – მეგობრებო, ახლა კი ნამდვილად ვეღარსად გაგიშვებთ. ბარემ ერთად შემოვუსხდეთ სუფრასა. საშიკოს მეტისმეტად ეწყინება, თუ წახვალთ. მანამდე, თუ ინებებთ, აივანზე გაბრძანდით. უკვე გადადღევდა.

– როგორც ჩანს, სპექტაკლი ჩაგვეშალა, მაგრამ თამაში ლამისყანაში კვლავაც გრძელდება! – ცალყბად იცინის პეტრე და ოთარს ხელს გადახვევს – მაშ, ეგრე იყოს, ნულა გავანბილებთ გულითად მასპინძელს. – ოთარი უსიტყვოდ უქნევს თავს. ყველანი გადიან.

მარინა თექთუმანიძე

ნუგზარი და რამაზი

როგორი დიდი და სასიხარულო დღეც გინდა იყოს აღდგომის დღესასწაული, ჩემდაუნებურად, მაინც სევდა მეძალეა ამ დღეებში – ჩემგან წასული ახლობლების სევდა; და არ აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა, ოჯახის წევრია, ნათესავი, მეზობელი თუ მეგობარი. ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან ერთად, მიღმიერში წასული ადამიანის სულის უკვდავებისაც განსაკუთრებით მჯერა და უფალს ვავედრებ მათ იმქვეყნიურ კეთილ ყოფას.

მართლმადიდებლური დღესასწაულების დღეებში ყველაზე მეტად მიცხოველდება მონატრების შეგრძნება და სულის რალაც კუნჭული აუტანელი მარტოობისა და სიცარიელის შეგრძნებით მევისება. ამ კუნჭულს მივსებს ძვირფასი, გარდაცვლილი ადამიანების არყოფნით გამოწვეული სიცარიელე, მივსებს, მივსებს და მერე ცრემლებად გადააქცევს ხოლმე პირთამდე სავსე სიცარიელეს... ამ დროს ყველაზე მეტად მენატრება ძვირფასი საფლავები და იმ ადამიანებთან გასაუბრება, რომლებთანაც ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი მაკავშირებდა...

ახლა, ამის წერისას, ბრწყინვალე შვიდეულის მეორე დღეა. მე ჩემს გარდაცვლილ მეგობრებზე ვფიქრობ და ძალიან მინდა პოეტები ნუგზარ და რამაზ ბერაძეები გავახსენო საკუთარ თავსაც და თქვენც, ძვირფასო მკითხველო. გავესაუბრო მათ ისევე, როგორც ცოცხლებს.

ჩვენ, სამივე, თანაკლასელები ვიყავით. თბილისის 112-ე სკოლაში ვსწავლობდით და მაშინდელ ჩემს პედაგოგებს თუ დავესესხებო, ნიჭით, მეგობრობით, ურთიერთგატანით გამორჩეული კლასი გვქონდა.

ნუგზარ ბერაძე (ლიდინო ცახური)

5 დეკემბერი არაჩვეულებრივი პოეტის, ლიდინო ცახურის (ნუგზარ ბერაძის) დაბადების დღეა, 15-გარდაცვალების. ახლა გაზაფხულია და მას იმ გაზაფხულს გავახსენებ, 1973 წლის გაზაფხულს...

ბოლო წლებია, აპრილის თბილისი პალიტრას აღარ მაგონებს. მხოლოდ ერთი ფერი შემორჩა-ნაცრისფერი. თუ არადა, როგორი ფერადი თბილისი დაგვრჩა წარსულში...

მეცხრე თუ მეათე კლასში ვიყავით, შატალოზე წავედით და „როცა აყვავდა ნუში“ ვნახეთ ე.წ. პლენარის კლუბში. მაშინ გაზაფხული იდგა და ნუშის ყვავილები მარტო ფილმს კი არა, თბილისსაც ალამაზებდა. გულდამძიმებულები, თვალცრემლიანები გამოვედით კინოთეატრიდან. ფილმი ჩვენს თაობაზე, ჩვენს ურთიერთობებზე იყო გადაღებული და ამიტომ კიდევ უფრო მტკივნეულად განვიცადეთ.

მაინც როგორი გულუბრყვილოები, რომანტიკულები ვიყავით. იმავე პლენარის კლუბის ეზოში ჭა რომ აღმოვაჩინეთ, ვიფიქრეთ, რომ ეს ჭა დიდი საიდუმლოს მალავდა და ერთ-ერთი მონახულებისას შიგ ჩაძრომა დავაპირეთ. ისე დაგვიფრინა კულტურის სახლის დარაჯმა, რომ ერთმანეთს ვასწრებდით...

მართალია, ყელსახვევები გვეკეთა, მაგრამ, ნუგზარ, ეს სულაც არ გიშლიდა ხელს, რომ ფარ-მუზარა-

დიანი ქართველი მეომრები გეხატა, ლექსები გენერა საქართველოზე, მაშინ აკრძალულ ტერეტი გრანელზე ანდა გრიგოლ რობაქიძეზე გვესაუბრა. კლასში მათემატიკოსებიც გვყავდნენ და ფიზიკოსებიც, პოეტებიც და პროზაიკოსებიც, მოცეკვავეებიც და დეკლამატორებიც. მერე მომღერალთა გუნდიც „შევექმენით“ ძალიან სასაცილო სახელწოდებით...




ცხოვრება უღმობელი რომ არ იყოს, ნუგზარ, შენ, რამაზი და მე ისევ ბავშვობაში უნდა ვცხოვრობდეთ. მგონი ბოლომდე ვერც გამოვედით იქიდან. მე დღესაც იქ დავბორიალობ, შენთან და ჩვენს კლასელებთან, იქ მინდა ყოფნა და სიმართლე გითხრა, რომ დავგაბზრუნა, „დიდობანასაც“ კი არასოდეს ვითამაშებდი...

როცა ძალიან მტკენენ-ხოლმე გულს, საშველად ისევ შენ გეძახი – ჩემს დიდ რაინდს. ვიცი, კვლავ მაპატიებ ეგოიზმს, კვლავ მომიტობილთბილებ, რომ ისედაც მტირალა, კიდევ უფრო ავტირდებ შენს ფრთებქვეშ.

დარწმუნებული ვარ, იგრძენი, შენს საფლავთან მოსული შენი თანაკლასელები და ჯერ კიდევ ცოცხალი რამაზი, მწარედ რომ „ვხუმრობდით“, ნეტავ ყველა აქ, შენ გვერდით დავგასაფლავა და გაკვეთილებს აქაც ჩავატარებთო. შენი ლამაზი სული მაშინ ალბათ განსაკუთრებით გვლოცავდა.

ჩემო ულამაზესო პოეტო და ბუმბერაზო ადამიანო! როგორ მენატრება შენი ლექსების ნაღდი სტრიქონები, შენი მხარში დგომა, შენი გამორჩეული რაინდობა. როგორ მენატრები!!!

მახსოვს, ჩვენი რომელიმე თანაკლასელ ბიჭს ვინმესთან უსიამოვნება თუ მოუვიდოდა, პირველი შენ გარბოდი დასახმარებლად. პოჯაკს გაიხდიდი, იქვე, ასფალტზე ან ბალახზე მიაგდებდი და თავგანწირულად გადაეშვებოდი ხშირად უსამართლო ორთაბრძოლაში. არც დალილავებულ თვალები განუხებდა მაინცდამაინც, თუმცა მაგ თვალებს, თვალისჩინთან დაკავშირებული პრობლემების გამო სწორედაც რომ განსაკუთრებული მოვლა და გაფრთხილება სჭირდებოდა. ყველაზე მეტად იცი, რას ვერ ვპატიობ თავს? მოზარდ მაყურებელთა თეატრში ვიყავით. მახსოვს „დონ სეზარ დე ბაზანი“ ვნახეთ და სპექტაკლიდან კარგ ხასიათზე გამოვედით. სალაპარაკო მაქვსო, მითხარი და მივხვდი(მივხვდი კი?), რაზეც უნდა გესაუბრა. ამიტომ მეტროს კიბეებზე არ გაგჩერდი და ესკალატორი ავირბინე. აქომინებული დამენიე და ისეთი საყვედურით სავსე თვალებით შემხედე, დღემდე მრცხვენია ჩემი საქციელის. რისი თქმა გინდოდა მაშინ, ჩემთვის ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, აღარასოდეს მიბრუნებინარ იმ სასაუბრო თემას.



თანაკლასელები ვამაცობდით შენი პოეზიით და მეონი მეხუთე კლასში ვიყავით, როცა შენი ლექსებით სავსე რვეულით მაშინდელ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციას მივაღებოთ ნინო ჩიქოვანი(დღეს სკოლის დირექტორია), მეგი მენტეშაშვილი(სამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად და ექიმად მუშაობს იქ) და მე. თითქოს დაგვიპირდა მაშინდელი რედაქტორი, მაგრამ... მართლა არსებობს ილბალი. ყველა აღფრთოვანებული იყო შენი პოეზიით, თუმცა დაბეჭდვა და დღის სინათლე მეტისმეტად გვიან ეღირსა ამ შესანიშნავ პოეზიას – გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე... მასხოვს ბავშვობის ლექსებიდან კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი ეს სტროფი:

„ეს ოთხმოცი გაზაფხული
და ოთხმოცჯერ ფიფქთა ცვენა
მისთვის განვლე, რომ აქ სადღაც
გაზაფხული მოგეჩვენა“ ...

ლილინო ცახური – შედეგის, „ვეფხისტაის“ ავტორი და ნუგზარ ბერაძე რომ ერთი და იგივე ადამიანი იყო, ესეც ძალიან გვიან გაირკვა, შემთხვევით გაარკვია ერეკლე სალღიანმა. ბავშვური გული და უდიდესი სიკეთე ბოლო წუთებამდე თან ატარე, არასოდეს დაგინუნუნია ცუდად ყოფნაზე, აუტანელ გაჭირვებაზე, რასაც, როგორც შენი სამშობლო, შენც განიცდიდი და არასოდეს გიცხოვრია მასზე უკეთ. გმადლობ, მეგობარო, ქვეშაერთო მეგობარო ყველაფრისთვის, ჩემზე გამოჩენილი ამაგისთვის და დაუყვედრელობისთვის...

რამაზ ბერაძე

ნუგზარი და რამაზი პირველ მერხზე ისხდნენ პირველივე რიგში, კართან. ნუგზარს მხედველობა ჰქონდა დაქვეითებული და რამაზი ნუგზარის „თვალები“ იყო. ძმებს შორის ასეთი სიყვარული იშვიათად მინახავს. იქნებ არ ისურვა დიდხანს ნუგზარის გარეშე აქ დარჩენა და ამიტომაც რამდენიმე წელიწადში ისიც ძმასთან წავიდა? რამაზი ნუგზარის მშობელიც იყო და უახლოესი მეგობარიც. ნუგზარი ერთი წლით უფროსი იყო ჩვენზე და

რამაზი ერთი წლით უმცროსი. ზუსტად მხედველობის პრობლემის გამო შემოიყვანეს მათმა მშობლებმა, ალფეზ და მზია ბერაძეებმა სკოლაში ერთად. ლექსებს რამაზიც წერდა და მეც, მაგრამ ისეთი პოპულარული პოეტის გვერდით, როგორც ნუგზარი იყო ჩვენთვის, როგორ გაგებდავით, ჩვენი ნაცოდვილარი ვინმესთვის გვეჩვენებინა...

რამაზ, შენი გარდაცვლების ამბავი ნიუ იორკში ყოფნისას შევიტყვე. მეტროს ვაგონში ვიჯექი და ისეთი ტირილი ამივარდა, ხალხი გაოცებული მიყურებდა. თუმცა არავის არაფერი უკითხავს. იქ არავინ ინტერესდება შენი ტკივილით. ორმოცზე უკვე თბილისში ვიყავი და ჩვენ, „ბავშვებმა“, გულით დავიტირეთ შენი უიღბლო ცხოვრება.

გამორჩეული ნიჭით იყო რამაზი დაჯილდოებული. მას ერთანირად ხელენიფებოდა ჰუმანიტარული და ტექნიკური საგნები. თავდაპირველად თუ ზარმაცობდა, მერე, მეცხრე კლასიდან სერიოზულად მოჰკიდა ხელი სწავლას და მედალოსნებს არათუ ჩამორჩებოდა, ზოგიერთს გადაუსწრო კიდევ. მერე რაგბში ჰქონდა ძალიან სერიოზული მიღწევები, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლომდე არაფერს მიჰყვა...

შესანიშნავი პოეტია რამაზ ბერაძე, მაგრამ დიდი, ძალიან დიდი მისი პროზაული ნაწარმოები „წრებრუნვა“ ...

რამაზ, რაღაც მინდა გითხრა შენც, რისი თქმაც სიცოცხლეში ვერ მოვასწარი. ახლა, კლავიატურაზე ტექსტს ვკრეფ და ხმამაღლა გესაუბრები. მჯერა, ამასაც გაიგებ. ჩვენ, ორივემ, შევძელით ბოლომდე გვეპატიებინა ერთმანეთისთვის წყენა და გულში რეჩხი აღარ მაქვს, რომ ამქვეყნიდან ისე გაგიშვი. კიდევ ერთხელ მაპატიე თუ რამე განწყენინე, მეგობარო!


მე კი გპირდებით ორივეს, რომ, როცა უფალი გადამწყვეტს ჩემს გაყვანას, მანდაც ბევრს ვისაუბრებთ ჩვენს სამშობლოზე, სკოლაზე, ბავშვებზე, მასწავლებლებზე და დაუსრულებლად ვიკამათებთ პოეზიაზე...

რომეო ტაბიძე

ლექსების ციკლიდან „ქარში სულია“.

2007 წ.

ქარს ჩაეძინა, ის დაიღალა,
 ახლა სამყარო საყდარს ჩამოჰგავს.
 ვგონებ სუყველა გარდაიცვალა,
 სული ცოდვილი კი ისევ ბორგავს.
 „ლამე ნებისას მისურვებ მაგრამ“
 ვინ რა გაუგო ანდრე შენიეს.
 ანდაც ტკივილით ვინ მოისმინა,
 რომ მე შენს სახეს ვერ შეველიე.



შენ გქონდა ხელი ცივი და ნაზი,
 წვიმდა და თმები გენამებოდა.
 ქუჩაში ძრწოდა შავი ნაგაზი,
 თუ გეხებოდი მეამებოდა.
 ოთახში ბნელა, ჩაქრა სანთელი,
 დაბერებული ყმუის ნაგაზი,
 მე მენატრება დღე გუშინდელი
 როს გქონდა ხელი ცივი და ნაზი.

ქარის სიმფონია

თითქოს მოკვდება იგი წამებით
 მას ატირებულს ასე ჰგონია.
 გული ანდერძის აგებას ელის
 და მესმის ქარის მე სიმფონია.
 ცა მოვიარე და ამას ვამბობ:
 ტკივილს ვგრძნობ, მაინც დავიარები,
 რომ სიმარტოვეს ვერა-რა ათბობს
 და დამაქვს გული ნაიარევი.
 ამაოებად მომჩვენებია
 ქროლვა, არ ქროლვა და რამის ძებნა,
 ის, რაც ტკივილით ნაშენებია
 გულს მუდამ მართებს მისი მოთმენა.

ბაღში გადამხმარ ბალახს ედება სიო ფრთხილი.
 ვილაც აწვალებს ჩახმასს უბედობისგან ღლილი.
 წყდება ლოცვები ხატთან
 და მწუხრი ჰფარავს სხეულს.
 შენ კვლავ დარჩები ბალთან
 სიმარტოვეში წლეულს.

არ დამიტირო

არ დამიტირო თუ არ ვიქნები,
 მე მარტო ვიყავ მთელი სიცოცხლე.
 ნავალ, თუ შენში მოვიხსენები უკვალოდ წასულს
 გზა დამილოცე. მათხოვარს ჰგავდა ეს ჩემი გული
 შენზე სიყვარულს რომ ეძიებდა.
 მე არ ვიქნები და გაზაფხულზე
 მოგიპარავენ ცისფერ იებად.
 მე კი ნაღვლიანს მომკლავს ზამთარი,
 ველური ქარის კვნესა, გოდება,
 და მხოლოდ დედას ჩემი არყოფნა ბედის წყევლაში
 მოაგონდება.

რუსუდან ჭანტურიშვილი

ტერენტი გრანელის პოეზია ვლადიმირ სვეტლოსანოვის თარგმანებში

პოეტური თარგმანის პრობლემებზე ბევრი რამ არის ნათქვამი, ლექსის არსისა და საერთოდ პოეზიის შესახებ- კიდევ უფრო მეტი რამ დაწერილა, მაგრამ თავად ეს საკითხი ამოუწურავია, ისევე, როგორც პოეტური სულისკვეთება, რომელიც ბადებს პოეზიას.

პოეტი თავის აზრებს და განცდებს ცხოვრებიდან იღებს. როგორც პროფ. აკაკი ხინთიბიძე აღნიშნავს თავის წიგნში- „ქართული ლექსი“ : „ლიტერატურა სინამდვილის საფუძველზე შექმნილი მეორე სინამდვილეა, „ნაცნობი უცნობი“, „ის, მაგრამ არა ის“ .

პროფ. გივი გაჩეჩილაძე სახელმძღვანელოში- „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“ წერს: „მხოლოდ იმ მთარგმნელს შეუძლია შეასრულოს ნამდვილი შემოქმედებითი, მხატვრული თარგმანი, რომელმაც დედანი განიცადა როგორც მხატვარმა, რომელმაც შეიცნო დედნის იდეა, იგრძნო მისი მხატვრული ფორმები. ყოველივე ამან შექმნა ის შინაგანი სურათი, რომლის საკუთარ ენაზე გადმოღების სურვილიც აღედგრა მთარგმნელს“.

ჩვენი კვლევის მიზანია – ტერენტი გრანელის პოეზიის ვლადიმირ სვეტლოსანოვისეული თარგმანების განხილვა.

ვლადიმირ სვეტლოსანოვი რუსი პოეტია ქალაქ ნოვოსიბირსკიდან. დაახლოებით 30 წლის წინ იგი ტურისტად ჩამოვიდა საქართველოში. მოემგზავრებოდა მატარებლით და როცა მატარებელი საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა, რადიოში ქართული სიმღერები გაისმა, მერე კი ტერენტი გრანელის ლექსებს კითხულობდნენ. პოეტის ლექსთა მუსიკალური და სევდიანი ტონალობა ახალგაზრდა ლიტერატორის-ვლადიმირ სვეტლოსანოვის პოეტურ ბუნებას მიესადაგა და თუმცა ვლადიმირმა არ იცოდა ქართული, მან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქოს „კოსმიური“ ენის დახმარებით გაუგო პოეტს, რომელიც XX ს-ის დასაწყისში ცხოვრობდა და 1934 წელს 36 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ვლ. სვეტლოსანოვის კუპეში ქართველები იყვნენ, კახელები. მათ პნკარედულად გადაუთარგმნეს ვლადიმირს ტერენტი გრანელის ლექსები, მაგრამ პნკარედი თითქმის აღარც კი სჭირდებოდა. როცა იგი სამშობლოში დაბრუნდა, თან წაიღო ტერენტი გრანელის ლექსების კრებული და ერთი წლის მერე კვლავ საქართველოში ჩამოვიდა მის მიერ გადათარგმნილი ტერენტი გრანელის ლექსებით.

ამ თარგმანებით მოვიდა იგი საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში, სადაც მე ვმუშაობდი. საგამომცემლო განყოფილების გამგის- ნინო ხოფერიას ინიციატივით ვლადიმირს საღამო მოვუწყვეთ, რომელსაც მე და რუსუდან კოტეტიშვილი ვუძღვებოდით. მუზეუმის თანამშრომ-



ლები და მონვეული სტუმრები აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი თარგმანებით.

ამ ახალგაზრდა მთარგმნელის შესახებ შევატყობინე თსუ-ის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრას, სადაც იგი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების წინაშე წარსდგა თავისი თარგმანებით და გულწრფელი მოწონება დაიმსახურა.

შემდეგ, მახსოვს, ვლადიმირ სვეტლოსანოვს თავისი მეუღლითა და პატარა შვილით საქართველოში, კერძოდ, კახეთში უნდოდა დასახლება, მაგრამ ნებართვა ვერ მიიღო.

2001 წელს ქ. ნოვოსიბირსკში გამოიცა ტერენტი გრანელის ორენოვანი (ქართულ-რუსული) პოეტური კრებული: «Терентий Гранели. Избранные стихотворения в переводе Владимира Светлосанова». რუსული თარგმანები ეკუთვნის ვლადიმირ სვეტლოსანოვს. მისივეა წინასიტყვაობაც და თანდართული განმარტებებიც. ლექსების ამ რჩეულში შესულია ტერენტი გრანელის 43 ლექსი, დღიურები, ნიკა აგიაშვილის მოგონება „თეთრ ტაძართან“ და განმარტებები. კრებული ტერენტი გრანელის სიტყვებით არის დასათარგმნელი: „ახლა ჩემი და – ყრუ სიჩუმეა“. კრებულს თავფურცელზე აწერია: „ეძღვნება ნინო წმინდას“. წიგნი დააფინანსა სააქციო საზოგადოების – „სტაგეტი და კომპანია“ გენერალურმა დირექტორმა სოსო ჩხაპელიამ.

თავის წინასიტყვაობაში, სათაურით „პოეტი და სიბნელე“, მთარგმნელი აღნიშნავს, რომ კრებული ეძღვნება ტერენტი გრანელის დაბადებიდან ასი წლისთავს. პოეტი ხომ 1898 წელს დაიბადა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვლადიმირ სვეტლოსანოვისათვის გრანელის ლექსთა მუსიკა გახდა მათი თარგმანის მიზეზი. მუსიკალობას ლექსს, ძირითადად, რიტმი აძლევს. თავის წიგნში – «СТИХ И РИТМ», ს. კალაჩევა წერს: „ლექსების რიტმი, სტრიქონთა თანაზომიერი სიმღერა, სიცოცხლის შეგრძნების – გულსცემის თანაფარდი ხდება და კოსმიურ მოძრაობას, პლანეტათა მუსიკას ერთვის. რა ამალღებულნი, საოცარი განწყობა უნდა დაეუფლოს მას, ვინც თავის თავზე ამ

„რიტმული ოცნების“ ძალას იგრძნობს!“

ტერენტი გრანელის ლექსებმა მთარგმნელი თავისი სევდიანი და ერთფეროვანი ტონალობით მოაჯადოვეს. ამიტომაც წერს ვლ. სვეტლოსანოვი: „მისი ტალანტის ნახნაგები მზის სხივებში არ ელვარებს, მაგრამ მისი ლექსები ნათელია, მორიდებული და სადა. მათი მელოდია დაღვრემილია და ერთ ტონალობაზეა მომართული ისევე, როგორც ერთფეროვანია სასაფლაოს მიწა. ასევე მოკრძალებულია ძეგლიც მის საფლაოზე. ნათელი და სადაა წარწერაც ძეგლზე: „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ, რაღაც სხვა“.

პოეტის ცხოვრებაც სისადავით გამოირჩეოდა. 1918 წ. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ იგი თბილისში ჩამოვიდა, სადაც შ. ნუცუბიძის ფილოსოფიის კურსებზე სწავლობდა. რკინიგზაზე კონდუქტორად მუშაობდა, შემდეგ კი რედაქციებში დაიწყო მუშაობა ჯერ კურიერად, მერე ექსპედიტორად და კორექტორად. სიცოცხლის ბოლო 4 წელი სულით სწეულთა საავადმყოფოში გაატარა. მოუწყობელი, ბოჰემური ცხოვრება ისეთი თემატიკით აისახა მის ლექსებში, როგორცაა მარტოობა, უიმედობა, სევდა. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისთვის 1919-1927 წლები. სწორედ ამ წლებში შეიქმნა მისი პოეტური კრებულები: „პანაშვიდები“ (გობრონ აგარელის თანაავტორობით), „სამგლოვიარო ხაზები“, „სულიდან საფლავები“, „Memento mori“, „ტერენტი გრანელი“, აგრეთვე ერთდროული გაზეთი „ტერენტი გრანელი“.

ტერენტი გრანელის ლექსები, ძირითადად, 10 და 5 მარცვლიანია. აქვს, აგრეთვე, 8, 12 და 14 მარცვლიანი ლექსებიც. რითმა, როგორც წესი, ჯვარედინია.

ვლ. სვეტლოსანოვის თარგმანებში ჯვარედინი რითმა შენარჩუნებულია. მარცვალთა რაოდენობა ტაქტში 1-2 მარცვლით ნაკლებია ან ზუსტად იმდენივეა, როგორც ორიგინალში.

როგორ გადმოსცა მთარგმნელმა ტ. გრანელის ლექსის მუსიკა?

ვლ. სვეტლოსანოვმა გაიგონა ტ. გრანელის გულის სევდიანი ხმები, რომლითაც მთელი მისი პოეზიაა განმსჭვალული. ეს სევდა წელიწადის ყველა დროს შეიგრძნობა და განსაკუთრებით კი – ზამთარში.

ლექსში „**ზამთრის ბარელიეფი**“ («Зимний барельеф») საღამოს ზამთრის სურათია დახატული. ამ ხუთსტროფიან ლექსში მთავარია I სტროფი, რომელიც V-შიც მეორდება:

„საღამო – კანკალი სანთლის,
ირგვლივ დაწოლილი ნისლი.
ფარული წამების ლანდი,
პოეტის ცრემლი და სისხლი“.

სიტყვები: „საღამო“, „სანთელი“, „სისხლი“ ქართულ ენაზე „ს“ თანხმოვნით იწყება. ეს თანხმოვანი მეორდება ყოველ პოეტურ ტაქტში და ისმის წყნარი, მაგრამ თან შემაშფოთებელი მელოდია.

ვლ. სვეტლოსანოვმა ნამდვილად შენიშნა „ს“ თანხმოვნის დიდი მნიშვნელობა და I სტროფის ყოველი ტაქტი ამ თანხმოვნით დაიწყო:

«Сумерки- зыбкое пламя,
Скорбное таинство тени.
Стынут, укрывшись в тумане,
Слезы и кровь откровений».

დედნისა და თარგმანის ჟღერადობა ერთნაირია. ლექსში „**ცისფერი სიშორე**“ («Даль небесная») ნაჩვენებია ლამის მოახლოება:

„მიდის ფერწასული დღე, ღამე მომიახლოვდა,
ღამე მომიახლოვდა, შავი და საშინელი.

სინანული გაივლის მოგონების მაღლობთან და მოვა მწუხარება- ჩემი ლურჯი ფრინველი“ .

ამ სტროფში დომინირებს „ღ“ და თანხმოვნები: „შ“, „ს“, „გ“, „ჩ“. ჟღერს ღამის, სევდის, მწუხარე მოგონებების მუსიკა. პოეტის სული სევდას დაუნათესავდა. მწუხარებას, სევდას იგი ხშირად დას უწოდებს. ამ ლექსში კი მწუხარება „ლურჯ ფრინველად“ ჰყავს მოხსენიებული. მწუხარების ზღაპრული იერი მიუთითებს მის ზღაპრულ ჩვენებებზე, რომლებიც პოეტს იმქვეყნიური ცხოვრებისაკენ ეზიდებოდნენ, მაგრამ ამ სევდიანი ჩვენებების გარეშე მას ცხოვრებაც არ შეეძლო. ვლ. სვეტლოსანოვის თარგმანში ხაზგასმულია ის, რასაც პოეტი აშკარად არ ამბობს, მაგრამ გულისხმობს. ეს არის სევდის, ამ ლურჯი ფრინველის მოხმობა:

«День бледнеет и вот надвигается ночь,
Надвигается ночь тенью черной своей.
Распрощался я с горечью, сгнувшей прочь,-
Синей птицей, печаль, прилетай поскорей».

ფერები- ლურჯი და ცისფერი ტერენტი გრანელთან ღამის სინონიმებია. ლექსში „**სიცოცხლის გრადაცია**“ («Градация жизни») მშვიდ, მღუმარე ღამეს იგი ლურჯ ღამეს უწოდებს:

„ნითელი მზე აელვარდა მინებთან,
მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე,
უიმედო გულის ძგერა მინელდა,
შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!“

ამ სტროფში დომინირებს თანხმოვანი „მ“ , რომლითაც იწყება სიტყვები: „მზე“ , „მინებთან“ , „მოდის“ . ასევე გამოკვეთილად ჟღერს „მ“ სიტყვებში: „ჩუმი“ , „უიმედო“ , „მინელდა“ და განსაკუთრებით, სტროფის ბოლო ტაქტში.

ვლ. სვეტლოსანოვის თარგმანში „მზის“ ანუ «Солнце»-ს ნაცვლად არის მზის ჩასვლა, ანუ «Закат» და დომინირებს თანხმოვანი «З». აი, მისი თარგმანი:

«Льнет закат к оконному стеклу,
Зреет ночь в голубизне безбрежной,
Сердце погружается во мглу,
Обреченно, безнадежно».

თარგმანში მუსიკალურობა შენარჩუნებულია, მაგრამ არ შეიძლება სტროფის დატოვება დედნისეული „მაცხოვრის“ გარეშე. სწორედ მაცხოვარს მიმართავს პოეტი სტროფის ბოლო ტაქტში. ტერენტი გრანელის პოეზია სწორედ უფლის რწმენით არის გაჯერებული. ამ ორენოვან კრებულს დართული აქვს

გივი ორაგველიძის მიერ რუსულად თარგმნილი ტერენტი გრანელის „ჩემი დღიურები“ («Мои дневники»). დღიურს იგი 1928 წლიდან აწარმოებდა და სწორედ ამ ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ პოეტი თითქმის ყოველ დღე დადიოდა ხან სიონის, ხან დიდუბის, ხანაც კუკიის სასაფლაოს წმ. დავითის სახელობის ეკლესიაში და მუდამ ლოცულობდა. აი, მაგალითად, ამონარიდი 18 თებერვლის დღიურიდან: „გათენდა დღე შაბათის, ისევე ყინავს; მე ადრე გავემგზავრე მამადავითისაკენ, შევედი ეკლესიაში და ჩუმად წარმოვთქვი: „ღმერთო, მიშველე და შემენი“.

ტერენტი გრანელის ნაწარმოებებში ხშირად არის ნახსენები მისი დის – ზოზიას სახელი. ზოზია თავისი ძმის ნამდვილად, ლექსიდან „მე და გალაკტიონი“ («Я и Галактион») არ შეიძლება ზოზიას სახელის ამოღება, რომელიც ტერენტი გრანელთან ანგელოზს ერითმება – „ანგელოზია“. ორიგინალში ეს სტროფი ასე უღერს:

„ავად ვიყავი, ნუხელ ვკვდებოდი,
ახლა მიგონებს ალბათ ზოზია.
გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია“.

ვლ. სვეტლოსანოვის პოეტურ თარგმანში ეს სტროფი ასე გამოიყურება:

«Вчера был на грани предсмертного стона,
Метался в летучем огне...
Есть что-то от демона в Галактионе,
От ангела что-то во мне».

ალსანიშნავია, რომ ამ ორენოვან კრებულს მთარგმნელმა კომენტარები დაურთო, რომლებშიც კომპაქტურად გადმოსცა ცნობები ტერენტი გრანელი-სა და მის ირგვლივ მოქცეულ პირთა შესახებ.

ბოლოს, მინდა წარმოვაჩინო, თუ როგორ უღერს ტერენტი გრანელის „გაზაფხულის საღამო“ («Весенний вечер») ვლ. სვეტლოსანოვის თარგმანში. ამ ლექსს მთარგმნელი ასეთ კომენტარს უკეთებს: „გაზაფხულის საღამო“ – ტერენტი გრანელის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჰარმონიული ქმნილებაა, რომელმაც თენგიზ აბულაძის ცნობილ ფილმში- „მონანიებაში“ გაიჟღერა“.

კიდევ ერთხელ გავისხენოთ მთლიანად ორიგინალი და მის გვერდით ვლ. სვეტლოსანოვის თარგმანი:

„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.
სული საზღვარს გადასცდება ფრენით,
ახლაც მახსოვს მისამართი შენი.
ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,
რალაც დიდი სიხარული ვიგრძენ.
წინ მემღება სხვა ოცნების არე,
მინის ცქერით დაიღალა მთვარე.
გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“.

«Вечер тихий, весенний и ветхий,
Птица с ветки вспорхнула на ветку».

Пролетает душа над землей,
Легче пуха. Сейчас я с тобою.
Безграничные дали раскрыты,
Словно двери беззвучной молитвы.
Верю я, эта радость от Бога.
Светит в небе луна одиноко.
Вечер тихий, весенний и ветхий,
Птица с ветки вспорхнула на ветку».

პოეტურ თარგმანში, ისევე როგორც ორიგინალში, შეიგრძნობა სულიერი სიმშვიდე, რაც პოეტმა მოიპოვა სიყვარულით ბუნებისადმი, მშვიდი გაზაფხულის საღამოსადმი და იმ ჩიტისადმი, რომელიც ხიდან ხეზე გადაფრინდა და პოეტის იღუმალ სიმებს შეეხო.

ტერენტი გრანელის ლექსი იწყება სიტყვით „გაზაფხული“ - «Весна». მთელ ლექსში დომინირებს თანხმოვანი „გ“, ისევე, როგორც ვლ. სვეტლოსანოვის თარგმანში თანხმოვანი «В», რადგან სიტყვები «Весенний» და «Вечер» სწორედ ამ თანხმოვნით იწყება. ორიგინალის „ხე“ მთარგმნელმა ტოტით შეცვალა, რაც რუსულად არის «Ветка». ეს ჩანაცვლება ემოციურად ორიგინალის ადეკვატური გამოდგა.

რითმა თარგმანში, ისევე როგორც ორიგინალში- პარალელურია, რაც ჯვარედინ რითმასთან შედარებით, ლექსს მშვიდ ტონალობას აძლევს.

ტერენტი გრანელის ლექსისათვის ჩვეული ალიტერაცია ამ ლექსშიც თვალსაჩინოა. II სტროფში დომინირებს თანხმოვანი „ს“ . ამ თანხმოვნით იწყება სიტყვა „სული“ . თარგმანის II სტროფშიც რამდენჯერმე უღერს თანხმოვანი «С» და ორიგინალს ეხმიანება.

ჩიტის ერთი ხიდან მეორეზე გადაფრენა პოეტის სულში იღუმალ მოგონებებს აღძრავს: „ახლაც მახსოვს მისამართი შენი“ . თარგმანში იგივე აზრი სხვა სიტყვებითაა ნათქვამი: «Сейчас я с тобою».

პოეტის ამალღებულები სული ხედავს ღამეების სიგრძეს, რაც დედამიწიდან ცამდე აღწევს და გული სიხარულით ევსება. მთარგმნელმა იცის, რომ პოეტისათვის ყველაზე დიდი სიხარული არის ლოცვა და თარგმანში გაჩნდა „უხმო ლოცვა“ - «Беззвучная молитва» და «Радость от Бога», რაც არ არის ნათქვამი ორიგინალში, მაგრამ, ვფიქრობ, იგულისხმება და მთარგმნელმა მართებულად გამოიცნო.

IV სტროფში ტერენტი გრანელი უჩვეულო სახით წარმოაჩენს მთვარეს, რომელიც დედამიწის ყურებით დაიღალა. სამწუხაროდ, ეს სახე დაიკარგა თარგმანში. სხვა მხრივ, თარგმანს წუნი არ დაეღება.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვლადიმირ სვეტლოსანოვმა შეძლო ტერენტი გრანელის ლექსების ჩუმი, ნათივი და ამავე დროს სევდიანი მელოდიის გაგება. მთარგმნელი უფრო თავის ინტუიციას ეყრდნობოდა, ვიდრე პნკარედებს და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „კოსმოური ენის“ დახმარებით თარგმნა ტერენტი გრანელის სევდიანი და მომაჯადოებელი პოეზია.

გიგი ხორნაული

ზვიად გამსახურდია

ზემოთ უკვე გიამბოთ ზვიადის პირადად გაცნობის შესახებ მისი მამის, ბატონი კონსტანტინეს „დიდოსტატის მარჯვენის“ რედაქტორობის დროს. მას შემდეგ ჩვენი ნაცნობობა არ შეწყვეტილა. მასაც, ბევრი ელიტარის მსგავსად, საქმის მომთავრებასთან ერთად არ დაუმთავრებია ჩვენი ნაცნობობა. (მიუხედავად ჩემი მისადმი დიდი ინტერესისა, მასთან სიახლოვისა, როგორც ბოროტებასთან მებრძოლი პიროვნებისა, ვერ ვიკადრებდი მიტმასნებას. მივტმასნებულობდა ანკი რატომ მენდობოდა მისთვის მაინც უცნობს იმ ფარულ ომში. ასეთ დროს ბავშვობიდან, სტუდენტობიდან მაინც უნდა იცნობდე კაცს, ანდაც საქმით ჰქონდეს სანდოობა დამტკიცებული. თუმცა სკოლის ამხანაგობით შერჩეულმა თანამებრძოლებმაც თხასავით გაყიდეს მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა გვერდში დგომა). ყოველთვის გულიანად მხვდებოდა, იკითხავდა ჩვენს ტოპონიმიკურ საქმიანობას – დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებთო. მკითხავდა ხევსურეთის მდგომარეობას – ხომ არ იცლებათო.

1983 წლის გაზაფხულზე დუშელი ჟურნალისტის, ნაზი შამანაურის ფსიქიატრიულში სადისტურად ჩაკვლის ამბავი რომ გახმაურდა, ქუჩაში შეხვედრილ მისაყვედურა: რატომ არ გამაგებინეთ, საზღვარგარეთს ჩავრთავდი და არ მოვაკვლევინებდი ამ საზიზღრებსო (შევარდნაძისა და მისი კომუნისტური კასტის მიმართ ამ სიტყვის ხმარება იცოდა). ვუთხარი, რომ მეც არ ვიცოდი, რადგან იმ ვაჟობას არ ვესწრებოდი, როცა ნაზი გამოსულიყო სიტყვით და ეთქვა: ვაჟას შეურაცხყოფაა, ხალხისა და ქვეყნის მყველფავანი აქ რომ თავს იწონებთო. მაშინ წაეყვანათ მილიციის მანქანით და მისი აღარავინ არაფერი იცოდა. ზვიადს რომ არ ეთქვა, ვერც მერე ვერაფერს გავიგებდი, ალბათ. მერე დავინტერესდი და დუშეთში ასულმა ვიკითხე. მიაბეჭე: ნაზი შამანაური ძალიან ნიჭიერი ჟურნალისტი იყო, სიმართლისათვის მებრძოლი, ებრძოდა დუშეთის ხელმძღვანელობას, მაგრამ რას გახდებოდა. ერთხელ შევარდნაძე იყო ამოსული, წინ გადაუდგა, წერილი გადასცა. მას კი ეთქვა: ვინაა ეს გიჟი, თავის ადგილს ვერ მიუჩინებო?! და მიუჩინეს – ფსიქიატრიულში შეყარეს ჩარგლიდან წამოყვანილი ნაზი და მისი დედა მძიმე გიჟებთან, თანაც მისი „მოვლა“ მიანდეს ვილაცა ჯალათ ვალიდა აბუსერიძეს, რომელიც ყოველ დღე თმებით ითრევადა თურმე და უმოწყალოდ ურტყამდა რკინის ნაჭერს. მოკლულისთვის ისეთ დროს მიესწროთ მე-9 საავადმყოფოს მორგში (ვითომ იქ მოკვდაო) დედაშვილებს, ცხედარი გადასაგდებად გამოჰქონდათ თურმე...

* * *

ზვიადთან შეხვედრები და ნაცნობობა, თითქოს ჩვეულებრივი, ამკარად არაჩვეულებრივი იყო ჩემთვის. მისი ღვთიური გარეგნობა, მშვიდი, სიკეთისმფრქვეველი გამოხედვა, მისი შთამაგონებელი ხმა



და სიტყვა სულიერად გავსებდა, გამტკიცებდა, გამაღლებდა, ეროვნული საქმისათვის გამუხტავდა, მასავით თავგანწირვას მოგანადინებდა. ყოველთვის სერიოზული, გაულიმარი, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს გილიმოდა, გეალერსებოდა. ამიტომ იყო ქალი თუ კაცი, ვისაც კი თუნდაც ერთხელ ჰქონოდა ბედნიერება მასთან შეხვედრისა, მისი საუბრის მოსმენისა, ყველანი თავდავინყებით იყვნენ მასზე შეყვარებულნი. ყოველივე ამას ემატებოდა გასაოცარი განათლებულობა, რაც სრულყოფდა მის იდეალურობას.

ზვიადი კოჩუბეში (ყოზლარში) გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, მოსანახულებლად მისვლა გადავწყვიტე იმათ ჯიბრზე, ვისაც მთლად მოძულეული ჰყავდა. ნანას შეეშინდა – არ დაგიჭირონ, მაგასთან მიმსვლელ-მომსვლელს ყველას უთვალთვალევენ, ჩხრეკენო. გადასახლებაშიც ვაპირებდი მონახულებას – ზვიადის ნათლულს დავეხმარეთ უცხო ენებში, ოჯახში თამადაობამაც მომიწია და მაშინ შემპირდა იმ შესანიშნავი ოჯახის მამა – ჩემი მანქანით წაგიყვან და საიგაკებზეც ვინადიროთო. არ მოგვიხერხდა.

ახალწლის წინა დღეებში ჩავასხი თავლი სამკილოან ქილაში და მივედი. ცოტნე და გიორგი პატარები იყვნენ, ეზოში თამაშობდნენ. მანანა და ზვიადი, რა თქმა უნდა, მარტონი იყვნენ. დიდი სიხარულით შემეგებნენ, შემიპატიყეს, სახელდახელო სუფრაც გამიწყვეს. ბევრი ვისაუბრეთ. ვატყობდი სიმარტოვით გაბეზრებულებს სიამოვნებდათ ჩემთან საუბარი და არც მე ავჩქარდი. წამოსვლისას ზვიადმა მითხრა ჩემს არალეგალურ ჟურნალებს მოგცემ, თუ წაიღებო? „როგორ არ წავიღებ-მეთქი!“ ორი ნომერი მომცა „საქართველოს მოამბისა“. ბაზრის ჩანთაში ჩავანყვე და ისე ამოვიდე ილიაში, ვითომც არაფერი. არ შეშინოდა, მაგრამ მაინც ველოდი ვილაცა ადევნებულნი დამკრავდა მხარზე ხელს. იმ შემოდგომაზე ჰყვებოდნენ: ზვიადის და, თამრიკო ყოფილა მისული ზვიადთან. თავიანთი ბალიდან ხილი წამოულია თანამშრომელები-

სათვის გაზეთში გახვეული. უნივერსიტეტის მეორე კორპუსის კიბეზე წამოსწვია „გადაცემული“ – თუ შეიძლება მაჩვენე რა გაქვს გაზეთშიო. თამრიკოს შეუყრია სახეში – აი ეგ არი, ღორი, მიდი, ჭამეო! მიუტოვებია კიბეზე დაგორებული ხილი და წასულა.

ჩანს მიხედნენ, დარწმუნდნენ „ძაღვები“, რომ ზვიადი მათსავით ბრეცვული მეთოდებით არ „მუშაობდა“. ამის შესახებ, ოთხმოცდაათიან წლებში „კგბ“-ს ყოფილი პოლკოვნიკი, შემდეგში კი კარგი პოეტი ილია ბარამიძე წერდა წერილში „კაცი ლეგენდა“: ზვიადზე ასი კაცი ვიყავით მიჩენილი სათვალთვალოდ, მაგრამ ისე ჭკვიანურად გვაცურებდა, ისე აგზავნიდა მასალებს საზღვარგარეთ, ვერაფერს ვუგებდითო.

* * *

დამირეკეს, ბატონ ზვიადს ინტელიგენციასთან შეხვედრა სურსო და ხომ არ მობრძანდებითო. მივედი, რა თქმა უნდა. მთავრობის სახლში ჩიტაძის ქუჩის მხრიდან შეგვიშვეს. იქვე ავედით დიდ მაღალ დარბაზში. მართლაც რომ რჩეული საზოგადოება იყო. შეხვედრა თავად ზვიადს მიჰყავდა. პირველად მაშინ მოვუსმინე ვახტანგ ბოჭორიშვილს. მომხიბლა მისმა მართლაც ინტელიგენტურმა და მგზნებარე გამოსვლამ:

– კი მაგრამ, რომ აცხადებენ ზვიად გამსახურდიას ინტელიგენცია განუდგაო და ეს ინტელიგენცია ჩვენა ვართო, აბა, ეს პატივცემული საზოგადოება ვინ ბრძანდებით, ვინა ვარ მე?! ღმერთო კი მომკალი! მე, მსოფლიოს მრავალი აკადემიის საპატიო წევრი არა ვარ ინტელიგენტი და ეგ ვილაცა წერა-კითხვის უცოდინრები არიან? როგორ შეიძლება ადამიანს თავი მოჰქონდეს ინტელიგენტად და თავის ქვეყანას, თავის მთავრობას, თავის ხალხს ლალატობდეს. როგორ შეიძლება ინტელიგენტი ტყუოდეს, ცილს სწამებდეს ვისაც გინდა და მითუმეტეს პრეზიდენტს? რამ უნა დაგაბრმავოს ადამიანი ისე, რომ ვერ ხედავდეს რა მძიმე განსაცდელშია შენი ქვეყანა, და რომ მტრების ხელში არ აღმოჩნდეს ბოროტების იარაღად. თუკი ისინი რუსეთის სადებიზინფორმაციო საშუალებებით მთელ მსოფლიოს აწვდიან ცრუ ინფორმაციას, ავდგეთ და ჩვენც შევადგინოთ სიები, ხელმონერები და გავუზღავნოთ იმავე ორგანიზაციებსო სწორი ინფორმაცია. შევქმნათ ჩვენი მთავრობისა და პრეზიდენტის მხარდამჭერი ინტელიგენციის დარბაზიო.

შეხვედრის შემდეგ იქვე, დარბაზში შემოიტანეს ბლანკები და ყველამ მოვანერეთ ხელი. გადანყდა ყველას თავთავის სამსახურში შეგვეგროვებინა ხელმონერები. უცებ გადაგვიმრავლეს ტექსტიც. ამ „ინტელიგენციის დარბაზის“ თავჯდომარედ დასახელდა თეატრის რეჟისორი ლალი ნიკოლეიშვილი. ხელმონერები მისთვის უნდა ჩაგვებარებინა და ისინი მიანვდიდნენ საზღვარგარეთს. მაგრამ მაშინვე ეჭვობდნენ, ძნელი იქნებოდა მათი გადაფარვა, რადგან მათ ზურგს უკან ედგა ისეთი მსოფლიო დებიზინფორმატორი, როგორიც რუსეთის იმპერიაა თავისი მძლავრი საინფორმაციო საშუალებებითა და ქსელით. უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის ის ქართველი გოშები



შემოუბრუნა საყვად თავის ქვეყანას, ვინც თავისდროზე ჯაშუშებად ჰყავდა გაშვებული.

მეორე დღეს უნივერსიტეტში მისული „მთავარ გეზში“ – ფოიეში ჩავუსაფრდი ბლანკებითა და კალმით შეიარაღებული. ამ ადგილას იყო გზაჯვარედინი შემსვლელ-გამსვლელისა და ბულაღტერი-რექტორატისაკენ მიმდინარ-მომდინარი პროფესორ-მასწავლებლობისა. რომ არა ეს შემთხვევა, ვერ გავიგებდი და ვერ დავიჯერებდი უნივერსიტეტში თუ ამდენი გაორგულებული ეყოლებოდა ეროვნულ მთავრობას. თურმე ზოგი ისე მიღიმოდა „ზრდილობი გულითვინა“. დაკვირვება მქონდა ეგეთი: ვინც გამიღიმებდა, ზვიადისტი იყო, ჯაბისტები დაბრეშინი მარიდებდნენ თვალს. თითქმის ერთი საათი იქ ტრიალით ერთი ფურცელი ძლივს შევაგსე.

დავინახე კიბეზე პროფესორი ლეო მენაბდე ჩამოდიოდა, ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, ჩემი ერთ-ერთი პირველ ლექტორთაგანი. ჟურნალ-გაზეთების მაგიდასთან მივიდა. იქ სხვებიც იდგნენ და მიუუახლოვდი, დაველოდე სანამ იყიდიდა. შემობრუნდა და:

– ოჰ, გიგი?! გუშინ ინტელიგენციასთან გამსახურდიას შეხვედრა აჩვენეს ტელევიზიით, თვალი მოგკარი და გავოცდი!

– რატომ გავოცდი? – კითხვა შევუბრუნე. ეკალივით მეჩხვლიტა. მივხვდი ხელს არ მომიწერდა და არ ვაპირებდი არაფრის შერჩენას.

– რა ვიცი, მთიელი კაცი და... ამ დროს...

– რა ამდროს? მთიელი კაცი რომ ვარ, სწორედ იმიტომ ვიყავი იქ! ქურდებისა და სამშობლოს გამყიდველთა შორის რომ გეხილეთ, ის არ გაგაოცებდათ?!

– კაი, კაი! – ჩაიქნია ხელი და ეს დროული კაცი თითქმის სირბილით წავიდა გასასვლელისაკენ.

– ემნარა? – სიცილით მომიახლოვდა ბეჟან აბაშიძე, – შენი არ მიკვირს, აბა, ვის მხარეს იქნება ყოფილი პარტორგი? მითხრეს ხელმონერებს აგროვებლო, მოიტა მოგინეროო...

გენრიეტა ქუთათელაძე

ფ ი ქ რ ი

ჩამოჰგავს ფიქრი ფოთოლს ჩამომჭკნარს, ქარის ქროლისას მოხეტიალეს, ვით მომაკვდავმა ცივ სარეცელზე, ფიქრებმაც უმაღ ფერი იცვალეს,დეკემბრის სუსხში გათო- შილები გაყურდნენ მალე...

სიჩუმე მათი ჩამოჰგავდა გარდაცვალებას, დიახ, ფიქრე- ბი გარდაიცვალნენ... მოვა აპრილი, მზის ათინათი იმედებს ისევ ამითავთავებს,

გამოცოცხლება ფიქრები ისევ და დილის ცვარით გა- მობრწყინდება ყაყაჩოსავით შუქმოელვარე.

* * *

მე ვით ყვავილმა გამთენიისას ფერი ვიცვალე,ფერი ვიცვალე, როს ჩამელვარა სულში სხივები და მზის ნობათი ულამაზესი მივიღე რიდით და მოწინებით. გუშინ რომ გული მტკიოდა მწარედ, გუშინ რომ ქარი დარდებს მახლიდა, დღეს რალაც ძალამ /აღბათ უფლისამ/ გამამხნევა და გამახალისა... და მეც ავივსე ვით დოქი ღვინით, ფიქრები ბადაგივით დადულდა: დარია თუ ავდარია მზე ანათებს თუ წვიმს,ქვეყნად ყოველი დღე ძვირფასია,სიცოცხლე-ღვთიური საჩუქარი, წუთი რომ წუთია, წამი რომ წამია, იცოდეთ ფასი!

ციკლიდან: მოგზაურობა წარსულში

დღეს მიცვალბულთა ხსენების დღეა. ჰოდა, მეც ამონარიდს შემოგთავაზებთ მოგონებებიდან,რომელიც ბატონ შოთა ქურდიძის, ცნობილი პუბლიცისტის,რედაქტორისა და კრიტიკოსის ნათელმა ხსოვნამ დამანერინა.

ციკლიდან: რეკვიემი დევნილთათვის
ნ ის ლ შ ი

დღე ისე იყო გახუნებული, მოწყენილი და გარინდებული რომ შემეშინდა... მოსალამოვდა, ჩამოწვა ნისლი. მე შევეხი- ზნე კარავს ნისლისას და სველი ფიქრი გასაშრობად ძლივს გადმოვკიდე განთიადისას. მზარავდა სუსხი, მეყინებოდა სული ეული...

გულში ჩავმარხე სევდა და დარდი და რულმორეულს კიდევ ჩამთვლიმა.

და მძინავს ახლა,ჰო, ზეზეურად. ლამისაა ფეხზე ჩამ- ოვხმე; ძილი დამიფრთხო მერე ავდარმა... ჰო, ეს ქარია, ჩურ- ჩიულებს ქარი: „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი ეს ქალი.“ წინ გოლგოთაა, გასაველია ეს გზა ბოლომ- დე... თუ გადავურჩი ელვას და ჭექას, ქარებს, გრიგალებს თუ გადავურჩი/შენ შემენიე ღმერთო ძლიერო/, თუ მოვ- ინელე ბრახი და წყენა, თუ სიძულვილი არ გავიკარე, ვიცი, უფალო რომ არ გამწირავ! ახლა ნისლში ვარ ავი სულების აქ გამართულა დიდი მარულა, ამაზრზენია მზაკვრის სიცილი,



უფრო კი მზერა – რა თვალები აქვთ ამ ბოროტ სულებს,რა თვალთა ელვა /ფუი, ეშმაკს!/...

ჟამი დადგაო-ნისლის კარავზე იჭექა

მეხმა /ასაკი ჩემი ვერ გავიხსენე, ვარ უსაკო/. გზა ჩახი- ერგა, გზას ველარ ვხედავ... ვლივლივებ ნისლში მე შორეუ- ლი სხივი ვარსკვლავის... ცოტაც, სულ ცოტაც და წვიმად მოვალ...

დადგაო ჟამი
/მომავლის პოეტს/

სიტყვები ამოფრინდნენ ლექსებიდან, ვდიე, მაგრამ გამექცნენ, ბოლოს ძლივს დავენიე და როცა იგრძნეს,გუ- ლით მენადა მოხილვა მათი,ჩემს წინ ფურცელზე გადმოცვი- ვდნენ,მე ეს სიტყვები ავკრიფე და ჩემი ახალი ლეჩაქი მოვახ- ვიე... როგორ შეიშვენეს, როგორ გალამაზდნენ, როგორ მოიხდინეს, სტრიქონებად ჩამოიქნენ და ჩამომწკრივდნენ... ახმაურდნენ, აზვირთდნენ და ბოლოს ზღვად დაიდინეს... ახალი მოქცევის მოლოდინში ელავდა მწვანედ სიტყვების ტალღა, ნაპირს ელტვოდა აკვნესებული,ელოდა თავის ერთ- გულ წამკითხველს...და ყველა სიტყვა,შენ რომ იპოვე,გას- ლებია იმ საიდუმლოს, ამოხსნას რომ ცდილობენ დიდხანია. შემომეფეთა შენეული სიტყვა მოთეთრო, უცხოდ ანთებული, სანუგეგოდ გამზადებული, ბარძიმში გადანახული, ზიარები- სთვის მირონცხებული, მაცოცხლებელი, მეტაფორა უსაკო, უცხოფერი... ჰიპერბოლაა? ღმერთმანი არ ვაზვიადებ, ლე- ქსში ამოხსნილი საიდუმლოა, შესაქმის ფორმულა – სიყვარ- ული. შენ ხარ პოეტი და მართლაც ღმერთი!

სიტყვამ „მიყვარხარ“ ამოავსო სამყარო მთელი და რო- გორც მეხი გადაგუგუნდა... სულ ოდნავ ჟინჟლავს, ასე მგო- ნია ცრემლია ღმერთის, პეშვით ვაგროვებ,რომ დავლიო და სული მოვიტყვა...იმედი ჩემი, მინავლული ,დაღლილი და და- ჩრდილული სიმარტოვიდან თვალსა და ხელს შუა ამოინეწერა და ლექსმაც მაცნო გზავნილი შენი – მოდერნიც ძველდება, დადგაო ჟამი,

„პოეტა დოკტუს“-ის...

ახალი დროის მესიტყვევ, სალამი ჩემი/წინგიდან – „ხმა ლოტოფაგების ქვეყნიდან“/.

Морис Поцхишвили**Прощение**

Оклеветал, простил,
 Боль сердечную нанёс, простил,
 Бестолковость простил,
 Зловредность простили,
 Бессовестность простил, -
 Неблагодарность простить не смог.

Гнушаться, простил,
 Бездушность простил,
 Несправедливость простил,
 Недружественность простил, -
 Безсоседство простить не смог.

Воровство простил,
 Блядство простил,
 Алчность простил,
 Скардность простил, -
 Порчу вина простить не смог.

Свёл с ума, простил,
 Обманул, простил,
 Несдержанность слова простил,
 Фальш мысли простил, -
 Мешанину речи простить не смог.

Стих мой осквернил, простил,
 Душевный огонь затоптал, простил,
 Глухим меня счёл, простил,
 Немым меня счёл, простил, -
 Измену родины простить не смог.

Шота Нишнианидзе**(1929-1999)**

То что воодушевляло, кто-ж возвратит,
 Кому мы радели, и в снах не увидеть, -
 Младенчество наших детей,
 Молодость наших родителей.

Сокрушённое сердце ведь часто болит,
 Всёж мне под силу боль пересилить,
 Благодарен за эту красоту,
 за несчастливую эту счастливость.

Миха Хелашвили (1900-1925)

Выскажу тебя, стих мой праведный, бесприютный,
 Может скоро мне помирать,
 А тебе памятовать, не попирать же,
 Ровня-сверстники - б напевали, гласу бандуры подпевали,
 Весь свет бы весельем красовался, а мне сгнить в могиле
 укронной,
 Долго б молва бытовала, имя моё оставалось,
 Были бы обнародованы словца мои исконные,



Расцвела бы цветуще и ты дверь надгробная.

Сердце прискорбное, проклятое, как бы что не повредило
 там уж,

Дом мой, не рухнуть тебе, жёнущка не выйти- б тебе замуж,

Ой, сердце ты человекье, тебе б не опечалиться,

Дума моя не замучила б меня в чаяниях,

Ужель все порадуются моей смерти безвременной?

А может найдётся кто, ближним посчитает, кому память
 моя не безымянна,

Частенько поплачет по мне, и помянет,

Будет причитать, пока земля не проглотит, замнёт,

Мне бы об одном подумать, кого смерть моя озабочит,

Кто слезинки уронит, кому охота голову морочить?

Говорю так и мысль тем паче тоже самое подтверждает,

Мать только, мать, так тяжело никто не заплачет.

Хотя и родня, и сёстры и братья не будут красоваться в
 пестряди,

А под конец всем позабудется, другая будет отрада.

На диву белу свету хоть и жена моя поплачет,

Время пройдёт и печаль отойдёт, на радость кому-то

улыбнётся, авось кто-то и подвернётся.

На диву белу свету, и соседущки погорюют напоказ,

Праведен сказ, лишь с сердцем материнским ничто не
 разлучит,

Её сердце мой кров, ей не спится, сердце замучит.

А всем другим я не помеха, жизни не нарадуются с дуру,

И не поминают, забудутся сказы, будут брэнчать на

бандуре.

Мать кормилица, родная, только она помянет, тяжело
 зарыдает!

Мать любит нас, обожает, а дети её не вспоминаем,

И бог за грехи карает, мучаемся и в беспутстве страдаем.

1919 г. деревня Барисахо

Рамаз Берадзе (1957-2015)

Разве что пропойное

Я не пью,
 Я ласкаю винный кубок.
 Лицо твоё дарует мне со дна улыбку.
 Другая сказка, сказка
 с добрым ликом,
 А в нашей сказке зыбко?
 Сожалею, ты одна не ждёшь меня и
 заздравие, охваченное горестью,
 друзья – товарищи рассеивают грусть,
 наводят радость кубком, пусть,
 Дорогая не думай
 что пьянею,
 или беспечной безтебятиной легчает.
 В тебе, души не чая в кубке зрею,
 Твоё дыхание сжигая ум тревожит.
 К губам твоим прильнуть желаю страстно,
 Охвачен дрожью,
 Коль много сказано ведь о любви...
 душа я знаю,
 Из чаши подстрекая, улыбку шлешь,
 Не думай ты напрасно,
 Не пью я,
 Я ласкаю винный кубок.
 Твоё лицо со дна улыбку мне дарует,
 И сказке этой нет конца –
 „Ну и поэтому из рук вон я ушёл...“
 Я не пью, касаясь скупю,
 Я ласкаю винный кубок.

Иосиф Гришашвили (1889-1965)

Мой подъём (Романс)

Сейчас ты ко мне не ходишь!
 Вздыхаешь: „подъём не под силу, рукой не подать!“
 Ты лживая притворщица, как Садиha,
 и любви нашей не платишь подать!

Когда любила, схож был с полем цветущим,
 не ведал тоски, ни печали,
 Потоки цвета стихами раскидывал,
 когда люб был тебе мой причал...

когда любила, мой Харпухи
 встречал тебя нараспашку,
 и витавший ветер Сурбсаркиса
 весь таял в нежнейшие слухи.

Когда любила, боготворили не раз
 наших губ розу Шираза
 Мой подъём казался равниной,
 когда любила, когда любила....

1928

Нугзар Берадзе (Цахури)

С Гетсиманийских садов в сад райский
 Дорога въётся на кресту и вправду крест он,
 О кроме отче нашего, никто стоящий рядом,
 О, это нестояние, такой железный стержень!
 Ты на ветру бросал нас, возвращался в светоносность,
 Отрады нет, с тех пор всё косно, тяжбы те-же,
 Мечемся стадами в кровеносном инее
 и жалит души эта поддельная „Аве Мария“.
 Здесь был, брат и отче наш, сличить с кем, если на небе ты ныне,
 Не смогли приличествовать, словно саранча пасётся,
 Такого славного, умом-разумом, так раздавили,
 Какая метания, какая литургия нас спасёт?
 Словно лозу обвил на кол, всколыхнув стих в небо, несётся,
 Отросток новый, плодovито – завитушный,
 Спасение души тобой мне вновь дано,
 Если на лбу мне смерть не наsekла отметину,
 Спаситель наш предтеча, давным-давно,
 Не жди спасения обитель, другого нет пути, несносно,
 Каково? с жертвенною чашей отравы на подносе,
 Дитё, отвергни! – слышу голос и в голосе том тепло
 Слезою навернулось меткой, и я отверг, отверг тебя,
 А ведь любил? вина ведь эта грешной плоти,
 Стех пор, в главе моей всё смерть кружиться,
 С тех пор, мне клеткой поднебесье, как ужиться.

გიორგი ნაპეტვარიძე (1919-1942)

Романтика весны

Я приду к тебе, когда смолкнувшую
 ночь зазывают с озера лебеди.
 на груди твоей заплачу втихомолку
 с сомнениями, с надеждой и бедою!

Будем бродить до поздней ночи,
 Опасаясь, мать обозлится: запропастились!
 Ты измотаешься, нет больше мочи,
 Обопрись об мои плечи, рад этой ноше!

Знаю, нас любовь замучит,
 Печальным ликом прикасаясь,
 С дней моих первых и не зажигался,
 я так горю и угасаю!

Даруй мне сердце! с твоими записками,
 пусть и жизнь твоя ко мне заглянет.
 Твоя улыбка вновь во мне заискрится,
 Улыбку не жалеи, не в пору кланчить!

Доверимся волнам, нам море сродни,
 Словно родитель нас примет в затишье,
 На берегу для наших плачущих детишек
 добудем в море камень благородный!...

Я приду море, ветров матерь,
 (Господи, не рассвети ту ночьку)
 И привнесу, ты что любила, нате,
 За пазухой безгрешных светлячков.

გოი შიშნიაშვილი

თოვლი

დიდი ხნის შემდეგ, ამ ცისქვეშეთში
 ო... რა მდუმარედ მოვიდა თოვლი! -
 შემცივნებული და ანათროლი,
 თეთრი და მშვიდი ფიფქების თქეში.
 დიდი ხნის შემდეგ, ძალიან დიდი
 მოვიდა თოვლი, ო... თოვლი მიდის...


ნამო მთებისკენ ნავიდეთ,
 მთამ თოვლი გადაიყარა...
 მაგრამ, ვაი თუ არ მისმენ,
 ვაი თუ... აღარ გიყვარვარ...

რა მოხდა მთანი მეტყვიან,
 (მარტო მივდივარ მთებისკენ),
 თურმე... გზად მტერი შეგყრია,
 შენს ნახვას ველარ ველირსე...

მე რომ არ ვდუმდე

(ჩემს დას, თამარს)

მე რომ არ ვდუმდე
 იქნებ მეტქვა ერთხელ, მიყვარხარ,
 მაგრამ ვდუმვარ და
 მომიტევე მკაცრი დუმილი!
 მე რომ არ ვდუმდე,
 იქნებ ჯერაც ვერ შეგემჩნია
 ჩემი გულიდან ნამოსული
 შენი წუხილი!
 მე რომ არ ვდუმდე...
 ვერ გეტყოდი მაინც, მიყვარხარ,
 რადგან ნამდვილი
 ყველაფერი არის უთქმელი!



დრო გადის

„დრო იმისია, უნდა გავიდე...“ –

(სიტყვა, დედაჩემისაგან მიწერილი
 მისალოც ბარათზე, რომელიც მან დიდი
 ხნის უნახავ ახლობელს გაუგზავნა).

დრო გადის... დრო უნდა გავიდე!
 დრო მოვა, ნაგვიყვანს სხვა მხარეს;
 არ მითხარ, უთქმელად გავიგე
 შენ თურმე რა დარდი გამწარებს...
 ჯერ კიდევ შევხვდებით მრავალგზის
 უნახავ ზამთრებს და აპრილებს;
 მე გეტყვი, თუ როგორ გადავრჩი,
 შენც... თქვი, რომ სიცოცხლეს აპირებ!

სპეციალურად ჟურნალისათვის „ისინდი“

ნაზი შამანაური

(ნაწყვეტი)

1983 წლის 6 მაისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წერილი „იყო კი წამებული?“, რომელიც შეეხებოდა ან განსვენებულ ჟურნალისტს, ნაზი შამანაურს.

გაზეთი ათასგვარი ცილისწამებით ცდილობდა დისკრედიტაციას იმ ადამიანისას, რომელიც თავის მართალი, სუფთა ბუნებისა და პრინციპების მსხვერპლი გახდა. გაზეთი ჟურნალისტ ნაზი შამანაურს ფსიქიურად დაავადებულად აცხადებდა, თანაც იმ ფსიქიატრთა სიტყვებით ასაბუთებდა, რომელთა უმუშალო მითითებითაც ამოჭადაგეს სული ნაზი შამანაურს, უნიჭიერეს ჟურნალისტს, უმშვენიერეს ქართველ ქალს, ვინაიდან მან არ ისურვა დუმილი ყოველივე იმ სიბილენსა და უმსგავსობაზე, რასაც იგი ხედავდა თავის გარშემო.

ზვიად გამსახურდია საქინფორმის პასუხად წერდა: „დიას, წამებულია! წამებულია სიმართლისათვის, სინდისისათვის, სინმინდისა და პატიოსნებისათვის, ყოველივე იმისთვის, რაც ესოდენ უღვთოდაა გათელილი და მივიწყებული ჩვენში. წამებულია, რადგან თავს ადგას ეკლის გვირგვინი, წამებულია, რამეთუ დაიმკვიდრა ადგილი სიმართლისათვის დევნილთა პანთეონში, რომელთაც იხსნეს წარსულში ჩვენი საქართველო და მომავალში კვლავ იხსნიან მას. 1983 წ.“

პრესაში გაჩაღებულ ცილისმწამებლურ კამპანიას ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ სასარჩელო განცხადებით უპასუხეს. მოსარჩელენი უჩიოდნენ გაზეთ „კომუნისტს“ და სასამართლოსაგან მოითხოვდნენ: „აღნიშნულ სიცრუეთა გამო, გთხოვთ დაიცვათ ჩვენი პატივი და ღირსება, რასაც მოითხოვს კანონი სამოქალაქო სამართლის მე-7 მუხლით და გთხოვთ: 1. დაავალოთ გაზეთ „კომუნისტს“ გამოაქვეყნოს ჩვენს მიერ მომზადებული პასუხი ყველა აღნიშნულ სიცრუესა და სიყალბეზე. 3. სარედაქციო მინაწერებზე იგივე რედაქციას დაევალოს მათი დასაბუთებული უარყოფა. მოსარჩელები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, 1988 წლის 9 მარტი“ .

ნაზი შამანაურის ტრაგიკულ ბედზე საქინფორმის ურცხვი პასკვილის პასუხად მაშინ მეც დავწერე წერილი, რომელიც მე და ჩემმა მეგობრებმა (1983 წლის ზაფხულში) სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის გავავრცელეთ (პროკლამაციასთან ერთად) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბაღში.

დისიდენტური მოძრაობის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრები ნაზი შამანაურს არ ვიცნობდით. სამწუხაროდ, მის შესახებ მხოლოდ მაშინ შევიტყვეთ, როცა ის მოკლეს.

პირველად ნაზი შამანაურის სიკვდილის შემადრწუნებელი ამბავი თსუ-სში და საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში გავიგე. შემდეგ ბატონ ზვიად გამსახურდიას სახლში, „კოლხურ კოშკში“ წავედი ყველაფრის დასაზუსტებლად. კარგად მახსოვს, იმავე საღამოს მიუწუჯექი სანერ მაგიდას და აღშფოთებულმა სახელდახელოდ დავწერე ეს წერილი...

რადგან წერილს იმჟამინდელი დროის სურნელი ახლავს, გადავწყვიტე, იგი ჩემს ახალ წიგნში („ნაზი შამანაური - დიას, იყო წამებული ჟურნალისტი!“), რომელიც ახლო მომავალში გამოვა) შემეტანა, რათა მკითხველისათვის მიმეწოდებინა იმდროინდელი პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდების ჰუმანისტური და პოლიტიკურ-პროტესტანტული სულისკვეთება. ესაა მიზეზი აღნიშნული წერილის წიგნში გამოქვეყნებისა.



დიას, იყო წამებული!

(საქინფორმის მორიგი ანტიქართული პასკვილის გამო)

1983 წლის 6 მაისს გაზეთებმა „კომუნისტმა“, „ზარია ვასტოკამ“ და „თბილისმა“ გამოაქვეყნეს წერილი სათაურით: „იყო კი წამებული?! ანუ ანტისაბჭოელთა მორიგი მონაჭორის შესახებ“ .

საბედნიეროდ, მკითხველთა დიდმა უმრავლესობამ, რომლებიც დიდი ხანია შეჩვეულნი არიან საბჭოთა პრესის ყაღბ ინფორმაციებს, ნაკითხვისთანავე ეჭვი შეიტანა საქინფორმის მიერ მოწოდებულ „ჭეშმარიტებებში“ .

„სამართლიანობა ჭეშმარიტების აღდგენას მოითხოვს“ - აცხადებს საქინფორმი.

ჭეშმარიტად!
ჭეშმარიტება კი, აი, რაში მდგომარეობდა:

1982 წლის 15 აგვისტოს ჩარგალში „ვაჟაობის“ დღესასწაულზე სიტყვით გამოვიდა ჟურნალისტი ნაზი შამანაური, რომელიც უკანასკნელ წლამდე თანამშრომლობდა გაზეთ „სამშობლოში“ , „სოფლის ცხოვრებასა“ და „ახალგაზრდა კომუნისტში“ .

ნაზიმ გაბედულად აშილა ღუშეთის რაიონის თანამდებობის პირთა თვითნებობანი. მან ტრიბუნიდან ასე მიმართა ხალხს: „რა დაგემართათ, ხალხო, გამოფხიზლდით! შეიძლება ყველაფერზე ტაშის დაკვრა? რაიკომის მდივნის ლაპარაკი გეგმებზე, სოფლების ახალ სიცოცხლეზე, სიცრუეა! სოფლებში ასანთი არ არის, სკოლებში სწავლება მოშლილია, გზები უმძიმეს მდგომარეობაშია. ლაპარაკით საქმეს ვერ ვუშველით...“ აი, ამ სიტყვების გამო ჩამოაგდეს ტრიბუნიდან მილიციის მუშაკებმა იგი ირაკლი აბაშიძის, ლევან სანიკიძის, გიორგი ციციშვილის და სხვა ცნობილ მწერალთა თვალწინ! ჩირგვნარებზე თრევით გადაატარეს და დასისხლიანებული მკლავებით, კაბადაფხრენილი მანქანაში შეადგეს.

ღუშეთის უშიშროების განყოფილების გამგემ თ. გელაშვილმა იქვე წაართვა მას მხილების ტექსტი (77 გვერდი). მასთან ერთად დაკავებულ იქნა დედამისი სარა შამანაური-ინაშვილიც. ღუშეთის რაიონის სასამართლომ მირიან ფხადაძის თავმჯდომარეობით ნ. შამანაურს და ს. ინაშვილს იძულებითი

მკურნალობა მოუსაჯავ თბილისის ასათიანის სახ. რესპ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც ნ. შამანაურმა შიმშილობა გამოაცხადა. მოუხედავად ამისა, მას მინც ანამებდნენ ინსულინური შოკებით და ნეიროლექტიკების ინექციებით, რითაც მძიმედ დაავადეს. 1983 წლის იანვარში იგი სასიკვდილოდ სცემა სანიტარმა ვალიდა აბუსერიძემ (ყოფილმა ბარიგამ, რომელიც მორფით ვაჭრობდა). დაუზოგავათ ცემის შედეგად ნ. შამანაურმა მიიღო თავის ქალის ტრავმა და პერიტონიტი, რის გამოც იგი გადაყვანილ იქნა თბილისის მეცხრე კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც იგი გარდაიცვალა.

ნ. შამანაური ცემით არის მოკლული, თუმცა ექსპერტიზა დღემდე მალავს ამ ფაქტს (საავადმყოფოს დღესაც არა აქვს მიღებული ექსპერტის დასკვნა გვამის აღწერილობის შესახებ). ნ. შამანაურის მკვლელობაში პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება მის „ექიმს“ მზია გოგიჩაიშვილს (ქალთა პირველი გან-ბა) და რესპუბლიკის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმს აბელ მამარდაშვილს.

ამჟამად ფსიქიატრების მიზანია გარდაცვლილის დედის, სარა ინაშვილის ფიზიკურად მოსპობა, როგორც ამ არნახული ჯალათობის სამში მოწმისა. ამ ბოროტმოქმედების განხორციელება დავალებული აქვს ქალთა მეცხრე განყოფილების ექიმ ჭუმბურიძეს, რომლის მეთვალყურეობის ქვეშ არის ამჟამად ს. ინაშვილი. მას საავადმყოფოს პალატის კართან „მცველად“ დაყენებული ჰყავს მილიციის მუშაკი (?!).

ა/წ 8 მარტს მეცხრე განყოფილების კარებზე გამოაკრეს ასეთ განცხადება: „ავადმყოფ ს. ინაშვილთან არ დაიშვებიან მნახველები, არც მისი და.“ (კომენტარი ზედმეტია!). საინტერესოა, თუ ჰყოლია საავადმყოფოს ოდესმე ისეთი ავადმყოფი, რომელთანაც თვით მის უახლოეს ნათესავსაც კი არ უშვებდნენ?

ფსიქიატრები ამტკიცებენ, თითქოს ნ. შამანაური შიზოფრენიით იყო დაავადებული 1974 წლიდან, მაგრამ არც დუშეთის რ-ნის ჯანგანში და არც თბილისის ფსიქონერვოლოგიურ დისპანსერში არ ირიცხება ასეთი ავადმყოფი.

ს. ინაშვილს არ მისცეს უფლება შვილის დატყუებისა და მის მწუხარებას ფსიქიატრები ამჟამად ნემსებით „მკურნალობენ“.

ეს გახლავთ ახალგაზრდა ქართველი პატრიოტი ქალიშვილის „საქმის“ ნამდვილი არსი.

რა თქმა უნდა, დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ საქინფორმი ყოველივე ამას პატიოსნად მოუთხრობდა მკითხველებს. გაზეთებმა ბევრი რამ დამალეს, და რაც თქვეს, ისიც არასწორად, ცალბად, დამახინჯებულად. საბედნიეროდ, ეს კარგად იგრძნო მკითხველთა დიდმა უმრავლესობამ.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველმა არ დაიჯერა ნ. შამანაურის „სულით ავადმყოფობის“ ვერსია. მკითხველმა კარგად უნცის, რომ ამ სტანდარტულ ბრალდებას სიმართლის მთქმელთა მიმართ იყენებენ სიმართლის თქმით გალიზინებული ოფიციალური პირები ჩვენს ქვეყანაში.

სხვათა შორის, საქინფორმმა მკითხველს დაუმალა ნაზი შამანაურთან ერთად მისი დედის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების ფაქტიც, ცხადია, იმის გამო, რომ მკითხველს უთუოდ დააეჭვებდა დედა-შვილის ერთდროულად დაავადების ვერსია..

„სულით ავადმყოფი“ ჟურნალისტი როგორღა სწერდა ნი-

ჭიერ სტატიებს, როგორღა იღებდა ინტერვიუებს? (იხ. მისი სტატიები და ინტერვიუები ზემოთხსენებულ გაზეთებში 1972 წლიდან 1982 წლამდე).

მოვიყვანთ ნაწყვეტს მისი ბოლო წერილიდან. დაე, მკითხველმა თვითონ განსაჯოს, თუ რა მალალადამიანური და მალალმოქალაქეობრივი ტკივილები ანამებდა ნაზი შამანაურის, ამ ბრწყინვალე ჟურნალისტიკა და ჭეშმარიტი მოქალაქის სულს:

„...რამდენს ვითმენთ? მწარე, მტკივნეულმა ფიქრმა ღამე თეთრად გამათენებინა. შემძულდა ჩემი თავი. რამდენს ვითმენთ? როდემდე ყოველივე ეს? ამდენმა დუმილმა გონებაც დაახშო და სულიც დააკნინა.

მხოლოდ ოჯახის კეთილდღეობაზე ფიქრით და ზრუნვით ხომ არ ამოიწურება დღეს ადამიანობის ფართო ცნება? აგერ, შენს გვერდით, კლავენ, ქურდავენ, თავს ესხმიან უდანამაულო ადამიანებს... სწავენ, ძარცვავენ კულტურისა და ისტორიის უთვალსაზიროეს ძეგლებს(...).

ცივი, ინდიფერენტული გონება კი ასე სჯის: „რა ჩემი საქმეა, რა ხდება. მე და ჩემი ოჯახის წევრები ხომ კარგად ვართ“, მაშინ, როცა გული უნდა გვეფლითებოდეს, უნდა გვწვავდეს სირცხვილი ყოველივე იმის ხილვაზე, რაც ჩვენ დაგვაკნინებს, დაგვამცირებს სხვა ერის თვალში.

სამშობლოსათვის ერთია ისტორიული ძეგლიც და ადამიანიც. თუ ისტორიის ძეგლები - ქვაში იქნება განსახიერებული, ნიგნში, თუ ძვირფას ლითონებში, - ერის დიდების მატთანა, თვით ხალხი სამშობლოს ცოცხალი მემატთანა, თითოეული ჩვენთაგანის მორალური სახე, საერთო ჯამში, ერის თანამედროვე სახეა, რომელსაც ასეთივე მძიმე, მაგრამ საამაყო წარსული აქვს.

ამდენად დიდია, საპასუხისმგებლოა თითოეული ჩვენთაგანის ტვირთი - ტვირთი ადამიანობისა. დღეს უფრო მეტად, ვიდრე არასოდეს, მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რანი ვართ საქართველოსათვის, რამდენად ჭეშმარიტია ჩვენი ადამიანობის, ჩვენი კაცობის სიმალეები და რაოდენ სავალალოა, როცა აი ამ კაცური სიმალლიდან ვერ შეირგო ვერც დედისა და ვერც სამშობლოს ძუძუ (...).

ვერ ვწერ იმას, რასაც ახლა აღმფოთებული გონება მკარნახობს. ხელები უღონოდ მივარდება, მინდა ვიღრიალო, ყველას გასაგონად ვიყვირო: რა ხდება ეს, ხალხნო, ჩვენთან, საქართველოში?!

(...) როგორ არ ვთქვა, რომ დღეს დუმილი საშინელი ლალატია, ლალატია საქართველოსი!..

რა ხდება ეს?

დროა, ყველამ ერთად ვთქვათ ეს დიდი სატიკვარი, გულში რომ დაბუდებულა და ამოსუნთქვას გვიშლის. სათითაოდ თუ ვიტყვით, სათითაოდ გადაგვტყუებენ, მუშაოდ გვაქცევენ, საზოგადოებისაგან ცილისწამებების გზით მოგვეკვეთავენ. საჭიროა ერთიანი ძალა სამშობლოს გადასარჩენად... მართალია, გაზეთები გაშლილი ანშლაგით მოგვიწოდებენ დღეს – „დროა, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ, დროა, დროა!“ სადამდე ვიძახოთ ეს „დროა, დროა!“

საქმით ყოველ ნაბიჯზე სრული განუკითხაობაა, ქაოსია, უსამართლობაა, საშინელი გულუქვაობა და ცინიზმია, - რომელ სიმართლეზე, რომელ კანონიერებაზე მოგვიწოდებენ მალალი ტრიბუნებიდან, როცა ცხოვრებაში იგივე პირები ნაძირალებს მფარველებად გვევლინებიან(...)

როდემდე დუმილი?

თუ ადრე საქართველოს ერთი ჯალალედინი შემოესია, ერთი თემურ-ლენგი, დღეს საქართველოს დასალუპავად აღმართულა იმდენი ჯალალედინი, იმდენი თემურ-ლენგი, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს.

გული გახეთქვასაა. ბოროტება უნდა დაისაჯოს, თუ გვინდა რწმენა შერჩეს ზაზას, გიას, თამარს, ნინოს, რათა გადავარჩინოთ ჩვენი ხვალისდელი საქართველო!

დროა, ბოლმას აასკდეს საშველი! ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვთქვათ სათქმელი, ჩვენ ყველამ ერთად!.. დროა!!!“

ამ ნაწყვეტებიდან მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რატომ სდევნიდნენ ნაზი შამანაურს. ნაზის დედის მ ა ნ ი ა (?) კი არ სჭირდა, როგორც ამას საქინფორმი გვიმტკიცებს, არამედ მართლა სდევნიდნენ საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები, სუკის თანამშრომლები. იგი რაიონის მილიციის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო. დათვლილი იყო მისი ყოველი ნაბიჯი.

ნაზი შამანაურის „დღიურში“ ვკითხულობთ: „რისთვის მტანჯავენ? მტკივა ნეკნები, თმის ძირები. 70 დღის შიმშილის შემდგომ ფილტვებს უჭირს სუნთქვა, სხეულს - მოძრაობა, ჯდომა, წოლაც კი. საშინლად გავხდი. ვიტამინების ნაკლებობით თითები დამინყულვდა, კანი ცარიელ ძვლებზეა გადაკრული, პირში მძაფრი აცეტონის სუნი მაქვს. დღე და ღამე ფიქრი, ნამება, დამცირება, დამდაბლება. ისმის ყვრილი და ღრინაცელი, ტირილი, ცემა-ტყეპა. 70 დღეზე მეტია ამ ყოფაში ვართ, ეს სიცოცხლის ყოველდღიური კვლაა... ღმერთო, მიშველე!“

საქინფორმი ნ. შამანაურს მიანერს ისეთ ხულიგნურ საქციელს, როგორცაა რამდენიმე დანესებულების მიხების ჩამსხვრევა. ეს, ცხადია, მტკნარი სიცრუეა. ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, საკითხავია, განა მაშინვე არ დაიჭერდნენ? სამაგიეროდ იგი დაიჭირეს მაშინ, როცა, საქინფორმის სიტყვით, „კიდევ ერთი აშკარა ხულიგნური გამოხდომა ჩაიდინა, შეეცადა ჩაეშალა სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“. რა იყო ეს „ხულიგნური გამოხდომა“, ამაზე საქინფორმი „მორცხვად“ დუმს. არცაა გასაკვირი. ეს „ხულიგნური გამოხდომა“ ხომ ტრიბუნიდან სიმართლის თქმა იყო!

ფრიად ნიშანდობლივია, რომ სიმართლის დათრგუნვის ეს ფაქტი მოხდა დიდი ვაჟას სახელობის დღესასწაულზე, ვაჟასი, რომელიც სწორედ სიმართლის თქმისაკენ, სიფხიზლისაკენ, უზნეობის მიმართ შეურიგებლობისაკენ, ვაჟაკაჟური შემართებისაკენ მოუწოდებდა ერს:

რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილნთ არ შავეკერი ზავითა,
მცნებას ვერ შემაცვლევიანებ
მოზღვავებულის ავითა!..

ან კიდევ:

თქვენთან ძალღურად სიცოცხლეს
სიკვდილი მიჯობს ცდამია,
ვერ მაანონებთ კარგ ყმასა,
რაც არ უჯდება ჭკვაშია!

ნაზი შამანაურის მაგალითი მონიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ გადაშენებულან საქართველოში გენიალური ვაჟას ანდერძის მიმდევარნი. ვაჟაობის დღესასწაულზე ნაზი შამანაურის მიმართ ასეთი ბარბაროსული საქციელი, ცხადია, ვაჟა-ფშავე-

ლას სახელის პირდაპირი შეურაცხყოფაა.

და ამის მოწმენი იყვნენ ვაჟას სახელის პატივსაცემად ჩასული ცნობილი ქართველი მწერლები! და ხმა არ ამოიღეს! პირიქით, ნაზი შამანაურს დაესხნენ თავს!..

ეტყობა, მამის გამყიდველ პავსა მოროზოვის კომუნისტური მორალის მაგალითზეა აღზრდილი ნაზის ბიძა. და ახლა გასაგებია, თუ რატომ არ იკარებდა ნაზი მას, რატომ უარყო იგი.

ვის უხვევენ თვალს, ვის უმტკიცებენ, რომ არ ყოფილა არც საპატიმრო, არც დევნა. აკი მოჰკლეს!

მაშ, ნ. შამანაურს მძიმე წუთებში თავს ეხვივნენ პროფესორები, აკადემიკოსები, „როგორც ყველა ავადმყოფს“ ? ეს ხომ ისეთივე სიცრუეა, როგორც ყბადაღებული უფასო მკურნალობა.

რატომ არის ასეთი სიძულვილით დანერილი საქინფორმის ეს სტატია? ან ვინ სწერს ამას? რატომ იმალებიან მსგავსი პასკვილების ავტორები ხან „საქინფორმის“, ხან „ახკომელების“, და ხან ფსევდონიმების ზურგს უკან? რისი ეშინიათ? ძალა ხომ მათ მხარესაა, და, მით უმეტეს, თუ „სიმართლეც“ ... რას უფრთხიან? საზოგადოების ზიზღს ხომ არა?! მომავლის სასტიკ განაჩენს ხომ არა?!

როდის აქეთ გახდა საძრახისი მარტოხელა დედის სიბრალული და ქალაქიდან სოფელში დაბრუნება? ყველა, ვინც მას კარგად იცნობდა, ადასტურებს, რომ ნაზი კეთილი მოსაზრებებით დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისათვის იღვწოდა. მერედა, მისცეს მას იქ ამ კეთილი თესლის გახარების საშუალება?

საკვირველია, წუთუ არ რცხვენია აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილს, რომ მაღალფარდოვნად, პათეტიკური ტონით აცხადებს: „...აღშფოთებული ვარ ამ ინსინუაციით და ამორალურად მიმაჩნია იგი განსვენებულის ხსოვნის მიმართ.“

დიახ, მას სჩვევია ილია ჭავჭავაძის სიტყვებით მაღალ პატრიოტიზმზე ქადაგება. ქადაგება ერის სინმინდებზე, სიჯანსაღეზე, გამრავლებაზე...

რა უფლებით გადმომდგარა მაღალ ტრიბუნაზე, როცა მისივე ხელით, მისივე ყალბი დიაგნოზით, მისსავე საავადმყოფოში მოკლეს ჩვენი ერის უნიჭიერესი შვილი - ნაზი შამანაური? ეს ფაქტი არ მიაჩნია მას ამორალურად? ეს არ აღშფოთებს? სირცხვილი იმ ქართველ ფსიქიატრებსა, ვის სინდისზეცაა ნაზი შამანაურის სიცოცხლე!..

„იყო კი ნამებულიო?“

დიახ, იყო ნამებული! და იყვნენ მნამებლებიც, საუბედუროდ, ჩვენი სისხლი სისხლთაგანნი, ხორცი ხორცთაგანნი.

უნდა იცოდეს ყველა ქართველმა:

სიმართლისათვის ნამებულნი ყველანი ეროვნული გმირები არიან.

ნაზი შამანაურის სახელიც სწორედ ასე დამკვიდრდება ერის ისტორიაში.

ხოლო თუ მომავალში სამშობლოს დასჭირდება ზვარაკნი, კვლავაც გამოჩნდებიან: ქეთევანი, თორნიკე, თამარი, დემეტრე, ცოტნე, მათა, თინათინი, თევდორე... და რომ დავიხოცოთ, არაგველები ნამოდგებიან თითო სამასად!!

ვანტანგ ბახტაძე
(ჟურნალისტი)
1983 წელი, თბილისი.

ლერი ალიმონაკი

რკალიდან: „ნიკალა“

არ კადრულობდი შებრალებას ბედის წინაშე,
დაგდევედა ლანდი მთვარისაგან განაბრაზები.
ტერენტი გრანელი
სონეტიდან „ფიროსმანიშვილს“, 1920

I

თოვს. გრიგალია. ქარი ხრავს ხევეებს,
ხრავს ქარი სიზმრებს ნაწუნანდელევს,
თითქოს სარკმელში ვილაც ხარხარებს,
მეძახის თითქოს და მიქნევს ხელებს.

თითქოს ეს მე ვარ, მაგრამ არც მე ვარ,
შორი ხსოვნიდან გამოორიყული,
რომ უნდა ვიყო ანი, მე ის ვარ,
თუ ის, რომელიც უნინ ვიყავი?!

რა დროს ფიქრია!.. დუელში მიწვევს
ის უცხო ურცხვად... მარყევს გრიგალი,
ო, რა სასტიკი ბრძოლა მომიწევს,
რა უღმობელი, შეურიგალი.

II

ღამეა. ღმუის ქარიშხალი. ფიქრი არ წყდება,
რეკენ ზარები, გადაღმიდან ყივის მამალი,
არ ვიცი, მსჯავრი სამსჯავროში რა გადაწყდება,
ჩემთვის ფარულად საუფლოში გადანახული.

ღამეა. ღმუის ქარიშხალი. დავალ კინკილა,
მზვერავს ქარონი, ქრთამს თხოულობს თვალდაბანგული,
რა შორი გზაა, რა მიშველი, ამოკენკილი,
ჩანს მთვარის ყუა, დედის ცრემლში გადამალული.

III

თოვს. მზარავს ფიქრი, მარბევს, მახელებს,
მეჯიკავება ქარი ქურეზში,
ვილაც ფალვანდს გრეხს, ვილაც გრეხს მახეს,
ვილაც ხითხითით მაჩჩეებს ფუჩჩეს.

და ის არ ცხრება: „ჰე, მეტი რა ხარ!..“
და თოვლს უმანკოს ტკეპნის და ტკეპნის.
„ჰა, შენ ყალამი, რომლითაც ხაზე,
ახლა, რომელსაც ფასი აქვს ნეხვის!..“

ამოვა მზე და ეს თოვლიც წავა,
მეც თოვლთან ერთად თეთრად გავქრები,
გაქრება ჩემი ურვაც, წამებაც,
მეც ფუჩჩეჩით მივფუჩჩეჩები.

IV

არა ხილვებში, არა სიზმრებში,
გამომეცხადე, მახსოვს, ხსოვნაში,
როგორ შემხსენი, მახსოვს, ჩირადღნით
ჭიშკარი ხსოვნის... და რა გიხილე,

უმალ შეგიცან... უხსოვარ დროით,
ჰოი, ამირაან!.. – სულში მდრტვიწვარე



და ლიტურლიის ახალი გამმით,
ჩემში აჯანყდი, როგორც მდინარე.

როგორც მისანი – ქუხილით, ელვით,
აღმჭურვე გრძნებით ფერთა გალობის
და გაღვიძებულს ოდინდელ ცეცხლში,
მზე მაპოვნიე – მზე ჩვენთა მოდგმის.

ვით დევთა – ლახტით ცეცხლისმფრქვეველით,
ფერთა რტოებით მეც ბოროტს ვხედნი
და როს გარდავალ საღმობით ძველით,
ხსოვნას შევრჩები უფლის ცრემლივით.

V

ხსოვნის ურნაში როდინდელი
ცილვებს ცრემლი,
ავად ქმენს ეშმა, მანთხევს საცდურს,
ზაფრას, სიმყრალეს.
„მე მეც თაყვანი!.. ნაცარს მიეც
ფერები ზეცის,
აგერ, ჰა, ტილოც – ნუ ბრკოლდები,
არ შეგიბრალებ!..“

დრო დაილუქა, როგორც ცოდვით
ბალი სამოთხის,
ყალამიც დაშრა. დამდევეს ლანდი
შენი ფარულად
და ახლა, როცა ეშმას ვხედნი
საღმრთო საშრომლით,
კვლავ აღდეგ ჩემში მოჯანყედ
და ამპარატენულად.

გალობა ფერთა ოდინდელის
მიფურცლავს ფურცლებს,
დავალ ბოგანო ყალმით, აბგით,
როგორც ყარიბი,
მე, უცოდნელი, შევრჩი ბრიყვად
სოფელს აღმაცერს,
შენ მალორძინებ, ჰე, ამირაან,
ცეცხლით მაღრბის.

VI

რა ხორხოცია, რა ხირხილი,
რა მისტერია,
რა ბელზებელთა ზრიალია,
ყვითლად ხრჩოლავენ,
სადღაა ფერთა ჰარმონია,
მზე დაშრეტიათ,
თხერიან ჭლიკებით, რქებით ფრენენ,
ავად როკავენ.

ვეცემი მგონი, ვით კურტნის ქვეშ
მუშა მეკურტნე,
ყალამიც ხმება, დარდობს ფერთა
ფერგახუნებას,
ისევ მალვიძებ, უხსოვარში
ვინც მომაკუთვნე,
ფერთა გალობით ლიტურლიის ახმოვანება.

და შენ იღვიძებ ჩემში –
შენი გამოძახილი,
ისევ მაფხიზლებ ფერთი, ცეცხლით
– საღმრთო საშრომლით,
კვლავ დრტვინავ ჩემში, ჰე, ამირააან,
გზნებით, მახვილით,
თუბალ-კანის სამჭედურში
გამობრძმედილით.

VII

ჰეი, რა დღეა!.. ხმელი ფიფქი
სახეს მიშაშრავს,
მომგლიჯეს სოფელს, ნათლილების
რეკენ ზარები,
ყინვიან რიყეს გამიყენეს,
შორეულ შარას,
მივდევე ღვთის ნებას ფერთი, ყალმით,
სანუთროს მგზავრი.

ჰა, გზაბოძალი!.. პირქვე დარჩა
ქალაქ-ქვეყანა...
უკვე იქით აქ ვარ... მინცობს ლოდზე
ვიღაც თხოველი
პურსა და ღვინოს. ფერმიხდილი,
თვალმოპყრობილი
ჩუმს. არარაის სხვა არაფრის არა მთხოვნელი.

ახლა შენში ვარ – დავინყებულ
ნანისქვილარში,
აქ მეც უქმი ვარ, როგორც ცრემლი
თოვლზე შემშრალი,
ჰოი, ამირააან!.. უხსოვრობად
ჩამრჩი ხსოვნაში,
უხსოვრობიდან სახე შენი
ვერ ამოშანთეს.

ყოველ ცისმარე ბორგავ ჩემში
ხატდაქცეული,
საღრმითო საშრომლით, ანუ ლახტით
ცეცხლისმფრქვეველით,
სულს მილიცილიცებ, მაგიზგიზებ
ცეცხლით ციერით,
რომ ვსძლიო ეშმას, გადავდენო
მიღმა ქედების.

კირიელისონ!.. რეკავს ზარი
ხსნისა და ლხენის,
ბეჭმოტეხილი გარბის დევი
ავბანჯგვლიანი
და ოდეს მოვა დრო ახალი
აღორძინების,
მე მოვალ სოფლად როგორც მითი,
როგორც იგავი.

ერთი ლექსის გაელვება

ზ ვ ი ა დ ს

ქარიშხლიანი იალქნების სევდამ იელვოს
გოლგოთა გდევდა, გრაალის თასს ილმობიერებ
ნუ მიავდრდები, სანუთროო, ქრისტესმიერო,
მახვილის ნაცვლად წრფელი სისხლით დადაფნავ ერებს
და ივერიის მარადიულ ტკივილსიმღერებს
ქართლოსიანო, უკვდავებით იმშვენეიერებ!
შენს უტუბ მზერას ზეციური ერთვის სმარაგდი
გამაგრდი, ქაჯეთს როს აჰყარე წყება ბორკილთა,
ოდეს გველეშაპს შემოძარცვე უჟამო მთვარე
გეთსიმიანის ნალკოტიდან მზე გულს მოგიტანს...
უსამშობლოთა შესამუსრად მედგრად შემართულს
მარადისობა ამირანის მხარ-ბეჭს გატოლებს,
შენს სპეტაკ შუბლზე იგრაგნება ელვად გოლგოთა
ამაყად დაშლი უსახელო წყვიად-ატომებს...
მოგიხმობს შენი საქართველო, ვით რელიქვია
ათასწლეულთა გრიგალებში გულდაკორტნილი,
და სანამ ისმის შეძახილი: გვანსოვხარ, ზვიად,
ქართლოსიანი მტრის ჯინაზე არასდროს ტირის!

იკა ქადაგიძე
30.03.2019.



17-17

„ასომთავრულ ცის“ არე ნამგალა.
პოეტად იშვი მთვარის აკვანში,
ლვთისშვილად რომ გცნოს არენამ გალა
ღმერთი ორ ხელში აგიყვანს ვანში.

ცის კაბადონი და კიდობანი,
გიხმობს მორიელს ნოემბერთა.
რომ კლდის მწვერვალზე დაკიდო ბანი,
განდეგილად გცნო ნოემ ბერთა.

ტალანტიანი გალაქტიკისა
ძირს გალანტურად გადმო გალონ და
ქალაქს აქვს სუნი გალ აქ ტიკისა,
რაც მთვარის ყანწით გადმოგალონდა.

გტანჯავდა ვარდის მუზა რად ია,
მუზის სანყისი მერიდიანი?!
მთვარე მთავარი მუზარაღია,
კრძალვით ლექსს გიძღვნი, მე რიდიანი.

ფიქრს ეფერები მეფე მერთა,
თბილისში ეძებ თბილ ჰარმონიას,
რომ ააფეთქე ეფემერთა,
გალა კონცერტი ფილარმონიას.

ღვინის გზას ურწყავს არა, პო, ეტის.
ლექსის ხარკს გიხდის არამე ფურით.
სისხლი არ გიჩქებს არაპოეტის,
გვირგვინი არ გაქვს არამეფურით.

ცეცხლის ფერფლს გათოვს ციური ელფი,
თეთრ ღვინოს განვდის რიონი სურით.
რომ არ გცილდება ლიუციფერის,
დემონის ლანდი დიონისურით.

კალაპოტს იცვლის პო ეტიკისა,
ქარიშხალმა რომ კაკვა სიონი.
ეტიკეტს აკრავს პოეტიკისა,
ჰიმალაი და კაკვასიონი.

არ გასვენებდა ჯოჯო ხეთური,
თუმც გვერდში გედგენ სამოთხელები.
ცხოვრება განვლე ჯოჯოხეთური,
ნელ-ნელა სულის ამოთხელების

უფრო მეტნილად დღეს იწერება,
სოციალური ქსელის კომპ.ლექსი.
დღემდე აწუხებთ, წრე ეწირება-
– შურით უკვდავი ლექსის კომპლექსით.

სიკვდილი უფრო მოკლეა შენი
სიცოცხლე წამი, არის ან კესი
უკიდევანო ოკეანეში,
ლურჯ ვეშაპს იჭერ მთვარის ანკესით.

მთვარე პოეტის ლამის გერბია,
მთვარის სონატას ლუდვიგი გიქმნის,
რომ ლურჯი დროშა არ დაერბიათ,
გედის სიმღერის მუდმივი ჰიმნით.

ვერც სმით გეტყოდა აუგს აგუნა,
ვიგრძენ გულისძვრა შეზანზარებით.



ვანის თამადამ აუგუგუნა,
თეთრ სამრეკლოზე ლურჯი ზარები.

ხმა აღონაი იადონისა,
ბანს გცემს აღონის ნაბულ ბულვარით.
მკერდს მთვარის ქნარი მიაღონ ცისა,
სააფროდიტედ ნაბულბულარით.

და ღმერთპოეტი დადიხარ მარტო,
თეთრი კვართით და ლურჯ კაღმის კვერთხით.
მარტი მარტივად ახირდა რატომ,
დაფნის რტოები გეგება ფერხით.

სხვას არ ეკუთვნის საგა ისეთი...
სხვებმა შეირგეს არამი თუ რით?!
იმედით გიცქერს საგაისეთი,
რეალური და არამითური.

სად გენია და სად გენია,
რითმების დასის დასადგენია
გულში ისარი მარდად ისობა,
რომ იგრძნო სულის მარადისობა.

ცუდად გცდის ბედი სუიციდიისა,
გიჟის როლს გაძღვეს არტისტი ქარი.
ციდან დინს ცრემლი უი, ციდიისა,
მტრედს მიაქვს სული მარტის სტიქარით

ფორტუნით მიხმობს, სადღაც FM-ზე
ეალერსება ნიუ ვერსალი.
მთვარის პოეტად აღდგა მეფე მზე,
როგორც პოეტი უნივერსალი.

მის თავს მახსენებს მარტი არქივით,
ერთგული ძალი ვატყობ თეოს ზის.
სწამთ ლურჯ ვარსკვლავებს პატრიარქივით,
მ-ზე-პოეზიის აპოთეოზი.

დანერა მთვარის ეშვით „კირბები“
სჩანს ოლიმპოს გზა ლიპით, გრიმებით.
წმინდა საფლავთან შევიკრიბებით,
დღეს პოეზიის პილიგრიმები.


/პოეტ პოეტიშვილი/ პაატა სურმანიძე/

თეიმურაზ ნადარეიშვილი

შექსპირული ჩანახატები¹

რიჩარდ III (აპოლოგია ტირანისა!)

ელისაბედ დედოფალთან ქალიშვილის ხელის
თხოვნის სცენა
(მოქმედება მეოთხე, სურათი IV)



თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სცენა კიდევ უფრო პარადოქსალურია, ვიდრე ლედი ანასთან სცენა, რადგანაც აქ რიჩარდი მისი ბრძანებით მოკლული მცირეწლოვანი უფლისწულების (საკუთარი ძმისშვილების!) დედას, დედოფალ ელისაბედს ეცხადება და ცოცხლად დარჩენილი ერთადერთი ქალიშვილის ხელს სთხოვს! (ეს სცენაც მთლიანად შექსპირის მიერ არის მოგონილი, რადგანაც ხოლმეშენდის ქრონიკის მიხედვით რიჩარდმა გადაწყვიტა თავისი ვაჟისთვის მიეთხოვებინა დედოფალ ელისაბედის ქალიშვილი, მაგრამ ვაჟის მოულოდნელმა სიკვდილმა რიჩარდს გადააწყვეტინა თავად შეერთო საკუთარი ძმისშვილი, თუმცა მრჩეველების რჩევით, ხელი აუღია ამ განზრახვაზე!)

აქ უკვე რიჩარდის მთავარი „იარაღი“ დედოფალ ელისაბედის ანგარებითი ბუნების კარგად ცოდნაა და ამ ფაქტს თავის სასარგებლოდ, „წვეთ-წვეთობით“ იყენებს რიჩარდი. კერძოდ, დედოფალ ელისაბედის ბუნებრივი საწყისი გაცხარების შემდეგ, იგი მას „შემთხვევით“ შეაპარებს:

„ისემც მწყალობდეს, ჩემო რძალო, მე ბედისწერა და გამიმარჯვდეს ამ საშიშარ სისხლის ბრძოლაში, ვით მსურდეს შენთვის და ყოველთა შენიანისთვის უფრო სიკეთე, ვიდრე ვნება მიქმნია რამე“

ელისაბედ დედოფალი
რალა სიკეთეს მალავს ზეცა იმისთანასა,
რომ მანუგემოს ჩემს ყოფაში იმის მოცემით?”

დედოფალ ელისაბედის ამ უნებლიე შეკითხვიდან აშკარად ჩანს, რომ მას აინტერესებს რას შეიძლება დაპირდეს რიჩარდი. აქ აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ამ სცენის წინა სცენაში მარგარეტი ელისაბედ დედოფალს დეტალურად აღუწერს თუ რა დაკარგა მან დედოფლობის დაკარგვით:

„დიად, შენ სწორედ სათაეატრო დედოფალი ხარ. აბა სად არის შენი ქმარი, ან შენი ძმები, შენი შვილები? რალა დაგრჩა სასიხარულო? „ღმერთო, ჰფარვიდე დედოფალსა!“ ვილა იძახის? ვილა რასა გთხოვს? სად არიან ის დიდნი კაცნი, მლიქვნელობით რომ ქედს იხრიდნენ შენსა წინაშე? სადლაა ეხლა ის ხალხის ბრბო, უკან რომ გდევდა?“

.....
გვედრებოდა ჯერ შენ ყველა, ეხლა შენ ჰვედრებ, მორჩილი იყო ყველა შენი, ან არვინ არის;“
მაშინ შენ ზიზღით დამცქეროდი, ან მე დაგცქერი. მართლსაჯულების ჩარხი ასე დატრიალდა და შენ გარდაქმნა დრო და ჟამის უბრალო მსხ-

ვერპლად.

მოგონებალა შეგრჩა მისი, რაც უნინ იყავ.”

შექსპირი მართლაც დეტალების დიდოსტატია. აი რა დაკარგა დედოფალმა ელისაბედმა; ბუნებრივია მას უნდა დაიბრუნოს ძველი დიდება და ამიტომ აინტერესებს რიჩარდის შემოთავაზება, რასაც კარგად გრძნობს თავად რიჩარდი და კიდევ უფრო უღვივებს დედოფალ ელისაბედს ინტერესს:

ელისაბედ დედოფალი
“მითხარ, რა სახელს, რა ღირსებას, ან რა პატივსა დაუთმობ ვისმე შენ ჩემს ნაშობს?
რიჩარდი

ყველას, რაც კი მაქვს,
დიად, თვით ჩემს თავს, ყოველიფერს ვაძლევ ერთ შენ შვილს;

.....
და დაივინყე ყოველივე ის ბოროტება,
რაიც ვითომ მე მექნას შენთვის.

ელისაბედ დედოფალი
მამ მოკლედ მოსჭერ,
რომ ვიდრე კეთილს ნარმოსთქვამდეს ეგ შენი ენა,
არ გისწროს გესლმა, ხმა უეცრად არ ჩაგინყვიტოს.”

და აქ რიჩარდი აკეთებს მოულოდნელ განცხადებას:

„გაიგე ეს, რომ გულთი მიყვარს შენი ასული.“
ეს იმდენად გაუგონარი, თავხედური წინადადებაა რიჩარდისა (ყველაფერს მოელოდა ელისაბედი რიჩარდისგან, გარდა ამისა!), რომ ელისაბედი უმალ მოკლული ვაჟიშვილების დედა „ხდება“ (ალარ უნდა არავითარი დიდების დაბრუნება!) და კვლავ სარკასტულია რიჩარდის მიმართ:

„მამ გაუგზავნე იმის ძმების დამხოცის ხელით ადამიანის წყვილი გული სისხლით მჩქეფარე ზედ ამოჭრილის სახელებით: „ედვარდ და იორკ“.

.....
თუ ამან შენი სიყვარული ვერ ჩააგონა,
შენთა დიდ — საქმეთ გაუგზავნე მოკლე მოთხრობა,

უამბე, როგორ მოინეღე იმის ბიძები,
კლარენს და რივერს, ან ვით სწრაფად იმის

¹ დასასრული. დასაწყისი იხ. „ისინდი“ №6.

გულისთვის

საიქიოში გაისტუმრე ძალუა ანნა.”

რიჩარდი თითქოს გამოუვალ მდგომარეობაში აღ-
მოჩნდა, ისევე როგორც ლედი ანას სცენაში შეფუთვ-
ების შემდეგ, მაგრამ რიჩარდს „არსენალში“ კიდევ
სხვა არგუმენტები გააჩნია და იგი ელისაბედს კვლავ
არასტანდარტულ, მოულოდნელ წინადადებას სთავა-
ზობს, რომლიც ისევ ელისაბედის პატივმოყვარეობაზე
მოქმედებს. კერძოდ, რიჩარდი ეუბნება ელისაბედს,
რომ მართალია მან დახოცა მისი ვაჟიშვილები, მაგრამ
სამაგიეროდ მის ქალიშვილს გახდის ინგლისის დედო-
ფლად:

„რაც მოხდა, მისი ძნელი არის გამობრუნება.
ადამიანი სცდება ხშირად და მხოლოდ ბოლოს
სინანულითა იპატიებს შეცდომილებას.
თუ შენთა ძეთა გამოვნირე მე სახელმწიფო,
სამაგიეროდ დაეუბრუნებ მას შენსა ასულს.
მართალი არის, დაგიხოცე მუცლით ნაშენი,
მაგრამ იმითი გაგიცხოველებ შთამომავლობას,
რომ შენს ასულზედ ვამყნობ ჩემს გვარს შენივ

სისხლისას.

ბებიად ყოფნა არა ნაკლებ სანატრელია,
ვიდრე ტარება გულმზურვალე დედის სახელის.
შვილიშვილიც ხომ იგივეა, რაც შვილი, მხოლოდ
ერთის ნაბიჯით უკანა სდგას: ზნეც იგივეა,
იგივეა შტო, იგივე ტანჯვა მათ შობის ღამეს
მისი, ვის გამოც შენც ის ტანჯვა ავითანია.
შენი შვილები განვალუბდნენ სიყმანვილის ყამს,
ჩემნი ნუგეშად სიბერეში გეყოლებიან.
თუმცა ვაჟიშვილს არ ელირსა ხელმწიფედ დასმა,
ნაცვლად დედოფლად იკურთხება შენი ასული”

რალაც დაუნდობელი, დამთრგუნველი, რაციონალ-
იზმით „გაყლენილი“ ლოგიკა რიჩარდის სიტყვებში,
(რიჩარდს ბევრი ცხოვრებისეული დაკვირვება გააჩნია
და კრიტიკულ სიტუაციებში იგი მათ ოსტატურად
იყენებს თავის სასარგებლოდ!) და ესეც მოქმედებს,
რა თქმა უნდა, ელისაბედზე! მაგრამ რიჩარდი ამით არ
იფარგლება და კეთილდღეობას პირდება ელისაბედის
გერს დორსეტს და ნათესავებს. მაგრამ ელისაბედი
მანც აღშფოთებულია:

“როგორ სჯობს ვუთხრა?

მამიშენის ძმა ცოლად თურმე გთხოულობს-მეთქი?
თუ ბიძაშენი, თუ ის, ვისაც ძმები, ბიძები
დაუხოცნია სრულად შენი! ვით წარგადგინო,
რომ უხამსად არ მოეჩვენოთ შენი სახელი
იმის ნაზ ყურებს, რომ არ აღდგეს შენს წინააღ-
მდეგ,

ღმერთიც, კანონიც, იმის გულიც, ჩემი ღირსებაც?”
და აქ რიჩარდი პირველად იყენებს პოლიტიკურ
მოტივს:

„უთხარ, მაგ კავშირს ჰკიღია-თქო ინგლისის ბედი.
.....
ბედნიერება ჩემიც, შენიც მასშია მხოლოდ;
უიმისოდ კი მეც, შენც, მასაც, ამ ქვეყანასაც
და ბევრს ქრისტიანს სხვასაც კიდევ მოელის მარ-

ტო

ტანჯვა, სიკვდილი, განწირულად განადგურება.
მასთან კავშირსა ძალუდს მხოლოდ ამის აცდენა.
მასთან კავშირსა, სხვა არაფერს.“

სულ ბოლოს კი რიჩარდი შემდეგ „უცნაურ“ არგუ-
მენტს იყენებს:

“წინ დაუსახე არა რაც ვიყავ, არამედ ის, რაც
მსურს რომ ვიყო,—

ანინდლის ნაცვლად ღვანლი ჩემი მოსალოდნელი.
ჩააგონე, რომ დრო და ჟამი მას მოითხოვს-თქო
და ნუ შეუშლი ზიზლით ხელსა დიადს განზრახვას.”

მართლაც ხშირად შესაძლოა ადამიანს წარსული
„არ უვარგოდეს“, მაგრამ მას გამოსწორების მიზნით,
მანც უნდა მიეცეს ყველაფრის თავიდან დაწყების სა-
შუალება. რიჩარდის ეს სიტყვები, როგორც ეს სხვა-
განაც აღვნიშნე, მისი გაორებული ბუნებიდან გამომ-
დინარე, კვლავ ორგვარად შეიძლება გავიგოთ: ისინი
ელისაბედზე ეფექტის მოსახდენადაა წარმოთქმული ან
რიჩარდს მართლა უნდა ყველაფერი „სუფთა ფურცლ-
იდან“ დაიწყო!

რიჩარდის ამ „მასირებულ შეტევას“ ელისაბედი ვე-
ლარ უძლებს, იწყება მისი სულიერი გარდატეხა:

“ამ სახით უნდა შემაცდინოს განა ეშმაკმა?”

რის საპასუხოდაც, რიჩარდი „ცეცხლზე ნავთს ასხ-
ამს“:

“რატომ, თუ ცდომით დაგაყენებს კეთილ გზაზე-
და.”

ელისაბედი კვლავ იბრძვის:

“განა კი უნდა დავვიწყო, ვინ, ანუ რა ვარ?”

რიჩარდი არ წყვეტს მომწუხებელ ირონიას:

“დილადაც, თუ კი გახსენება გაგნებს შენ რასმე.”

და გაოგნებული ელისაბედი უკანასკნელად გაი-
ბრძობებს, შეახსენებს რა რიჩარდს ყველაზე ძლიერ
კონტრარგუმენტს:

“შენ დამიხოცე ჩემნი შვილინი!”

რიჩარდი კი აუღელვებლად უმეორებს:

“მე მათ დავმარხავ

შენი ასულის სუნნელოვან გულ-მკერდ ქვეშ, სადაც
შენდა ნუგეშად თავისთავად განახლდებიან”

ყველაფერი დამთავრდა: ელისაბედი თანხმდება!
რიჩარდმა კვლავ გაიმარჯვა წარმოუდგენლად რთულ,
მისთვის არახელსაყრელ პირობებში! ამ შემთხვევაში
რიჩარდმა გამოიყენა პოლიტიკური მოტივი და „ითამა-
შა“ ელისაბედის ანგარებით ხასიათზე!

განსაკუთრებით მინდა აღნიშნო, რომ ორივე ზე-
მოთ განხილული სცენების განხილვისას, მე „ჩასა-
ფრებული ადამიანის“ პოზიცია მეკავა — როგორც
მკითხველს მაინტერესებდა ხომ არ არის ეს სცენები
„ხელოვნური“ (ლევ ტოლსტოის ტერმინოლოგიას თუ
გამივიყენებთ ზოგადად შექსპირთან დაკავშირებით!),
თუ როგორ მოახერხებდა რიჩარდი ლედი ანასა და
ელისაბედ დედოფალის დამორჩილებას და დეტალური
ანალიზის შედეგად დავრწმუნდი, რომ ორივე ის სცენა,
გარეგნული პარადოქსალურობის მიუხედავად, „შინა-
განად“ საესებით დამაჯერებლად გამოიყურება!

* * *

**ვინ ვერა ხვდება სიმუხთლეს სოფლის
მაგრამ ვინ ბედავს თქვას, რასაც მიხვდა!
თეიმურაზ ნადარეიშვილი**

რიჩარდის „მომხიბლაობის“ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ იგი ძალიან ხშირად ამბობს სიმართლეს. ნებისმიერი ადამიანი ხედავს სამყაროს მოუწყობლობას, ხედავს რომ ირგვლივ ბევრი უსამართლობაა, მაგრამ დანახულის ხმამალა თქმას გარკვეული გამბედაობა სჭირდება და სწორედ ეს გამბედაობა გააჩნია რიჩარდს! აქ აუცილებლად უნდა გამოვყოთ ორი მომენტი:

ა) რიჩარდში ერთდროულად თანაარსებობს ორი „მე“- ცუდი და კარგი! ამგვარი გაორება დამახასიათებელია რიჩარდის მსგავსი ტირანებისათვის, რადგანაც მათ საკუთარი „ფარული“ სიმართლე გააჩნიათ თავისი სასტიკი ქმედებების გასამართლებლად! რიჩარდი ზოგიერთ შემთხვევაში მართლა გულწრფელად ამბობს სიმართლეს — ნინა პლანზე წამოსწევს საკუთარ კარგ „მე“-ს!

ბ) უმეტესწილად კი რიჩარდი სიმართლეს ამბობს გარკვეული ანგარიშით, რათა საკუთარი მიზნებისათვის ზემოქმედება მოახდინოს ადამიანებზე! იგი სიმართლეს არ ამბობს სიმართლისათვის!

ასე, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს თუ ვინ, სად და როდის ამბობს სიმართლეს!

* * *

ჩემი აზრით, არ უნდა იყოს მართებული ცნობილი კომენტარები, რომ რიჩარდმა არ იცის სინანული, შებრალება, არ ჰქვავს სინდისი და ა.შ. რიჩარდის დულაური ბუნებიდან გამომდინარე, მისი ზოგიერთი ქმედება არ შეიძლება გავიგოთ ცალსახად. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს — გამეფების სცენას. ამ სცენაში რიჩარდი ხალხს ეცხადება ლოცვის პროცესში ორ ეპისკოპოსთან ერთად. მისი ასეთი ქცევა ორგვარად შეიძლება გავიგოთ. პირველი — იგი ამ ლოცვის სცენას ხალხის თვალის ასახვევად აწყობს (ამით რიჩარდი ხაზს უსვამს, რომ თავისი ძმის მეფე ედუარდიგან განსხვავებით, რომელიც აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა, იგი ასეთი ღვთისმოსავი ადამიანია!). მეორე — რიჩარდი მართლა განიცდის საკუთარ ცოდვებს,ინანიებს მათ და ამიტომ სჭირდება ლოცვა!

ასევე სცენის კულმინაციურ ნაწილში რიჩარდი აღნიშნავს, რომ ბევრი ნაკლი აქვს და ამიტომ ის არ არის ტახტის ღირსი (სინამდვილეში კი მას სწორედ მეფის გვირგინი უნდა!):

„მაინც გონება ჩემი ისე სუსტია, დუნე,
ისე სავესე ვარ ყოველგვარის ძლიერის ნაკლით,
რომ ჩემს დიდებას მევე უნდა ვემალებოდე,
ვით სუსტი ნავი, რაც ვერ იტანს მღელვარე ზღ-
ვასა;

.....
მე არ შევფერი არც სამეფოს, არც მის დიდებას.”
რიჩარდი ამ სცენაში გულახდილია (ჩვენ ხომ

უმეტესწილად არ ვლაპარაკობთ საკუთარ ნაკლებზე!), მაგრამ ეს არასტანდარტული საქციელი რიჩარდს სჭირდება ხალხზე ეფექტის მოსახდენად, თუმცა მის გაორებული ბუნებიდან გამომდინარე იგი შესაძლოა მართლაც ნანობს, რომ ამდენი ნაკლი გააჩნია! სცენის ბოლოს კი კვლავ მიმართავს ეპისკოპოსებს გააგრძელონ ლოცვა და მათთან ერთად სტოვეებს სცენას. მაგრამ აქ სიტუაცია სულ სხვანაირია, ვიდრე სცენის დასაწყისში, რადგანაც რიჩარდი უკვე მეფეა და მას თითქმის აღარ სჭირდება თამაში! ასე, რომ ჩემი აზრით რიჩარდს ლოცვა მართლა „შინაგანად“ ჭირდება, რადგანაც მან უკანონო გამეფებით, კიდევ ერთი ცოდვით დაიმძიმა თავი! (საინტერესოა აღინიშნოს, რომ შექსპირმა ხოლემუნდის ქრონიკას სწორედ ეს ორი ეპისკოპოსი დაამატა და ეს დამატება არ უნდა იყოს შემთხვევითი!).

ამ ფონზე გასაგები ხდება, რომ რაც უფრო მეტ დანაშაულს სჩადის რიჩარდი მით უფრო მეტი სინდისის ქვეყნას განიცდის იგი და ეს პროცესი კულმინაციას აღწევს რიჩარდთან უკანასკნელი ბრძოლის წინ, როდესაც რიჩარდს ეცხადებიან მის მიერ მოკლული ადამიანების სულები:

„ჰოი, ლაჩარო სინდისო, როგორ მანუხებ!-
ლურჯადა ბჟუტავს ეს სინათლე...შუალამეა...
მაკანკალებს და ცივ ოფლს მასხამს წვეთ-წვეთად
ტანზედ.

ვისი მეშინის? ჩემივე თუ?! სხვას ვერვის ვხედავ.
რიჩარდს რიჩარდი უყვარს ხომა, მე ხომ მევე ვარ!
არის ვინმე აქ კაცისმკვლეელი? არა... ჰო, მე ვარ...
უნდა გავექცე...ვისა? ჩემს თავს? რატომა ვითომ,
რომ ჩემს თავზედვე მე ჯავარი არ ამოვიყარო.
ვაი რომ მიყვარს ჩემი თავი! რადა? მისთვის რომ
ცოტაოდენი სიკეთე რამ მახსოვს ჩემგანვე?
ოჰ, არა, არა, მე უფრო მძულს ჩემი თავი! რადა?
მისთვის რომ

ცოტაოდენი სიკეთე რამ მახსოვს ჩემგანვე?
ოჰ, არა, არა, მე უფრო მძულს ჩემივე თავი
ჩემგან ნაქმნართა საზიზღართა საქმეთა გამო!
ავაზაკი ვარ? რად ვიქნები? არა, ვტყუი მე!
სულელო, კარგი სთქვი შენს თავზედ...ნუ, თავს ნუ
იქებ...

თითქო ათასი ენა ებას ჩემს სინდისსა,
რაც სათითაოდ თუმც მომიტხრობს სხვადასხვა
ამბავს,

ყველა ერთად კი ავაზაკსა მიწოდებს და მსჯვის.
ფიცის დაგმობა საშინელი, უსაშინლესი,
უსაზარლესი კიდევ უფრო უწყალო კაცთ კვლა,
ყველა ცოდვები გარდასულნი ზომას და ნონას,-
ერთად იყრიან სამჯავროს წინ თავს და ბლავიან:
“დამნაშავეა, დამნაშავე”... სრულად დავიბენ...
არც ერთ არსებას არ ვუყვარვარ: როცა მოვკვდე-
ბი,

არ დავნანდები არავისა; ან რად დავნანდე,
როცა მე თითონ ვერას ვპოვებ ჩემში დასანანს!”
მართლაც შექსპირზე უკეთ, შეუძლებელია გააკიცხო

საკუთარი თავი! დიან ტახტისკენ მიმავალ გზაზე თავისი, ზემოთ აღნიშნული „მორალური პოსტულატზე“ (“მე მხოლოდ მე ვარ!”) დაფუძნებულ შინაგანი სიმართლის შესაბამისად, რიჩარდმა უამრავი დანაშაული ჩაიდინა. ამ პროცესში იგი სათანადოდ ვერ აკვირდებოდა საკუთარ თავს. ახლა კი, გადამწყვეტი ბრძოლის წინ მან სალად შეაფასა თავისი ნამოქმედარი. სწორედ ამ შემთხვევას მიესადაგება ცნობილი პრინციპი: „თუ მიზნის მიღწევა არასწორ საშუალებებს მოითხოვს, მაშინ თავად მიზანია არასწორი!“ რიჩარდი თავად ხვდება, (როგორც ეს ზემოთ აღვნიშნე) რომ არ შეიძლება ადამიანმა საკუთარი თავი ყველაზე და ყველაფერზე მალა დააყენოს, ამ საფუძველზე თავი „გაინთავისუფლოს“ და ისე იმოქმედოს!

* * *

რიჩარდს იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ „ყველას ყოფნის“ მის მიერ ჩადენილი დანაშაულებები და სიტუაცია აბსურდის თეატრს ემსგავსება! კერძოდ, მარგარეტის დამლუპველი (ქმრის და შვილის მკვლეელი) რიჩარდი, ამავდროულად მისი უნებლიე შურისძიებელიცაა, რადგანაც რიჩარდმა გაანადგურა მარგარეტის მოსისხლე მტრებიც: საკუთარი ძმა კლარენსი, ჰასტი-ინგის და დედოფალ ელისაბედის ნათესავები!

* * *

რიჩარდმა ყველაზე უკეთ იცის თუ რას აკეთებს, იცის გარემომცველთა მოსალოდნელი რეაქცია მის ქმედებებზე და ამიტომ იგი „მიჩვეულია“ საპასუხო სისასტიკეს, რის გამოც ინდენფერენტულად ხვდება დედის(!) წყევლვას

„მაშ მოთმინებით მოისმინე არ მოსასმენი.

მე დღეის იქით შენსა სახეს ველარ ვიხილავ,
 მაშ თან გაგატან დედის წყევლვას უუსამინლეს,
 რაიც ბრძოლის ყამს უარესად დაგამძიმებს შენ,
 ვიდრე მაგ სრულის საჭურველისა ზიდვა, ტარება.
 შენ წინააღმდეგ ჩემი ლოცვა მედგრად იბრძოლებს
 და ედვარდის ჩვილ ყრმათა სულნიც გაამხნევებენ
 და გამარჯვებას დაულოცვენ მტერთა ლაშქარსა.
 მოსისხლე ხარ და სისხლიანი ბოლოც გექნება;

ვით ავკაცურად სცოცხლობდი შენ, ისეც მოკვდები!”

ისევე როგორც „ჰამლეტში“, აქაც იმდენად შემზარავი მოვლენები ხდება, რომ „იკარგება“ მშობლისა და შვილის ცნებები! ადამიანმა ისე არ უნდა იცხოვროს, რომ დედა იძულებული გახდეს ილოცოს მისი მტრების გამარჯვებისთვის!

სტურუსაქული გადაკითხვა

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბატონ რობერტ სტურუსას, თავის განმარტებულ სპექტაკლში, რამდენიმე გადაკეთება აქვს თავად პიესის ტექსტში. მე მომწონს ეს გადაკეთებები და ქვემოთ მოვიყვან ჩემეულ

ინტერპრეტაციებს იმისა, თუ რატომ გააკეთა ბატონმა რობერტმა ისინი.

ა) ბუკინგამის გამოცდის სცენა (მოქმედება მეოთხე, სურათი II)

რიჩარდი უკვე მეფეა და მის გამეფებაში ბუკინგამს ძალზე დიდი წვლილი მიუძღვის, მაგრამ რიჩარდი გრძნობს თავისი მდგომარეობის არასტაბილურობას და გამოცდას უწყობს ბუკინგამს (“ჩემო ბუკინგამ, ეხლა უნდა გამოცდადო შენ, თუ მართლა ხალასი ოქროსი ხარ.”), სთხოვს რა მას ახალგაზრდა უფლისწულების დახოცვას, რაზეც ბუკინგამი მოფიქრებისათვის დროს ითხოვს:

“ნება მიბოძეთ, თავისუფლად ამოვისუნთქო, ვიდრე გადაჭრილს პასუხს რასმე მოგახსენებდეთ. ეხლავე უკანვე გაიხლებით”.

და აი ამ „თავისუფლად ამოსუნთქვის“ თხოვნის გამო, რიჩარდს პირველად შეაქვს ეჭვი ბუკინგამის ერთგულებაში:

„არავინ მინდა, რომ ჩემს გულში იხედებოდეს!
 ზე აცოცებულს ბუკინგამს ან დასჩემებია
 გარშემო ცქერა სიფრთხილისათვის,

ჭკვას ძალას ატანს ეს ბუკინგამ, ღრმა ფიქრს ეძლევა

და რჩევას რასმე მე მას აღარ დავეკითხები.
 აქამდის მუდამ თან მომყვებოდა დაუღალავად
 და თავისუფლად მომინდომა ან ამოსუნთქვა!”

ამიტომ რიჩარდი უფლისწულების დახოცვას სხვას ავალებს და იძლევა განკარგულებას, რომ გაავრცელონ ხმა რომ მისი მეუღლე დედოფალი ანა სიკვდილის პირზეა მისული, კლარენსის ქალიშვილი გაათხოვონ, ხოლო მისი ჭკუასუსტი ვაჟის რიჩარდს არ ემინია:

„ჩემთვის მეტად საჭირო არის,
 ძირშივე მოვსპო, რაც მასუკან ხიფათს შემამთხვევს.

უთუოდ უნდა შევირთო მე ჩემი ძმისწული,
 თორემ სამეფო ჩემი ფხვიერ ქვიშაზედა სდგას.
 ძმებს დაუფხოცავ და დას კია ცოლად შევირთავ!
 სახიფათოა თუმცა ეს გზა, მაგრამ მეტად ღრმად
 ჩავიფალ სისხლში და ერთ ცოდვას მეორე მოსდევს.

ცრემლისმფრქვეველი შენანება აქ ვერ იბუდებს.”

დიან რიჩარდი, საჭადრაკო ენით თუ ვიტყვით, ცუნცვაგის მდგომარეობაში იმყოფება ანუ იძულებითი, კიდევ უფრო სისხლიანი ნაბიჯები უნდა გადადგას „ქვიშაზე მდგომი“ ტახტის შესანარჩუბლად. სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს სტენლის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მარკიზი დორსეტი გაქცეულა რიჩარდის მოსისხლე მტერთან რიჩმონდთან და ამ დროს ბუკინგამი ბრუნდება სცენაზე. ბუკინგამი გრძნობს, რომ მისი საქმე ცუდადაა და „ვაბანკზე მიდის“ — რიჩარდს სთხოვს იმ მიწებს, რომლებიც რიჩარდმა ალუთქვა მას გამეფების შემთხვევაში. რიჩარდი განზრახ არ უსმენს ბუკინგამს და ხმამალა ფიქრობს რიჩმონდზე, მაგრამ ბუკინგამი არ ცხრება:

„ბატონო ჩემო, რაც წელან ბრძანეთ, ჩემის ქუჩით ავწონ-დავწონე”

რიჩარდი

„დორსეტ რიჩმონდთან გაქცეულა, რა დროს ის არის!”

აი სწორედ ამ ადგილას გააკეთა ბატონმა რობერტმა მნიშვნელოვანი გადახვევა პიესის ტექსტიდან. კერძოდ, ტექსტში ბუკინგამი წარმოთქვამს:

„მეც გავიგონე ეგ ამბავი”

ხოლო რიჩარდს არავითარი რეაქცია არა აქვს ბუკინგამის ამ გამონათქვამზე და აგრძელებს საუბარს დორსეტზე და რიჩმონდზე. სპექტაკლში კი ჩამატებულია რიჩარდის (ბატონი რამაზ ჩხიკვაძის) სამჯერ განსხვავებული ტონალობით წარმოთქვამული სიტყვა „იცი”;

„იცი? იცი! იცის!”

უმეტესწილად ხელქვეითი „პატრონს” უმაღლეს ხოლმე თავის ნამდვილ ზრახვებს და ხანდახან შესაძლოა წამოსცდეს ზოგი რამ „დამალული არსენალიდან”! ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც — ბუკინგამმა იცოდა მნიშვნელოვანი ფაქტი დორსეტის რიჩმონდთან გაქცევის შესახებ და ამის შესახებ არაფერი უთხრა რიჩარდს, მაგრამ კრიტიკულ სიტუაციაში წამოსცდა ეს. სწორედ ამან გამოიწვია რიჩარდის გულწრფელი გაკვირება, რაც გამოხატა მის ხმამაღალ რეპლიკაში: „იცი?” მართლაც რიჩარდს სჯეროდა, რომ ბუკინგამი ნამდვილად მისი ერთგული იყო; მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი ეჭვი რიჩარდს მაშინ გაუჩნდა, როცა ბუკინგამმა ყოყმანი დაიწყო უფლისწულების დახოცვის თხოვნაზე, თუმცა ნორმალური, სალი აზრის გაგებით ეს ჩვეულებრივი ჰუმანური რეაქციაა ბუკინგამისა, მაგრამ ეს არ არის მისაღები, რა თქმა უნდა, რიჩარდისათვის. აქ კი უკვე რიჩარდს კიდევ უფრო უმტიცდება ეჭვი ბუკინგამისადმი — ეს ართქმა (დამალვა!) დორსეტის გაქცევისა, რიჩარდის აზრით შესაძლოა ნიშნავდეს გარკვეულ თანაგრძნობას რიჩარდის მტრებისადმი (იქნებ ბუკინგამს მობეზრდა ან ეშინია კიდევ ახალი მკვლელობების თანამზრახველი იყოს!). ამიტომ სწორედ ბუკინგამის ეს „ლალატი” იგრძნობა რიჩარდის ხმის წყნარ ტონალობაში, როდესაც იგი მეორეჯერ ამბობს „იცი!” ამას კი მოჰყვება რიჩარდის მესამე ირონიული „იცის!” და ბუკინგამის (როგორც მოლალატის!) ბედი უკვე გადაწყვეტილია!

შემდგომ ბატონი რობერტი პიესის ტექსტის კიდევ ერთ გადაკეთებას გვთავაზობს. კერძოდ, შემდეგი დიალოგი მიმდინარეობს რიჩარდსა და ბუკინგამს შორის:

რიჩარდი

„რომელი საათია?

ბუკინგამი

ათს წუთები უკლია

რიჩარდი

მაშ მიჩუქნია ეგ წუთები, რადგან ათზე სიცოცხლეს გამოესალმები!”

და ბუკინგამს სიკვდილით სჯიან. შექსპირთან კი ასე არ არის - პიესის ტექსტში, ბუკინგამი გაიქცევა,

მონინალმდეგებთან ერთად ებრძვის რიჩარდს და მას მხოლოდ მოგვიანებით, რამდენიმე სცენის შემდეგ კლავენ. უშუალოდ ეს ადგილი კი პიესის ტექსტში ასე გამოიყურება:

რიჩარდი

„რამდენი საათი არის?”

ბუკინგამი

საცა არის, ათს საათს დაკრავს.

რიჩარდი

ნუ უშლი დაკრას

ბუკინგამი

როგორ, ვუშლი?

რიჩარდი

აღარ მეშვები

და მათხოვრობას ჩემსა ფიქრებსა უპირდაპირებ.

დღეს მე გაცემის ქეიფზედა არა ვარ, არა...”

და ბუკინგამი გაქცევით უშველის თავს. როგორც ვხედავთ, საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაკეთებაა პიესის ტექსტის. მას შემდეგ, რაც ბატონმა რობერტმა ჩაამატა ზემოთ გახილული სამი „ვიცი”, რიჩარდის „ათვლის სისტემაში” აშკარად იკვეთება ბუკინგამის ორმაგი „ლალატი”. ამიტომ, ჩემი აზრით, სავსებით ლოგიკურად გამოიყურება ბუკინგამის დაუყოვნებლივი სიკვდილით დასჯა!

ბ) (მოქმედება მეხუთე, სურათი III)

პიესის ტექსტში, ამ სურათში რიჩმონდი, გადამწყვეტი ბრძოლის წინ, ჯარს საკმაოდ გრძელი სიტყვით მიმართავს, რომელშიც ფრიად საყურადღებოა ერთი ადგილი:

“ვისაც ჩვენ ვებრძვით, ყველა ერთად, თვით რიჩარდს გარდა,

ჩვენს გამარჯვებას უფრო ნატრობს, ვიდრე იმისას, ვინც მათ პატრონობს”

სპექტაკლში კი ამ სიტყვებით რიჩარდი მიმართავს უშუალოდ რიჩმონდს:

“შენთვის ილოცებენ, ჩემთვის კი დაიხოცებიან!”

(თარგმანი რობერტ სტურუასი და ლილი ფოფხაძის)

რატომ „გაცვალეს”, ბატონ რობერტის გადწვეტილებით, რიჩმონდმა და რიჩარდმა სიტყვები?! ჩემი აზრით, ამ გადაკეთებით, ბატონი რობერტი ხაზს უსვამს, თუ რამდენად ტრაგიკული პიროვნებაა რიჩარდი. მართლაც, რიჩარდმა ყველაზე უკეთ იცის თუ რამდენი დანაშაული ჩაიდინა მან ტახტის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად, რის გამოც იგი არავის უყვარს, მისი მხოლოდ ეშინიათ და იძულებულნი არიან მას ემსახურონ! და როდესაც ამას თავად რიჩარდი ამბობს (და არა რიჩმონდი — გარედან ხომ ყველაფერი უკეთ ჩანს!), კიდევ ერთხელ იკვეთება რიჩარდის შინაგანი ტრაგიზმი!

გ) რიჩარდის დაღუპვის ფინალური სცენა (მოქმედება მეხუთე, სურათი IV)

რიჩარდის დაღუპვის ფინალურ სცენაში, ბატონი რობერტი კიდევ ერთ ცვლილებას გვთავაზობს, რომელსაც შეუძლია პრინციპიალურად განსხვავებული

ინტერპრეტაციის საშუალება მოგვცეს რიჩარდი სახის მთლიანი გააზრებისათვის. იმისათვის, რომ გავერკვეთ საქმის არსში, ჯერ გავყვეთ პიესის ტექსტს, შემდეგ კი ვნახოთ თუ რა ხდება სპექტაკლში.

მაშ ასე. მიმდინარეობს გადამწყვეტი ბრძოლა რიჩარდსა და რიჩმონდს შორის. შემოდის ნორფოლკი, რომელსაც კატესები წინ დაუხვდება.

კატესები

„გვიშველე, მილორდ, თუ ღმერთი გრწამს, ნორფოლკ, გვიშველე!“

მეფე სასწაულს ჩადის სწორედ, რაც კაცს არ ძალუძს.

არავითარ შიშს ის არ უფრთხის: ცხენი მოუკლეს, ქვეითი იბრძვის, სიკვდილს თითქო ყელში უძვრება, რომ რიჩმონდ ჰპოვოს! შევლა გვინდა, თორემ ვმარცხდებით.

(ომის ხმაურობაა, შემოდის რიჩარდ მეფე)

რიჩარდი

ოჰ, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლეე!

კატესები

უკან მობრძანდით, მეფევე, ცხენსაც ეხლავ მოგართმევთ.

რიჩარდი

რას სჩამახვ, მონავ! ეს სიცოცხლე მე მთლად მივანდე

ბედის კამათელს, მინდა ვცადო ან გავგორება.

გვონებ ამ ველზედ ექვსი რიჩმონდ ერთად იბრძოდა,

ხუთი მოვკალი დღეის ომში ერთის მაგივრად.

ოჰ, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლეე!”

ეს არის რიჩარდის ცნობილი ბოლო სიტყვები, რის შემდეგაც იგი იღუპება რიჩმონდთან შერკინებისას. აქ საჭიროა მცირე ისტორიული კომენტარის გაკეთება. კერძოდ, შუა საუკუნეებში, ბრძოლაში ხშირად მეფეების და სხვა დიდებულების ორეულებიც მონაწილეობდნენ მტრის დაბნევის მიზნით. როგორც ჩანს, რიჩარდმა ხუთი ორეული მოკლა რიჩმონდისა და ახლა დარჩენილ ნამდვილი რიჩმონდის მოსაკლავად მას მოკლული ცხენის სანაცვლოდ, ახალი ცხენი სჭირდება! ამასთან სიტყვებით „ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლეე!“ რიჩარდი ხაზს უსვამს, რომ კონკრეტულ საომარ სიტუაციაში, აბსტრაქტული სამეფოს ნაცვლად, რეალური ცხენის მნიშვნელობა უზომოდ იზრდება (სამეფოს მნიშვნელობაზე მეტად!), რადგანაც იგი ტექნიკური საშუალებაა ბრძოლის გასაგრძელებლად!

ამრიგად, ამ ბოლო სიტყვებს, რიჩარდი წარმოთქვამს რიჩმონდთან შერკინებამდე და იგი ბრძოლის ჟინითაა შემართული! ლორენს ოლივიე ზუსტად მიყვება პიესის ტექსტს თავის ცნობილ სპექტაკლში.

რა გააკეთა ბატონმა რობერტ სტურუამ? ყველ-

ას გვახსოვს შესანიშნავი სცენა, როდესაც რიჩარდი და რიჩმონდი ინგლისის რუკა გადაცმულნი ხმლებით ებრძვიან ერთმანეთს. ეს სცენა მუდამ ოვაციას იწვევდა მაყურებელში! რიჩმონდი დასჭრის რიჩარდს, რომელიც ინგლისის რუკაში გახვეული, ბორძიკით სცენის წინ მოდის, დაეცემა და მომაკდავი, სასონარკვეთილი ხმით ყვირის:

„ცხენი, ცხენი! ერთ ცხენში ვაძლეე მთელ ჩემს სამეფოს!“ (თარგმანი რობერტ სტურუასი და ლილი ფოფხადის)

და შემდეგ უსულოდ ეცემა სცენაზე. ამრიგად, სპექტაკლში რიჩარდი ამ ფრაზას დაჭრის შემდეგ ყვირის. თითქოს უმნიშვნელო გადაკეთებაა, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, შეიძლება ორგვარი ინტერპრეტაცია მივცეთ რიჩარდის ამ ბოლო სიტყვებს. ჯერ ერთი ისინი შეიძლება გავიგოთ ისევე, როგორც ეს ზემოთ განვიხილეთ პიესის ტექსტთან დაკავშირებით — მიუხედავად დაჭრისა, რიჩარდს ცხენი სჭირდება ბრძოლის გასაგრძელებლად!

მაგრამ შესაძლოა სხვა ინტერპრეტაციაც და ეს არის, მე მგონი, ყველაზე მთავარი! კერძოდ, ჩემი აზრით, რიჩარდის ეს სასონარკვეთილი წამოძახილი, შესაძლოა გავიგოთ, როგორც რიჩარდის სრული მონანიება! მართლაც ფსიქოლოგიიდან კარგადაა ცნობილი, რომ ექსტრემალურ პირობებში ადამიანს, წამების განმავლობაში მთლიანად წარმოუდგება ხოლმე მთელი მის მიერ გავლილი ცხოვრება. (მაგალითად, ეს ფენომენი კარგად აქვს აღწერილი თ. დოსტოევსკის ცნობილ „მწერლის დღიურებში“, სადაც იგი აღწერს საკუთარ განცდებს, როდესაც პეტრაშეველესის საქმის გამო იგი ემაფოტზე იყო აყვანილი, მაგრამ უკანასკნელ მომენტში სიკვდილით დასჯა კატორღაში გადასახლებით შეუცვალეს!). შესაძლოა იგივე დაემართა რიჩარდსაც, რომელმაც ამ ბოლო წამებში, გაანალიზა გვამებზე გამავალი, სისხლით მორწყული საკუთარი ცხოვრებისეული გზა. და რისთვის ეს ყველაფერი?! სამეფო ტახტისთვის! ამიტომ რიჩარდს აღარ უნდა სამეფო, მას უნდა გაეცალოს ყველაფერს და ყველაფერი თავიდან დაიწყოს, რისი ტექნიკური საშუალებაც კვლავ ცხენია! ასეთი ინტერპრეტაცია მე მგონი ლოგიკურია, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, განწმენდის და სინდისი ქენჯნის პროცესი რიჩარდში კულმინაციას აღწევს ბრძოლის წინა ღამეს, როდესაც მას მის მიერ მოკლულ ადამიანთა სულები ეცხადებიან! სპექტაკლში კიდევ ერთი ჩამატებაა აქვს გაკეთებული ბატონ რობერტს, როდესაც მოკლულ ადამიანთა სულები მეორედ ეცხადებიან რიჩარდს, როდესაც სასიკვდილოდ დაჭრილი ამ ფრაზას ყვირის. ბატონი რობერტის ეს უკანასკნელი ჩამატება, კიდევ უფრო განმომტკიცებს მე იმ აზრს, რომ რეჟისორი სწორედ რიჩარდის სრული მონანიების ინტერპრეტაციას ემხრობა!

**მორჩილი გიორგი
(გიორგი ბუნდოვანი)**

ღალღალისი

მაჩუქეთ ღმერთი, დამწყვდეული ამ ხატებს მიღმა,
მაჩუქეთ ხათრი, სათნოება, ჩუმი სიმშვიდე...
მასწავლეთ ფიქრის შეჩერება, გაუცხოება,
მიჩვენეთ ის გზა, თქვენ რომელსაც მუდმივად ეძებთ,
ვერსად პოულობთ, როცა ებრძვით განმარტოებას!

გააღეთ კარი, შემოგინგრევთ შტურმით სარკმელებს,
მიბოძეთ აღთქმა, ვით მირონი ცინცხალი რწმენის...
მიმიღეთ, როგორც დაკარგული უმანკოება
მე ვარ ამბოხი, თქვენ რომელსაც ნიადაგ დევნით!

მესროლეთ, როცა ღამღამობით დაგვეცავ აფრებს,
როცა არსენალს შევინახავ გულის სიღმეში.
მომაძებნინეთ, რომელ ფრთის ქვეშ დავიდო ბინა,
რომელ დამცველებს ვეთაყვანო ციკლურ სივრცეში!

მიმყევით მასთან, ვინც სისხლიდან გამოხდის ღვინოს,
ვინც წყალს- ამრიტად გადააქცევს ერთი შეხებით,
მიმყევით მასთან, ვინც სამყაროს თავიდან შეჰქმნის,
ვინც ოკეანეს გადალახავს ოქროს ფეხებით!..

განსაცთურება

მოვდივარ ნიალიდან, უხსოვარ ბილიკების ტკეპნამ
ამატკია ურჩი სხეული
ვძიებდი თითქოს იმ კელაპტარს, რომლისგან მანთეს...
მოვდივარ ისევ, გუშინ, ხვალაც... გზაა ჭაშნიკი
მინდა შეგეხო ჩემი სუნთქვის, ვით ლოცვის პულსით.
მინდა თვალბუბი რომ ჩაგხედო, სადაც სამყარო წამია
მხოლოდ
მიმიღებ? ვიცი, კი, მიმიღებ, უძღებს და მაშვრალს;
ჩემს უკან ისევ, ცთომილების ტრამალებია, ზღვებია
თმენის...

ჩემში დაგროვდა შესაგები სხვა ცრემლთა დენის!
შენ მე მიცანი, შენ მიმიშვი ფეთქებაში გულის, სადაც
სისხლია,

მირონია განმარტოების.


მოვდრიკე ეგო! რაც არ მერგო ისიც მოვდრიკე...

ამიყვავილე, ამიქოჩრე რემა რტოების —
რომლებიც დარგე დასაბამის უშრეტ ხნულებში,
და ახლა მხედავ მონანიეს, ტეხილს მუხლებში!..
გამომიწოდე ეგ მტევანი, ღერძი მიწისა, რომელმაც
მომცა, მაგემოვნა

ბარძიმის სვეტი.

მე ვერ შეგბედე, რომ განგელო ცის დარაბები,
მაგრამ შენ მიხვდი, და დასთესე ჩემში ის თესლი...
უსხივოსნესო, წყლად მაპკურე უდაბნოს ქარი!
და დღეს განმიღე, ვით ქირურგმა, საფშვენის კარი!..
ეს ავადობა, ვით გამოცდა, ამიწონია, ვიღებ ასეთად,
უსაზომო ვალი მქონია...

ჩემი ლოცვაა პოეზია — შენამდე ზღვარი!!
მე ვარ არა მე, არა არსი, ფუჭი და მხდალი..



და პატიება სიზმრის მიღმაც მომიტხოვია.
თანაც მოვედი, უსხეულოდ, შიშველი მკვდარი...

**ღიაკონ — გურამს!
(ჩემს სულიერ მეგობარს და მომავალ მოძღვარს!)**

მთის ჩრდილში, ტიალ მინდვრის ქარბუქი ღვივის
მრავლად ნავალი, ნიაგების და სიოთა ნამყენი ძალა,
კარებებს, დარაბებს მიღმა, მიღმა ზეცათა...
როცა სითბოა ვით თილისმა, ან ავგაროზი
როცა ხარ მშვიდი, სულ ნატიფი — სულის ჩაროზით!
შავი კაბებით, მეჩხერ თმებით, მტევანთა ბირთვით...
ვაზის მტევანთა, ნატერფალთა, სიტყვათა, ფიქრთა;
ლოცვის ტატნობზე, ჰორიზონტად არნივურ ფრთების -
არის გადაშლა, კურთხეული, კეთილი სისხლის!
გამოვლილ გზების სიათასე — ათასჯერ ხსნილი,
ნათევ ღამეთა, ბალდახინთა, საფლაავთა ჩრდილი...
— მძიმეა ჯვარი!

— გიპყრია კვარი!

და ქრისტეს თვალი, უმკაცრესი, სათუთად მზვერი,
რა სიხარული იბადება, რა თანაგრძნობა?

შენი მზერიდან — უფლის ჯვარცმის ტკივილთა მჭერი!
ღვთიურ კანტატებს მატება აქვთ, ხარობენ ზემოთ,
მე მომიტევე, ვერ ავხსენი, აზრებით ვკოჭლობ,
— ვარ ხეიბარი...

და როცა მეხად, ელვად ხარჯავ განცდების მარაგს —
მაშინ ვით აღწევ ზე—ზეციურ, უმნიკვლო ალაგს!
ხურდაა ყოფა!

ყოფნა — სალოსი!

ამ წუთი-სოფლად სულ სიკვდილს ველით!
„MEMENTO MORI“, ჩემი ლოცვა მხოლოდ ესაა...
გარიჟრაჟების უხსოვარი, პრესტორია!
რა სონორებით, პრელუდიით გიმღერო ფიცი?
მხოლოდ შენ იცი, სადაცაა კვლავ დაბადება!
და მონაგარის, შენის იყოს, მარად მატება!...

ვალერიან სალღიანი

მე და ენგური

მოვდეგ შენს ზვირთებს
შხარას მთიდან კივილით, ზარით,
ერთად დავტოვეთ ლახამულა,
ხაიში, ჯვარი.
მოვედით ზღვასთან მდინარე და ადამიანი
სთქვი, რამ შეგაკართო
ბაყბაყდევი ცხრათავიანი?
სვანეთის მთებში
შეუპოვარ რაინდად გთვლიდი,
აქ რატომ გახდი ასე წყნარი,
და ასე მშვიდი?
ზღვამ შეგაშინა?
სად დატოვე ტალღა, რომელიც
კლდეებს და ღრეებს აწყდებოდა
დაუდგრომელი?
სთქვი, რად დადუმდი?
მთის შვილი ხარ, ხმაური გშენის
რა დაგემართა? დაილაღე?
სირცხვილი შენი!

არ დავეცემი, არ დავეპარდები

სიცოცხლე უნდა იყოს ედემი,
მალლა მზე ენთოს, ძირს - ხავერდები,
მაშინ არასდროს არ დავეცემი,
მაშინ არასდროს არ დავებრდები.


დღესაც დავლახე ზვიადი ლაკვრა,
გავკარი მხარი ლაცგას ღრუბლიანს...
თმებში ზამთარი მენვია, მაგრამ
მუხლებში ისევ გაზაფხულია.

გალაკტიონი

საქართველოში მეც ბედად მერგო
ლექსისთვის ჯვარცმა და განდიდება...
შენ, სისხლო ჩემო - დამცხრალო თერგო,
კვლავ იგრიალე, მამულს სჭირდება!..

სვანების ლოცვა წმიდა გიორგის საბთნან

გვიმრავლე, სახიერო, ქუდოსანი,
ბრიალა ლამპარების ამნთები...
ვფიცავთ, არაა უნდო სვანი,
მხოლოდ მტერს არ ინდობს ამ მთების...
ღირსგვყავ სიმაღლეთა მთებიერის,
გვიყმე გვიმსახურე, შეგვწვიე;
აღარ დაგვიმეხო ფრთები ერის,
ყველგან მფარველად და მზედ გვეწვიე...
თუ გვკლავ, მოგვაკვდინე მამაცთ სვედრით,
ზეცად ალაველინე ლოცვა ჩვენი,
ხიფათს აგვარიდე, ამას გვედრებით,



წყლული მოგვირჩინე მოსარჩენი...
ლალადყავ ზეარსთა საბრძანისში
მინის ვედრება და აჯა ჩვენი,
მშვიდობით გვატარე ქარში, ნისლში,
გვენდე და ჩვენ ვიციტ დანარჩენი.
გაგვიღე უფლის სანათელო,
გვიმრავლე კეთილი მოსარჩლენი.
იხსენი დედა საქართველო,
ჭირი მოურჩინე მოსარჩენი!..

სვანური ქუდი - ნამუსის ქუდი

ამ ქუდს წინაპრის სისხლი აჩნია,
სვანეთის მთების სურნელი უდის,
ვისაც ნამუსი არ გააჩნია,
არ დაახუროთ სვანური ქუდი!
შვენის მეჯოგეს, მხვენელ - მთესველს, ხუროს,
თეთრწვერა მახვშის, გადმოდგარს ზღუდით,
მაგრამ ჯაბანმა არ დაიხუროს
სვანური ქუდი - ნამუსის ქუდი.
ბევრჯერ, ო, ბევრჯერ ამ ქუდის შიშით
მტრებმა ძალლივით აქნიეს კუდი...
მეამაყება, რომ მოგვდგამს ჯიშით,
გვეხუროს თავზე ნამუსის ქუდი...
ძმაო, იხარე, რომ ქუდით შენით
ზუგდიდში ქორწილს, კახეთში ვარ რთველს...
ეს ქუდი ხიბლავს, ეს ქუდი შვენის
ყველა მამაც და თავმდაბალ ქართველს.
წელი მომწყვიტა ხურჯინმა, გუდამ,
(ვერ ვიტრაბახებ ხურჯინით, გუდით).
მე ვიტრაბახებ ამ ქუდით მუდამ,
ნამუსის ქუდით - სვანური ქუდით.
ამ ქუდს დედები ხელში აჩრიან
ჭაბუკებს ახლადაფრენილთ ბუდით...
ვისაც ნამუსი არ გააჩნია,
არ დაახუროთ სვანური ქუდი!..

მარსიანი

ანტისაბჭოური კონიუნქტურის ცდომილება

ეს გამოთქმა „ანტისაბჭოური კონიუნქტურა“ ერთი-ორჯერ გამოვიყენე ჩემს ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში: ქვემოთ ვეცდები განვმარტო, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე; მაგრამ ჯერ საბჭოურ კონიუნქტურაზე ლაპარაკი მოგვიწევს ჩვენს ლიტერატურაში. ჩვენი დამოკიდებულება რომელიმე მხატვრული ნაწარმოებისადმი არცთუ იშვიათად იმითაა განპირობებული, მასში კონიუნქტურის ნიშნები არის თუ არა; მასხოვს, ჩემი სტუდენტობის დროს ერთი პედაგოგი ქალბატონი კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისეს ლიმილს“ უპირატესობას ანიჭებდა „მთვარის მოტაცებასთან“ შედარებით: ამის მიზეზი კი ის იყო, რომ „დიონისეს ლიმილი“ უფრო ადრე დაინერა, ვიდრე კომუნისტური რეჟიმი თავის კატეგორიულ მოთხოვნებს ნაუყენებდა მწერლობას. ამდენად, მასში არ არის კონიუნქტურა, რეჟიმისადმი რაიმე ხარკის გადახდის კვალი. „მთვარის მოტაცებაში“ კი მწერალი იძულებული გახდა გარკვეული ანგარიში გაენია კომუნისტური იდეოლოგიისათვის. თვითონ კ. გამსახურდია „დიონისეს ლიმილს“ აფასებდა, როგორც „განსაზღვრული ოსტატობის ნაყოფს“, უპირატესობას კი, რა თქმა უნდა, თავის შედეგს „მთვარის მოტაცებას“ ანიჭებდა.


ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, სოსო სიგუა თავის ფუნდამენტალურ მონოგრაფიაში „მარტივი და ალამდარი“, რომელიც კ. გამსახურდიას შემოქმედებას ეძღვნება, საკმაოდ კატეგორიულად აცხადებს, რომ „მთვარის მოტაცება“ თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული პროზის უმაღლესი მწვერვალია; ეს შეხედულება მეც მართებულად მიმაჩნია, ოღონდ ერთი დაზუსტებით: ქართულ პროზაში „მთვარის მოტაცების“ ტოლფასი შედეგები სხვაც დაიძებნება, ბევრი არა, მაგრამ რამდენიმე მაინც. სწორედ ერთ მათგანზე გვქმნება ქვემოთ საუბარი.

ბ-ნი სოსო სიგუას ცოტახნის წინათ გამოცემულ მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვან ნაშრომში „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“ არის სტატია „მიხილ ჯავახიშვილი. ტრაგედიების რესტავრაცია.“ აქ რომანი „არსენა მარაბდელი“ საკმაოდ კრიტიკულად არის დახასიათებული. მოვიტან ამონარიდს ამ სტატიიდან:

„არსენა მარაბდელს“ შვიდი წელი შეაღია, მაგრამ უფრო სულის შემძვრელია სისხლით დაწერილი „ჯაყოს ხიზნები“, რომელიც ლამის ექსპრომტის სისწრაფით არის შეთხზული (1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერი)“

შეიძლება „არსენა მარაბდელს“ ცალკეულ ეპიზოდებში მეტი ოსტატობა ჩანდეს მაგ. „ჩამოგდებული ნამგალა მთვარე“, მაგრამ კონცეფციურად ეს რომანი საინტერესოა.

მიზეზი ორია: 1. კონფორმიზმი, როცა მწერალი ცდილობდა ყაჩაღი რევოლუციონერად ექცია, მოექცია დიდი მოვლენების რეალში (მაგ. ახალციხის აღება, 1832 წლის შეთქმულება), გადმოეცა ხალხთა მეგობრობის



იდეა (რუსი კარპიჩა, უკრაინელი ოსტაპი, ოსი მეშთა, თათარი დალი ჰასანი), მემამბოხე ერეკლეებთან ძალადობის გარეშე - გმირი „უსისხლოდ“.

2. დროში გაფანტვა, როცა ეპიზოდებს გულმოდგინედ ამუშავებდა, მაგრამ ამ განვლილ პროცესში მთავარი მუხტი სუსტებოდა, მოქმედების დინამიკას ცვლიდა დეტალური აღწერა, სტილიზებული დიალოგები.

მსგავსი რამ დაემართა კონსტანტინე გამსახურდიას, როცა წერდა „დავით აღმაშენებელს“.

რაკი მკვლევარი ამ კონტექსტში კ. გამსახურდიას ახსენებს, მეც ჩემი წერილი მასზე საუბრით მიხდა დავიწყო საგანგებოდ: მიხდა ამ ორი დიდი მწერლის შემოქმედებაზე აქცენტირებით გამოვკვეთო ჩემი სათქმელი. ისინი ერთი თაობის მწერლები არიან და XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ რომანისტიკაზე საუბრისას მეტწილ შემთხვევაში მ.ჯავახიშვილისა და კ. გამსახურდიას სახელები ფიგურირებს. ამ სახეთა დაწყვილება ისევე ბუნებრივად ხდება, როგორც ვთქვავთ, რუსულ ლიტერატურაში დოსტოვესკისა და ტოლსტოისა. მათი თანაბარძალოვანება ამ ფაქტიდან საკმაოდ მკაფიოდ იკვეთება - ერთად დასახელება მათი შედარების მომენტსაც აუცილებლად გულისხმობს; სუბიექტური გემოვნება ერთ-ერთს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო გემოვნების ობიექტურობა რაღაც მოუხელთებელ (მაგრამ, ჩანს, მაინც არსებულ) კრიტერიუმს ეყრდნობა: მე მიხდა ობიექტური ვიყო და ამ კრიტერიუმის კარნახით მივიჩნევ, მ. ჯავახიშვილსა და კ. გამსახურდიას თანაბარი ძალის მწერლებად.

მათი თანაბრობა კი, რა თქმა უნდა, მათი კონკრეტული ნაწარმოებების ურთიერთშედარებით უნდა გასაჩინოვდეს.

თუ „არსენა მარაბდელის“ შექმნამდე მ.ჯავახიშვილს უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი რომანების უმეტესობა, კ. გამსახურდია საიმდროდ პირველი რომანის „დიონისეს ლიმილის“ ანაბარა იყო (ალარ მასხოვს „გოეთეს ცხოვრების რომანიც“ ჰქონდა თუ არა მაშინ დაწერილი, თუმცა ეს თხზულება ალბათ არ ჩაითვლება „ნამდვილ“

რომანად).

კ. გამსახურდია, რა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ „ჯაყოს ხიზნების“ ავტორი თავისი უჩვეულო ტალანტით სერიოზული მეტოქე იყო მისთვის, მაგრამ თვითონ როგორც ნოვატორი, მოდერნისტული რომანის „დიონისეს ლიმილის“ შემქმნელი, ჩანს, მაინც შინაგანი უპირატესობის განცდას ინარჩუნებდა. უფრო ტრადიციულ-რეალისტური ხაზის მიმდევარი ჯავახიშვილის მიმართ და ალბათ კონკურენტის რომანთა რიცხვიც ვერ შეურყევდა ამ უპირატესობის განცდას, მაგრამ აი იწერება „არსენა მარაბდელი“ პირველი მონუმენტური რომანი ქართულ ლიტერატურაში. მართალია, რომანები ჯავახიშვილის და გამსახურდიას მოსვლამდე დაიწერა უფრო ადრინდელი პერიოდის მწერლების მიერ (ა. ყაზბეგი, გ. წერეთელი, შ. არაგვისპირელი, ვ. ბარნოვი), მაგრამ ვრცელი მონუმენტური რომანის პრეცედენტი „არსენა მარაბდელამდე“ არ ყოფილა.

და კ. გამსახურდიამ დაინახა, რომ „ბალანსი დაირღვა“, მისმა მეტოქემ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ; მან ამ „ბალანსის აღდგენა“ სწორედ ვრცელი მონუმენტური რომანის „მთვარის მოტაცების“ შექმნით შეძლო.

მე წაკითხული მაქვს როგორც კ. გამსახურდიას, ასევე მ. ჯავახიშვილის სიტყვით გამოსვლის ტექსტები, როგორც „არსენა მარაბდელის“, ასევე „მთვარის მოტაცების“ განხილვაზე: ახლა ეს ტექსტები ხელთ არ მაქვს და ზუსტ ციტირებას ვერ მოვახდენ, მაგრამ შემიძლია საკმაოდ ზუსტად გადმოვცე რამდენიმე მთავარი მომენტის შინაარსი ამ გამოსვლებიდან, რათა ნათელვყო, რომ ორი დიდი კოლეგა, თუმცა პატივს სცემენ და აღიარებენ ერთმანეთის დამსახურებას ლიტერატურაში, მაინც ერთობ მწარე, საგანგებოდ გამიზნულ სიტყვებში დარტყმებს აყენებენ ერთმანეთს, რადგან ორივეს აქვს სურვილი თავისი უპირატესობა აგრძნობინოს მეტოქეს, და საკუთარი თავი დაირწმუნოს ამ უპირატესობაში.

რაკი „არსენა მარაბდელი“ უფრო ადრე დაიწერა და მისი განხილვაც შესაბამისად უფრო ადრე მოხდა, „ფრონტის გახსნის პატივი“ კ. გამსახურდიას ხვდა წილად.


მისი სხვადასხვა ხასიათის შენიშვნათა შორის ერთი ასეთი იყო - ნაწარმოების თემატიკა არ მოითხოვს ასეთი დიდი ზომის ტექსტის შექმნას, შეიძლებოდა უფრო ლაკონურად, სიტყვის ეკონომიით ეწერა ავტორსო. ამაზე ჯავახიშვილმა საკმაოდ ბასრი პასუხი გასცა, დაახლოებით ასეთი - „ზოგიერთი ამაოდ ცდილობენ ძმრის ესენცია თავღვინოდ მოგვაჩვენონ, ამან ბევრს აუბნია თავგზა, მაგრამ მე ვერ შემაცდენს, მე უხვი, ფრთიანი, ლალი სიტყვა მიყვარს და ხელს ვერ ავიღებო“. დავაკვირდეთ: მას დაუწუნეს გამოხატვის თავისებურება ანუ, ის რაც მისი შინაგანი სტიქიაა: არადა ხელოვანი განსაკუთრებით აქ არის ძლიერი, სადაც თავის სტიქიას აძლევს გასაქანს, ეს სტიქია კი კარგი გაგებით სიტყვამრავლობა და სა ბოლოო ჯამში ნაწარმოების დიდ მოცულობას განაპირობებს (არადა კ. გამსახურდიას, როგორც ჩანს, სწორედ რომანის მოცულობამ, მონუმენტურობამ გაუჩინა უკმარისობის კომპლექსი). ამგვარი შენიშვნა შეიძლება ერთის მხრივ სასარგებლოც იყოს, რადგან

არც ის არის სწორი, საკუთარ სტიქიას მეტისმეტად, უკონტროლოდ მიენდო და ისეთ უკიდურესობაში გადაიჭრა, რაც ეფექტის ნაცვლად უკუეფექტის მომტანი იქნება. ძლიერი ტალანტი კი არ ითრგუნება, არამედ უფრო მტკიცდება საკუთარ თავში ამგვარ „წურთინით“.

თვითონ კ. გამსახურდია ამ მომენტს დაახლოებით ამგვარად იგონებს: „მე კრიტიკულად აღვნიშნე, რომ არ იყო საჭირო ნაწარმოების ასეთ დიდ ზომამდე გაზრდა, თემატიკა არ მოითხოვდა მეტეი - მიხეილმა კი მიპასუხა - რას ვიზამთ, ზოგი დიდ ტვირთს აიკიდებს, ზოგი პატარასო. ამაზე მე არაფერი მიპასუხია მიხეილისათვის, მაგრამ დავეცი და ორმოცფორმა რომანი „მთვარის მოტაცება“ დავწერე“ (ზუსტად არ მახსოვს ორმოცფორმიანი? - ავტ) და იმ კაცის კმაყოფილებით, რომელსაც სჯერა, რომ მეტოქესთან შეჯიბრში არ დამარცხებულა, კონსტანტინე დასძენს - „აი ასე უნდა ქემპარიტი შემოქმედებითი პაექრობა...“

მ. ჯავახიშვილის სიტყვიდან, რომელშიც კ. გამსახურდიას შენიშვნებზეა პასუხი გაცემული, კიდევ ერთ ფრაგმენტს გავიხსენებ: მგონი ასე ამბობს - „მოზრდილი მწერალია და მის შენიშვნებს ყურადღებით ვეკიდებო“. აქ მთავარი ეს გამოთქმა „მოზრდილი მწერალი“ გახლავთ - ჯავახიშვილი თან აღიარებს მეტოქის ნიჭიერებას, თან ცდილობს რალაცნაირად „ჩარჩოში ჩასვას“ და ამდენად დააკნინოს კიდევ მისი ნიჭის მასშტაბი; რას იზამ ბრძოლა ბრძოლა! შემდეგ „მეორე რაუნდის“ ფაზაც დადგა: განიხილავს კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ როგორც მახსოვს მ. ჯავახიშვილმა ეს რომანი იმ ფრინველს შეადარა, რომელსაც მხოლოდ გაქცევა შეუძლია და არა გაფრენა: კომპოზიციანზეც მისცა რალაც შენიშვნები... და თავის გამოსვლაში კონსტანტინემ ძალიან კატეგორიულად განაცხადა: „მიხეილის ლაპარაკი რალაც კომპოზიციებზე არ არის სწორი. მიხეილს არამც და არამც მართებს კომპოზიციის საკითხში რაიმე მასწავლოს, რადგან მას აქვს გეზი, გეზი, რომელზეც მე არ ვლაპარაკობ!“ მიხეილის რეპლიკა ასეთი იყო: „გვითხარით, ვისი გეზია ეგ?“. კონსტანტინე პასუხობს: „მე თქვენ, ჩემო მიხეილ, დიდ პატივს გცემთ, თქვენ დიდი დამსახურება მიგიძღვით ქართული ლიტერატურის წინაშე, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ თქვენ ცდილობთ მწერლობაში შემოიტანოთ XIX საუკუნის ხალხოსნების ნარჩენები! ქართველ ხალხოსანი მწერლების შემოქმედებას კ. გამსახურდია მოგეხსენებათ „საწყალი კაცების ლიტერატურას“ უწოდებდა და, რა თმა უნდა, მიხეილისათვის მისი პასუხი მწვავე და გულზე მოსახვედრი იქნებოდა. ახლა მე ვკითხულობ: რატომ მაინც და მაინც „არსენა მარაბდელმა“ გამოიწვია კ. გამსახურდიას ამგვარი „გამოხდომები“ მ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ და შემდეგ უკვე „მთვარის მოტაცებამ“ მიიღო ჯავახიშვილსგან საპასუხო დარტყმები?! მართალი გითხრათ, არა ვართ ინფორმირებული - სხვა ნაწარმოებებსაც უკრიტიკებდნენ ერთმანეთს მიხეილი და კონსტანტინე, თუ მხოლოდ „არსენა მარაბდელმა“ და „მთვარის მოტაცებამ“ ინვნიეს მათი შემოქმედებითი ქიშპით გამოწვეული დარტყმები?

მე ასე მგონია-ამ დაპირისპირებით მათ „ძალაუნებურად“ აღიარეს ერთმანეთი დიდ მწერლებად, ხოლო



მხატვარი მარსიანი

შესაბამისად - „არსენა მარაბდელი“ და „მთვარის მოტაცება“ დიდ შედეგებზე!

მართალი გითხრათ, მე პირადად ჩემი გემოვნებით რომ არ ვთვლიდე „არსენა მარაბდელსა“ და „მთვარის მოტაცებას“ ქართული რომანისტიკის დიდ და თანაბრად მაღალ მწვერვალებად, შეიძლება ზემოთ მოყვანილი ვარაუდი არც მომსვლოდა თავში, მაგრამ ცალსახად მივიჩნევ, რომ მ.ჯავახიშვილის შემოქმედების ცენტრალური ქმნილება სწორედ „არსენა მარაბდელია“. ვგონებ თვით ჯავახიშვილიც ასევე ფიქრობდა: ამ ვარაუდს ისიც ადასტურებს, რომ მწერალმა საგანგებო წერილი მიუძღვნა ამ რომანს - როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“! გამახსენდა როსტომ ჩხეიძემ ერთგან სინანული გამოთქვა - ასეთი წერილი „კვაჭი კვაჭანტირაძის“ შექმნის ისტორიაზე, რომ დაენერა, გაცილებით საინტერესო იქნებოდაო. არ ვიცი თვით „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ თელის ბატონი რ. ჩხეიძე „არსენა მარაბდელზე“ უკეთესედ რომანად, თუ კვაჭის „მოღვაწეობის“ პერიოდის მასალები, რითაც ისარგებლა მწერალმა, მიაჩნია თავისთავად უფრო საინტერესოდ... რ. ჩხეიძე, ისევ როგორც ოთარ ჩხეიძე ლიად აცხადებს, რომ მ. ჯავახიშვილმა რომან „არსენა მარაბდელით“ არა თუ ვერ გადაამეტა ხალხურ პოემას „არსენას ლექსს“, არამედ მხარიც კი ვერ გაუხსნორა... როგორც ირკვევა „არსენა მარაბდელზე“ ანალოგიური აზრი ჰქონდა შემუშავებული. ერეკლე ტატიშვილსაც, გივი გაჩეჩილაძე იგონებს, რომ მასთან პირადი საუბრის დროს ე. ტატიშვილს ამ რომანზე ეთქვას: „კულტურა აკლია ყმანვილო, კულტურა... ეგ პოპულარულად არსენას ამბის დეტალიზაცია და მეტი არაფერი...“ ისეთი ჭეშმარიტი ერუდიტისაგან, როგორც ერეკლე ტატიშვილი იყო, ეს ფრაზა საკვირველია კულ-

ტურის რა ნაკლებობას გულისხმობს. აქ ავტორი არაა დაკონკრეტებული, ამიტომ ეს ფრაზა თავისი არსით გაუგებარია. სხვათაშორის, ერთხელ ოტია იოსელიანმაც პირად საუბარში „არსენა მარაბდელზე“ ისეთი სკეპტიკური დამოკიდებულება გამოამჟღავნა, რომ აშკარა იყო ჯავახიშვილის სხვა ნაწარმოებებს ანიჭებდა უპირატესობას... ასე, რომ ქართველ მწერალთა შორის მხოლოდ ბ-ნი სოსო სიგუა არა არის ამ რომანისადმი კრიტიკულად განწყობილი; მე ამგვარი დამოკიდებულება ამ დიდებული ნიგნისადმი ყოველთვის მაკვირვებდა და მაკვირვებს. მართალია მასში ზოგიერთი რამ კონიუქტურით განპირობებული იყო,

მაგრამ ეს ცალსახად როდი ნიშნავს იმას, რომ კონიუქტურამ მხატვრულ-იდეური თვალსაზრისით დააზიანა ნაწარმოები. განა რამე შავდება იმით, რომ არსენას გარემოცვა „ინტერნაციონალურ ელემენტებს“ საკმაოდ უხვად შეიცავს (რუსი, ლეკი, უკრაინელი, სომეხი, თათარი, ოსი). საქართველოში პოლიეთნიკურობა არასოდეს ყოფილა უცხო ხილი (განსხვავებით, მაგალითად, მონოეთნიკური სომხეთისაგან). ამიტომ აქ რაიმე არაბუნებრივი და ყურით მოთრეული არაფერია. ამ შემთხვევაში ავტორის მიერ კომუნისტების გულის მოსაგებად გადაგმულმა ნაბიჯმა ნაწარმოებს ვერაფერი ავნო, პირიქით ძალიან კოლორიტული პერსონაჟებით, დამახასიათებელი ხასიათებით გაამდიდრა ნაწარმოები: განა შეიძლება დაგვაინწყდეს კარპიჩა, დალი ჰასანი, გამზედინი?

რაც შეეხება არსენას სახის განზოგადებას, ყაჩაღიდან სახალხო გმირამდე ამაღლებს, თუნდაც მისი „გარეგოლუციონერება“. ვფიქრობ, რომ ამით არათუ დაუშავდა რომანს, პირიქით მოიგო – უბრალო ყაჩაღი (თუნდაც სამართლიანის) ვერ დაიტევდა იმ ჰუმანისტურ იდეალებს, რომლითაც ავტორმა აღჭურვა თავისი გმირი. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რეალური არსენა (ან ხალხური პოემის არსენა) გაცილებით უბრალო პიროვნება იყო და „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“ გახლდათ მისი მთავარი პრიორიტეტი როგორც ახლა იტყვიან.

რაც შეეხება იმას, რომ ეს ვრცელი ნაწარმოები შეიძლება ყველა მომენტში არ გამოირჩეოდეს იმგვარი ექსპრესიით და დინამიკით, როგორც „ლამის ექსპრომტის სისწრაფით“ შექმნილი „ჯაყოს ხიზნები“, შეიძლება დავეთანხმეთ ბ-ნ ს.სიგუას, თუმცა არა მგონია, ამ

მხრივ „არსენა მარაბდელის“ შედარება კ. გამსახურდიას ეპოპეა „დავით აღმაშენებელთან“ მთლად მართებული იყოს. „დავით აღმაშენებელში“ ქრონიკის, ისტორიული რეალობის დოკუმენტურად გადმოცემის ჭარბმა დოზამ მართლაც დაასუსტა ნანარმოების მხატვრული დინამიკა და თანაც ამოღენა ნანარმოებში დიდგორის ბრძოლა არც კი არის მხატვრულად გადმოცემული, მხოლოდ მშრალი ფაქტია აღნიშნული. მე ვფიქრობდი, თუ შედარებაა, „არსენა მარაბდელი“ თავისი ნაკლით თუ ღირსებით, ისევე „მთვარის მოტაცებას“ უნდა შევადაროთ და ქვემოთ საკმაოდ დიდ ყურადღებას დავეთმოთ ამ მომენტს.

ვერ ის ვთქვამთ, რომ „მთვარის მოტაცებაშიც“ საგრძნობლად არის მხატვრული დინამიკის შემაფერხებელი დეტალები: მაგალითად, ელდენ რონსენის წერილები, შესაძლოა თავისთავად საკმაოდ საინტერესო საკითხავია, რომანის სიუჟეტში მაინდამაინც ორგანულად ვერ ზის: ეს თითქოს სხვა ისტორიაა, რომელსაც ნანარმოებში განვითარებულ კოლიზიებთან არსებითად არაფერი აკავშირებს; შემდეგ: მუზეუმის დათვალიერების მოზრდილი ეპიზოდი, სადაც ისე გულისგამანჯრილებელი პედანტურობითაა აღწერილი ექსპონატები, რომ ავტორს თავისი გმირები ლამის ავინყდება; ეს ეპიზოდიც არსებითად არაფერს მატებს ნანარმოებს.

რაც შეეხება კონიუნქტურას, უკვე ითქვა, რომ ეს მომენტიც არის „მთვარის მოტაცებაში“: რომანი იმჟამად მიმდინარე პროცესების მხატვრული ასახვა გახლავთ და ბოლშევიკების „დასაშოშმინებლად“ კ. გამსახურდიას არაერთი ფანდის გამოყენება დასჭირდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ „მთვარის მოტაცებასაც“, ისევე როგორც „არსენა მარაბდელის“ კონიუნქტურამ არსებითად ვერაფერი დააკლო, ეგ კი არა, ზოგ შემთხვევაში იქნებ კიდევ „არგო“.

მაგალითად, რომანის ერთ მონაკვეთში თვით ავტორის, როგორც პერსონაჟის ჩართვა, მისი იდეური კამათი თავის ახალგაზრდა ალტერ ეგოსთან - თარამ ემხვართან, შემდეგ კი ნადირობისას ემხვარისათვის თოფის სროლა იმ მოტივით, რომ ამ კაცმა მიზანში ამოღებული ჯიხვი დაუფრთხო - ეს ყოველივე ალბათ დაიკრავს კომუნისტების გულისმოსაგებად გამიზნული სვლების იერს, მაგრამ იმდენად ძლიერია მხატვრული ეფექტი, რომ ვერაფერს უსაყვედურებ ავტორს, პირიქით, ალტაცებულიც კი რჩები: რა თქმა უნდა, ვერ დაიჯერებთ, რომ რეალური პიროვნება - მწერალი კონსტანტინე გამსახურდია კაცს თოფს ესროდა რალაც ჯიხვის გამო, მაგრამ რომანში ის უკვე პერსონაჟია და თავისი „პერსონაჟული უფლებებით“ სარგებლობს: შეიძლება მთლად რეალისტური დამაჯერებლობა არცაა ჰქონდეს ამ სცენას, მაგრამ მისი უჩვეულო ეფექტი ამ მოთხოვნაზეც მაღლდება: უცნაურია, მაგრამ ასეა.

ახლა ვნახოთ კაც ზვამბაიას მკვლევლობის ორი ვარიანტი: პირველ ვარიანტში კაც ზვამბაიას თავისი ვაჟი, ბოლშევიკი არზაყანი ჰკლავს და ამით „ოიდიპოსის კომპლექსის“ მხატვრული რეალიზება ხდება ნანარმოებში. შემდეგ მწერალმა ეს ვარიანტი შეცვალა (ალბათ ბოლშევიკური კრიტიკის მოთხოვნით) და კაც ზვამბაია

სისხლის მოსურნე ტარბებს მოაკვლევინა. მასხოვს ბ-ნი სოსო სიგუა თავის დროზე მოითხოვდა, რომ პირველი ვარიანტი აღდგენიყო რომანის ახალ გამოცემაში (ეს მოთხოვნა მართლაც შესრულებულ იქნა მოგვიანებით): მისი შეხედულებით, მეორე ვარიანტის შემოტანა მამისმკვლევლობის არქტიპის იგნორირებაა და ამით რომანის კონცეპტუალური მხარე ზარალდება. ამაში ვერ დავეთანხმებით პატივცემულ მკვლევარს: რაკი არზაყანი ბოლშევიკია და ძველ პატრიარქარულ სამყაროს შეუწყალებლად უპირებს დანგრევას, კაც ზვამბაია კი ამ ძველი სამყაროს სისხლხორცეული ნაწილია, ამდენად, სიმბოლურ დონეზე არზაყანი მაინც „მამისმკვლელია“ და არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ფიზიკურადაც მოკლავს თუ არა მამას; გარდა ამისა, თუ არზაყანი თვითონ მოკლავდა კაც ზვამბაიას და არა სისხლისმაძიებელი ტარბები, მაშინ სისხლის აღების წესი ალუსრულებელი დარჩებოდა და არზაყანი სოფელში დაბრუნებას, ცოლის შერთვას და ჩვეულებრივი ცხოვრების გაგრძელებას ვეღარ გაბედავდა (მამა - შვილი ზვამბაიები და თარამ ემხვარი ხომ იმიტომ გადაიკარგნენ სვანეთში, ტარბას გვარის კაცები რომ შემოაკვდათ და ტარბებისგან შურისძიებას გაექცნენ). მეორე ვარიანტში, რაკი კაც ზვამბაია ტარბებმა მოკლეს, სისხლი აღებულია და არზაყანს შეუძლია სოფელში დაბრუნდეს, მას საშიშროება აღარ (ან ნაკლებად) ემუქრება ტარბებისაგან.

ასე რომ, სიუჟეტური განვითარების თვალსაზრისით მეორე ვარიანტი უფრო დამაჯერებელია.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას - მაინც დასანანი არზაყანის მიერ საკუთარი მამის მოკვლის სცენა თავისი მხატვრული სიძლიერის გამო: მე მაქვს ასეთი მოსაზრება თუ ვერსია: რა მოხდება, ორივე ვარიანტი რომ იქნას დატოვებული რომანში ერთმანეთის მიყოლებით? ხომ შეიძლება „მამის მოკვლა“ როგორმე არზაყანის ალგზნებული წარმოსახვის ნაყოფად დარჩეს, რადგანაც მას მამასთან მეტად მწვავე შეკამათება მოუხდა და ამ შეკამათებისა და „მკვლელობის“ შემდეგ გონს მოსული არზაყანი მოიძიებს მამას, რომელსაც ახლახან დაუნდობლად ეჩხუბა და რომელიც ახლა მის გვერდით აღარ არის და ქოხიდან გარეთ გამოსული არზაყანი თოვლზე აღმოაჩენს ტარბების მიერ მოკლულ მამის გვამს...

ალბათ ამ ორი ვარიანტის ერთმანეთის გვერდით მოთავსება არც კი მოითხოვს რაიმე ჩასწორება - გადაკეთებას რედაქციის მხრივ, ან, დიდი - დიდი აქა - იქ ერთი ორი სიტყვის ჩამატებას მოითხოვოს. შედეგი კი მერწმუნეთ საუკეთესო იქნება...

ახლა კი ბოლოს და ბოლოს უნდა განვმარტო, რას ვგულისხმობთ ამ შესაძლოა ცოტათი ახირებულ გამოწათქვამში - „ანტისაბჭოთა კონიუნქტურა“, რა მოვლენაა ის - ჩვენი თვითნებური გამოწვინა თუ რეალურად არსებული ფენომენი?

ანტისაბჭოთა კონიუნქტურა იბადება იქ, სადაც საბჭოთა კონიუნქტურის ხსოვნა ვერაფერ არ მომკვდარა: საბჭოთა კონიუნქტურასთან დაპირისპირებისას არაიშვიათად უკიდურესობაში ვვარდებით და ნაბან წყალს ბავშვსაც გადავაცყოლებთ ხოლმე.

ალბათ მეტ-ნაკლებად ყველას, ვინც საბჭოთა პე-

რიოდში ვიცხოვრეთ, გვაქვს პრეტენზია, რომ რეჟიმს არ ვემორჩილებოდით, აშკარად თუ ფარულად ვებრძოდით მას. და ახლო წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობის განსჯისას ჩვენმა განწყობამ ნანარმოების უფრო ზოგად, ყველა დროისათვის მისაღებ ღირებულებაზე წინ მისი ამჟამინდელი აქტუალობა წამოსწიოს - იქნება ეს სოციალური, პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური პრობლემატიკა... ამიტომ, მე მგონია, რომ „არსენა მარაბდელის“ ღირებულება მაინცდამაინც ობიექტური კრიტერიუმით ვერ იქნება შეფასებული; ეს კი უკვე ნიშნავს, რომ ანტისაბჭოური კონიუნქტურა ამ შემთხვევაში თავის არსებობას ავლენს.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ კონიუნქტურისაგან თავისუფალი არც „მთვარის მოტაცება“ გახლავთ. მაგრამ ამ შემთხვევაში მკვლევარი მას, როგორც მოდერნულს, კონცენატუალურად საინტერესოს, მაქსიმალურ შეფასებას აძლევს, ხოლო „არსენა მარაბდელი“, როგორც უფრო ტრადიციულ - რელიგიურ სტილში დაწერილი რომანი, შესაძლოა ამ თვალთახედვით არ ჩანდეს ლიტერატურული კვლევისათვის იმდენად დამანტრიგებელი, როგორც „მთვარის მოტაცება“, რომელიც ბ-ნ სიგუას შესანიშნავად აქვს გაანალიზებული, ბევრწილად ფსიქოანალიტიკური კუთხით, არქეტიპების თეორიაზე დაყრდნობით. ამ მხრივ „ჯაყოს ხიზნებიც“, რომელშიც პიროვნულ - ფსიქოლოგიური პრობლემატიკა უმწვავეს ეროვნულ - სოციალურ პრობლემატიკასთან არის გადაწნული, ალბათ მკვლევარისათვის კონცენტუალურად უფრო მდიდარი მასალის მომცემია.

და მე ვფიქრობ, რომ ჩვენი განწყობა ზოგჯერ ისე მყარი ხდება ამა თუ იმ ნანარმოების მიმართ, რომ ვეღარ ვამჩნევთ ჩვენს ტენდენციურობას. არსებობს ასეთი გამოთქმა „ნონკონფორმიზმის კონფორმიზმი“ ანუ ზოგჯერ საკუთარი ნონკონფორმიზტულობის განცდა, მისი შინაგანი კმაყოფილება თავად იძენს კონფორმიზტულობის ნიშნებს. ჩემი აზრით, ანტისაბჭოური კონიუნქტურა მსგავს ფსიქოლოგიურ ნიადაგზე წარმოიშვა და გაუცნობიერებლად ინვესტორების ობიექტურობის გრძობის მოდუნებას. მყარად ჩამოყალიბებული განწყობა შეიძლება მტკიცე შეხედულებად იქცეს და აღარც კი გადაისინჯოს.

მე არ გამოვირიცხავ, რომ გარკვეული სუბიექტურობა ჩემს ნააზრევს ახლდეს: მ.ჯავახიშვილის პროზის მწვერვალად ალბათ მაინც „ჯაყოს ხიზნები“ ესახებათ იმათ, ვინც სკეპტიკურად არის განწყობილი „არსენა მარაბდელის“ მიმართ. მეც ვეცდები, ამ ორი ნანარმოების შეპირისპირებით გამოვკვეთო ჩემი შეხედულება და რამდენად ობიექტური აღმოჩნდება იგი, სხვებმა განსაჯონ.

მიუხედავად „ჯაყოს ხიზნების“ უდავო მნიშვნელობისა, ვერ ვიტყვი, რომ იგი ჩემი საყვარელი ნანარმოებია. ბოროტების დაუსჯელობა, როცა რაიმე ნათელი ნერტილიც აღარ ჩანს სამომავლოდ, დამთრგუნველ ზემოქმედებას ინვესტს. ამ ნიგნში რალაც მარაზმატიკული თუ მაზოხისტული იმპულსია ჩაღვრილი. რომანის ბოლო ფრაზა „და ისევ ელის ნაქმარევი ნაცოლარს“ ვერ უღერს მაინცდამაინც იმედისმომცემად. თეიმურაზ ხევისთავიც და მარგო ყაფლანიშვილიც უკვე საბოლოოდ

„ნაკაცრებად“ არიან ქცეულნი - ორივე მოტყუებული, დამცირებული და გაძარცვულია. რა უნდა მოიტანოს მათმა ისევ შეერთებამ? ყველაფერთან ერთად თეიმურაზი უნაყოფო კაცია, მარგოს კი მოძალადე ჯაყოსაგან შვილი ჰყავს. ეს კი ნიშნავს, რომ იგი საბედისწეროდ არის დაკავშირებული ჯაყოსთან, მის სახეში პერსოფიციანირებულ ბნელ ძალასთან. ამ კავშირმა ნაყოფი გამოიღო და ვინ იცის, რა უკეთურ, ბოროტ შედეგებს მოიტანს მომავალში.

თუ ზოგიერთ ნანარმოებში (მაგ: „ლამბალო და ყაშა“, „არსენა მარაბდელი“) ბოროტება ბედი-მდევრის მიერ ისჯება და ამით ნაწილობრივ მაინც კომპენსირდება მკითხველის მძიმე განცდები, „ჯაყოს ხიზნებში“ მხოლოდ სიტყვიერი მინიშნებაა იმაზე, რომ ერთ დროს არავის არაფერი შერჩება. მ.ჯავახიშვილს, როგორც მისი ჩანაწერებიდან ირკვევა, სურდა დაენერა რომანის გაგრძელება, სადაც გლეხის ბიჭი ნინიკა მარგოს დაიხსნის ჯაყოსაგან და თვით შეირთავს. ჯაყო კი სოფლელი ახალგაზრდების (ნინიკას თანამოაზრეების) მიერ აილაგება და ძველებურად ველარ იპარპაშებს. ნინიკა და ის ახალგაზრდები მომავლის საქართველოს სახეა, მაგრამ მწერალმა ვერ შეასხა ხორცი ჩანაფიქრს, რელიზმის გრძობამ არ დაანება ამის გაკეთება. მის თანამედროვე საქართველოში არ ჩანდა ძალა, რომელიც ერს მონობიდან იხსნიდა.

„არსენა მარაბდელში“ მწერალმა იდეალური სახალხო გმირის სახე წარმოგვიდგინა. საიმდროოდ, როცა რომანი იწერებოდა და მწერალი უკვე თითქოს კომუნისტების სამსახურში იყო ჩამდგარი, რალური სახალხო გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი უკვე დევნილი, უცხოეთს გადახვენილი, ყაჩაღად და ბოროტმოქმედად შერაცხული იყო. მ. ჯავახიშვილი, რომელიც ჩეკამ აიძულა, ქაქუცა ოფიციალურად დაეგმო, როგორც გვეგონია, სახალხო გმირის მხატვრული სახის შექმნისას სწორედ ამ რეალურ გმირს, როგორც პროტოტიპს, არ გულისხმობდა. თანაც ამით ხომ გარკვეულწილად კომპენსირდებოდა საკუთარი (თუნდაც მოჩვენებითი) კომპრომისით გამოწვეული სინდისის ქენჯნა.

პუბლიკაციაში „როგორ იწერებოდა არსენა მარაბდელი“ მწერალი საგანგებოდ ასახელებს რომანის პროტოტიპებს, რათა მჩხრეკელ თვალს ყურადღება მასზე გადაატანოს: არსენას პროტოტიპი მწერალს ახლო ნათესავი ბაგრატ ბურნაძე ყოფილა; ოღონდ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა პროტოტიპი არ არსებობდა, რომლის დაფარვა კომუნისტური რეჟიმის მძინვარების ფაშს აუცილებელი იყო.

„ჯაყოს ხიზნებისგან“ განსხვავებით, „არსენა მარაბდელი“ ჩვენს სულს არა სასონარკვეთისა და გამოუვალობის, არამედ ძლიერების, იმედინაობის, სამომავლო შემართების განცდით ავსებს. მწერლის პიროვნული მარცხი პოლიტიკურ ასპარეზზე რეჟიმისადმი ქედმოხრისა და ამ რეჟიმის სამსახურში მოჩვენებითად დგომა ამ დიდებული შედეგის, „არსენა მარაბდელის“ შექმნით იყო კომპენსირებული.

ბადრი პატაშური

მონპარნას-2001


ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, ჩემი ბავშვობის ოცნებაც ავისრულე და ვხედავ რომ ჩვენმა კომფორტულმა ლაინერმა ორი წრე დაარტყა პარიზის თავზე (თითქოს ჩემს საექსკურსიო შეკვეთას ასრულებსო) და შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტში დაემშვა.. პასპორტში ჩართული ევროვიზა რომში მიხმობდა, მარა მე პარიზი ავირჩიე..თუმცა რომიც ოცნებათა სფეროს განეკუთვნებოდა ჩემთვის და ასევე რჩება დღევანდლამდე..როგორც კი ფეხი დავდგი პარიზის მიწაზე და პატარა ხიდიც გადავიარეთ აეროპორტიდან ქალაქთან დამაკავშირებელი, მაშინათვე დავიწყე თადარიგის დაჭერა, რომ მალე გამეკვლია გზა პორტუგალიას “დამიზნებული” საავტომობილო-სარკინიგზო სადგურისაკენ..

მაგრამ რამდენ ადამიანსაც შევეკითხე ჩემი სასკოლო-საუნივერსიტეტო (კიდევ ვემზადებოდი ორი წელი) და ჩემი აზრით, არცთუ ცუდად გასხლული ინგლისურით, ცივად მპასუხობდნენ, რომ ინგლისური არ ესმით... არადა მათი გამოთქმის ფორმა ცხადყოფდა, რომ პასუხის გაცემა ინგლისურად ძალიან კარგადაც შეეძლოთ...

იმ ხალხის შემხედვარე, „შიშმა“ შემიპყრო, „პარიზის ავადმყოფობა“ არ დამემართოს-მეთქი.. მაგრამ გული იმით გავიმაგრე, რომ ეს ძირითადად იაპონელების დაავადებაა.. რადგან მათი სათუთი, სტუმართმოყვარე გული პარიზშიც ასეთსავე გალიმებულ და კეთილმოსურნე, თავიანთზე მეტად ცივილიზებულ ხალხს ელის, ხოლო პარიზის კუმტ რეალობას როცა აწყდებიან, ისეთ შოკში ვარდებიან, სახლში მიბრუნებულეებს ფსიქიატრთან უწევთ მკურნალობა...

ჰოდა, მეც გავიფიქრე, კი არ ვარ იაპონელი, მაგრამ ძალიან თბილი და სტუმართმოყვარე ქვეყნის შვილი ვარ, ამიტომ თუ ვინმე კარგად არ გამომელაპარაკა ახლა, შეიძლება “პარიზის დაავადება” ავიკიდო-მეთქი, რომ ულამაზესი, ჩემი წარმოდგენით ნაღდი პარიზული წყვილი გაჩერდა და დახმარება შემომთავაზა.. თან გულთბილად მკითხეს,თუ საიდან ვიყავი და საით მქონდა გეზი..ხოლო ჩემმა “ვესტერნულმა” უესტმა ხელით, რომ მოვდივარ უკანა მხრიდან და მივდივარ წინა მხარეს, ძალიან გაამხიარულა..თქვენ, ქართველები იტალიელთა ნათესავები ხომ არ ხართ?! პირიქით, მათი უძველესი წინაპრები არიან მეთქი ჩვენი ნათესავები.. ძალიან ნაზმა და ლამაზმა გოგომ, დედაჩემის ფესვებით იტალიური და უფრო „ნათესაურ-შინაურულად“ ფართოდ გამიღიმა...

უცებ საიდანაც მოიტანეს პარიზის რუკა (რომელსაც ახლაც სადღაც უჯრაში ვინახავ სამახსოვროდ) და ავტოკალმით კარგად მომიხაზეს, თუ როგორ უნდა მივსულიყავი საპორტუგალიე სადგურთან... ასეთი კი ორი აღმოჩნდა, ლიონის ვაგზალი და მონპარნასისა...მე როგორც პოეზიასთან, შემოქმედებასთან ახლოს



მდგომი ადამიანი, თავიდანვე მონპარნასით დავინტერესდი..სახელი მომეწონა და ფილმიც გამახსენდა ამ სახელწოდების..ჩამოვედი დაბლა ტაქსის მძღოლებთან და უცებ ფრანგულ ფილმებში ამოვყავი თავი..ტაქსის მძღოლები (უმეტესობა თმახუჭუჭა) ძალიან კეთილად განწყობილი და გულლია ხალხი გამოდგა.. უცებ მომახსენეს, რომ აეროპორტის სიახლოვეს უბრალო სასტუმროებიც კი სამჯერ ძვირი ღირს, ხოლო მონპარნასამდე ტაქსით მისვლა პარიზული გზებით და ფასებით ლამის იმდენივე დამიჯდება, რაც პორტომდე მატარებლის ბილეთი..ამიტომაც უფრო ხელსაყრელი მეტროთი მისვლა იყო..ჩავედი მეტროში, გადავიხადე 42 ფრანკი(დაახლოებით 8 დოლარი, ევრო 2002 დასაწყისში შემოვიდა) და ავიღე როგორც გამოდგა აბონემენტი, რომელიც ბოლომდე ვერ მიმიყვანდა(კიდევ ორი მეტრო გამოვიცვალე დაბლა)), ერთი კვირის ძალა კი ჰქონდა იმ ხაზზე.. უნდა აღინიშნოს, რომ იქ, დაბლა ერთმა ჩინელმა უანგარო დახმარება გამიწია, თან ამისნა რომელ ხაზზეც უნდა გადაემჯარიყავი და თანაც ბილეთი არ ამაღებინა, თავისი ბილეთით გამატარა.. რასაც მე ემიგრანტული სოლიდარობა დავარქვი და მთელი ცხოვრება დასამახსოვრებლად „გავწირე“ ...

პარიზის მეტრო ცალკე თეატრია, თავისი მოხატულ-მონერული კედლებითა და მუსიკოსები, ათასი ჯურისა და ფერის ხალხით, როგორი აღრეულობაც მანამდე მე არსად მენახა და ცოტა არ იყოს შეეცბი..

აი, როგორც იქნა მივალნიე მონპარნასის უზარმაზარ საავტომობილო-სარკინიგზო სადგურზე და პირველ რიგში,რა თქმა უნდა ლისაბონამდე ბილეთის თადარიგი დავიჭირე.. მაგრამ აღმოჩნდა რომ ლისაბონის მატარებელმა ერთი ფეხით გამასწრო და მხოლოდ

ორი დღის შემდეგ შევძლებდი შემდეგი მატარებლით გასვლას.. მეტი რა გზა მქონდა, ავიღე ბილეთი, ჩამოვჯექი გრძელ სკამზე და ფიქრებში ჩავიძირე...

აი, ვიმყოფები პარიზში, წინ კიდევ დიდი გზა მაქვს, ხოლო მე ფული შემომაკლდა.. გამახსენდა მამის შეგონება, შორ გზაზე მიდიოდნენ, ბარგი მცირე ნაილე, ფული და საგზალი ბევრიოო.. სევდიანი მზერა ვესროლე ჩემს გაბენრილ ჭოჭიალა ჩემოდანსა და სპორტულ ჩანთას.. შევედი კაბინაში, გადავრეკე პარიზში მცხოვრებ ერთ ქართველ კაცთან, ჩემი ნათესავების მეგობართან, რათა ორი დღით ღამის გასათევი მომეთხოვა.. გამომელაპარაკა ვინმე სლავი ქალბატონი, რომელიც იმ კაცის მეუღლედ გამეცნო. მასთან საუბრით გავიგე, რომ ნუხელ ბევრი ნათესავი ქართველი ჩამოსვლიათ, ზოგს იატაკზეც, ხალიჩაზე ვუგებთ სანოლსო და ისე, ცალყბად დამპატიჟა, თუ არ იუკადრისებთ იატაკზე ძილს, მობრძანდითო..

არა, იყოს მეთქი. მართალია, ადრიანი გაზაფხულის პარიზული სუსხია, მარა აქ, სადგურში გავჩერდები ორი დღე მეთქი..

დავაბინავე ჩემი ჩანთები და დავრეკე თბილისში, რომ თანხა მოეშველებინათ.. ხოლო მე თავად დავინყე სადგურისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის საფუძვლიანი „დაზვერვა“.

ამ სიარულ-სიარულში მონპარნასის სადგურის წინ მდებარე უზარმაზარი ლაფაიეტის გალერეებიც შემომეთვალაიერებინა.. მხოლოდ პირველი სართული, თორემ იმ ცათამბჯენის საფუძვლიან დათვალაიერებას ნახევარი „საუკუნე სჭირდება“... ტუალეტშიც მომიწია შესვლა, სადაც შევამჩნიე, რომ მშვენიერი ვიდეოკამერა ზევით, მარჯვენა კუთხიდან ყურადღებით დამყურებდა და მე ასეთ ზედმეტ ყურადღებას მიჩვეულმა იქვე, სადგურის სიახლოვეს მდებარე კაფეში ვამჯობინე შესვლა, რაც რა თქმა უნდა „ზედმეტი“ ფრანკების მოშორებაში დამეხმარა ყავისა და ნამცხვრისათვის..

კარგად დავზვერე ქუჩების განლაგება, რათა შემდეგ ტაქსის გამოძახება არ დამჭირებოდა და დავინყე შედარებით შორეული ტერიტორიების დაპყრობაც... თან იმას ვამონებდი, თანხა ხომ არ იყო ქალაქიდან გამოგზავნილი... სალამო ხანს უმშვენიერეს ცისფრად (ოლონდ არა ლჭბტ ცისფრად) განათებულ ეიფელის კოშკსაც „ჩაუქროლე“ და ჩემს მონპარნასს მივუბრუნდი.. სადაც როგორც შევამჩნიე, სალამო ხანს იკრიბებიან „ბირჟავიკები“.. მოქეიფე, მშვიდობიანი ქალებისა და კაცების, ახალგაზრდებისა და შუახანს მიღწეულების ჯგუფი, ერთმანეთის და სხვების მიმართ ძალიან მეგობრულად და კეთილად განწყობილნი იკავებდნენ ადგილს ჩემს მიერ შეთვალაიერებული კარგი სავარძლების სიახლოვეს.. რა რამა უნდა მეც ვერ დავრჩებოდი გულგრილი ამ მხიარული და კარგი სამეგობრო კამპანიის მიმართ და ჩემი ღვინითა და ნამცხვრით მივებლეთ მათ... დამაყარეს კითხვები; ავუხსენი ჩემი მარშრუტის შესახებ, ოდნავ შეზარხოშებულმა ჩემი ახალგამოცემუ-

ლი პოეტური კრებულიც წარვუდგინე, სადაც ბოლო გვერდზე შავ ჩოხა-ახალუსა და ქამარ-ხანჯალში, მე თავად ვიყავი გამოჭიმული ფოტოთი..რამაც ერთი ახალგაზრდა ქალის დაინტერესება გამოიწვია, რომ მე მილიტარისტული ქვეყნიდან ხომ არ ვიყავი, ასეთი ქამარ-ხანჯლით შეიარაღებული?!

და ჩემდა გასაოცრად ამ რეპლიკამ იქ მყოფი საზოგადოების დიდი გამხიარულება და სიცილ-ხარხარი გამოიწვია.. აღმოჩნდა, რომ ის ხალხი, რომელიც მე ჩვეულებრივი მოქეიფე ბირჟავიკებად დავსახე, იყვნენ ძალიან განვითარებულ-გათვითცნობიერებული ადამიანები; ზოგი ექიმი, ზოგი მასწავლებელი, ზოგი მუშა მშენებლობისა..იმ ცნობისმოყვარე ქალბატონს აქეთიქიდან დაუნყეს ახსნა, რომ ეს ტანისამოსი არის უძველესი ეროვნული სამოსი და პარიზშიც ხშირად ჩამოდიან მოცეკვავეთა და მომღერალთა ძალიან მაგარი ჯგუფები, ასეთ სამოსში გამონყობილნი... „ჟორჟი, ჟორჟი“---ხშირად მიჭახუნებდნენ ბოთლს ბოთლზე, მთავაზობდნენ მათი ბოთლით რომ დამელია, რაზეც მე უარს ვეუბნებოდი, აგერ, მე ეს ღვინო მიყვარს, რომელი ბოთლიც მიკავია მეთქი(არადა პირველად მეკავა ხელში იმ მარკის ღვინო) და იმ სალამოს სულ ხვევნა-კოცნით დამშორდნენ ქალიან-კაციანად...მეპატიჟებოდნენ თავიანთ სახლებშიც, რაზეც მე უარი განვუცხადე, ხანჯლით მონპარნასს უნდა ვუდარაჯო მეთქი...აბა შენ იცი, კარგად დაიცავი, დილაზე ჩვენ უნდა დაგეცეთო, მითხრა ორმა მანდილოსანმა და ერთმა ჯეელმა, რის მნიშვნელობასაც მაშინ ვერ მივხვდი დილაზე და ძალიან ორგანიზებულად, ყოველგვარი ფეხის არევის გარეშე, ადგილობრივი ტერიტორიის სრული დასუფთავებით, რომ მათი კვალის კი არ დარჩენილა იქ, დასტოვეს იქაურობა... მხოლოდ ერთმა კაცმა მითხრა ფრანგულისა და ინგლისურის ნაზავით, რუსი მოჟიკივით დავითვერიოო, აქაოდა ნახე რა გათვითცნობიერებული ვარო..რაზეც მე სიარულით ავუხსენი რუსი მუჟიკი როგორც უნდა დადიოდეს მთვრალი...ამაზეც გამხიარულდნენ...

„ჩემს“ სამფლობელოში მისულმა აღმოვაჩინე, რომ ჩემს გარდა კიდევ იყვნენ მგზავრები, ვინც სადგურში რჩებოდნენ ღამე..ზოგი გვიან გადიოდა და ზოგიც დილა-უთენია...მსუქანი, ზანგი სადგურის მორიგე, რაციით შეიარაღებული კი მაინცდამაინც ჩემთან მოვიდა და ინგლისურად მითხრა, რომ არ არის სასურველი მგზავრები მაგ „ყაჩაღებს“ აჰყენენ და მას მუშაობა უფრო გაურთულონ, თანაც აქ მხოლოდ ერთი ღამის გათენება შეიძლება.. რაზეც მე მხიარულად გავუღიმიე, მხარზე ხელიც დავკარი და ვანუგეშე, ჩემგან პრობლემები არ შეგექმნებათ, გინდა ერთი კვირა დავრჩე მეთქი... გაოცებულმა შემომხედა და ჩანთიდან ერთი ქართული შოკოლადის „პლიტკაც“ ვაჩუქე თავისივე ფერისაა))...

დილით გავიარ-გამოვიარე, იქვე სადგურთან მდებარე, ნამოფარებულ, ღია მარკეტში ნაყიდი ერთი ნამცხვარიც გეახელით და შევატყვე, რომ გულმა შიში

ჩართო... ასე შემართება, როდესაც „ჯიბის ბარაქის“ ნაკლებობას ვიგრძნობ, მანამ სანამ ჩემს ეკონომიურ მდგომარეობას არ მოვისტაბილურებ... ვზივარ სკამზე, ველი დღის გასვლას, ველი ფულს თბილისიდან და ჩამოირბინა პროვინციის ავტობუსის მიმართულებით მორბენალმა შუა ხანს მიღწეულმა „პარიჟანკამ“, რომელსაც ორი ოციოდე წლის ქალიშვილიც ახლავს.. შემომხედა უცებ და ფრანგულად რაღაც მკითხა.. სანამ გონს მოვეგე ბოდი, ინგლისურად შემომიბრუნა კითხვა: „ვან ფრანკ, ვან ფრანკ“?!.. უცებ წამოვხტი, მოფიქვექე ჯიბე და უკანასკნელი რკინის ერთფრანკიანი იმ მანდილოსნებს ვაჩუქე, რითაც ნაჩქარევი, ძალიან დიდი მადლიერი მზერა და სიტყვები დავიმსახურე, ერთ-ერთი ტყუპისცალისგან (გოგონები ტყუპებად დავსახე, მსგავსების გამო) ლოყაზე უცაბედი ამბორითა და ასევე მათი უცაბედი „გაქრობით“...

ვზივარ და ვფიქრობ, აი როგორი ყოფილა პარიზი, თითქოს ჩვეულებრივი, შინაურული, მაგრამ საერთოდ განსაკუთრებული ქალაქი...

ამ დროს დაბლა სადგურზე გაისმა სირენების, მსაჯის სასტვენების უზარმაზარი ქვაბის თავსახურის მსგავსი ნივთების ერთმანეთზე ჯახუნის ხმა და თეთრ ტანსაცმელსა და თეთრ ხალათებში გამოწყობილი ხალხით უცებ გაივსო ეს ამხელა, ვეებერთელა სადგური... ახლალა გამახსენდა წუხანდელი დანაქადნები ორი მანდილოსნისა და ერთი ახალგაზრდა კაცის, დილაზე დაგეცემითო.. მივხვდი, რომ ისინი მედიცინის თანამშრომლები იყვნენ და ესეც ექიმთა აქცია იყო.. სასწრაფოდ გამოვიცვალე ჩემი მწვანე მანტო, თეთრი პიჯაკი გადავიცი და აქციას შევეუერთდი, თანაც მათ სიახლოვეს დავდექი, სადაც მიკროფონით გამომსვლელნი ცვლიდნენ ერთმანეთს.. ვინანე, რომ კამერა არ მქონდა (ჩემი „კილოგრამიანი“ მოტოროლებიც ასეთ ფუნქციებს ჯერ სიზმარშიც ვერ ნახავდნენ)... აქცია ძალიან დიდი ხმაშენყობილი ხმაურით, მარჯვენა მუჭების ჰაერში აღმართვით და დიდი ორგანიზებულიობით წარიმართა... ეტყობოდათ გამოცდილება.. რა თქმა უნდა, მეც არაფერში ჩამოვრჩი გაფიცულთ, რითიც იმავე საღამოს იმ ზანგი, მსუქანა ფორმიანის კიდევ ერთი საყვედური და შესხენება დავიმსახურე, ხვალე მინც დატოვე (სადგური).. სადგურის დაცვა თავიანთ ოთახში დიდ ეკრანებზე მთელ ამ პერიმეტრებს აკონტროლებდა, ხოლო გარეთ აქციას ხელს არავინ უშლიდა ფორმიანი..

მალე რადიო-რეპროდუქტორში რაღაც გამოაცხადეს, რამაც თეთრხალათიანების უზომო აღტაცება, ყრიაშული და ხვევნა -- კოცნა გამოიწვია.. არც მე, თეთრ კოსტუმიანი მხარდამჭერი დამტოვეს ხვევნა-კოცნისა და მხარზე ტყაპუნის გარეშე იქ შეკრებილთა ფრანკთა დიაცთა და მამაცთა...

და მე გამახსენდა ისტორიაში, მხატვრულ ლიტერატურაში ასახული მთელი სიდიადე ფრანგული

თავისუფლებისმოყვარეობისა და ნამდვილი ხალხის ძალაუფლების ძიებისა... ამ მეტრძოლი ხალხის დამონება წარმოუდგენელია... მათ ძვლ-რბილში აქვთ თავისუფლება... ვერ შეაშინებს ვერც ციხეებით, ვერც ტყვეებით, თუ არსებობენ, ე.ი. უნდა ხელფასიც ადამიანური მიღონ და ადამიანურადაც იცხოვრონ.. ეს ყოფილა ფრანგების გენეტიკური კოდი...

გამახსენდა ნინა ლამეს კამპანიიდან ერთი ფრანგი კაცის ნათქვამი, თუ გინდა საფრანგეთი ნახო პროვინციებში უნდა გახვიდე, აქ პარიზში აფრო-არაბებით გვქექავენო (ჯერ კიდევ 2001 წელს!!!), რაზეც ქალმა უპასუხა, რომ ფრანგ კაცს ქალი აღარ აინტერესებს!!!

ექიმების აქციაც მორჩა, ხელფასიც მოვამატებინეთ მათთვის, მეც ვესტერნ უნიონით დოლარები მივიღე, რომელიც პორტუგალიამდეც და იქაც პირველ ხანებში მიეყოფოდა... ახალგაზრდა მეგობარმა, მომღერალმა შოთა მიგრიაულმა მასესხა.. მანამდე თურმე დიდი სჯა-ბაასი ყოფილა თბილისში.. სად არის ტერიტორიულად ბადრიო? მონპარნასის სადგურიო.. ჰოდა ერთი მეგობრის მეუღლეს ინტერნეტით ამოუგდია ფოტო, რად უნდა მაგას ფული, აგერ სადგურთან, ტაქსის გაჩერებაზე დგას მწვანე მანტოში გამომწყობილიო. არადა იქ გზაზე გადავიდოდი.. ხოლო პარიზში, შუქნიშანზე სანამ არ გაჩერდებიან მანქანები, ფეხსაც ვერ შედგამ გადასასვლელზე...

ასე იყო თუ ისე, კიდევ გადამხდა სხვადასხვა ამბები იმ ორ დღეს, ხოლო მესამე საღამოს გამოვემშვიდობე „გამინაურებულ“ ნაცნობებს და უახლესი, კომფორტული, სრიალა მატარებლით დავიდარი პორტუგალიისკენ.. გზად ყველაზე მეტად ქალაქი ბორდო დამამახსოვრდა უძველესი ფრანგული იერით და კვლავ ხილვის მონატრება ჩამისახა.. აგრეთვე უაღრესად მოვილილ-მონესრიგებული, უზარმაზარი ბალ-ვენახები ფრანგი ფერმერებისა..

ხოლო ესპანეთის ბასკურ ქალაქ ირუნში მატარებელი გამოვიცვალეთ და იმავე ბილეთით „ჯახჯახა“ მატარებელში გადმოვჯექით და მე მივხვდი, რომ სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით ეკონომიკურად დაბალ საფეხურზე მდგომი ქვეყნისკენ მივინევდი; ამიტომ პატარა ხინჯმაც გამკრა გულში, რომ არ გაეყვი თბილისელ ქურთ ქალბატონებს, რომელთაც მე თურქეთში დავეხმარე სასტუმროს პოვნა-- დაბინავებაში (ოდნავ შეცბუნებულნი იყვნენ, თურქეთის ციხეში ქურთთა ლიდერი აბდულა ოჯალანი სასიკვდილო განაჩენს ელოდა) და მათ შემომთავაზეს ბელგიაში გაეყოლოდი, სადაც გაცილებით მეტი ხელფასი მელოდა და მათი ხალხი ხელის გულზე მატარებდა სარფის საბაჟოსა თუ სტამბულში ჩემი ასეთი მეგობრული გვერდში დგომის გამო...

რაც იყო, იყო და ღმერთს როგორც ნებავდა, ისეც ხდებოდა.. უფლის მფარველობა ნუ მოგვაკლოს ჩვენ და ჩვენს მამულს, მთელს სამყაროს...